ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი
„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный
рецензируемый и реферируемый научный журнал
“ECONOMICS ” - Monthly International reviewed
and refereed scientific journal

№ 1, 2017

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან
Journal published since 1918

რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ნ. აბესაძე; ნ. ბაკაშვილი; ე. ბარათაშვილი; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი; მ. კაკულია; დ. კარბონი (**იტალია**); პ. კოღუაშვილი; ა. კურატაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; მ. როკეტლიშვილი (**აშშ**); უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო (**უკრაინა**); ა. სხირტლაძე; ტ. ფედოროვა (**რუსეთი**); დ. ქავთარაძე (**რუსეთი**); ა. ქუთათელაძე; რ. ქუთათელაძე; კ. ღურწკაია; გ. ღავთაძე; გ. ყუფუნია; გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ნ. ჩიხლაძე; ჟ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; მ. ჯიბუტი. გ. ჯოლია

ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абралава А., Абесадзе Н., Бараташвили Е., Бакашвили Н., Гавтадзе Г., Гогохия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джибути М., Джолия Г., Кавтарадзе Д. (Россия), Какулия М., Карбон Д. (Италия), Когуашвили П., Купуния Г., Кураташвили А,. Кутателадзе А., Кутателадзе Р., Липартия З., Малашхиа Г. Меквабишвили Э., Маршава К., Папава В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. (США), Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О. (Украина), Схиртладзе А., Самадашвили У., Федорова Т. (Россия), Читанава Н., Чихладзе Н., Шубладзе Г., Шенгелия Т., Циклаури Ж.

REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; N. ABESADZE; E. BARATASHVILI; N. BAKASHVILI; N. CHIKHLADZE; G. GHAVTADZE; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; M. KAKULIA; D. KARBON (ITALY); P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V.PAPAVA; M. ROKETLISHVILI (USA); U. SAMADASHVILI; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO (UKRAINE); A. SKHIRTLADZE; T. FEDOROVA (RUSSIA); D. QAVTARADZE (RUSSIA); A. QUTATELADZE; R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; G. KUPUNIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; M. JIBUTI; G. JOLIA.

თბილისი - 2017

შინაარსი

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

დეზდემონა მაღლაკელიძე, ნათელა ვაშაკიძე - მოგების გადასახადის რეფორმის ძირითადი ასპექტების შესახებ----------6

ინგა გიგაური, იულია თედეევი, ნიკა ზურიკაშვილი - ეკონომიკური მდგომარეობის შუქ-ჩრდილები საქართველოში----- 18

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

დიანა უგლავა - სოციალური დაცვის სისტემა და მისი განვითარების ტენდენციები საქართველოში---------- 32

რევაზ შენგელია, მეგი ანანიძე, ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია, ნათია შენგელია -საინვესტიციო გარემო - ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ფაქტორი---------- 56

ასიე ცინცაძე , ბექა ფუტკარაძე - ფინანსური ინტეგრაციის გავლენა საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების ცვლილებაზე ---------- 67

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

მარიამ ხაჩიძე - სასესხო განაკვეთების პრობლემა კომერციულ ბანკებში და მათი რეგულირების აუცილებლობა---------- 85

ნინო ჭოველიძე - სავალუტო ბაზარი, ვალუტის გაცვლითი კურსის დადგენა და საქართველოში არსებული მდგომარეობა----- 95

ასიე ცინცაძე, ბექა ფუტკარაძე - ფინანსური ინტეგრაცია: შეხედულებები და მტკიცებულებები ---------- 107

რეგიონული ეკონომიკა

ბექა ბიბილური - ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მართვის რეგიონალური ასპექტები---------- 122

დარგობრივი ეკონომიკა

ხოჭოლავა ნათია - აუდიტი – ეკონომიკის მდგრადი განვითარების სისტემის ელემენტი ---------- 131

ნატა ქირია, მარიამ მუქერია - ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების გავლენა ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელზე---------- 139

ქეთევან კიწმარიშვილი - კვლევითი პროექტები

და მათი თავისებურებანი---------- 146
გიორგი თეთრაძე, პაატა კოღუაშვილი - აგრარული რისკები. აგროდაზღვევისა და აგროდაკრედიტების პრობლემები---------- 153
სოფიო მაჭარაშვილი - სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლება მისი დასაქმების გარანტი უნდა გახდეს ---------- 161
გიგა კიკორია - საქართველოში უძრავი ქონების, როგორც საცხოვრისის, ხელმისაწვდომობა ---------- 168

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

ნათია გურაშვილი - პიროვნების განათლებულობის რესურსის მართვა ---------- 182
მარინა ბაღათურია, ნატო გეგენავა - ბიზნესის შეზღუდულობის მიზეზები საქართველოში ---------- 189
ქეთევან ჯიქია, რუსუდან ქუთათელაძე - მართვა როგორც მიზნის მიღწევის საშუალება ---------- 197
გაბრიელი გაბუნია, დიმიტრი იობაძე - მენეჯმენტი ქართულ ორგანიზაციებში ---------- 210

მსოფლიო ეკონომიკა

ქრისტინე ჯინჭველეიშვილი, ანი კენჭაშვილი - სამხრეთ კავკასიის ენერგო დერეფანი, როგორც ძირითადი გეო-ეკონომიკური და გეო-სტრატეგიული არეალი გლობალური მოთამაშეებისთვის ---------- 219
მარინა მეტრეველი, გიორგი ჯაბნიძე - ტურიზმის დარგის განვითარების ძირითადი ტენდენციები და მიმართულებები მსოფლიოში ---------- 232
ალექსანდრე ეროიანი, გვანცა შაორშაძე - რუსეთისა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ურთიერთობები ---------- 242
მარიამ ტლაშაძე, მარიამ ცაბაძე - საქართველო და ევრაზიული კავშირი---------- 254

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი --- 262

CONTENTS

ECONOMIC REFORMS: ANALYSIS, PROBLEMS AND PERSPECTIVES

Dezdemona Maglakelidze, **Natela Vashakidze -** About the Key Aspects of the Profit Tax Reform---------- 6

Inga Gigauri, **Iulia Tedeevi, Nika Zurikashvili** - Contradictions of Economic Situation In Georgia----------18

MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

Diana Uglava - The Social Security System and Its Development Tendencies in Georgia----------32

Revaz Shengelia, Megi Ananidze, Jujuna Tsiklauri-Shengelia, Natia Shengelia - The Investment Environment - As the Factor of Increasing the Competitiveness of a Country ----------56

Asie Tsintsadze, **Beka Phutkaradze -** The impact of financial integration on the changes of main macroeconomic indicators of Georgia----- 67

FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

Mariam Khachidze - Lending Rates Problem of Commercial Banks and the Need for their Regulation ----------85

Nino Chovelidze - The foreign exchange market, exchange rate determination and the situation in Georgia----------95

Asie Tsintsadze, Beka Phutkaradze - Financial integration: the views and evidences ---------- 107

REGIONAL ECONOMICS

Beqa Bibiluri - Regional aspects of management of the country's socio-economical development ---------- 122

SECTORAL ECONOMY

Natia Khocholava - Audit as the system element of sustainable economic development ---------- 131

Nata Kiria, Mariam Mukeria - The Efect of the health care costs on child morality rate ---------- 139

Ketevan Kitsmarishvili - Research projects and their peculiarities ------ 146

Giorgi Tetradze, Paata Koghuashvili - Agrarian Risks, the Problems of Agrarian Lending and Agrarian Insurance---------- 153

Sofhio Macharashvili – Student – oriented University
education should become as a guarantee of its employment---------- 161
Giga Kikoria - Residential Real Estate Accessibility in Georgia---------- 168

BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING

Natia Gueashvili – The person's education resourse control ---------- 182
Marina Bagaturia, Nato Gegenava – Reasons of Business
Restriction in Georgia ---------- 189
Ketevan Jikia, Rusudan Kutateladze - Management
as a Means for Achieving the Goal ---------- 197
Gabrieli Gabunia, Dimitri Iobadze - Management
in Georgian Organizations ---------- 210

WORLD ECONOMY

Kristine Djinchveleishvili, Ani Kenchashvili - South Caucasus
energy Corridor – The main geoeconomic
and geopolitical area for global actors ---------- 219
Marina Metreveli, **Giorgi Jabnidze** - Major world trends
and directions in tourism development ---------- 232
Alexander Eroyan, Gvantsa Shaorshadze - Russia-WTO relations ---- 242
Mariam Tlashadze, Mariam Tsabadze - Georgia
and Eurasian Economic Union ---------- 254

PUBLICATION REQUIREMENTS ---------- 262

მოგების გადასახადის რეფორმის ძირითადი ასპექტების შესახებ

დეზდემონა მაღლაკელიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ნათელა ვაშაკიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია მოგების რეფორმის ერთ - ერთი მნიშვნელოვანი მიზანი ინვესტიციების სტიმულირება და მოგების რეფორმის ზოგიერთი ასპექტი. ცვლილებები კანონმდებლობაში უკვე შეტანილია.საქართველოში მოგების გადასახადის რეფორმა განსაკუთრებით აქტუალურია ბიზნეს სექტორისათვის, რადგან რეინვესტირების შემთხვევაში ბიზნესი მოგების გადასახადიდან თავისუფლდება. ახალი საკანონმდებლო სიახლის მიზანია ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ეკონომიკური ზრდის დაჩქარება და ინვესტიციების სტიმულირება. საქართველოში მოგების გადასახადის რეფორმამდე მოქმედებდა მოგების გადასახადის კლასიკური - ორეტაპიანი დაბეგვრის სისტემა. პირველ ეტაპზე, გადასახადი 15% გადაიხდება, როდესაც საწარმოს წარმოეშობა მოგება. დივიდენდის გაცემა დამფუძნებელ რეზიდენტ საწარმოზე არ იბეგრებოდა. მეორე ეტაპზე დაბეგვრა 5 %-ით ხდებოდა დივიდენდის საბოლოო განაწილებისას ფიზიკური პირისათვის ან არარეზიდენტისათვის. რეფორმის შედეგად, გადასახადის განაკვეთები იგივე დარჩა, პრაქტიკულად არ შეიცვალა დაბეგვრის ობიექტიც, თუმცა გა-

დავადდა მოგების პირველ ეტაპზე დაბეგვრის დრო - ფიზიკურ პირზე ან არარეზიდენტზე დივიდენდის გაცემის მომენტამდე.

განაწილებული მოგების გადასახადის გამოთვლა არ მოითხოვს ცალკეული შემოსავლებისა და ხარჯების დეტალურ ანალიზს და აქცენტი გადატანილია ფულადი განაცემების კონტროლზე, მასზე დაფუძნებული მოდელი მნიშვნელოვნად გაამარტივებს გადასახადების ადმინისტრირებას. მართალია, საჭიროა კონტროლი, რომ არ მოხდეს მოგების ხარჯებად შენიღბვა, მაგრამ, მოგების გადასახადის კლასიკური მოდელისგან განსხვავებით, საერთოდ არ არსებობს ისეთი ხარჯების კონტროლის საჭიროება, რომლებიც კომპანიიდან ფულის გადინებას არ უკავშირდება. ასეთ ხარჯებს მიეკუთვნება: ცვეთა და ამორტიზაცია, დარიცხული პროცენტები, გადაფასების ზარალი და სხვა. საბოლოოდ, საქართველომ უნდა გააგრძელოს დაბალი გადასახადებისა და დაბალი ბიუროკრატიის პოლიტიკა, რომელიც ხელშემწყობი ფაქტორი იქნება სწრაფი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად.

საკვანძო სიტყვები: მოგების გადასახადი, რეფორმა, დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდი.

შესავალი

საქართველოში მოგების გადასადის რეფორმა განსაკუთრებით აქტუალურია ბიზნეს სექტორისათვის, რადგან რეინვესტირების შემთხვევაში ბიზნესი მოგების გადასახადიდან თავისუფლდება. ახალი საკანონმდებლო სიახლის მიზანია ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ეკონომიკური ზრდის დაჩქარება და ინვესტიციების სტიმულირება. მართალია ინვესტიციების მოზიდვისათვის მხოლოდ საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია გადამწყვეტი არაა, მაგრამ სტაბილური და ბიზნესზე ორიენტირებული საგადასახადო სისტემა მნიშვნელოვან როლს თამაშობს შიგა და გარე ინვესტიციების მოზიდვაში. მოგების გადასახადის რეფორმა გულისხმობს საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაციას, რადგან დაბეგვრისაგან განთავისუფლდა

მოგების ის ნაწილი, რომელიც რეინვესტირებულია საწარმოში. თუ მოგება განაწილდება დივიდენდების სახით, მაშინ მასზე არ იმოქმედებს აღნიშნული რეგულაცია და მოგებაც და განაწილებული დივიდენდები დაიბეგრება.

ძირითადი ტექსტი

მოგების გადასახადის სიდიდეზე მრავალი შეხედულება და მოსაზრება არსებობს. ნაწილი მიიჩნევს მოგების გადასახადის ეტაპობრივად გაუქმებას, მაშინ როცა მეორე ნაწილი მხარს უჭერს მის გაზრდას, რადგან გაიზრდება სახელმწიფო ბიუჯეტი. საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებულია, რომ მცირე ქვეყნებისათვის მოგების გადასახადის ლიბერალიზაცია ასტიმულირებს ეკონომიკური ზრდის განვითარებას, შესაძლებლობას აძლევს საწარმოებს გააფართოვონ წარმოება, დაასაქმონ მეტი ადამიანი, შექმნან მეტი დოვლათი, რაც საინვესტიციო თვალსაზრისით მიმზიდველს გახდის ქვეყანას. საქართველოში მოგების გადასახადის რეფორმამდე მოქმედებდა მოგების გადასახადის კლასიკური - ორეტაპიანი დაბეგვრის სისტემა. პირველ ეტაპზე, გადასახადი 15% გადაიხდება, როდესაც საწარმოს წარმოეშობა მოგება. დივიდენდის გაცემა დამფუძნებელ რეზიდენტ საწარმოზე არ იბეგრებოდა. მეორე ეტაპზე დაბეგვრა 5 %-ით ხდებოდა დივიდენდის საბოლოო განაწილებისას ფიზიკური პირისათვის ან არარეზიდენტისათვის. რეფორმის შედეგად, გადასახადის განაკვეთები იგივე დარჩა, პრაქტიკულად არ შეიცვალა დაბეგვრის ობიექტიც, თუმცა გადავადდა მოგების პირველ ეტაპზე დაბეგვრის დრო- ფიზიკურ პირზე ან არარეზიდენტზე დივიდენდის გაცემის მომენტამდე.

საქართველოში მოგების გადასახადის წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში 2014 წელს დაახლოებით 12%-ია, რაც 900 მილიონ ლარს შეადგენდა. 2015 წლის ბიუჯეტის შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლებს წამყვანი როლი აკისრია. საგადასახადო შემოსავლების 45% მოდის დამატებული ღირებულების გადასახადზე, 27% - საშემოსავლო გადასახადზე, რაც შეეხება მოგების გადასახადს 13%-ია, რაც თანხობ-

რივად 1,0 მლრდ ლარზე მეტს შეადგენს. ბიუჯეტის როგორც ყველა გადასახადს, მოგების გადასახადსაც გააჩნია გავლენა ბაზარზე, როგორც ფასწარმოქმნის, ასევე სამეწარმეო აქტივობის ცვლილების კუთხითაც. ამ დროს აუცილებელი პირობაა, რომ მოიძებნოს შუალედი და სახელმწიფომ გადასახადები იმ ფორმით და მოცულობით დააწესოს, რაც მაქსიმალურად სასარგებლო იქნება, როგორც სამეწარმეო აქტივობისა და ეფექტიანი ფასის განსაზღვრისათვის, ასევე ეკონომიკური ზრდისა და საბიუჯეტო შემოსავლების ეფექტურად მობილიზებისათვის.

ამრიგად, მოგების გადასახადი სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მისი წილი ბიუჯეტში სხვა გადასახადებთან შედარებით ნაკლებია, გავრცელებულია უმეტეს ქვეყნებში და მისი სწორად რეგულირება გვაძლევს უნიკალურ შესაძლებლობას სტიმული მივცეთ საწარმოებს მოახდინონ მოგების რეინვესტირება.

რადიკალური საგადასახადო რეფორმის განხორციელება ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლებისათვის ძნელია, რადგან ეს ან ამცირებს საბიუჯეტო შემოსავლებს, ან არაპოპულარულია საზოგადოებაში, ამიტომაც თავს არიდებენ. მაგრამ ამ მხრივ ესტონეთი გამონაკლისია. უმნიშვნელოვანესი - მოგების გადასახადის რეფორმა ამ ქვეყანაში თითქმის უმტკივნეულოდ განხორციელდა და გაიზარდა მოსახლეობის კეთილდღეობაც. საქართველოში თუ ახლა გაუქმდება მოგების გადასახადი, გამოიწვევს საბიუჯეტო შემოსავლების კლებას და ბიუჯეტი უნდა შემცირდეს დაახლოებით 1,0 მლრდ ლარით, რაც საკმაოდ მძიმეა როგორც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის, ასევე მოსახლეობისათვის. ამიტომაც მოგების რეფორმა სწორედ ესტონურ მოდელს ეყრდნობა. რეფორმის წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია ესტონური მოდელის არსის განხილვა და ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისათვის, თუ როგორ უნდა მოხდეს ესტონურ მოდელზე გადასვლა.

მოგების გადასახადის რეფორმა 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა და იცვლება საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის არსებული მოდელი. ახალი მოდელის მიხედვით ბიზნესი მოგების გადასახადისგან გათავისუფლდება და მხოლოდ დივიდენდი დაიბეგრება და გამოთავისუფლებული თანხის ძირითადი ნაწილი სწორედ ბიზნესის ხელშეწყობას და განვითარებას მოხმარდება. დაბეგვრის რეჟიმი შეეცვალა რეზიდენტ საწარმოს და არარეზიდენტ საწარმოს, რომელიც საქართველოში საქმიანობას ახორციელებს მუდმივი დაწესებულების მეშვეობით. ახალი რეჟიმით არ დაიბეგრებიან:

• ორგანიზაციები,

• „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული „არსებული ხელშეკრულებებიდან“ გამიმდინარე, ნავთობისა და გაზის ოპერაციების განმახორციელებელი პირები,

• ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი პირი ამ საქმიანობის ნაწილში,

• ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ლომბარდები, ახალი წესით დაიბეგრებიან 2019 წლიდან.

მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტია:

1. განაწილებული მოგება;

2. გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;

3. უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;

4. საგადასახადო კოდექსით დადგენილი ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/ გაწეული ხარჯის 0,85-ზე გაყოფით.

საინტერესოა რას გულისხმობს მოგების განაწილება?

ახალი საკანონმდებლო ცვლილებით მოგების განაწილებად განიხილება შემდეგი:

• რეზიდენტი საწარმოს მიერ დივიდენდის ფულადი და არაფულადი სახით განაწილება;

• არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების მიერ მოგების განაწილება.

მაგალითი. დავუშვათ კომპანია ეწევა სავაჭრო საქმიანობას და 2017 წლის განმავლობაში იყიდა 8 000 ლარის საქონელი, რომელიც გაყიდა 10500 ლარად ნაღდი ანგარიშსწორებით. კომპანიამ 2017 წლის დეკემბრის თვეში მიღებული მოგებიდან დამფუძნებელზე დივიდენდად გასცა 1500 ლარი.

კომპანია ვალდებულია 2018 წლის 15 იანვრის ჩათვლით დაადეკლარიროს და გადაიხადოს მოგების გადასახადი 311,42 ლარი (1500/0,95/0,85*15%).

• საწარმოს მიერ ურთიერთდამოკიდებულ პირთან (გარდა, პირისა რომელიც იბეგრება ახალი წესით) განხორციელებული ოპერაცია, თუ მათ შორის დადებული გარიგების ფასი განსხვავდება მისი საბაზრო ფასისაგან და მათი ურთიერთდამოკიდებულება გავლენას ახდენს გარიგების შედეგზე. ასეთ შემთხვევაში განაწილებული მოგების ოდენობა შეადგენს:

A. გარიგების საბაზრო ფასსა და მიღებულ/მისაღებ შემოსავალს შორის სხვაობას, თუ გარიგების საბაზრო ფასი აღემატება მიღებულ/მისაღებ შემოსავალს;

B. გარიგების შედეგად გაწეულ ხარჯსა და გარიგების საბაზრო ფასს შორის სხვაობას, თუ გარიგების შედეგად გაწეული ხარჯი აღემატება გარიგების საბაზრო ფასს.

მაგალითი. დავუშვათ კომპანიამ ნაღდი ანგარიშსწორებით იყიდა 2017 წლის აპრილის თვეში 100%-იანი დამფუძნებელი ფიზიკური პირისაგან 500 ლარის საბაზრო ღირებულების კონდიციონერი 700 ლარად.

კომპანია ვალდებულია გადაიხადოს მოგების გადასახადი 2017 წლის 15 მაისის ჩათვლით 25,29 ლარი ((700-500)/0,85*15%).

• კონტროლირებული ოპერაციის განხორციელება, თუ ამ ოპერაციის დადგენილი პირობები არ შესაბამება საბაზრო პრინციპს, ასეთ შემთხვევაში განაწილებული მოგების ოდენო-

ბა განისაზღვრება საგადასახადო წესით გამოანგარიშებული კორექტირების თანხით;

• საწარმოს მიერ საშემოსავლო გადასახადისაგან/მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ პირთან (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა) განხორციელებული ოპერაცია, თუ მათ შორის დადებული გარიგების ფასი განსხვავდება მისი საბაზრო ფასისაგან.

საგადასახადოო კოდექსით საშემოსავლო/მოგების გადასახადისაგან განთავისუფლებულ პირად ჩაითვლება პირი:

ა) რომელიც შექმნილია ან რომელსაც მინიჭებული აქვს შესაბამისი სტატუსი საშემოსავლო/მოგების გადასახადისაგან განთავისუფლების მიზნით (მაგალითად: თიზ-ის საწარმო, საერთაშორისო ფინანსური კომპანია, სპეციალური სავაჭრო კომპანია, ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტი, მაღალმთიანი დასახელების საწარმო, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი);

ბ) რომელიც ახორციელებს საშემოსავლო/მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ სანებართვო საქმიანობას (მაგალითად აზარტული კლუბის, სათამაშო აპარატის სალონის, ტოტალიზატორის მომწყობი პირი (გარდა სისტემური-ელექტრონული ფორმით თამაშობის მომწყობი პირისა)).

ახალი საკანონმდებლო ცვლილებით მოგების განაწილებად არ განიხილება შემდეგი:

• საწარმოს ლიკვიდაციისას ან აქციის/წილის გამოსყიდვისას ფულადი ან ნატურალური ფორმით განხორციელებული გადახდა/განაცემი, რომელიც კაპიტალში (საწესდებოსა და საემისიოში) პარტნიორის მიერ განხორციელებული შენატანის ოდენობას არ აღემატება;

• საწარმოს პარტნიორზე განხორციელებული გადახდა ამავე საწარმოს აქციის/წილის საკუთრებაში გადაცემით;

• შპს-ზე, სს-ზე, კს-ზე, სპს-ზე და კოოპერატივზე (გარდა ინდივიდუალური საწარმოსი და ამ კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან განთავისუფლებული პირისა) დივიდენდის განაწილება; აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ კომერციულ

ბანკზე, საკრედიტო კავშირზე, სადაზღვევო ორგანიზაციაზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციაზე და ლომბარდზე დივიდენდის განაწილება ითვლება მოგების განაწილებად.

მაგალითი. დავუშვათ საწარმომ 2017 წელს მიღებული წმინდა მოგებიდან 70 ათასი ლარიდან მოახდინა 30 ათასი ლარის პარტნიორზე, რომელიც ფიზიკური პირია, გადახდა საწარმოს წილის საკუთრებაში გადაცემით, რითაც გაზარდა ამ პარტნიორის წილის ღირებულება, რომელიც პარტნიორის შენატანის ხარჯზე იყო 10 ათასი ლარი და გახდა 40 ათასი ლარი. 2018 წლის სექტემბერში ამ პარტნიორზე გასცა 50 ათასი ლარი - 30 ათას ლარი წმინდა მოგების ხარჯზე, ხოლო 20 ათასი ლარით შეამცირა კაპიტალი.

საწარმოს მიერ პარტნიორზე წმინდა მოგებიდან გადახდა წილის ღირებულების გაზრდის მიზნით არ წარმოადგენს დივიდენდის განაწილებას და შესაბამისად 2017 წელს ასეთი გადახდა 30 ათასი ლარი არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. განაწილებულ მოგებად არ ითვლება პარტნიორის მიერ შენატანის ოდენობის ფარგლებში განხორციელებული გატანა, შესაბამისად 2018 წლის სექტემბერში საანგარიშგებო პერიოდის მიხედვით მოგების გადასახადით დაბეგვრას დაექვემდებარება 10 ათასი ლარი (20000-10000), ვინაიდან 10 ათასი ლარი წარმოადგენს პარტნიორის მიერ განხორციელებულ შენატანს. ასევე მას დაემატება წმინდა მოგების ხარჯზე გაცემული 30 ათასი ლარი. დაბეგვრის ობიექტი სექტემბრის თვეში იქნება 40000 ლარი (10000+30000).

• საწარმოს მიერ კაპიტალის შემცირებით სახელმწიფოსათვის ან/და მუნიციპალიტეტისათვის აქტივების გადაცემა, თუ ამ საწარმოს აქციების/წილის 50 %-ზე მეტი სახელმწიფოს ან/მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია;

• საწარმოს მიერ უცხოური საწარმოსაგან (გარდა შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისა) მიღებული დივიდენდის განაწილება; ამ ჩანაწერით გათვალისწინებული თანხის იდენტიფიცირებისათვის ითვლება, რომ საწარმოს მიერ დივიდენდის განაწილებისას პირველ რიგში ეს

თანხა გაიცემა.

მაგალითი, დავუშვათ შპს დაფუძნდა 2017 წელს ფიზიკური პირის მიერ, რომელსაც თურქეთში დაფუძნებული აქვს შვილობილი კომპანია. 2017 წლის განმავლობასი შპს - ს მიღებული აქვს გაუნაწილებელი მოგება 5000 ლარი: თურქული კოპანიისაგან დივიდენდის სახით 3000 ლარი და საქართველოსი საქმიანობიდან 2000 ლარი. შპს 2018 წლის განმავლობაში გაანაწილა მიღებული მოგება: მაისის თვეში - 3000 ლარი, ივლისის თვეში - 500 ლარი და სექტემბრის თვეში - 1500 ლარი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის მიზნებისათვის შპს დივიდენდის განაწილებად არ ეთვლება თურქეთის საწარმოსაგან მიღებული დივიდენდის განაწილება 3000 ლარი, შესაბამისად მაისის თვეში არ წარმოეშვება გადასახადის გადახდის ვალდებულება, ვინაიდან ჩაითვლება, რომ აღნიშნული თანხა 3000 ლარი განაწილებულია უცხოური საწარმოდან მიღებული დივიდენდის ხარჯზე. შპს გადასახადის გდახდის ვადებულება წარმოეშვება ივლისის თვის საანგარიშგებო პერიოდზე 500 ლარიდან და სექტემბრის საანგარიშგებო პერიოდზე 1500 ლარიდან.

განაწილებული მოგების გადასახადის გამოთვლა არ მოითხოვს ცალკეული შემოსავლებისა და ხარჯების დეტალურ ანალიზს და აქცენტი გადატანილია ფულადი განაცემების კონტროლზე, მასზე დაფუძნებული მოდელი მნიშვნელოვნად გაამარტივებს გადასახადების ადმინისტრირებას. მართალია, საჭიროა კონტროლი, რომ არ მოხდეს მოგების ხარჯებად შენიღბვა, მაგრამ, მოგების გადასახადის კლასიკური მოდელისგან განსხვავებით, საერთოდ არ არსებობს ისეთი ხარჯების კონტროლის საჭიროება, რომლებიც კომპანიიდან ფულის გადინებას არ უკავშირდება. ასეთ ხარჯებს მიეკუთვნება: ცვეთა და ამორტიზაცია, დარიცხული პროცენტები, გადაფასების ზარალი და სხვა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ განაწილებული გადასახადის მოდელში კომპანიის საგადასახადო მოგება ფინანსური მოგების ტოლია ქართული მოდელისგან განსხვავებით. ეს ნიშნავს,

რომ საგადასახადო შემოწმება შეიძლება თითქმის სრულად დაეფუძნოს კომპანიის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რაც ამცირებს საგადასახადო შემოწმებისთვის საჭირო დროსა და ხარჯებს.

დასკვნა

ამრიგად, მოგების რეფორმა მოგების გადასახადის აბსოლუტურ გაუქმებას არ გულისხმობს, არამედ მხოლოდ რეინვესტირებული მოგების დაბეგვრისგან გათავისუფლებას. ეს კი, თავის მხრივ, გაართულებს საგადასახადო ადმინისტრირებას, ვინაიდან სადავო საკითხები მრავლად დაემატება რეინვესტირების განსაზღვრის წესებში. შედეგად, ეს ცვლილებები გარკვეულ შესწავლასა და დახვეწას მოითხოვს. საბოლოოდ, საქართველომ უნდა გააგრძელოს დაბალი გადასახადებისა და დაბალი ბიუროკრატიის პოლიტიკა, რომელიც ხელშემწყობი ფაქტორი იქნება სწრაფი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად.

ლიტერატურა:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი ცვლილებებით და დამატებებით 2016 წლის 15 ნოემბრამდე, გამომცემლობა „ბონა კაუზა“ , თბილისი 2016;

2. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება # 7 „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკენბრის # 966 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, თბილისი 2017წლის 13 იანვარი;

3. ინტერნეტიდან მოძიებული მასალების საიტები: http://www.rs.ge; https://matsne.gov.ge; http://www.nplg.gov.ge; http://www.investinestonia.com; http://forbes.ge; http://www.bbi.ge; http://www.doingbusiness.org; http://rs.ge

References:

1. The Tax Code of Georgia with changes and amendments (November 15, 2016), the publishing house „Bona Causa“, Tbilisi 2016;

2. Decree #7 „About Tax Administration“ issued by the Minister of Finance concerning the amendments to be made in decree #966 issued by the Minister of Finance in December 31, 2010, Tbilisi, January 13, 2017;

3. Internet resources: http://www.rs.ge; https://matsne.gov.ge; http://www.nplg.gov.ge; http://www.investinestonia.com; http://forbes.ge;http://www.bbi.ge; http://www.doingbusiness.org; http://rs.ge;

ABOUT THE KEY ASPECTS OF THE PROFIT TAX REFORM

Dezdemona Maglakelidze,
Associate Professor, Akaki Tsereteli State University
Natela Vashakidze
Associate Professor, Akaki Tsereteli State University

RESUME

The paper deals with the most important aim of the profit tax reform _ investment stimulation and some aspects of the reform as well. The amendments have already been made to the Tax Code of Georgia. In Georgia the reform of profit tax is particularly relevant for the business sector, as in the case of re-investment business is exempted from the profit tax. The aim of the new legislation initiative is to create favorable conditions for starting-up and developing business, to accelerate economic growth and to stimulate investment. Before the profit tax reform in Georgia, a classic model of the two-tier tax system was effective. In the first stage, 15% tax was paid when profit was generated in the enterprise. The payment of dividend to a founder resident enterprise

was not taxed. In the second stage, a 5% tax was paid when a dividend was finally distributed to an individual or non-resident. As a result of the reform, tax rates remained the same, the object of the taxation has not practically been changed. However, the time-point of profit tax to be paid in the first stage has been postphoned until paying a dividend to an individual or non-resident.

Calculation of a distributed profit tax does not require a detailed analysis of separate revenues and expenses and focus is drawn on control of cash disbursements. The presented model will greatly simplify tax administration. It is necessary to control the cases when there is an attempt to disguise the profit as the expenses. However, unlike the classical model of profit tax, there is no such need for cost control which is not related to the outflow of money from the company. Such costs include: depreciation and amortization, accrued interests, revaluation losses and etc. Finally, Georgia needs to continue the policy of lower taxes and less bureaucracy which will serve as contributing factor to the rapid economic growth.

Key words: income tax, reform, the object of taxation, dividend.

ეკონომიკური მდგომარეობის შუქ-ჩრდილები საქართველოში

ინგა გიგაური
ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური
დოქტორი, სტუ უფროსი მასწავლებელი

იულია თედეევი
სტუ, ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი

ნიკა ზურიკაშვილი
სტუ, დოქტორანტი

რეზიუმე

თანამედროვე საქართველოს ეკონომიკის მოდელი სამწუხაროდ დაფუძნებულია არა იმდენად წარმოების ზრდაზე, რამდენადაც მოხმარების სტიმულებზე.ამ ფაქტს ისიც ადასტურებს,რომ კერძო და სახელმწიფო მოხმარების ჯამური მოცულობა მთლიანი შიგა პროდუქტის 90%-ს შეადგენს. იმპორტზე ჩამოკიდებულ ქვეყანას არა აქვს შემონადინების მყარი სტაბილური წყარო. ლარი მანამდე გააგრძელებს აღმა-დაღმასვლას, ვიდრე სწორი მონეტარული და მაკროეკონომიკური პოლიტიკა არ გატარდება. მაკროეკონომიკური მაჩვენებლების უმეტესობა გაუარესდა ბოლო 3 წელიწადში. ბიუჯეტიდან ხარჯვას პერიოდულად უარყოფითი გავლენა ჰქონდა ლარის კურსზე და ფასების დონეზე. არ არის მყარი კავშირი ეკონომიკასა და ფულად სექტორებს შორის.კავშირის პრინციპი შემდეგია: ეროვნული პროდუქცია ამყარებს ეროვნულ ვალუტას, ეროვნული ვალუტა ამყარებს ეროვნულ ეკონომიკას.რა შეიძლება ასეთ ვითარებას დაუპირისპიროთ? ეკონომიკის სწორად მართვისათვის კი საჭიროა მოქნილი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა.გვაქვს კი ასეთი პოლიტიკა, რა თქმა უნდა არა.ლარის სწრაფი გაუფასურება დიდი რისკის შემცველია ფინანსური სტაბილურობისთვის,რაც ჩვენ ქვეყანას მძიმე ტვირთად დააწვება.

საკვანძო სიტყვები: ვალუტის კურსი,მონეტარული,ფისკალური პოლიტიკა, სტაბილიზაცია,ეკონომიკური ექსპანსია,საფინანსო-საბანკო სისტემა.

შესავალი

საქართველოში ვალუტის თავისუფალი ცურვის რეჟიმი მოქმედებს, შესაბამისად, ლარის გაცვლითი კურსის ფიქსირება ან კურსის ცვლილების მართვა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მიზანს არ წარმოადგენს. თუმცა, კურსის სტაბილურობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის მაკროეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობა. გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს ეკონომიკაში დოლარიზაციის დონე მაღალია (მოხმარებული საქონლის და მომსახურების 70%-მდე იმპორტზე მოდის, ქვეყნის შიგნით გაცემული სესხების 65% დოლარშია, სახელმწიფო ვალის 75% უცხოურ ვალუტაშია), ლარის სწრაფი გაუფასურება დიდი რისკის შემცველია ფინანსური სტაბილურობისთვის. ლარის კურსის სტაბილურობას მნიშვნელოვანი გავლენა ექნება ქვეყნის გრძელვადიან ეკონომიკურ განვითარებაზე. ლარის კურსმა მნიშვნელოვანი გაუფასურება გასული წლის ბოლოს დაიწყო. ამის მიზეზი სწორედ ექსპორტის შემცირება და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ზრდა იყო. ბოლო ერთ წელში საქართველოს საქონლის ექსპორტი 700 მილიონი დოლარით, ხოლო საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილები 300 მილიონი დოლარით შემცირდა. აღნიშნული მილიარდ დოლარიანი დანაკლისი არ შეივსო დოლარის შემოდინების სხვა წყაროებიდან (ტურიზმი, ინვესტიციები, სესხები) და ლარი 37%-ით გაუფასურდა (იხ. გრაფიკი. 1).

2013 წელს საქონლის და მომსახურების ექსპორტი მშპ-ის 45% იყო, 2014 წელს კი 43%-მდე შემცირდა. მიმდინარე წლის პირველ 8 თვეში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საქონლის ექსპორტმა 24%-ით იკლო. აქედან გამომდინარე, 2015 წელს ექსპორტი მშპ-ს მიმართ შემცირდა.**[1]**

საქართველოს სახელმწიფო ვალის 75% უცხოურ ვალუტაშია. შესაბამისად, ლარის გაუფასურება მყისიერად ზრდის



ვალის ტვირთს, რომელიც მშპ-სთან ვალის შეფარდებით გამოიხატება. ბოლო ერთ წელში სახელმწიფო საგარეო ვალი დოლარში 72 მილიონი დოლარით გაიზარდა. თუმცა, ლარის გაუფასურების გამო ლარში გამოხატული საგარეო ვალი 2.7 მილიარდი ლარით გაიზარდა. ამას ემატება ბოლო ერთ წელიწადში საშინაო ვალის 376 მილიონი ლარით ზრდა და ჯამში სახელმწიფო ვალმა მშპ-ის 42%-ს მიაღწია.

ძირითადი ნაწილი

ეკონომიკური სისტემის მშენებლობის პროცესში საქართველო ურთულესი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, რაც გულისხმობს სტაბილიზაციის, ინფლაციის დაძლევას, საფინანსო-საბანკო სისტემის გამყარებას და ეროვნული ვალუტის დამკვიდრებას. აღნიშნული რეალიებიდან გამომდინარე ჩვენ მივიღეთ პოლიტიკურად ფორმალური,ფიქტიური დამოუკიდებლობა და მასთან ერთად ეკონომიკური ექსპანსია **[2]**. ეკონომიკური ექსპანსია ქვეყნების დაპყრობისა და დამონების ახალი, ბევრად საშიში, ცბიერი ფორმაა, ვიდრე იარაღის ძალით ქვეყნის დაპყრობა. ეკონომიკურად ქვეყნის დაპყრობა ხდება ფინანსური ინსტიტუტე-

ბის გამოყენებით.სისტემა უაღრესად დახვეწილი და სასტიკია. პრინციპი მარტივი: მაქსიმალურად დაკარგოს ქვეყანამ ეკონომიკური,ბუნებრივი და სხვა რესურსები ,,დამყრობთა" სასარგებლოდ.ლარის კურსზე მოქმედი ძირითადი ფაქტორებია უცხოური ვალუტის შემოდინება/გადინება, ქვეყანაში არსებული ლარის მოცულობის ცვლილება და საქართველოს მონეტარული (ფულად-საკრედიტო პოლიტიკა) და ფისკალურ პოლიტიკა (საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა). ბოლო 10 თვეში ლარის მნიშვნელოვანი მოლოდინი კურსის ცვლილების მიმართ. აღნიშნულ ფაქტორებზე გავლენა აქვს საგარეო ფაქტორებს (ჩვენი ეკონომიკური პარტნიორი ქვეყნების შიდა ეკონომიკური სიტუაცია), მაგრამ გაუფასურების ძირითადი მიზეზი საქართველოში შემომავალი უცხოური ვალუტის ნაკადების შემცირება იყო. ექსპორტის და ფულადი გზავნილების 1 მილიარდი დოლარით შემცირება უცხოური ვალუტის შემოდინების სხვა წყაროებიდან არ გადაიფარა და ლარის კურსი გაუფასურდა. ექსპორტის და ფულადი გზავნილების შემცირება ისევ გრძელდება. აგვისტოში ექსპორტი 23.4%-ით (58 მილიონი დოლარით), ხოლო ფულადი გზავნილები 35%-ით (46 მილიონი დოლარით) შემცირდა. 8.6%-ით (59 მილიონი დოლარით) შემცირდა იმპორტი და გადაფარა ექსპორტის შემცირებით გაცვლით კურსზე მიყენებული ზიანი.**[1]**

ექსპორტ-იმპორტი და ფულადი გზავნილები საზღვარგარეთიდან არ გვიჩვენებს საქართველოში შემომავალი და გამავალი სავალუტო ნაკადების სრულ სურათს. ბოლო თვეების (ივლისი-სექტემბერი) სრული სურათის სანახავად, საჭიროა, გვქონდეს ინფორმაცია ტურიზმიდან და მომსახურების სხვა სახეობებიდან შემოსავალზე, ფაქტორულ შემოსავალზე, ინვესტიციებზე და სასესხო კაპიტალზე. ეს ინფორმაცია კი ასახული იქნება მე-3 კვარტლის საგადასახდელო ბალანსში, რომელიც მიმდინარე წლის დეკემბრის ბოლოს გამოქვეყნდება. დღეისათვის ცნობილია 2015 წლის პირველი ორი კვარტლის საგადასახდელო ბალანსის მონაცემები, რომლის მიხედვით იანვარ-ივნისში საქართველოში 165 მლნ დოლარით ნაკლები

უცხოური ვალუტა შემოვიდა, ვიდრე ქვეყნიდან გავიდა. საგარეო ფაქტორებიდან საქართველოზე ყველაზე მეტად გავლენა იქონია რუსეთისა და უკრაინის ეკონომიკის შემცირებამ, საბერძნეთის კრიზისმა და ჩვენი მეზობელი ქვეყნების ვალუტების გაუფასურებამ. საგარეო შოკი უკვე აისახა ლარის კურსში, მაგრამ თუ აღნიშნულ ქვეყნებში ეკონომიკური პრობლემები გაღრმავდება, ეს ლარის კურსზე კვლავ იმოქმედებს. მაგალითად, საბერძნეთს კრიზისის გამო, მიმდინარე წელს ფულადი გზავნილები საბერძნეთიდან უკვე შემცირდა 50 მილიონი დოლარით და წლის ბოლომდე დანაკლისი 100 მილიონ დოლარამდე იქნება.

შემომავალი უცხოური ვალუტის ნაკადების კლება საბოლოოდ აისახება საქართველოში არსებული დოლარის მოცულობის შემცირებაზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თებერვლის შემდეგ ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკა საკმაოდ გაამკაცრა, რეფინანსირების სესხის განაკვეთი 3% პუნქტით გაიზარდა და დღეს 7%-ია. სხვა თანაბარ პირობებში, საშუალო ვადიან პერიოდში მონეტარული პოლიტიკის ასეთ გამკაცრებას მიმოქცევაში არსებული ლარის მასის შემცირება მოჰყვება. ამასთან, მიმდინარე წელს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონზე გაყიდა 307 მილიონი დოლარი და ნაწილობრივ შეავსო დოლარის დანაკლისი. ლარის კურსზე უარყოფითი გავლენა ჰქონდა ფისკალურ პოლიტიკასაც, ბიუჯეტის ხარჯებს. ეს ჯერ კიდევ 2013 და 2014 წლების ბოლო თვეებში გამოიხატა, როდესაც წლის ბოლო კვარტალში ბიუჯეტის დეფიციტი მაღალი იყო. ბიუჯეტის დეფიციტური ხარჯვის დროს ბიუჯეტი იმაზე მეტ ფულს უშვებს მიმოქცევაში ვიდრე ეკონომიკიდან შემოსავალი აქვს. ბიუჯეტის ხარჯების ლარის კურსზე უარყოფითი გავლენა 2015 წელსაც გაგრძელდა. თებერვალში, აპრილში, ივნისში და აგვისტოში ბიუჯეტის დეფიციტი იმდენად მაღალი იყო, რომ მის დასაფინანსებლად ბანკებში არსებული საბიუჯეტო ნაშთის გამოყენება გახდა საჭირო. ეს კი პირდაპირ ზრდის მიმოქცევაში არსებულ ლარის მოცულობას, რაც წინააღმდეგობაში მოდის გამკაცრებული მონეტარული

პოლიტიკის მიზანთან. პირველი- ყველაზე მნიშვნელოვანი: ქვეყნიდან გადის კაპიტალი,ანუ გარბის და კომერციულ ბანკებს არ გააჩნიათ საკმარისი სავალუტო სახსრები ამ გაქცეული კაპიტალის მომსახურებისათვის, ანუ გადასარიცხათ.



შესაბამისად, იქმნება დოლარის დეფიციტი, რომელიც ზრდის მის ფასს და ამიტომაც არის, რომ ეროვნული ბანკი სავალუტო ინტერვენციით ნაწილობრივ უვსებს ამ დეფიციტს კომერციულ ბანკებს.მეორე-ქვეყნიდან გაქცეული კაპიტალი პრაქტიკულად არ მუშაობს ეკონომიკის რეალური სექტორისათვის და ადვილად გადაადგილდება ქვეყნიდან. შესაბამისად, ეროვნული ბანკი ამ ფაქტორს უნდა ითვალისწინებდეს სავალუტო კურსის დადგენისას და სამწუხაროდ განსხვავებული მეთოდოლოგიით მოქმედებს, რაც იწვევს ლარის კურსის მკვეთრ რყევას. ამას მოჰყვება თითქმის ყველა სასურსათო პროდუქციაზე ფასების მკვეთრი გაძვირება,რომლის პირველი ნიშნები უკვე გამოიკვეთა. მაგ: შაქარსა და საწვავზე 10-15% ფასები გაზრდილია. ჩვენი ეკონომიკა, პრაქტიკულად მთლიანად არის დამოკიდებული იმპორტზე.აქ ნაწარმოები პროდუქციის 70%-იც კი იმპორტირებული საქონლის საფუძველზე კეთდება. ამიტომ ჩვენნაირ ქვეყანაში ლარის ადგილობრივი ვალუტის კურსს გადამწყვეტი,სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს,მისი სტაბილურობა აუცილებელია ეკონომიკის ნორმა-

ლური ფუნქციონირებისათვის. ეროვნული ბანკი ორგანული კანონით ბანკის შესახებ ვალდებულია ქვეყანაში შეინარჩუნოს ფასების სტაბილურობა.ამ მთავარი ამოცანის შესასრულებლად მას პრაქტიკულად ერთი ბერკეტი უკავია და ეს არის სავალუტო კურსი.სამწუხაროდ რეალობა საკმაოდ რთულია. ინფლაციის მაჩვენებელი 7%-ია; ეროვნული ვალუტის კურსი დოლართან მიმართებაში მაღალია.ეროვნული პროდუქცია ამყარებს ეროვნულ ვალუტას.რა შეიძლება ასეთ ვითარებას დაუპირისპიროთ? ეკონომიკის სწორად მართვისათვის კი საჭიროა მოქნილი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა.გვაქვს კი ასეთი პოლიტიკა.რა თქმა უნდა არა. უცხოური ფინანსური ინსტიტუტების მოთხოვნით ქვეყანაში ტარდება მკაცრი მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა.ეს კი ნიშნავს მაღალ გადასახადებს და მინიმალურ ფულის მასას. ეს არის სწორედ ეკონომიკის განადგურების ფორმულა.საქართველოში ვალუტის თავისუფალი ცურვის რეჟიმი მოქმედებს, შესაბამისად, ლარის გაცვლითი კურსის ფიქსირება ან კურსის ცვლილების მართვა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მიზანს არ წარმოადგენს. თუმცა, კურსის სტაბილურობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის მაკროეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობა. გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს ეკონომიკაში დოლარიზაციის დონე მაღალია (მოხმარებული საქონლის და მომსახურების 70%-მდე იმპორტზე მოდის, ქვეყნის შიგნით გაცემული სესხების 65% დოლარშია, სახელმწიფო ვალის 75% უცხოურ ვალუტაშია), ლარის სწრაფი გაუფასურება დიდი რისკის შემცველია ფინანსური სტაბილურობისთვის.თუ ფულის მასა არ შეესაბამება ეკონომიკის არსებულ დონეს, მისი პოტენციური განვითარების შესაძლებლობას, ეკონომიკა სტაბილურად არ ვითარდება და იწყება ეკონომიკის ვარდნა(დაცემა). რაც იწვევს ფულის ინფლაციას. ეს იგივეა რაც ბრუნვაში ფულის მასის შემცირება, ვინაიდან ფულის იგივე მასა მომსახურებას უწევს უფრო ნაკლებ, შემცირებულ პროდუქტს. ეს თავის მხრივ იწვევს ეკონომიკის კიდევ უფრო მეტ ვარდნას და ა.შ. ასე ხდება,როცა არ არის მყარი კავშირი ეკონომიკასა და

ფულად სექტორებს შორის. უცხოური ფინანსური ინსტიტუტების მოთხოვნით ქვეყანაში ტარდება მკაცრი მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა. ეს კი ნიშნავს მაღალ გადასახადებს და მინიმალურ ფულის მასას. ეს არის სწორედ ეკონომიკის განადგურების ფორმულა.ბოლო პერიოდის ლარის გაუფასურება ძირითადად ეროვნული ბანკის მიერ მიმოქცევაში ლარის ზედმეტი, დაუსაბუთებელი მასის გაშვებით არის გამოწვეული. ბოლო ოთხ თვეში ე.წ რეფინანსირების სესხების სახით ეროვნულმა ბანკმა მილიარდ ლარზე მეტი ზედმეტი ფულის მასა გაუშვა მიმოქცევაში გაზაფხულზე. როდესაც ეროვნულ ბანკში ახალი ხელმძღვანელი დაინიშნა, რეფინანსირების სესხები 250 მილიონ ლარამდე შემცირდა, რის გამოც იმ პერიოდში ლარი დასტაბილურდა, თუმცა, ივნისის შემდეგ ბანკი ისევ დაუბრუნდა ე.წ რეფინანსირების სესხების მანკიერ პრაქტიკას. ეროვნულ ბანკს, პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებია დოლარიზაციის დონის შესამცირებლად, რამაც ბუნებრივია,ლარის კურსის დაცემა გამოიწვია.როგორ ხდება ფულის შეტანა ბრუნვაში ანუ ფულის მასის გაზრდა?

არსებობს ბრუნვაში ფულის მასის გაზრდის რამდენიმე საშუალება:

1.სახელმწიფოს მიერ ფულის გაყიდვა ანუ კრედიტით გაცემა,

2. სახელმწიფოს მიერ ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება.

3. სახ-ოს მიერ ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის შესყიდვა.

სახელმწიფოს მიერ ფულის გაყიდვის დროს მნიშვნელოვანია საპროცენტო განაკვეთი.როცა სახელმწიფოს მიერ გასაყიდი ფულის საპროცენტო განაკვეთი იზრდება ანუ ფული ძვირდება,ბაზარზე ფულზე მოთხოვნილება მცირდება,ასეთ დროს ადგილი აქვს ძვირი ფულის პოლიტიკას.ამ შემთხვევაში ინფლაცია მოთოკილია,მაგრამ ეკონომიკური ზრდა ფერხდება,ვინაიდან საკრედიტო რესურსების სიძვირის გამო არაეფექტური ხდება კრედიტის აღება და და ეკონომიკური საქმიანობის დაწყება ან გაფართოება.როცა სახელმწიფოს მიერ გასაყიდი ფულის საპროცენტო განაკვეთი მცირდება,ანუ

ფული იაფდება ბაზარზე,ფულზე მოთხოვნილება იზრდება,ასეთ დროს ადგილი აქვს იაფი ფულის პოლიტიკას. ამ შემთხვევაში მოსალოდნელია ინფლაცია,მაგრამ სწორი ეკონომიკური აქტივობის გაზრდა და ინფლაციის მოთოკვა. ასეთ პირობებში ეკონომიკა ვითარდება,ვინაიდან საკრედიტო რესურსების სიიაფის გამო ეფექტური ხდება კრედიტის აღება და ეკონომიკური საქმიანობის გაფართოება.სახელმწიფოს მიერ გაცემული კრედიტის საპროცენტო განაკვეთი 8-15% იყო.(სებ-ის 2008-2009 წლისმონაცემებით) ასეთ დროს კომერციული ბანკები კრედიტებს 18-45% სარგებლით გასცემენ. თუ ქვეყანაში გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგად,ფულის გაყიდვით მიღებული მოგება უფრო მეტია,ვიდრე ამ ფულით რეალური პროდუქციის შექმნით და რეალიზაციით მიღებული მოგება,ეკონომიკის რეალური სექტორის მუშაობა და ეკონომიკის განვითარება შეუძლებელია. როდესაც ფულის გაყიდვით მიღებული მოგება უფრო მეტია, ვიდრე ამ ფულით რეალური პროდუქციის შექმნით და რეალიზაციით მიღებული მოგება, სახელმწიფოს ნებისმიერი მცდელობა აამუშაოს ეკონომიკის რეალური სექტორი(მრეწველობა,სოფლის მეურნეობა) მისი დარგები და სფეროები შედეგს არ მოიტანს. პრაქტიკულად ფული ყველგან იდება და არც თუ ცოტა, გარდა ეკონომიკის კვლავწარმოების სექტორებისა(სოფლის მეურნეობა, მრეწველობა).ეს კი იმას ნიშნავს,რომ ვიღებთ იმ ვალებს, რომელთა გასტუმრებაც წინასწარ ცნობილია რომ ვერ მოხდება. გაუსტუმრებელი ვალების მომსახურებას ახალი ვალებით ვახდენთ. ფულის ნაკადებთან მიმართებაში საყურადღებოა განვიხილოთ კიდევ ერთი საკითხი,რა უკეთესია კრედიტების მოზიდვა თუ ინვესტიციების მოზიდვა? ერთი შეხედვით თითქოს ინვესტიცია უკეთესია,მაგრამ თუ გავაანალიზებთ,საკითხი ასე მარტივი არაა.ინვესტიციის მოზიდვის დროს,ინვესტორს ქვეყნიდან ყოველწლიურად მოგების სახით 20-25% გააქვს,ჩვენნაირი მაღალი რისკის ქვეყნებიდან კი 35-40 და მეტი პროცენტი გადის.ესე იგი საშუალოდ 1000 000 000 დოლარი ჩადებული ინვესტიციიდან ყოველწლიურად ქვეყნიდან გადის 250 000

000 დოლარის სავალუტო რესურსი.სულ სხვა ვითარება გვაქვს კრედიტების შემთხვევაში. ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა სახის კრიზისები კრედიტის დაბრუნებაზე პირდაპირ არ მოქმედებს.უცხოური კრედიტების წლიური პროცენტი კი როგორც წესი 3-5%-ს არ აღემატება.მარტივი მათემატიკით შეგვიძლია დავადგინოთ რომ ქვეყნიდან გასატანი პროცენტის და ძირის ოდენობა ჯამში ნაკლებია ვიდრე ანალოგიური თანხის ინვესტირების შემთხვევაში გასატანი მოგების ოდენობაა. მაგ: 1000 000 000 დოლარის 10 წლის ვადით კრედიტის აღების დროს 5%-იანი წლიური განაკვეთის შემთხვევაში,პირველ წელს ქვეყნიდან გასატანი თანხის მოცულობა იქნებოდა 150 000 000 დოლარი.შევადაროთ ერთმანეთს,ერთიდაიგივე თანხის შემთხვევაში ინვესტირებისას ქვეყნიდან გადის 250მლნ. დოლარი,კრედიტის შემთხვევაში 150 მლნ.დოლარი ცალსახად ნათელია,რომ ინვესტიციების მოზიდვას კრედიტების მოზიდვა ჯობია. **[3].** ეროვნული ბანკის პოლიტიკა კი მაშინაა წარმატებული,როცა საკრედიტო რესურსები,ფული ხელმისაწვდომია ყველასათვის,ანუ ფული იაფია და ინფლაცია ,,მოთოკილი''.ანუ ბანკი ატარებს იაფი ფულის პოლიტიკას.რაც შეეხება ლარის კურსს,ლარის კურსის შენარჩუნება ძირითადად ხდება უცხოეთში გადახვეწილი ჩვენი თანამემამულეების მონური შრომის შედეგად მიღებული შემოსავლების საქართველოში გადმოგზავნით. უფრო მეტიც ეროვნული ბანკი უცხოური ვალუტის სპეკულაციური ფასებით ყიდვა-გაყიდვის შედეგად დიდ მოგებას ღებულობს და ამ თანხებით საკუთარ შემოსავლებს და კეთილდღეობას უზრუნველყოფს.წარმოების შედარებით ჩამორჩენილობის პირობებში მოხმარების ზრდას საზღვარგარეთიდან შემოდინებული ფულადი სახსრები უზრუნველყოფს: ,,ვარდების რევოლუციის'' პირველ წლებში ეს, უპირატესად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისა და მათი ნათესავების ფულადი გზავნილების ხარჯზე ხორციელდებოდა.ფულადი გზავნილების ოდენობა ყოველწლიურად 1მლრდ აშშ დოლარს აჭარბებს.

ეს ფული ძირითადად პირველადი მოთხოვნილებების დასაკ-

მაყოფილებლად გამოიყენება. დანაზოგების დაბალი მაჩვენებლებიდან გამომდინარე, კომერციული ბანკების საკრედიტო რესურსების ზრდისა და შევსების ძირითად წყაროს ევროპულ საფინანსო ბაზრებზე აღებული სესხები წარმოადგენდა, რითაც თავის მხრივ ძირითადად საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენა და სამშენებლო ბიზნესის დაკრედიტება ხდებოდა. მაგრამ, რადგან საქართველო საყოფაცხოვრებო ტექნიკას არ აწარმოებს, გამოდიოდა,რომ ჩვენი კომერციული ბანკების სამომხმარებლო კრედიტები ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებას ამ ტექნიკის მწარმოებელ ქვეყნებში უწყობდა ხელს.**[4]** ეკონომიკის რეალური სექტორის არასაკმარისად განვითარების გამო უმუშევრობის დონე საკმაოდ მაღალია.ის 13-15%-ის ფარგლებში მერყეობს.სიღარიბის ზღვარს მიღმა 40% ცხოვრობს, ხოლო თვითდასაქმებული მოსახლეობის 64 %-ის შემოსავალი საარსებო მინიმუმს არ აღემატება.

დასკვნა

პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ შეიცვალოს ლარის კურსის ჩამოყალიბების, დადგენის მეთოდოლოგია. იქიდან გამოირიცხოს სპეკულაციური კაპიტალის ფაქტორი, ეროვნულმა ბანკმა უნდა გაატაროს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა,რაც გულისხმობს მათ შორის ვალუტის გასვლის კონტროლს.ვალუტის კონტროლი გულისხმობს ლარის კურსის რეჟიმს.ლარის კურსის მცურავი რეჟიმი გამოსადეგია განვითარებული ქვეყნისათვის.ჩვენისთანა ფინანსური ბაზრის განუვითარებლობის პირობებში მცოცავი კურსი არის ქვეყნის ეკონომიკის დამანგრეველი.აუცილებლად უნდა განვითარდეს საფინანსო ბაზრები და ქვეყანაში აუცილებლად უნდა გაჩნდეს სავალუტო ბირჟა.ნაწილი თანხისა,რომელიც ქვეყნიდან გარბის,სავალუტო ბირჟაზე მოახდენს უკვე კონვერტირებას.ინფლაციური პროცესების შეჩერება,წარმოების განვითარების სტიმულირება ძირითადად შესაძლებელია მოქნილი საპროცენტო პოლიტიკით, ბანკთაშორისი დაკრედიტების განვითარებით,უპერსპექტივო საბიუჯეტო დაფინანსების

შეწყვეტით.ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სრულყოფისათვის აუცილებელია განხორციელდეს საკრედიტო რეგულირება,რადგანაც მას შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს ისეთ ეკონომიკურ პარამეტრებზე,როგორიცაა კაპიტალდაბანდებათა მოცულობა,მყიდველობითუნარიანობის მასშტაბები,ვალუტის კურსის დონე.კომერციული და მთლიანად ეროვნული მეურნეობისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მიმართულება უნდა გახდეს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ორიენტაციის ისეთი შეცვლა,როცა შესამჩნევი უპირატესობა მიენიჭება არა მხოლოდ მოკლევადიანი კრედიტებით სავაჭრო-საშუამავლო საქმიანობის,არამედ მატერიალური წარმოების სფეროს დაფინანსებასაც. ფაქტობრივად, ლარის კურსი მინდობილია მხოლოდ ბაზარზე და მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებაზე. არ შემცირდა ბიუჯეტის დეფიციტი, 2015 წელს პირდაპირი ინვესტიციები უმნიშვნელოდ გაიზარდა, პრივატიზაციიდან დაპირებული 300 მლნ დოლარის ნაცვლად დაახლოებით 60 მლნ დოლარი შემოვიდა. არ ხდება ბიზნესის ხელშემწყობი მკვეთრი მაკროეკონომიკური ღონისძიებების გატარება (გადასახადების და რეგულაციების შემცირება). შედეგად, ბოლო ერთ წელიწადში ლარის კურსი 37%-ით გაუფასურდა, ხოლო ეკონომიკური ზრდის ტემპი 2.8%-მდე შემცირდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. www.geostat.ge

2. ჟურნალი, „გლობალიზაცია, ახალი ეკონომისტი“ №1,2015 წ, გვ. 24;

3. „გლობალიზაცია და ბიზნესი“ №1სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი 2016წ.

4. ICBSS,http://icbss.org/media/113-original.pdf

5. ლელა ბახტაძე ,,გარდამავალი ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური პრობლემები“.

REFERENCES

1.www.geostat.ge. (In Georgian Language);

2. Journal, “the globalization, New Economist” №1,2015y, p.24 (In Georgian Language);

3.,, the globalization and Business ‘’№1Scientific and practical Journal 2016(In Georgian Language);

4. ICBSS,http://icbss.org/media/113-original.pdf.

5 .Lela Bakhtadze ,, Actual problems of theory and practice in the transition economies’’(In Georgian Language).

CONTRADICTIONS OF ECONOMIC SITUATION IN GEORGIA

Inga Gigauri
Academic Doctor of Business Administration,
GTU, Head Teacher
IULIA TEDEEVI
Academic Doctor of Business Administration, GTU
Nika Zurikashvili
GTU, PHD Student

RESUME

The modern model of the Georgian economy unfortunately is based not so much on the increase in production, as far as on stimuli of consumption. This fact also is confirmed that the total volume of private and public consumption makes up to 90% of GDP. The country hanging on import has not a stable source of incomes. National currency Lari will continue its ups and downs movement, rather than the correct monetary and macroeconomic policy will not be implemented. Most macroeconomic indicators were worsened during the last 3 years. Budget expenditure periodically had a negative impact on GEL exchange rate and price levels. There is a stable connection between the economy and financial sector. The principle of connection is following: the

national products support the national currency, the national currency strengthens national economy. What would contrast to such a situation? For proper management of the economy, we need a flexible monetary policy. Have we such policy, haven't we? Of course no. Rapid depreciation of Lari contains the large risk for the financial stability that is a serious burden for our country.

Key words: Currency Rates, the monetary, fiscal policy, Stabilization, The Economic expansion, Banking and financial system.

სოციალური დაცვის სისტემა და მისი განვითარების ტენდენციები საქართველოში

დიანა უგლავა
აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

განვითარებული ქვეყნების გამოცდილება და პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საბაზრო ურთიერთობები თავისი განვითარების ფარგლებში წარმოქმნის თავის საპირისპირო-გარანტირებულ სოციალურ დაცვას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსახლეობისთვის. საბაზრო ურთიერთობების შედეგებია: არასტაბილურობა, რომელიც იწვევს მოთხოვნას სტაბილურობაზე; შემოსავლების დიფერენციაცია - იწვევს მოთხოვნას უფრო სამართლიან შემოსავლების გადანაწილებაზე; ინფლაცია - ფასების დარეგულირებას; უმუშევრობა - სოციალურ გარანტიებს და ა. შ.

სოციალური დაცვა არის სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის გამოხატვის ფორმა, მიმართული მოსახლეობის გარკვეული კატეგორიის მატერიალური უზრუვნელყოფისკენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სპეციალური არასაბიუჯეტო ფონდებიდან იმ შემთხვევაში, თუ აღიარდება სახელმწიფოს მიერ სოციალურად მნიშვნელოვნად, რათა მოხდეს სოციალური მდგომარეობის გათანაბრება საზოგადოების ყველა წევრს შორის.

ტერმინი ,,სოციალური დაცვა“ პირველად გამოყენებულ იქნა სოციალური დაცვის შესახებ კანონში, ამერიკის შეერთებულ შტატებში 1935 წელს, რომლის მიხედვითაც იქნა დაწესებული ასაკობრივი პენსია და უმუშევრობის შემწეობა. მოგვიანებით მასში იქნა შეტანილი ღარიბთა, შშმ პირების და ობოლთა დახმარება. მას შემდეგ ეს ტერმინი ფართოდ გავრცელებული გახდა სხვა ქვეყნებში და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაში. სამეცნიერო ლიტერატურაში ,,სოციალური დაცვა“ არ არის ცალსახად ფორმულირებული, რადგან ეს დამოკიდებულია, თუ რა პოზიციით იქნება გახილული ის - სამეცნიერო კუთხით, დამხმარე პროგრამის სახით თუ

შემოსავლების სინთეზის თვალსაზრისით.

ყველაზე სრულყოფილ მნიშვნელობას სოციალურ დაცვას ანიჭებს მიდგომა, რომელიც აერთიანებს სასწავლო კატეგორიას და პრაქტიკულ მნიშვნელობას. მაგალითად, სოციალური დაცვა მოიცავს სოციალურ ურთიერთობათა სისტემას, ზომებს და სამართლებრივ გარანტიას, რომელიც დაიცავს საზოგადოების ნებისმიერ წევრს ეკონომიკური, სოციალური და ფიზიკური დეგრადაციის გამო კეთილდღეობის, ჯანმრთელობის მოულოდნელი და მკვეთრი გაუარესებისაგან, რისი მიზეზითაც ვერ ახერხებს სამუშაო ძალებისა და სამოქალაქო ვალდებულებების რეალიზაციას.

საბაზრო ეკონომიკის განვითარებას თან ახლავს სახელმწიფოს სოციალურ სფეროში პრობლემების წარმოქმნა, რაც დაკავშირებულია მოსახლეობის განსხვავებულ შემოსავლებთან ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში. სახელმწიფო, თავის მხრივ ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის უარყოფითი შედეგები და ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებას აქ წარმოადგენს სხვადასხვა სოციალური ჯგუფების სოციალური დაცვა.

საკვანძო სიტყვები: სოციალური დაცვა, სოციალური დახმარება, სოციალური რისკი, პენსია, სახელმწიფო ბიუჯეტი

შესავალი

ხანდაზმულობის ასაკი გვიანი ზრდასრულობის პერიოდში, 60–65 წლიდან იწყება. გამოყოფენ ადრეული ხანდაზმულობის და გვიანი ხანდაზმულობის ასაკობრივ პერიოდებს – 60–69 და 70–79 წელი. 80 წლიდან კი სიბერის პერიოდი იწყება. დაბერების პროცესი ხანგრძლივია და ოთხი პარამეტრით განისაზღვრება – ქრონოლოგიური, ანუ ასაკის მიხედვით, ბიოლოგიური, ანუ იმ ცვლილებებით, რაც ორგანიზმში ხდება დაბერების პროცესში, ფსიქოლოგიური და სოციალური. 60–65 წლიდან პიროვნების ცხოვრებაში ახალი პერიოდი იწყება – ადამიანი პენსიაზე გადის და მისი ცხოვრების წესი რადიკალურად იცვლება. ფიზიოლოგიური თვალსაზრისით სხვადასხვა საციცოცხლო პროცესები ნელდება, შეგრძნებები და მოძრაობა იცვლება, ასევე იცვლება ფსიქიკური აქტივობის ტემპიც. ფსიქოლოგიურად ეს რთული პერიოდია, რადგან ადამიანს დიდი გამოცდილება აქვს როგორც ცხოვრებისეული, ასევე პროფესიული და ამავე დროს, ფიზიკური შესაძლებლობები ქვეითდება. პიროვნე-

ბისთვის შესაძლოა მისი გარეგნობა იყოს შფოთვის მიზეზი, რომელიც მნიშვნელოვნად იცვლება. პენსიაზე გასვლასთან ერთად, ხანდაზმული პიროვნება თავს ზედმეტად და უსარგებლოდ გრძნობს, თუ არ აქვს თავისი ინტერესის სფერო და საქმიანობა. ამიტომაა მნიშვნელოვანი ხანდაზმული ადამიანების მხარდაჭერა, მათი დახმარება ამ გარდამავალ პერიოდში, რომ არ დაკარგონ საზრისი და ახალი, მათთვის საინტერესო იპოვონ ცხოვრებაში, საკუთარ თავში აღმოაჩინონ ახალი შესაძლებლობები და გამოიყენონ ცხოვრების მანძილზე დაგროვილი გამოცდილება და სიბრძნე.

ძირითადი ტექსტი

მოსახლეობის სოციალური დაცვა წარმოადგენს ისტორიულ მოვლენას, რომელმაც ეტაპობრივი ცვლილებები განიცადა. სოციალური დაცვის ევოლუცია ხორციელდება სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებასა და საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირში. ნებისმიერ საზოგადოებაში - ფეოდალურ, კაპიტალისტურ, სოციალისტურ თუ სხვა, მუდმივად არსებობს რისკი, რომელსაც ყველა ექვემდებარება. ეს არის საარსებო საშუალებათა დაკარგვის რისკი , ავადმყოფობის, მიღებული ტრამვის, ასაკის, უმუშევრობით და სხვა მიზეზით შრომისუნარიანობის დაკარგვის რისკი. ამასთან ერთად საზოგადოებასა და სახელმწიფოში სხვადასხვა ფორმით არსებობს ამ რისკების ნეიტრალიზაციის სისტემა.

ყველაზე სრულყოფილ მნიშვნელობას სოციალურ დაცვას ანიჭებს მიდგომა, რომელიც აერთიანებს სასწავლო კატეგორიას და პრაქტიკულ მნიშვნელობას. მაგალითად, სოციალური დაცვა მოიცავს სოციალურ ურთიერთობათა სისტემას, ზომებს და სამართლებრივ გარანტიას, რომელიც დაიცავს საზოგადოების ნებისმიერ წევრს ეკონომიკური, სოციალური და ფიზიკური დეგრადაციის გამო კეთილდღეობის, ჯანმრთელობის მოულოდნელი და მკვეთრი გაუარესებისაგან, რისი მიზეზითაც ვერ ახერხებს სამუშაო ძალებისა და სამოქალაქო ვალდებულებების რეალიზაციას.

შესაძლებელია გამოიყოს მოსახლეობის სახელმწიფო სოციალური დაცვის ძირითადი ფუნქცია საერთო გაგებით გაერთიანებული, რომელიც არსით არის რთულ ფინანსურ მდგომარეობაში არსებული ან/და ასეთის საფრთხის ქვეშ მყოფ ადამიანთა დახმარება. თუმცა არსებობს სოციალური დაცვის სხვადასხვანაირი კლასიფიკაცია, რომელიც უფრო დეტალურად ახასიათებს მის ფუნქციურ

თავისებურებებს. მკვლევარები ყოფენ მოსახლეობის სოციალური დაცვის სამ ძირითად ფუნქციას: კომპენსაცია, დაცვა და სტაბილიზაცია.

კომპენსაციის ფუნქციის ქვეშ იგულისხმება დახარჯული სახელფასო ანაზღაურების, ჯანმრთელობის დაზიანების და მკურნალობის ხარჯების კომპენსაცია.

დამცავი ფუნქცია იძლევა მატერიალური უზრუნველყოფისა და ძირითადი ყოფითი აუცილებლობების დაფარვის გარანტიას.

სტაბილიზაციის ფუნქცია განკუთვნილია სახელმწიფოს, დამსაქმებლისა და დასაქმებულის ინტერესთა თანხვედისათვის.

მკვლევართა აზრით მოცემული კლასიფიკაცია არასაკმარისად ღრმად ახასიათებს სოციალური დაცვის ყველა ფუნქციონალურ თავისებურებას, ამიტომ ისინი იძლევიან უფრო დეტალურ კლასიფიკაციას. მათი დასკვნების მიხედვით სოციალური დაცვის ფუნქციები იყოფა არა სამ, არამედ ოთხ კატეგორიად. ესენია:

1. პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი ფუნქცია. მდგომარეობს ჯანმრთელობის პროფილაქტიკასა და დაცვაზე მიმართული კომპლექსური ღონისძიებების გატარებაში.

2. ეკონომიკური ფუნქცია. მიმართულია სხვადასხვა მიზეზებით დაკარგული ხელფასისა და შემოსავლის ჩანაცვლებაზე. მაგალითად ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო შრომისუნარიანობის დაკარგვით, საპენსიო ასაკის მიღწევით, მარჩენალის დაკარგვით, მკურნალობის დამატებითი ხარჯების კომპენსაციისათვის.

3. სოციალურ-სარეაბილიტაციო ფუნქცია. მდგომარეობს სამედიცინო, პროფესიონალური, სოციალური რეაბილიტაციის კომპლექსური ღონისძიებების გატარებაში მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების და შრომისუნარიანობის დაბრუნების მიზნით.

4. პოლიტიკური ფუნქცია. უზრუნველყოფს სოციალური დაცვის ეფექტური ინსტიტუტებისა და მექანიზმების ფორმირებასა და შენარჩუნებას კონსტიტუციითა და კანონმდებლობით დადგენილი საბაზისო სოციალური და სამართლებრივი სტანდარტების უზრუნველსაყოფად და საზოგადოებაში სოციალური სტაბილიზაციის შესანარჩუნებლად.

მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემას გააჩნია საკმაოდ რთული სტრუქტურა, მისი ყოველი ელემენტი სპეციფიურია და

თამაშობს საკუთარ როლს ადამიანის სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. სოციალური დაცვის სისტემის ძირითადი კატეგორიებია: სოციალური დაზღვევა; სოციალური უზრუნველყოფა; სოციალური დახმარება.

ასევე სოციალური დაცვის სისტემას შეიძლება მივაკუთვნოთ ქველმოქმედება, კერძო დაზღვევა და მოქალაქეთა პირადი დანაზოგი, რომელიც მიმართულია პირად უსაფრთხოებაზე.

სოციალური დაცვა შეიძლება განვიხილოთ როგორც თითოეული ადამიანისათვის საზოგადოების მიერ დაწესებული ცხოვრების სტანდარტების შესანარჩუნებელ ღონისძიებათა სისტემა. ეს სისტემა გამოიყურება როგორც მთლიანი ეროვნული შემოსავლის გადანაწილების პროცესი მაკროდონეზე, სოციალური რისკების პირობებში მოქალაქეთა ნორმალური კვლავწარმოების უზრუნველსაყოფად.

სოციალური დაცვის სისტემა დაფუძნებულია შემოსავლების ფორმირებაზე მათგან, ვინც არ დგას სოციალური რისკის ქვეშ მათთვის, ვისთვისაც ეს რისკი უკვე დადგა. გარდა ამისა სოციალური დაცვის სისტემა მოიცავს ღონისძიებებს სოციალური რისკების შესამცირებლად, რაც ხელს უწყობს სამუშაო ძალის ნორმალურ კვლავწარმოებას და ეკონომიკური წონასწორობის მიღწევას. ამასთან ერთად სოციალური რისკების ეკონომიკურ შემადგენლობას მივყავართ დამსაქმებელსა და დასაქმებულს, დამსაქმებელსა და სახელმწიფოს, დასაქმებულსა და სახელმწიფოს, რისკს დაქვემდებარებულ და არადაქვემდებარებულ მუშაკთა შორის დაპირისპირებამდე. სოციალური დაცვა საშუალებას იძლება მიღწეულ იქნას თანასწორობა ამ წინააღმდეგობებს შორის, რისთვისაც მოიცავს შიდა ეროვნული პროდუქტის განაწილებისა და გადანაწილების მექანიზმს და ქმნის სადაზღვევო ფონდებს. სადაზღვევო ფონდების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა სამუშაო ძალის ნორმალური კვლავწარმოება, რომელიც დგას სოციალური რისკების დადგომის ქვეშ. სოციალური დაცვის ეფექტური ფუნქციონირების მექანიზმების ფორმირებისთვის აუცილებელია გამოირკვეს რისკების სახეები და იმ კომპენსაციის დონე, რომელიც ამ რისკების დასაფარად იქნება საჭირო. [12]

სოციალური დაცვის სისტემის სტრუქტურა შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

- სოციალური დაცვის სუბიექტები: დასაქმებული, დამსაქმებე-

ლი, სახელმწიფო, სადაზღვევო ორგანიზაციები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, არასაბიუჯეტო ორგანიზაციები, საქველმოქმედო ფონდები და ინდივიდუალური მეცენატები;

- სოციალური დაცვის ობიექტები: მოსახლეობა (დაქირავებული მუშახელი, პენსიონერები, შშმ პირები, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები, უმუშევრები და ა.შ.)

- სოციალური დაცვის დონეები: ინდივიდუალური (დასაქმებული-დამსაქმებელი, სახელმწიფო-მოქალაქე) და ჯგუფური (მუშათა კლასის პროფკავშირები, დამსაქმებელთა გაერთიანებები და სხვა);

- სოციალური დაცვის საგანი და სტრუქტურა: პერსონალის მიღებისა და განთავისუფლების საკითხი, შრომის ორგანიზაცია და ნორმები, შრომისუნარიანობის დანაკარგის კომპენსაციის მექანიზმი, სამედიცინო და სოციალურ-ყოფითი მომსახურების ორგანიზაცია, უმუშევართა ხელშეწყობის ორგანიზაცია;

- სოციალური დაცვის პრინციპები და ტიპები, რომელიც ახასიათებს სოციალური სამართლიანობის და ურთიერთმხარდაჭერის დონეს.

განვითარებულ ქვეყნებში სოციალური რისკებს აქვს, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი შედეგი. ქვეყნების უმრავლესობაში სოციალური რისკები ცხოვრების ყველა დონეზე ინდივიდუალურია.

სოციალური რისკი, რომელიც უშუალოდ ეხება მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის შემცირებას, თავისთავში მოიცავს იმ რისკების ნაკრებს, რომლებიც საბოლოო ჯამში ვლინდება სოციალური რისკის სახით. აქედან გამომდინარე, მისი ძირითადი ნაწილი მართვას ნაკლებად ექვემდებარება და მუდმივად არის იმის საჭიროება, რომ ქვეყანაში არსებობდეს მექანიზმი, რომელიც მოახდენს სოციალური რისკებისაგან მიყენებული ზარალის კომპენსაციას.

ყველა სახის სოციალური რისკი არ შეიძლება ჩაითვალოს ცხოვრების ბნელ მხარედ. არსებობს რისკების ჩამონათვალი, რომელიც მის საპირისპირო მხარეს წარმოადგენს, ეს არის მოხუცებულობა, ორსულობა - მშობიარობის შედეგად დროებით ან მუდმივი უმუშევრობის გამო შემოსავლების შემცირება. სხვა საკითხია, როდესაც ცხოვრების ნათელი მხარის – მოხუცებულობის უზრუნველყოფა, შრომისუნარიან პერიოდში სხვადასხვა რისკების (უმუშევრობა, ავადმყოფობა, ინვალიდობა) ზემოქმედების გამო ცხოვრების ბნელ მხარედ იქცევა.

სარისკო სიტუაციების წარმოქმნა უმეტეს შემთხვევაში დამოკიდებულია სოციალური სუბიექტის საქმიანობასთან, მის აქტიურობასთან, ქცევასთან. სოციალური სუბიექტის დამოკიდებულება საკუთარი პიროვნებისადმი, სოციალური ჯგუფებისადმი და მთლიანად გარემოსთან ქმნის სოციალური საქმიანობის დინამიურ სისტემას, რომელშიც ეს ურთიერთქმედებები განუსაზღვრელი ხასიათის მატარებელია და შესაბამისად რთულია შეფასდეს წინასწარ მათგან მიღებული შედეგი. აქედან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სოციალურ რისკს აქვს დეტერმინირებული ხასიათი, რაც იმაში ვლინდება, რომ რისკი, როგორც არასასურველი შემთხვევა, შეიძლება გამოვლინდეს როგორც ერთ ინდივიდთან მიმართებაში, ისე მთელ საზოგადობაში და მისი სიდიდე და მიღებული ზარალის მოცულობა მუდმივად იცვლებოდეს.

სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა შემუშავდება და რეალიზდება სოციალური პარტნიორობის საფუძველზე. მასში გათვალისწინებული უნდა იყოს სახელმწიფოს, დამსაქმებელთა შესაძლებლობები, მოქალაქეების, მათი საზოგადოებრივი ფორმირებების ინტერესები. სოციალურ პარტნიორობაში მონაწილე თითოეული მხარე მონაწილეობას უნდა ღებულობდეს სოციალურ პოლიტიკაში, უნდა იყოს პასუხისმგებელი მის რეალიზებაზე. ამ შემთხვევაში კონსენსუსის პრინციპი მიუღებელია, თუმცა თითოეული მხარის მოსაზრება და შესაძლებლობები მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს. სახელმწიფოს სოციალურ პოლიტიკას აქვს მიზნები, პრინციპები, მეთოდები, საშუალებები, შინაარსი, ფორმა, მიმართულება, პრიორიტეტები, მისი რეალიზების ობიექტები. სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის პრინციპების ქვეშ მოიაზრება სოციალური პოლიტიკის ძირითადი იდეები, ქცევის წესები. სოციალური პოლიტიკის განხორციელების კანონები, პრეზიდენტის ბრძანებულებები, სამართლებრივი ნორმები, სოციალური ნორმატივები, სოციალური გადასახადები (პენსია, დახმარებები, სტიპენდია), აგრეთვე, ის ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ სახელმწიფოს სოციალურ პოლიტიკას.

სოციალური დაცვის სისტემის ჩამოყალიბება რამდენიმე ტიპს მოიცავს:

1. მოსახლეობისგან გამოიყოფა სოციალური დახმარების საჭიროების მქონე ჯგუფები, ამ პროცესში გამოყენებული იქნება ოჯა-

ხებს შემოსავლების განსაზღვრის კრიტერიუმები და კონტროლის მექანიზმები;

2. შეირჩევა მიზანმიმართული სოციალური დახმარების უზრუნველყოფის მეთოდები;

3. შეფასდება ცხოვრების დონე, რაც სოციალური დახმარების მოსურნე მიზნობრივი ჯგუფების სწორად შერჩევისათვის აუცილებელ კრიტერიუმს წარმოადგენს. სოციალური ჯგუფების შერჩევის შემდეგ, კრიტერიუმი, რომელმაც უნდა განსაზღვრის სოციალური დახმარების მოცულობა , არის საარსებო მინიმუმი.

გარდამავალ პერიოდში მოსახლეობის სოციალური დაცვის არსებული სისტემა არ აღმოჩნდა საკმარისად ადაპტირებული მსგავს პირობებში მუშაობისათვის. მას ჰქონდა შეზღუდული შესაძლებლობა იმისა, რათა მომხდარ იყო რესურსების გადანაწილება იმათ სასარგებლოდ, ვისაც ყველაზე მეტად უჭირდა და ეფუძნებოდა საყოველთაო სოციალური ტრანსფერების სისტემას, სუბსიდიებს საქონელსა და მომსახურებაზე.

სოციალური დაცვის ზოგიერთი მიმართულების ეფექტურობამ, როგორიცაა ბავშვებისათვის დახმარების გაწევა და დასაქმების პროგრამების დაფინანსება, კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. ისინი უკვე ვეღარ ახდენდნენ მნიშვნელოვან გავლენას მოსახლეობის ყველაზე დაუცველ ფენაზე. სახელმწიფო დაფინანსების ის მოცულობა, რომელსაც მხარდაჭერა ჰქონდა კრიზისის შემდგომ პერიოდში და სოციალური მხარდაჭერის შექმნილი სისტემა უძლური აღმოჩნდა მასზე დაკისრებული უმეტესი ფუნქციების შესასრულებლად. დაგროვილი სოციალური პრობლემების გადასაჭრელად, სოციალური უზრუნველყოფა, როგორც სოციალური პოლიტიკის ნაწილი კვლავ დიდ ადგილს იჭერდა, მინიმალური იყო სოციალური დაზღვევის სისტემა, რომელიც შრომის უნარიანი მოსახლეობის დასაქმების შემთხვევაში ეფუძნებოდა ცენტრალური ობიექტის სოციალური ხარჯებისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საბაზრო ურთიერთობების ჩამოაყალიბა ინტენსიურად მიმდინარეობს, ამ ურთიერთობებმა ფეხი სოციალურ სფეროში ვერ მოიკიდა, ამის მიზეზად შეიძლება ჩავთვალოთ ის, რომ ჯერ კიდევ არის იმის ილუზია, რომ როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური პრობლემები პარალელურ რეჟიმში შეიძლება გადაწყდეს.

სოციალური დაცვის სისტემაში დიდი წილი კომერციულ სო-

ციალურ დაზღვევას უნდა დაეთმოს. ამის მიზნის რეალიზებას კი პირველ რიგში ეკონომიკის ზრდა, უშუალოდ წარმოების ზრდის უზრუნველყოფა სჭირდება, რათა შესაძლებელი გახდეს, რომ სახელმწიფომ, მეწარმემ და კონკრეტულმა ადამიანმა სოლიდარობის პრინციპის რეალიზაციით მონაწილეობა მიიღონ იმ ადამიანთა სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად, რომლებიც ამათუიმ სოციალური რისკების მსხვერპლნი აღმოჩნდნენ დროებით ან მუდმივად.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) ფარგლებში, ევროკავშირი საქართველოს სხვა სფეროებთან ერთად სთავაზობს ინტენსიურ თანამშრომლობას სოციალური უზრუნველყოფის სფეროში რამდენიმე მიმართულებით. კერძოდ, სოციალურ სექტორში განსახორციელებელი ამოცანები ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ევროპა-საქართველოს ხუთწლიანი სამოქმედო გეგმის მე-3 პრიორიტეტული სფეროს ქვეშ ექცევა – „სიღარიბის შემცირებისა და სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფაზე მიმართული ძალისხმევის განმტკიცება.“ აღნიშნული პრიორიტეტი მოიცავს კონრეტული ღონისძიებების განხორციელებას, რაც გულისხმობს სოციალური დახმარებისა და ჯანდაცვის სექტორის სფეროების რეფორმის განმტკიცებას, ეფექტიანი იურიდიული ბაზისა და ეფექტიანი მართვის სისტემების შექმნის ჩათვლით. მათთან დაკავშირებული ქმედებები ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმაში (ENP AP) მოიცავს სიღარიბის აღმოფხვრის ღონისძიებათა ფარგლებში სოციალური სექტორის რეფორმას, ჯანდაცვის სექტორის რეფორმას და დევნილებისა და ლტოლვილებისთვის ისეთი სისტემის შექმნას, რომლის მიზანიც, მათ შორის, იქნება მათი ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტეგრირება და სარჩოს შესაძლებლობის მიცემა.[5]

2008 წლის იანვარში საქართველომ შეიმუშავა პროგრამა ,,ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“, რამაც პრიორიტეული გახადა სოციალური სექტორის გაუმჯობესება. პროგრამამ ხაზგასმით აღნიშნა უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლის კლება, რომელიც იმ დროისთვის 14%-ს შეადგენდა. დასაქმების ხელშეწყობისა და სიღარიბის დაძლევის ძირითად ელემენტებად მიჩნეულია ინფრასტრუქტურაში მთავრობის ინვესტირება, ასევე დონორთა პროექტების გათვალისწინებით, და უფრო დაბალი გადასახადების მეშვეობით კერძო სექტორის სტიმულირება. სოციალურ ასპექტში,

პროგრამამ აღნიშნა „უფრო მეტი და მნიშვნელოვნად გაზრდილი ფინანსური დახმარება სოციალურად ყველაზე დაუცველ მოსახლეობას“. მიზანი იყო „ყველაზე უკიდურეს გაჭირვებაში მყოფთა მეტი დახმარება“ და ამის „ბენეფიციართა შერჩევისას მაქსიმალური ეფექტურობის“ მეშვეობით განხორციელება. პროგრამა პირობას იძლეოდა, რომ სოციალური დახმარების პაკეტი მიმართული იქნებოდა სოციალურად ყველაზე დაუცველი მოსახლეობისთვის სათანადო საცხოვრებელი პირობების შექმნაზე, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები 400,000 ადამიანისთვის დახმარების გაორმაგებაზე, ასევე პირველი 300,000 ადამიანისთვის და სიღარიბის ზღვარს ზემოთ მყოფი შემდგომი 200,000 ადამიანისთვის ეტაპობრივი დახმარების შემოღებაზე.

საქართველოს მთავრობის პოლიტიკის განხორციელების ძირითად ინსტრუმენტს წლიური სახელმწიფო ბიუჯეტი და მასთან დაკავშირებული საშუალოვადიანი ხარჯების სქემა (MTEF) წარმოადგენს. ცალკეულ სექტორულ სტრატეგიებზე დაყრდნობით, მთავრობა წარმოადგენს ვრცელ სტრატეგიის განაცხადს შემდგომი ოთხი წლისთვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში (BDD), რაც ბიუჯეტის/საშუალოვადიანი ხარჯების სქემის მომზადების საწყისი ფაზაა. 2011-2014 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი აცხადებს, რომ (მთავრობის) სოციალური პოლიტიკა დაეუფუძნება სოციალური ხარჯვისა და მიზნობრიობის ხარისხის ეფექტურობას. [6]

საქართველოში სოციალური დახმარება წარმოადგენს სოციალური დაცვის სისტემის ერთ-ერთ სახეს, რომელსაც რეფორმამდე განსხვავებული სახე ჰქონდა. 2005 წლიდან გატარებული რეფორმების შედეგად, კატეგორიებზე დაფუძნებული დახმარების სისტემა რადიკალურად შეცვალა მისამართული დახმარების ფორმამ. ქვეყნის სოციალური დაცვის პოლიტიკა აღიარებს და ეფუძნება მისამართულ დახმარებას.[7] სოციალური პოლიტიკის მთავარ პრინციპად რჩება სახელმწიფოს მიერ რესურსების მიწოდება შეფასების სისტემის მიერ გამოვლენილი ყველაზე გაჭირვებული ადამიანებისათვის. ამავე დროს, სახელმწიფოს ამოცანაა გააუმჯობესოს მისამართულობა და ამისათვის გამოიყენოს მრავალფეროვანი საშუალებები. ფულადი დახმარება და სამედიცინო დაზღვევის სქემის განვითარება არის საფუძველი, რომელსაც სოციალური ინტე-

გრაცია, სამედიცინო მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობა და საზოგადოებრივი ჯანდაცვა ეყრდნობა. საზოგადოების ყველაზე ღარიბი ფენებისაკენ სოციალური დახმარების მიმართვისათვის შეიქმნა მოწყვლადი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზა. მონაცემთა ერთიანი ბაზა შეიცავს ინფორმაციას ღარიბ ოჯახებზე, რომლებმაც სახელმწიფოსაგან სოციალური დახმარება მოითხოვეს. თითოეულ ოჯახს მინიჭებული აქვს შეფასების ინდივიდუალური ქულა, რომელიც ამ ოჯახის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას ასახავს. მონაცემთა ერთიანი ბაზა საშუალებას იძლევა დახმარება მიიმართოს სპეციფიკური მიზნობრივი ჯგუფისაკენ.[5]

2007 წლამდე კი საქართველოში მოქმედებდა სოციალური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ოჯახზე 22 ლარის ოდენობის შემწეობას 5 კატეგორიის ოჯახისათვის. ამ პროგრამის ნაკლი იყო ის, რომ ზოგჯერ სოციალურად დაუცველი ვერ ხვდებოდა შესაბამის კატეგორიებში, ზოგჯერ კი, პირიქით, ამ კატეგორიაში მოხვედრილ ადამიანს სახელმწიფოს დახმარება არ სჭირდებოდა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებული სოციალური მომსახურების სააგენტო დღეისათვის აერთიანებს სოციალური პროგრამების შემდეგ მიმართულებებს: ფულადი სოციალური დახმარება (საარსებო შემწეობა); დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა; დღის ცენტრები; ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფა; ომის ვეტერანთა რეაბილიტაციის ხელშეწყობა; ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობა; სათემო ორგანიზაციები; დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა.

მიზნობრივი სოციალური დახმარების სახელმწიფო პროგრამა 2006 წელს ამოქმედდა. 2010 წელს საქართველოს მთავრობამ სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ N 93 დადგენილება მიიღო. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ფორმულა სამი ძირითადი ელემენტისგან შედგება: ოჯახის შემოსავალი, ოჯახის ქონება და ოჯახის საჭიროებები. მას შემდეგ, რაც ოჯახი სოციალური დახმარების პროგრამაზე განაცხადს გააკეთებს, სოციალური აგენტი ოჯახის შემოსავალს და ქონებას აფასებს, რომელსაც გარკვეულ სარეიტინგო ქულას ანიჭებს. ფულად სოციალურ დახმარებას ის ოჯახები იღებენ, რომელთა სა-

რეიტინგო ქულა 57 000-ს არ აღემატება.

2013 წლის პირველი ივლისიდან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფებს სოციალური დახმარება გაუორმაგდათ. მანამდე სოციალური დახმარების მიმღები ოჯახის პირველი წევრი 30 ლარს, ხოლო ყოველი მომდევნო წევრი 24 ლარს იღებდა. 2013 წლის პირველი ივლისიდან კი სოციალური გასაცემელი ოჯახის პირველ წევრზე 60 ლარს, ყოველ მომდევნო წევრზე კი 48 ლარს შეადგენს.

საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, UNICEF-ის მხარდაჭერით, სოციალურად დაუცველი ოჯახების შინამეურნეობების შეფასების ახალ მეთოდოლოგიაზე მუშაობა 2013 წლის სექტემბერში დაიწყო.

ახალი ფორმულის მიხედვით, სარეიტინგო ქულების გრადაცია მოხდება. ოჯახის ნებისმიერი წევრი, რომლის სარეიტინგო ქულაც 30 000-ს არ აღემატება, 60 ლარს მიიღებს, 30 000-დან 57 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წევრები 50 ლარს, 57 000-დან 60 000-მდე – 40 ლარს, ხოლო 60 000-დან 65 000-მდე კი 30 ლარს მიიღებენ. ამასთან, ნებისმიერი სოციალურად დაუცველი ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 100 ათასს არ აღემატება, თითოეულ ბავშვზე 10 ლარიან დანამატს მიიღებს. მიზნობრივი სოციალური დახმარების წინა მეთოდოლოგიაში ბავშვზე დანამატი გათვალისწინებული არ იყო. ახალი ფორმულით, 10 ლარიან დანამატს 260 ათასი ბავშვი მიიღებს.

სადღეისოდ საქართველოში სოციალური დახმარების პოლიტიკა მიმართულია მოსახლეობის დაცვაზე მხოლოდ უკიდურესი სიღარიბისაგან. მიუხედავად იმისა, რომ მიზნობრივმა და საჭიროებაზე დაფუძნებულმა სოციალური დახმარების სისტემამ არსებული სახით საბჭოური მიდგომები რადიკალურად შეცვალა, მოქმედი სქემა მაინც არ გამოირჩევა ეფექტიანობით, რადგან ის ზუსტად მაინც ვერ ასახავს მოსახლეობაში არსებულ უღარიბეს ფენას. დღეში 2.5 აშშ დოლართან მიმართებაში განსაზღვრული სიღარიბის ზღვარი ზუსტად წარმოაჩენს საქართველოს მოსახლეობის უღარიბესი ოჯახების წილს. თუმცა 2007-2009 წლებში დღეში 2.5 აშშ დოლართან მიმართებაში განსაზღვრულმა სიღარიბის დონემ საქართველოში მოიკლო, რაც ექსპერტებს საშუალება მისცა უკიდურესი სიღარიბის შემცირების თვალსაზრისით, სოციალური დახმარების პროგრამა შეეფასებინათ, როგორც მაღალი მისამართულობის მაჩვენებლით გამორჩეული . თუმცა საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ

მიუხედავად დახმარებისა, ბენეფიციართა უმეტესობას, მაინც უჭირს უკიდურესი სიღარიბიდან გამოსვლა, ფიქსირდება ასევე ფაქტებიც, როდესაც ბევრი ოჯახი დარჩა დახმარების გარეშე, ეს და კიდევ სხვა მრავალი ფაქტები მიუთითებს იმ გარემოების აუცილებლობაზე, რომ უმწეოთა გამოვლენის მეთოდოლოგია დასახვეწია და ასევე გადასახედია ბენეფიტების მოცულობაც, რომელიც საარსებო მინიმუმის ნიშნულისგან საკმაოდ დაშორებულია.[4]

ამავე დროს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სოციალური სარგებლის სიდიდემ არ უნდა გამოიწვიოს შრომისუნარიანი ადამიანების დემოტივირება და პასიურ მდგომარეობაში დარჩენის სტიმულირება. სოციალური სარგებელი არ უნდა იყოს დასაქმებით მიღებული პოტენციური შემოსავლის ტოლი ან მასზე მეტი, რაც დაწევდა შრომითი საქმიანობის მოტივაციას. მოქმედი სქემით, ბენეფიცირთა რაოდენობა წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად, თითქმის 70%-ით არის შემცირებული რამაც განაპირობა, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუარესება. 2006 წელს, 2005 წელთან შედარებით კატეგორიების მიხედვით (საოჯახო) დახმარების მიმღებ ოჯახთა რაოდენობის მნიშვნელოვნად შემცირების მიზეზს წარმოადგენს 2006 წლის 28 ივლისის საქართველოს მთავრობის No145 დადგენილება, რომლის თანახმად ოჯახს, რომელსაც 2007 წლის 1 იანვრამდე დანიშნული აქვს საოჯახო დახმარება, უფლება აქვს გახდეს საარსებო შემწეობის მიმღები, ან დაიტოვოს საოჯახო დახმარება.

ევროპის ქვეყნებს სოციალური სფეროს განვითარების მდიდარი და მრავალფეროვანი გამოცდილება გააჩნიათ, მათი სოციალური სისტემები დროსა და სივრცეში განსაკუთრებული დინამიურობითა და ცვლილებებთან ადაპტირების უნარით გამოირჩევიან, რის გამოც საქართველოს მსგავს მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებს არ უწევთ რაიმე ძირეული სიახლეების გამოგონება აღნიშნულ სფეროში, მხოლოდ მათი გამოცდილების გაზიარებაც საკმარისია საკუთარი მოდელის შემუშავებისა და პრაქტიკაში წარმატებით დანერგვისათვის.[8]

სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება სოციალურ სფეროში რეფორმების განხორციელებისა და დაწყებული რეფორმების წარმატებით გაგრძელების აუცილებლობის საკითხი. ამგვარი აუცილებლობა, ცხადია, მხოლოდ იმით არ აიხსნება, რომ საქართველოში ტრანსფორმაციის პროცესი გაჭიანურდა და სოციალური

სისტემა, სხვა სისტემების კვალდაკვალ, ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. როგორც ევროკავშირის მაღალგანვითარებული ქვეყნების გამოცდილებამ გვიჩვენა, სოციალური სფერო მუდმივ განახლებასა და რეფორმირებას საჭიროებს, განსაკუთრებით თანამედროვე პირობებში, როდესაც სოციალურ-ეკონომიკურ ასპარეზზე ცვლილებები უსწრაფესი ტემპებით ხდება. მაღალგანვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ამ უკანასკნელთ ჯერ კიდევ არ გააჩნიათ სრულყოფილი სისტემები, რომლებიც მიმდინარე ცვლილებებთან ადაპტირებას სერიოზული შეცდომების დაშვებისა და მოსახლეობის გარკვეული ფენების დაზარალების გარეშე შეძლებენ; იმ ქვეყნებს კი, რომელთაც უკვე საკმარისი გამოცდილება დაუგროვდათ ინტენსიურად წარმოქმნილ გლობალურ პრობლემებთან გასამკლავებლად, სოციალური სფეროს მხოლოდ ზოგიერთი ასპექტისადმი უწევთ ყურადღების გამახვილება და ძირეული რეფორმები არ ესაჭიროებათ. ამიტომაც მათი გამოცდილება ტრანსფორმირებადი ქვეყნებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მიუხედავად ამისა, რეფორმირების თვალსაზრისით, საქართველოსთვის ალბათ უფრო უპრიანი იქნება ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნებისა და მსოფლიოს სხვა, ამ სფეროში წარმატებული სახელმწიფოების, გამოცდილების გაზიარება, და არა იმ საერთაშორისო გამოწვევების მიღება სოციალურ სფეროში, რომელთა წინაშეც სადღეისოდ ევროკავშირის ძველი წევრი ქვეყნები დგანან.

სახელმწიფო ბიუჯეტის მონაცემებით, სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსება (2008-2015 წლებში) ყოველწლიურად ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2008-2015 წლების სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მიმდინარე ხარჯებში სოციალური ხარჯების წილი საკმაოდ მაღალია, თუმცა ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია ბოლო 3 წლის განმავლობაში. 2013-2015 წლებში სოციალურ ხარჯებზე მთლიანი ხარჯების თითქმის მესამედი მოდის, რაც იმაზე მიუთითებს, რომ 2013 წლიდან ბიუჯეტი სოციალურად უფრო ორიენტირებულია, ვიდრე ეს წინა წლებში იყო.

აღსანიშნავია, რომ სოციალური ხარჯების მნიშვნელოვნად ზრდას წინა ხელისუფლებაც გეგმავდა. წინა მთავრობის მიერ წარდგენილი 2013 წლის ბიუჯეტის პროექტის თანახმად, სოციალურ ხარჯებზე გეგმის მიხედვით 2 272 მლნ ლარი იყო გათვალისწინებული, რაც 2013 წლის შესრულების მაჩვენებელზე 189 მლნ ლარით

მეტია. ამასთან, სოციალური ხარჯების წილი მთლიანი ხარჯების 31.9%-ს შეადგენდა, რაც 2013 წლის შესრულების მაჩვენებლის იდენტურია.



გრაფიკი 1: სოციალური ხარჯები

(წყარო http://factcheck.ge/article/chven-varth-sotsialurad-orientirebuli-mthavroba-chven-upretsedentod-gavzardeth-sotsialuri-kharjebi/)

2015 წლის ბიუჯეტის მაგალითზე რომ განვიხილოთ, სოციალური ხარჯების ყველაზე დიდი წილი, 1 390 მლნ ლარი, საპენსიო უზრუნველყოფაზე მოდის. ბიუჯეტის ეს მუხლი ასაკით პენსიონერთა პენსიას და სახელმწიფო კომპენსაციებს მოიცავს. 2012 წელს ასაკით პენსიონერთა პენსია სამუშაო სტაჟის მიხედვით 110-დან 125-ლარამდე მერყეობდა. 2013 წელს ასაკით პენსიონერთა პენსია 150 ლარამდე გაიზარდა. 2013 წლისთვის პენსიის ანალოგიური ზრდა წინა ხელისუფლების მიერ დაგეგმილ ბიუჯეტშიც იყო გათვალისწინებული. ამასთან, თუ ინფლაციის დონეს გავითვალისწინებთ, გამოდის რომ პენსია რეალურად არ იზრდება.

ბოლო 3 წელიწადში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი სოციალური დახმარებების მუხლიც. 2015 წლის ბიუჯეტის მიხედვით, სოციალურ დახმარებებზე 631 მლნ ლარია გამოყოფილი, 2012 წელს სოციალურ დახმარებებზე გაწეულმა ხარჯებმა 276 მლნ ლარი შეადგინა.

2013 წლის პირველი ივლისიდან სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ

მოსახლეობას სოციალური დახმარება გაუორმაგდა. მანამდე საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახის პირველი წევრი 30 ლარს, ხოლო ყოველი მომდევნო – 24 ლარს იღებდა. 2013 წლის პირველი ივლისიდან კი სოციალური გასაცემელი ოჯახის პირველ წევრზე 60 ლარს, ყოველ მომდევნოზე კი – 48 ლარს შეადგენს. მიმდინარე წელს სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ახალი მეთოდოლოგია ამოქმედდა. ახალი ფორმულის მიხედვით, სარეიტინგო ქულების გრადაცია მოხდა. ოჯახის ნებისმიერი წევრი, რომლის სარეიტინგო ქულაც 30 000-ს არ აღემატება, 60 ლარს მიიღებს, 30 000-დან 57 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წევრები 50 ლარს, 57 000-დან 60 000-მდე – 40 ლარს, ხოლო 60 000-დან 65 000-მდე კი – 30 ლარს მიიღებენ. ამასთან, ნებისმიერი სოციალურად დაუცველი ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 100 ათასს არ აღემატება, თითოეულ ბავშვზე 10 ლარიან დანამატს მიიღებს. მიზნობრივი სოციალური დახმარების წინა მეთოდოლოგიაში ბავშვზე დანამატი გათვალისწინებული არ იყო თუმცა, ახალი ფორმულის ამოქმედების შემდეგ სოციალურად დაუცველების დიდ ნაწილს, მათ შორის მარტოხელა პენსიონერებს, საარსებო შემწეობა მოეხსნათ. [11]

2015 წლის ბიუჯეტის მიხედვით, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებზე 656 მლნ ლარია გამოყოფილი, საიდანაც ყველაზე დიდი თანხა – 470 მლნ ლარი, მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზეა მიმართული.

მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა 2013 წელს ამოქმედდა და ის ყველა იმ მოქალაქეზე გავრცელდა, ვინც ჯანმრთელობის დაზღვევის რაიმე სხვა პაკეტით არ სარგებლობდა. სახელმწიფო ბიუჯეტის მონაცემებით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ხარჯები ყოველწლიურად მაღალი ტემპით იზრდება. 2013 წელს პროგრამის დაფინანსებამ 70 მლნ ლარი შეადგინა. 2014 წელს პროგრამის ბიუჯეტი 200 მლნ ლარით განისაზღვრა, თუმცა ფაქტიურად 338 მლნ ლარი დაიხარჯა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბიუჯეტი მიმდინარე წელსაც არ იქნება საკმარისი. 6 თვის მონაცემებით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას უკვე დააკლდა თანხები და ბიუჯეტის შესაბამისი კორექტირება გახდა საჭირო. სახელმწიფო ხაზინის 2015 წლის 1 ივლისის მონაცემებით, მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის 6 თვის ხარჯებმა 268.7 მლნ ლარი

შეადგინა. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის 2015 წლის 6 თვის ბიუჯეტი თავდაპირველად 231.5 მლნ ლარით განისაზღვრა. შესაბამისად, თავდაპირველ გეგმასთან შედარებით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის 6 თვის ბიუჯეტი 37.2 მლნ ლარით გაიზარდა. საყოველთაო ჯანდაცვის მთავარი გამოწვევა ფინანსური რისკია. ის ადამიანები, რომლებიც აქამდე საკუთარი ჯიბიდან იხდიდნენ ჯანდაცვის ხარჯებს, ეტაპობრივად უერთდებიან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას, რაც ზრდის სახელმწიფოს ხარჯებს.

შეიძლება ითქვას, რომ ბიუჯეტი ნამდვილად სოციალურად ორიენტირებულია. თუმცა, ცალკე განხილვის თემაა, თუ რამდენად მისაღებია მსგავსი სოციალურად ორიენტირებული ბიუჯეტი ისეთი განვითარებადი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. დაბალი ეკონომიკური ზრდის ტემპის ფონზე სოციალური ხარჯების ზრდა მაღალ საბიუჯეტო დეფიციტსა და გაზრდილ სახელმწიფო ვალში აისახა. თუ ქვეყანა სოციალურ ვალდებულებას იღებს, რთულია მისი უკან გამოხმობა და იძულებულია აღებული ვალდებულება შეასრულოს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სოციალურ გასაცემელს ზოგადად ზრდის ტენდენცია ახასიათებს და საზოგადოება ცხოვრების დონის და ინფლაციის ზრდასთან ერთად სახელმწიფოსგან სოციალური ხარჯების გაზრდას ითხოვს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური პროგრამები ხშირად აფერხებს ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას, ამის ნათელი მაგალითია საყოველთაო ჯანდაცვისა და უფასო სახელმძღვანელოების პროგრამა. ჯანმრთელობის დაზღვევის ბაზრის უმეტესი წილი სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამებზე მოდის, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას სოციალური მომსახურეობის სააგენტო ახორციელებს და კერძო სადაზღვეო კომპანიები მასში ჩართული არ არიან, რაც უარყოფითად აისახება ჯანმრთელობის სადაზღვევო ბაზრის განვითარება/არსებობაზე. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედების შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა კერძო დაზღვევით მოსარგებლეთა რაოდენობა.

სოციალურ სფეროზე ორიენტირებული ქვეყნები ძირითადად სოციალური ხარჯების ხაფანგში ხვდებიან და ამ დროს კრიზისი გარდაუვალია. ამის მაგალითები ევროკავშირის ქვეყნებშიც კი გხვდება. ეს განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში საბერძნეთში განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურა.

ადამიანური რესურსების კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის

მნიშვნელოვანია საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფებისთვის სოციალური დაცვის სისტემის შემდგომი დახვეწა. სოციალური დაცვის სისტემა მოიცავს ორ ძირითად კომპონენტს – მიზნობრივ სოციალურ დახმარებას (TSA) სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისთვის და საპენსიო სისტემას. საქართველოში სოციალური უზრუნველყოფის ქსელი შეიქმნა 2004 წელს, ხოლო 2006 წლიდან დაინერგა მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის და მოწყვლადი ოჯახების ფინანსურ დახმარებაზე. ამ სისტემამ შეცვალა მანამდე არსებული დახმარება მარტოხელა პენსიონერების, ობლების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების, უსინათლოებისა და მრავალშვილიანი ოჯახების კატეგორიებისთვის. 2009- 2011 წლებში სიღარიბის ფარდობითი მაჩვენებლების შემცირების მიუხედევად, რომელშიც გარკეული წილი მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემას მიუძღვის, 2011 წლისათვის საქართველოში ოჯახების დაახლოებით მეხუთედი (21.8% და ბავშვთა მოსახლეობის მეოთხედი (25.2%) კვლავ ფარდობითი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობდა . აღსანიშნავია, რომ ჯინის კოეფიციენტი მაღალია და ბოლო ათწლეულის განმავლობაში 0,41 ფარგლებში მერყეობს. 2013 წლის მონაცემებით, მიზნობრივი სოციალური დახმარების მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებულია 1.7 მილიონამდე პირი (მოსახლეობის დაახლოებით 40%), მათგან 443 000 პირი იღებს საარსებო შემწეობას. მიზნობრივი სოციალური დახმარების გადაფარვა მოსახლეობის დაახლოებით 10%-ზე ვრცელდება. 2012 წლის ბიუჯეტში სოციალური დახმარებებისთვის გამოყოფილი იყო დაახლოებით 141 მლნ. ლარი (მშპ-ს0,7%). მიუხედავად განხორციელებული ღონისძიებებისა, მიზნობრივი სოციალური დახმარების ეფექტიანობის ზრდისთვის, საჭიროა ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დახვეწა. 2013 წლის ივლისიდან, მთავრობამ გააორმაგა მიზნობრივი სოციალური დახმარებების დაფინანსება ყოველთვიური თანხის 30-დან 60 ლარამდე გაზრდით, ხოლო ოჯახის ყოველ დამატებით წევრზე 24-დან 48 ლარამდე. 2013 წელს ეს დამატებით 71.5 მლნ. ლარს შეადგენს (წლიური ხარჯი შეადგენს 213 მლნ. ლარს, მშპ-ს 0,5%). ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ღონისძიებების უმთავრეს ნაწილს ხანდაზმულობის პენსია წარმოადგენს. საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ (მამაკაცებისთვის 65 წელი, ქალებისთვის 60 წელი) ყველა

მოქალაქეს უფლება აქვს მიიღოს პენსია. ხანდაზმულობის პენსია 2016 წლის ივლისში 180 ლარამდე გაიზარდა (2010 წელს 115 ლართან შედარებით). დღეისათვის ბენეფიციარების ჯამური რაოდენობა 684 000 ადამიანს - მოსახლეობის 15%-ს შეადგენს, ხოლო საპენსიო ხარჯები - დაახლოებით 1 მილიარდ ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ პენსიონერთა რაოდენობა მზარდია და გაეროს მონაცემებით, ასაკით პენსიონერები 2050 წლისათვის შეადგენენ საქართველოს მოსახლეობის 25%-ს, ადგილი ექნება სოციალური დანახარჯების მუდმივ ზრდას. გამომდინარე აქედან, აუცილებელია ეტაპობრივად დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საბაზისო პენსიის არამდგრადი ზრდისგან გამოწვეული წნეხის შემსუბუქებას. ასევე მნიშვნელოვანია საბაზისო პენსიის ინფლაციასთან მიბმის პრინციპის შემოღება და პენსიის ზრდის ყველაზე ღარიბ პენსიონერებზე ორიენტირება, რაც დაიცავს პენსიის მსყიდველობითუნარიანობას და მოლოდინებს მისაღებ დონეზე შეინარჩუნებს. მთავრობას ორი ძირითადი ალტერნატივა აქვს საბაზო დახმარების ფისკალური ტვირთის შესამსუბუქებლად: უზრუნველყოს ჩანაცვლების განაკვეთის მოლოდინის მისაღებ დონეზე დარჩენა, ან ხელი შეუწყოს საპენსიო დანაზოგების დაგროვებას ნებაყოფლობით ან სავალდებულოდ. სხვადასხვა სიტუაციის ანალიზის საფუძველზე სავარაუდოა, რომ კომბინაციით, რომელიც მოიცავს ასაკის გამო პენსიის ზრდას მისაღები განაკვეთით და კერძო დაგროვების სქემით მიღებულ პენსიას, დროთა განმავლობაში შესაძლებელია საერთო ჩანაცვლების განაკვეთის სტაბილიზება ხანდაზმულების შემოსავლისთვის.

სოციალური უზრუნველყოფის სფეროში მთავრობის პოლიტიკას ორი მიზანი აქვს - შეამციროს მოსახლეობის სიღარიბითა და ხანდაზმულობით გამოწვეული სოციალური რისკები და ხელი შეეწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და სხვა მოწყვლად ჯგუფებს, მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

სოციალური დახმარების პროგრამის მიზნობრიობის გაუმჯობესების მიზნით, დაიხვეწება ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგია; გაუმჯობესდება პროგრამების ადმინისტრირება და გაძლიერდება სოციალური ინფორმაციის მენეჯმენტის სისტემა. აღნიშნული ღონისძიებები ასევე ხელს შეუწყობს სოციალური დახმარებების ეფექტიანობის ზრდას.

საპენსიო სისტემის ეფექტიანობის ზრდის მიზნით, განხორციელდება დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლის შესაძლებლობების ანალიზი. ამასთან, საშუალო პერიოდში მთავრობა გეგმავს დააკავშიროს საბაზო საპენსიო დახმარების ზრდა ინფლაციის მაჩვენებელთან, რათა პროგრამის ფარგლებში შენარჩუნებული იყოს მსყიდველობითი უნარის არსებული დონე.

დასკვნა

ამრიგად, ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებით მთავრობა უზრუნველყოფს 80%- მოსახლეობის უღარიბესი ერთი მეათედის გადაფარვას მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამით და ასევე, მეორე დეცილის ოჯახების, სულ მცირე, 50%-ის ჩართვას პროგრამაში, უნივერსალური საბაზისო პენსიის შენარჩუნებას და სამომხმარებლო ფასების ინდექსზე (ინფლაციის დონეზე) მიბმას. ამასთან, ეტაპობრივად განხორციელდება დაგროვებითი სქემების შემოღება.

ის ფაქტი, რომ საქართველოს მოსახლეობის 50-55% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება, ხოლო 15% კი უკიდურესი სიღარიბის პირობებში ცხოვრობს, მიუთითებს გამართული და მდგრადი სოციალური დაცვის სისტემის შექმნის დაუყოვნებლივ საჭიროებაზე.

საქართველოს ინტეგრაცია ევროკავშირში პირდაპირ მოითხოვს თანამედროვე მსოფლიო სტანდარტებზე დაფუძნებული სოციალური პოლიტიკისა და მისი უზრუნველსაყოფი რეფორმების გატარებას, რომელიც გაწერილია სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით. ეს უკანასკნელი ევროკომისიამ სწორედ გაფართოებულ ევროკავშირსა და მის მეზობლებს შორის კეთილდღეობის, სტაბილურობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშავა, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური რეფორმების მხარდაჭერა.

ლიტერატურა:

1. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, სამოქმედო გეგმა: ევროკავშირი-საქართველო, ევროკომისიის დელეგაცია საქართველოში, გვ. 5, http://eu-integration.gov.ge/uploads/ENPAP.pdf

2. სოციალური მომსახურების სააგენტო http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=34

3. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020 (პროექტი) https://napr.gov.ge/source/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/ViewFile.pdf

4. „აღმოსავლეთის პარტნიორობა“ და საქართველოს სოციალურ- ეკონომიკური პოლიტიკა Eastern Partnership and Socio-Economic Policy of Georgia https://www.osgf.ge/files/publications/EaP_CIESR-Ge.pdf

5. ელზა ჯგერენაია „სოციალური პოლიტიკა და სოციალური დაცვის სისტემები“ https://heconomic.wordpress.com/2014/07/01/%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%96%E1%83%90-%E1%83%AF%E1%83%92%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%A1%E-1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0/

6. ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2011-2014 წლისათვის (BBD), საქართველოს მთავრობა, გვ.14., 2010წ.

7. სოციალური დაცვა და ჩართულობა საქართველოში, შემაჯამებელი დასკვნა, ევროკომისია, 2011წ., გვ 9-11,

8. ნ. გელიტაშვილი; დისერტაცია; ევროკავშირთან თავსებადი სოციალური დაცვის მოდელი საქართველოში http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000415/Gelitashvili%20N%2B%2B%2B.pdf

9. ლილით მელოიანი-ფუტკარაძე სოციალური დაზღვევის როლი მოსახლეობის სოციალური რისკებისაგან დაცვაში http://bsu.edu.ge/text_files/ge_file_3290_1.pdf

10. სოციალური დაცვა და სოციალური ჩართულობა საქართველოში შემაჯამებელი დასკვნა http://ec.europa.eu/social/BlobServlet?docId=6886&langId=ka

11. თ.აბსანძე. სტატია: ,, ირაკლი ღარიბაშვილი: ჩვენ ვართ სოციალურად ორიენტირებული მთავრობა, უპრეცედენტოდ გა-

ვზარდეთ სოციალური ხარჯები“ 05,08,2015 http://factcheck.ge/article/chven-varth-sotsialurad-orientirebuli-mthavroba-chven-upretsedentod-gavzardeth-sotsialuri-kharjebi/

12. Система социальной защиты населения и ее сущность // РИСК (2011) http://onikiforova.ru/sistema-sotsialnoy-zaschity-naseleniya-i-ee-suschnost.html

REFERENCES:

1. The European Neighbourhood Policy Action Plan: EU-Georgia, the European Commission Delegation to Georgia, pg. 5, http://eu-integration.gov.ge/uploads/ENPAP.pdf(in Georgian language)

2. Social Service Agency: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=34(in Georgian language)

3. The socio-economic development strategy in Georgia 2020 (project) https://napr.gov.ge/source/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/ViewFile.pdf(in Georgian language);

4. „Eastern Partnership“ and Socio-Economic Policy of Georgia ;https://www.osgf.ge/files/publications/EaP_CIESR-Ge.pdf(in Georgian language);

5. Elza Jgerenaia „Social Policy and Social Protection Systemts“ https://heconomic.wordpress.com/2014/07/01/%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%96%E1%83%90-%E1%83%AF%E1%83%92%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0/(in Georgian language);

6. The basic data and trends for the year 2011-2014 (BBD), the Georgian Government, pg. 14, 2010. (in Georgian language);

7. Social protection and inclusion in Georgia, Summery Report, the European Commission, 2011წ., pg. 9-11, (in Georgian language);

8. N. Gelitashvili; Dissertation; Compatible with the Eu Model of Social Protection in Georgia http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000415/Gelitashvili%20N%2B%2B%2B.pdf(in Georgian language);

9. Lilit Meloiani-Putkaradze, The Role of Social Insurance in

Protection against Social Risks. http://bsu.edu.ge/text_files/ge_file_3290_1.pdf(in Georgian language);

10. Social protection and inclusion in Georgia, Summery Report, http://ec.europa.eu/social/BlobServlet?docId=6886&langId=ka(in Georgian language);

11. T. Absandze. Article: „Irakli Gharibashvili: We are a socially oriented government. There has been an unprecedented rise in social expenditures under our watch“. 05,08,2015. http://factcheck.ge/article/chven-varth-sotsialurad-orientirebuli-mthavroba-chven-upretsedentod-gavzardeth-sotsialuri-kharjebi/(in Georgian language);

12. The system of social protection of the population and its essence // RISK (2011) http://onikiforova.ru/sistema-sotsialnoy-zaschity-naseleniya-i-ee-suschnost.html(in Russian language);

THE SOCIAL SECURITY SYSTEM AND ITS DEVELOPMENT TENDENCIES IN GEORGIA

Diana Uglava
Akaki Tsereteli State University
PhD Student of Business Administration Doctor's Program

RESUME

The experience of the developed countries reveals that market relations within the framework of their development create a guaranteed social protection for the disabled residents. The results of the market relations are as follows: instability, which leads to the demand for stability; income differentiation that leads to the demand for the fair redistribution of income; inflation – price regulation; unemployment – social guarantees and etc.

Social security is the means of expressing the social policy of the state directed to the material security of a certain category of residents from the state budget as well as to special non-budgetary funds that are recognized as socially significant by the government in order to make the social status equal among all members of the society.

The term „Social Security“ was first used in the USA in 1935

in the law of social security according to which an old age pension and unemployment benefit system were established. Later benefits for disabled people, poor households and orphans were introduced. From there on the term became widespread in different countries and in the international labour organization. In scientific literature „social security“ is not uniquely formulated, as it depends on how the term will be defined: from the scientific point of view, as a complementary program or revenue synthesis.

Social security gets its full meaning when educational category and practical aspects are merged. For example, social security involves a social relationship system, measures and a legal guarantee that will protect any member of the society from a sudden and sharp decline of well-being and health caused by economic, social and physical degradation resulting in lacking the ability to work and to fulfill the civil obligations.

The development of market economy is followed by the problems in the social field that is connected to the people's diversified income in different fields of economy. The state tries to minimize the negative consequences of transition to a market economy and one of the most important directions is the security of different social groups. The following forms of social security are used in practice _ private co-financing of the company employees, charity, social assistance, social insurance, social provisions, etc. All these forms of security are grouped under one name „social security“ of the population that is an integral part of the social-economic relations.

Key words: social security, social benefit, social risk, pension, state budget.

საინვესტიციო გარემო-ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ფაქტორი

რევაზ შენგელია
ემდ, სტუ პროფესორი

მეგი ანანიძე
სტუ დოქტორანტი

ჟუჟუნა წიკლაური- შენგელია
ემდ, სტუ პროფესორი

ნათია შენგელია
ედ, სტუ ას.პროფესორი

შესავალი

მსოფლიო გამოცდილების მიხედვით, ბევრმა ქვეყანამ, რომლებიც გარდამავალ ეტაპზე იმყოფებოდა, ეკონომიკურ სიძლიერეს ინვესტიციების ზრდის შედეგად მიაღწია. ეროვნული ეკონომიკის მოდერნიზაცია, ინვესტიციების ზრდა კი უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია ხელსაყრელი, რაციონალური სასურველი საინვესტიციო გარემოს შექმნაზე, რაც გულისხმობს იმ ფაქტორების ერთობლიობას, რომლებიც კომპანიებს აძლევს შესაძლებლობებს, სტიმულებს კაპიტალის ავანსირების გზით გააფართოონ საქმიანობის სფეროები, ბიზნესის მასშტაბები. მხოლოდ მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატი უწყობს ხელს კერძო სექტორის საინვესტიციო აქტივობის ამაღლებას, ეროვნული და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და ქვეყნის მასშტაბით ინვესტიციების მოცულობის ზრდას.

რეზიუმე

სწრაფცვალებად კონკურენტულ სამყაროში საინვესტიციო გარემოს, ინვესტიციურ აქტიურობასა და ეკონომიკურ ზრდას, განვითარებას შორის არის მჭიდრო დიალექტიკური კავშირუ-

რთიერთობა. საუკეთესო, რაციონალური საინვესტიციო გარემო იწვევს ინვესტიციების (ადგილობრივი, ისე უცხოური) დიდი ოდენობით მოზიდვას, თავის მხრივ, ინვესტიციები(სწორი საინვესტიციო პოლიტიკა, რომელიც სახელმწიფოს ანტიციკლური პოლიტიკის ნაწილია) ასრულებს კატალიზატორის როლს ეკონომიკური ზრდისათვის, განვითარებისათვის (ქვეყანას არ ექნება მომავალი , თუ იგი ეკონომიკურად არ იზრდება), ხოლო ეკონომიკური ზრდის, განვითარების მისაღები დონე და მიღწეული მიკრო, მაკროეკონომიკური პირობები აუცილებელი პირობაა ინვესტიციური აქტიურობისათვის. ყოველივე ეს ხელს უწყობს სამამულო საქონელმწარმოებლების კონკურენტუნარიანობის და, საბოლოო ანგარიშში მოსახლეობის ცხოვრების დონის , საერთაშორისო ურთიერთობებში ქვეყნის ავტორიტეტის ამაღლებას.

საკვანძო სიტყვები: ინვესტიცია,საინვესტიციო გარემო,საინვესტიციო პოლიტიკა.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე ეტაპზე საქართველოსთვის, როგორც ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნისათვის გასათვალისწინებელია, რომ რეგიონში, სადაც სამი გარდამავალი, პოსტსაბჭოური ქვეყანაა (სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო) ყოველთვის იქნება კონკურენცია ინვესტიციებისათვის. ასეთ სწრაფცვალებად კონკურენტულ სამყაროში ერთადერთი გამოსავალი, რითაც შეიძლება მოზიდულ იქნას უცხოური ან ადგილობრივი კაპიტალი საკუთარ ეკონომიკაში, **ესაა საუკეთესო საინვესტიციო გარემოს შექმნა.** უცხოელ ინვესტორს აინტერესებს ისეთივე ან დაახლოებით ისეთივე საინვესტიციო, სამეწარმეო გარემოში ფუნქციონირება, როგორიც არსებობს მსოფლიოს განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, რომელსაც ის უკვე შეჩვეულია და რომელიც მისთვის მისაღებია. ამიტომ, ჩვენი აზრით, სხვადასხვა ინვესტორებს სხვადასხვანაირი მიდგომა, პოლიტიკა და შესაბამისად, სხვადასხვანაირი საინვესტიციო გარემოს შექმნა სჭირდება. საკითხის ასე დასმა

გამომდინარეობს იქიდან, რომ კაპიტალი, ისე როგორც ინვესტიცია, სხვადასხვაგვარია (სამრეწველო, სავაჭრო, სასესხო, სააქციო და ა. შ.). ინვესტორებსაც ასევე განსხვავებული მიზნები ამოძრავებთ, ამიტომ საჭიროა მათდამი დიფერენცირებული მიდგომა. დროის მოკლე მანძილზე **მოგების მაქსიმუმზე** ორიენტირებული სასესხო კაპიტალი ფინანსური, საპორტფელო ინვესტიციების საშუალებით მოქმედებს, მაგალითად, რუსეთში ჯერაც არ არის მიღწეული სასურველი პოლიტიკური თუ ეკონომიკური სტაბილიზაცია, მაგრამ მდიდარი ბუნებრივი რესურსები აიძულებს უცხოელ ინვესტორს თვალი დახუჭოს ყოველივე ამაზე და დიდ რისკზე წავიდეს. თუმცა, როგორც თავად რუსი ექსპერტები აღნიშნავენ, აქ შევიდა მხოლოდ სპეკულაციური ინვესტიციები. აქ ინვესტორები დაინტერესებულნი აღმოჩნდნენ მარტოოდენ მოკლევადიანი ინვესტიციებით და მაღალი მოგებით. **სამრეწველო კაპიტალი** მოგებასთან ერთად მიისწრაფვის კომპანიის, კორპორაციის თუ რეგიონის საქმიანობაზე მდგრადი გავლენის მოპოვებისაკენ. იგი მზადაა დაამყაროს ხანგრძლივი ურთიერთობები და მონაწილეობა მიიღოს კომპანიების მართვაში, შეეგუოს ინვესტირების მომგებიანობის ერთგვარ დაქვეითებას ხანმოკლე პერსპექტივაში. ეს კაპიტალი მოქმედებს რეალურ აქტივებში, ადამიანისეულ კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების მეშვეობით.

როგორც ჩანს, საინვესტიციო მიმზიდველობა საკმაოდ სუბიექტური ცნებაა. ამიტომ აუცილებელია ვიცოდეთ, როგორი ფაქტორები, რანაირი საინვესტიციო გარემო ხდის რეგიონს თუ ქვეყანას მიმზიდველად ინვესტორებისათვის.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რომელიც მხედველობაში მიიღება ევროკავშირში ამა თუ იმ ქვეყნის გაწევრიანების დროს, არის ამ ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდების შესაძლებლობა, მისი უსაფრთხოება. აქედან გამომდინარე მეტად მნიშვნელოვანია ქვეყნის საინვესტიციო აქტივობის დონის გაზომვა შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: 1) დეპოზიტების განაკვეთი - როცა უცხოელი ინვესტორი საქართველოში საწარმოს გახსნის, მეტი სტიმულია, როდე-

საც მაღალია ეს განაკვეთი; იგი დაინტერესებულია დროებით მოჭარბებული ან გამოთავისუფლებული ფულადი სახსრები ისევ სადმე დააბანდოს და პარალელურად სარგებელი ნახოს; მაგ., როგორც დღეს ორგანიზაციები აკეთებენ, დიდხანს ფულის მიმდინარე ანგარიშზე დატოვების ნაცვლად, მათ მიმდინარე ანგარიშის ნაშთი გადააქვთ შემნახველ ანაბარზე დროებით (ამ დროს ანაბარს მაინც ერიცხება %-ი ანგარიშზე თანხის არსებობის გამო) და საჭიროებისას ისევ უკან აბრუნებენ. 2) სესხის აღების განაკვეთი (ფინანსური სახსრები ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია წარმოების დასაწყებად და შემდეგაც, წარმოების პროცესში მის ნორმალურად გასაძღოლად. სესხის აღება თუ საქართველოში წლიური 15-20 პროცენტია, ხოლო ჩეხეთში – 5-7%. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ინვესტორი ჩეხეთში ამჯობინებს თავისი კაპიტალის დაბანდებას; 3) ინფლაციის განაკვეთი; 4) გადასახდების განაკვეთი-თუ იგი დაბალია, მით უფრო მეტი სტიმულია , რომ კომპანია დაფუძნდეს ამ ქვეყანაში და დაიწყოს ფუნქციონირება, რომ არაფერი ვთქვათ „ საგადასახადო არდადეგების“ სიკეთეზე; 5) საინვესტიციო თავისუფლება

რეგიონში თუ ქვეყანაში საინვესტიციო საქმიანობის ისეთი ამოსავალი პირობები, როგორიცაა, სოციალურ–პოლიტიკური, საკანონმდებლო–ნორმატიული, ორგანიზაციულ–ეკონომიკური ფაქტორები, სასამართლო სისტემის მდგომარეობა და სხვა, რომელზეც თითქმის ყველა უცხოელი და ქართველი მეცნიერი, მკვლევარი ინვესტიციის პრობლემის კვლევისას მსჯელობს, ყველა ინვესტორს აინტერესებს, მიუხედავად მათი საინვესტიციო პრიორიტეტებისა. მაგრამ არსებობენ საინვესტიციო მიმზიდველობის დიფერენცირებული მდგენელები, რომელთა მნიშვნელობა განსხვავდება სხვადასხვა კატეგორიის ინვესტორთა მიხედვით. მათი გაუთვალისწინებლობა დაუშვებელია. **კრედიტორებს და ობლიგაციების, ფასიანი ქაღალდების მფლობელებს** აინტერესებთ რეგიონის გადახდისუნარიანობა, **პირდაპირ ფინანსურ ინვესტორებს**– საინვესტიციო ობიექტების ბიზნესის ღირებულების მატების პოტენციალი. **სტრატე-**

გიულ ინვესტორებს – სპეციალური ფაქტორები და რესურსები, რომლებიც გააძლიერებენ, გაამყარებენ მათ სტრატეგიულ პოზიციებს (მომსახურების ბაზრები, წარმოების პროცესთა რგოლები და ა. შ.). შესაბამისად, ქვეყნის, რეგიონის თუ დარგის საინვესტიციო გარემოს შექმნისას, ასევე საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებისას ზემოაღნიშნულ საბაზრო ფაქტორთა გაუმჯობესების პროგრამასთან ერთად, აუცილებელია შემუშავდეს და განხორციელდეს ინდივიდუალური პროგრამები სტრატეგიულ, პირდაპირ ფინანსურ და პორტფელური და სხვა ინვესტორებთან მიმართებაში.

ამრიგად, ინვესტირების დროს მთავარია ყველა მოძრაობა ერთ სისტემაში მოვაქციოთ. დავსახოთ სწორი ვექტორი და რეალურად შევქმნათ პირობები. სხვადასხვა ინვესტორს სხვადასხვა საინვესტიციო გარემო და პოლიტიკა სჭირდება. უნდა წავახალისოთ მხოლოდ ის, რომელიც უპასუხებს მოცემული ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესებს და წარმოების სოციალური მიზნის მოთხოვნებს. საინვესტიციო გარემომ არ უნდა დაარღვიოს სამეურნეო სისტემების ეკონომიკური მდგრადობისა და ეკონომიკური უსაფრთხოების კომპლექსური თვისებები. სწორედ ასეთ შემთხვევაში ვერავინ ვერ გაბედავს ქვეყნის დამოუკიდებლობას საფუძველი გამოაცალოს.

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარება დამოკიდებულია როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ინვესტიციების სიდიდეზე, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი გადამწყვეტი მომენტი მაინც ინვესტირების შედეგია რეციფიენტი ქვეყნისათვის- ანვითარებს თუ არა იგი ეკონომიკის მწარმოებლურ სექტორს (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მშენებლობა და ა.შ.), რომელზეც დამოკიდებულია ქვეყნის სიღარიბედან გამოსვლა მოსახლეობის დასაქმების ზრდით.მატერიალური დოვლათის და სოციალური სიკეთის მწარმოებელ დარგებში ინვესტირება, სხვა თანაბარ პირობებში, ხელს უწყობს ქვეყნის **მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას,** უმუშევრობის შემცირებას, მოსახლეობის ცხოვრების დონის, ხარისხის ამაღლებასა და საერთაშორისო ეკონომიკურ ცხოვრებაში მის ცივილიზე-

ბულ ჩართვას[1.გვ.25]. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენს ქვეყანაში მშპ წელიწადში, საშუალოდ, 3%-ით იზრდება, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოს 25 წელი დასჭირდება, თურქეთისა და რუმინეთის ამჟამინდელ მშპ-ს რომ მიაღწიოს, ხოლო დასავლეთ ევროპის ქვეყნების ამჟამინდელ მშპ-მდე მისაღწევად 50 წელი იქნება საჭირო.აქედან გამომდინარე, ბიზნესგარემოსთან დაკავშირებული ნებისმიერი ახალი საკანონმდებლო თუ სხვა ცვლილება უნდა აიწონ-დაიწონოს იმ გავლენასთან მიმართებით, რაც მას მშპ-ის ზრდაზე შეიძლება ჰქონდეს, და ამაზე დაყრდნობით უნდა მოხდეს მისი მიღება ან უგულებელყოფა. საქართველო ორნიშნულიან ეკონომიკურ ზრდაზე უნდა ფოკუსირდეს. ამაზე ნაკლები ქვეყანას ათწლეულების მანძილზე სიღარიბეს უქადის[2]. მაგრამ ასეთ ზრდაზე ორიენტაცია ვერ მოხდება, თუ მას ინვესტიციური რესურსი არ გააჩნია. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს და განვითარებად ქვეყნებს,(როგორიც საქართველოა),ასეთი რესურსი ნაკლებად აქვთ. ისინი ძირითადად უცხოურ ინვესტიციებზე არიან დამოკიდებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველომ ორიენტაცია მხოლოდ უცხოურ ინვესტიციებზე კი არ უნდა აიღოს, არამედ უნდა გააძლიეროს მუშაობა იმისთვის, რომ გაიზარდოს შიდა დანაზოგების დაგროვება, ანუ შიდა ინვესტიცია.უცხოურ ინვესტიციებს შუქიც აქვთ და ჩრდილიც, - სავსებით სამართლიანად წერენ პროფესორები ზ. ღუდუშაური და ე. ბალიაშვილი, - დღეს ჩვენ მხოლოდ მის შუქს ვხედავთ, ჩრდილს მომავალში დავინახავთ, როცა ყველაფერს გავყიდით მაშინ, მაგრამ, სამწუხაროდ, გვიანი იქნება, დაკარგულს აღარაფერი ეშველება. ამიტომ დღეიდანვე მარტო სხვის იმედზე კი არ უნდა ვიყოთ და ტოტალურ უცხოურ ინვესტირების პოლიტიკას ვახორციელებდეთ, არამედ მაქსიმალურად ხელი შევუწყოთ შიდა დანაზოგების ინვესტირებას[3]. ამჟამად გლობალური კონკურენტუნარიანობის 2013-2014 წლების ანგარიშის მიხედვით, საქართველოს მთლიანი ეროვნული დანაზოგების კომპონენტში 98-ე ადგილი უკავია, ხოლო ადგილობრივი კაპიტალის ბაზრებზე ფინანსების ხელმისაწვდომის კომპონენტში

126-ე ადგილი [4.გვ. 68,]. რა თქმა უნდა, ეს ცუდი მაჩვენებლებია. ინვესტიციებსა და დანაზოგებს შორის სხვაობის დასაფინანსებლად არ კმარა მხოლოდ უცხოური კაპიტალის შემოდინების წახალისება. პირიქით, მეტი აქცენტი შიდა დანაზოგების წახალისებაზე უნდა გაკეთდეს, მხედველობაში გვაქვს, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო დანაზოგები[5].

საინვესტიციო გარემოს, როგორც კონკურენტუნარიანობის ფაქტორის დახასიათებისა და შეფასებისას არ შეიძლება არ აღინიშნოს ის განსაკუთრებული როლი, რომელიც **პოლიტიკურ მდგომარეობასა და ეკოლოგიურ სიჯანსაღეს** მიუძღვის. საინვესტიციო მიმზიდველობისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ ქვეყნის, რეგიონის ობიექტური შესაძლებლობების-საინვესტიციო პოტენციალის ან მხოლოდ ინვესტორის საქმიანობის პირობების-საინვესტიციო რისკის(რომლის სიდიდე აჩვენებს ინვესტიციების დანაკარგების და მათგან მოგების მიღების ალბათობას) განხილვა. ქვეყანა, რეგიონი შეიძლება საუკეთესო იყოს პოტენციალის თვალსაზრისით-მაგალითად, გააჩნდეს ნედლეულ-რესურსული (ბუნებრივი რესურსების ძირითადი სახეების საბალანსო მარაგით უზრუნველყოფა), შრომითი (შრომითი რესურსები და მათი საგანმანათლებლო დონე), საწარმოო (რეგიონში მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის ერთიანი შედეგი), ინოვაციური (რეგიონში მეცნიერების განვითარებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის დონე), ინსტიტუციური (საბაზრო ეკონომიკის წამყვანი ინსტიტუტების განვითარების ხარისხი), ინფრასტრუქტურული (რეგიონის ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა და მისი ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა), საფინანსო (საგადასახადო ბაზის მოცულობა და რეგიონის საწარმოების მომგებიანობა), სამომხმარებლო (რეგიონის მოსახლეობის ერთობლივი მსყიდველობითი უნარი) პოტენციალი, ან მოსახლეობა იყოს მდიდარი, მაგრამ თუ პოლიტიკური მდგომარეობა არასტაბილურია,ან გარემო ეკოლოგიურად იმდენად დაბინძურებული, რომ კიდევ ერთ ქარხანას მოსახლეობა უბრალოდ ვერ აიტანს, ინვესტიციებზე ლაპარაკი ზედმეტია[6.].

არანაკლებ მნიშვნელობა აქვს საინვესტიციო, ბიზნესგარემოს გასაუმჯობესებლად **კრიმინოგენულ სიტუაციას.** მაგალითად, 90-ნ წწ საქართველოში ბიზნესკლიმატი გამოწვევებით იყო გაჟღენთილი და ინვესტორები სხვადასხვა პრობლემას აწყდებოდნენ – კრიმინალით დაწყებული, საგადასახადო ჩინოვნიკების მხრიდან შევიწროებით ან არასაიმედო ადგილობრივი პარტნიორების ღალატით დამთავრებული. ქართველ ბიზნესმენებს პრობლემების მოგვარების თავისებური მეთოდები ჰქონდათ: გადაწყვეტილებების მიმღებებთან ურთიერთობისას თავიანთ პირად ან ოჯახურ კავშირებს იყენებდნენ. მაგრამ უცხოური ბიზნესის წარმომადგენლებს არ გააჩნდათ მსგავსი რესურსები; მათ მხოლოდ ორი არჩევანი ჰქონდათ: ან ქართველ ბიზნესმენებთან პარტნიორობა უნდა დაეწყოთ ამასთან დაკავშირებული ყველა რისკის ფასად, ან თავად ემართათ თავიანთი ბიზნესი და კრიმინალური სამყაროსაგან – რეკეტი, მოგვიანებით კი ქვეყნიდან გაძევება ეწვნიათ.ცხადია, რამდენიმე წარმატებული პარტნიორობაც შემდგარა უცხოელებსა და ადგილობრივებს შორის, მაგრამ ასეთი შემთხვევები გამონაკლისს წარმოადგენდა...2003 წელს ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად, საქართველომაც, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუციების რეიტინგებში მეტად სწრაფი ტემპებით დაიწყო დაწინაურება. როგორც იქნა, საქართველო აღარ იყო კრიმინალთა თავშესაფარი და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ინვესტორთათვის ინტერესის ცენტრალურ ობიექტად იქცა[2.]. ამის შემდეგ ბიზნესკლიმატი, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა (უმეტესად,ამა თუ იმ მიზეზით საგადასახადო ჩინოვნიკების მხრიდან ზეწოლა) საგრძნობლად გაუმჯობესდა, 2015 წლის დეკემბერში გიორგი კვირიკაშვილის პრემიერ-მინისტრად დანიშვნამ საქართველოს ბიზნესსაზოგადოებაში ოპტიმიზმის ახალი ტალღა გააჩინა;თუ ზოგიერთ ბიზნესსა და ინვესტორს 2016 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე რაღაცებში ეჭვი ეპარებოდათ, ახლა ბიზნესსაზოგადოების მხრიდან მართლა იგრძნობა სრული პასუხისმგებლობა და სურვილი, გაფართოების გეგმები სისრულეში მოიყვანონ[2.].

აქიდან, ცხადია, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს ბიზნესისათვის სტაბილურობას, პროგნოზირებადობას და გამჭვირვალობას, რომელიც სასურველი საინვესტიციო გარემოს შექმნის გრეშე წარმოუდგენელია.

დაუშვებელია, მაგალითად, საქართველოსთვის რუსეთის, როგორც პოტენციური მეზობელი ინვესტორისა და პარტნიორის იგნორირება, რაც ბოლო პერიოდში აშკარად აღინიშნება. საქმე იმაშია, რომ ნებით თუ უნებლიეთ, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით საქართველო კიდევ კარგა ხანს იქნება დამოკიდებული რუსეთის ფართო ბაზარზე. ამ რეალობას ვერ გავექცევით, ამიტომ საჭიროა რუსეთ–საქართველოს შორის თანამშრომლობის განვითარება უფრო მეტად ერთობლივი საწარმოების შექმნით და სხვა ფორმით. ამ მიმართულებით აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) გაწევრიანების პირობები (საქართველო მსო-ს წევრია 2000 წლიდან). რუსეთთან ურთიერთობის დალაგების გარეშე, ჩვენი ვარაუდით, არ იქნება უსაფრთხოება და არც აფხაზ და ოს ხალხთან პირდაპირი დიალოგის შესაძლებლობა. უსაფრთხოების (მათ შორის ეკონომიკური უსაფრთხოების) გარეშე არ იარსებებს მშვიდობა, მშვიდობის როგორც ინვესტირების აქტიურობის ერთ–ერთი მთავარი ფაქტორის გარეშე შეუძლებელია ინვესტიციები, სამუშაო ადგილების შექმნა, დასაქმება. ინვესტიციებისა და დასაქმების გარეშე კი გამორიცხულია კეთილდღეობა და განვითარება, მითუმეტეს ტრანსფორმირებადი ეკონომიკის მქონე, განსაკუთრებით კი ნებისმიერი პოსტსაბჭოური ქვეყნებისათვის.ასეთია რეალური ლოგიკა: მშვიდობის გარეშე შეუძლებელია ინვესტიციები, უკანასკნელის გარეშე კი განვითარება.

დასკვნა

ამრიგად, სწრაფცვალებად კონკურენტულ სამყაროში საინვესტიციო გარემოს, ინვესტიციურ აქტიურობასა და ეკონომიკურ ზრდას, განვითარებას შორის არის მჭიდრო დიალექტიკური კავშირურთიერთობა. საუკეთესო, რაციონალური

საინვესტიციო გარემო იწვევს ინვესტიციების (ადგილობრივი, ისე უცხოური) დიდი ოდენობით მოზიდვას, თავის მხრივ, ინვესტიციები (განსაკუთრებით სწორი საინვესტიციო პოლიტიკა, რომელიც სახელმწიფოს ანტიციკლური პოლიტიკის ნაწილია) ასრულებს კატალიზატორის როლს ეკონომიკური ზრდისათვის, განვითარებისათვის (ქვეყანას არ ექნება მომავალი , თუ იგი ეკონომიკურად არ იზრდება), ხოლო ეკონომიკური ზრდის, განვითარების მისაღები დონე და მიღწეული მიკრო, მაკროეკონომიკური პირობები აუცილებელი პირობაა ინვესტიციური აქტიურობისათვის. ყოველივე ეს ხელს უწყობს სამამულო საქონელმწარმოებლების კონკურენტუნარიანობის და, საბოლოო ანგარიშში, მოსახლეობის ცხოვრების დონის , საერთაშორისო ურთიერთობებში ქვეყნის ავტორიტეტის ამაღლებას.

ლიტერატურა

1. ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“ ,#9, 2008.
2. ჟურნ. „ფორბსი“,12 იანვარი, 2017 წ.;
3. ღუდუშაური ზ., ბალიაშვილი ე., უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შუქ-ჩრდილები, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „თანამედროვე მენეჯმენტი: პრობლემები, ჰიპოთეზები, კვლევები“, მასალები, 24-25 ივნისი, 2015;
4. ვლ. პაპავა, საქართველოს და რუსეთის ეკონომიკური ზრდის ტემპების შედარებითი ანალიზი, საერთაშორისო კონფერენციის მასალების კრებული, თსუ, 2014, 27-28 ივნისი.
5. ჟურნ.ახალი ეკონომისტი, #4, 2016 წ.
6. ჟურნ. „ეკონომიკა“, # 7-9, 2014.წ.

REFERENCES:

1. Journal „Business and Law“, # 9, 2008.
2. Journal „Forbes“, 12th January, 2017 y.;
3. Gudushauri Z., Baliashvili E., FDI Contradictions, I International Scientific Conference, Batumi Navigation Teaching University- „Modern Management: Problems, Hypotheses, Researches“, materials, June 24-25, 2015;
4. Vl. Papava, Comparative Analysis of Economic Growth Trends of Georgia and Russia, the International Conference Proceedings, TSU, 2014, June, 27-28.
5. Journal „New Economist“, #4, 2016 y.
6. Journal „Economics“, # 7-9, 2014.y.

THE INVESTMENT ENVIRONMENT-AS THE FACTOR OF INCREASING THE COMPETITIVENESS OF A COUNTRY

Revaz Shengelia, GTU, Professor,
Megi Ananidze, GTU, PhD student
Jujuna Tsiklauri-Shengelia, GTU, Professor,
Natia Shengelia, GTU As. Professor

RESUME

In a changing competitive world the investment environment, investment activity and economic growth, development is dialectically connected. The best rational investment environment leads to attraction of large investments (local and foreign). Furthermore, investments (appropriate investment policy) play a role of catalyst for economic growth and development. Moreover, the achieved micro- and macroeconomic conditions, the level of economic growth are essential for investment activity. All of this contributes to the increase of national production competitiveness and finally, to the improvement of living standards of people.

Key words: Investment, investment environment, investment policy.

ფინანსური ინტეგრაციის გავლენა საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების ცვლილებაზე

ასიე ცინცაძე,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

ბექა ფუტკარაძე,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

ნაშრომის მიზანია გაანალიზოს საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები წლების განმავლობაში და დაადგინოს ფინანსური ინტეგრაციის გავლენა ამ მაჩვენებლებზე. სტატიაში აღნიშნული ანალიზები და რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნეს შესაბამისი სახელისუფლებო ორგანოების მიერ.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური ინტეგრაცია, მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, ეკონომიკური ზრდა.

ძირითადი ტექსტი

მთლიანი შიდა პროდუქტი და ინფლაცია.საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის დროს, საქართველო ცხოვრების დონის მიხედვით ერთ–ერთი ყველაზე მოწინავე რესპუბლიკა იყო. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ კი (1990-იანიწლებიდან)სოციალურ-ეკონომიკურ ფონმა მნიშვნელოვნი რეგრესია განიცადა. 1991 წელს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში მთლიანი შიდა პროდუქტის (დაახლოებით22%-ი) შემცირება დაფიქსირდა.ხოლო შემდეგ წელს კი მშპ-ს ვარდნამ 45%-ს მიაღწია. ეკონომიკის დაღმასვლის კუთხით, არც 1993-1994 წლები იყო გამონაკლისი.თუმცა, უკვე 1995 წლიდან საქართველო ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორების გზას დაადგა: მშპ-მ

2,6%-ნი ზრდა განიცადა, ხოლო ინფლაცია 157,4% დაფიქსირდა, რაც გაცილებით უკეთესი მაჩვენებელია წინა წლებთან შედარებით. მომდევნო წლებში კი (1996-1997) ეკონომიკური გარემო კიდევ უფრო გაუმჯობესდა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის 24 პროცენტიან ზრდაში გამოიხატებოდა[3.]. იმჟამინდელი ხელისუფლება აქტიურად შეუდგა საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე დამკვიდრების გზას როგორც დამოუკიდებელი და პრო-დასავლური ღირებულებების მქონე დემოკრატიული სახელმწიფო. ამ ყველაფერმა, შედაგად, აამაღლა საქართველოს სტაბილურობის რეიტინგი მსოფლიო ბაზარზე, შეამცირა ქვეყნის რისკები და ხელი შეუწყო პოტენციურ უცხოურ ინვესტიციების შემოდინებას საქართველოში.

1996-1997 წლებში საქართველომ საგრძნობლად გააუმჯობესა ისეთი მაკროეკონომიკური პარამეტრების მაჩვენებლები, როგორიცაა (მაგალითად) ინფლაციის წლიური ტემპი. აღნიშნულ წლებში იმფლაციის დონე 13,5 და 7,3 პროცენტები იყო, შესაბამისად. ამან კი, სხვა დადებით პოლიტიკურ-ეკონომიკურ მოვლენებთან ერთად, პოზიტიური ზეგავლენა იქონია საქართველოს შემდგომი განვითარებისათვის. 1998-2002 წლების განმავლობაში, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი შეიცვალა და წლიურ 2%–მდე დაეცა. სამაგიეროდ, 2003 წელს,საკმაოდ რთული შიდა-ქვეყნიური მოვლენების მიუხედავად, მშპ-ის ზრდა 10%–ზე მეტი დაფიქსირდა. თუ გამოვრიცხავთ 2008-2009 წლების უკიდურესად რთულ ეკონომიკურ მდგომარეობას, საქართველოს ეკონომიკური ზრდის დონე შემდეგ წლებშიც საკმაოდ მაღალი გახლდათ.2008 წელს, ცნობილი მოვლენების გამო (რუსეთ-საქართველოს ომი), მშპ-ს ზრდამ მხოლოდ 1,9%-სმიაღწია, ხოლო მომდევნო წელს კი 3,9%-ით შემცირდა[3.]. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, აღვნიშნოთ, რომ გარდა რუსეთ-საქართველოს ომისა, 2008-2009 წლების რეცესიის ხელშემწყობი ფაქტორი გლობალური ფინანსური კრიზისი იყო, რომელმაც ძირეული ცვლილებები მოახდინა მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებზე. მართალია, საქართველომ შედარებით მსუბუქი და ირიბი დარტყმა მიიღო ფინანსური კრიზისისგან,

მაგრამ ამ ყველაფერმა მაინც ნეგატიურად აისახა ჩვენიქვეყნის ეკონომიკაზე. განსაკუთრებით კი აღსანიშნავია ჩვენი მნიშვნელოვანი სავაჭრო და ეკონომიკური პარტნიორი ქვეყნების მდგომარეობა (რუსეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი და ევროპის რიგი ქვეყნები), სადაც გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა უფრო მკვეთრი გამოვლინება ჰპოვა, საქართველოსთან შედარებით.

ცხრილი N1: მთლიანი შიდა პროდუქტი მუდმივ 2010 წლის ფასებში (2003-2015)



*** წინასწარი მონაცემებით**

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და საქართველოს ეროვნული ბანკი http://www.nbg.gov.ge/ და http://geostat.ge/ გადამოწმებულია ჩვენს მიერ 07. 04.2016

2013 წლის კვლევის მიხედვით [3.გვ. 56]. საქართველოს 2010-2012 წლების ეკონომიკური მდგომარეობა შემდაგნაირად არის აღწერილი: „ 2008 წლის მესამე კვარტლიდან დაწყებული რეცესია 2010 წლის პირველ კვარტალში რეალური მშპ-ის 3.7 პროცენტიანი ზრდით შეიცვალა. 2010 წელი საქართველოსთვის ეკონომიკური კრიზისის შედეგების დაძლევის პერიოდი იყო. წლის განმავლობაში ქვეყნის რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი 6.3 პროცენტით გაიზარდა, 2009 წლის პირველ ნახევარში ეკონომიკური კლება უპრეცენდენტოდ მაღალი იყო.

ეკონომიკის იმ სექტორებმა, რომლებშიც 2009 წელს საგრძნობი კლება დაფიქსირდა (ვაჭრობა, დამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა) 2010 წელს მაღალი რეალური ზრდა აჩვენეს და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ეკონომიკურ ზრდაში. კრიზისამდელ პერიოდში მშპ-ის ზრდას, ძირითადად გაზრდილი „ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე" განაპირობებდა, რაც ძირითადად უცხოური კაპიტალის შემოდინებით ფინანსდებოდა. აღსანიშნავია, რომ 2010 წელს ეკონომიკური ზრდის აღნიშნული მოდელი შეიცვალა და ზრდის ძირითადი მამოძრავებელი „საქონლისა და მომსახურების ექსპორტი" გახდა. ეს ფაქტი უფრო მდგრადი ზრდის წინაპირობაა და, შესაბამისად, ეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობის მხრივ ნაკლები რისკების შემცველია. 2011 წელს საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა. რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის წლიურმა მაჩვენებელმა 7 პროცენტს მიაღწია. 2012 წელს ქვეყნის რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი 6.1 პროცენტით გაიზარდა. საქართველოს ეკონომიკა მაღალი ტემპებით 2012 წლის პირველი სამი კვარტლის განმავლობაში იზრდებოდა. წლის ბოლოს ზრდის ტემპმა იკლო, რაც განსაკუთრებით მკვეთრად მეოთხე კვარტალში გამოვლინდა, როდესაც ზრდამ 2.8 პროცენტი შეადგინა". აღნიშნული ფაქტი შეგვიძლია ავხსნათ იმით, რომ 2012 წლის 1 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, რის შემდგომაც ქვეყანაში შეიცვალა საპარლამენტო უმრავლესობა და მმართველი ხელისუფლება. როგორც წესი, ნებისმიერ ქვეყანაში წინასაარჩევნო პერიოდი გამოირჩევა ინვესტიციების და ეკონომიკური აქტივობის შემცირებით. ამის მიზეზი კი ის არის, რომ წინასაარჩევნო პერიოდის დროს იგრძნობა ინვესტორთა შფოთვა და გაურკვევლობა ქვეყნის პოლიტიკურ მომავალთან მიმართებაში.შესაბამისად, ბიზნესისთვის უფრო მიზანშეწონილია დაელოდოს მოვლენების განვითარებას.

2013 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა 3%-ს შეადგენდა, ხოლო მომდევნო წელს კი კიდევ უფრო გაუმჯობესდა - 5%. თუმცა 2015 წლის წინასწარი

მონაცემების მიხედვით, ისევ კლება განიცადა და 2013 წლის ნიშნულს გაუტოლდა. 2015 წლის რეალური მშპ-ს კლება, გარკვეულ წილად, გამოიწვია რეგიონში განვითარებულმა სავალუტო კრიზისებმა, რომელიც საქართველოსთვისაც საკმაოდ მტკივნეული აღმოჩნდა.

ცხრილი N2: საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები 2010-15 წლებში

	2010	2011	2012	2013	2014	2015*
მშპ მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი	20,743	24,344	26,167	26,847	29,151	31,692
მშპ მუდმივ 2010 წლის ფასებში, მლნ. ლარი	20,743	22,241	23,654	24,455	25,586	26,296
მშპ-ის რეალური ზრდა, პროცენტული ცვლილება	6	7	6	3	5	3
მშპ დეფლატორი, პროცენტული ცვლილება	9	10	1	-1	4	6
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), ლარი	4,676	5,447	5,818	5,988	6,492	8,498
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	2,623	3,231	3,523	3,600	3,676	3,743
მშპ მიმდინარე ფასებში, მლნ. აშშ დოლარი	11,637	14,439	15,847	16,140	16,508	13,960

* წინასწარი მონაცემებით

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge; გადამოწმებულია ჩვენს მიერ 07. 04.2016

რაც შეეხება მშპ-ს დეფლატორის მაჩვენებელს, 2011-2013 წლებში კლებადი ტენდენცია შეინიშნება. 2013 წლის ბოლოს უარყოფითი ნიშნულიც კი დაფიქსირდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ წელს ინფლაციის დონე შემცირდა, მომატების ნაცვლად. თუმცა, როგორც ცხრილი N2 გვიჩვენებს, მომდევნო წლებში საგრძნობლად იმატა და 4-6 პროცენტს მიაღწია 2014-2015 წლებში, შესაბამისად.

სამომხმარებლო ფასების ინდექსის საშუალო წლიურის მონაცემებით, ინფლაციის მაქსიმალური დონე 2011 წელს დაფიქსირდა, როგორც ცხრილ N3-შია წარმოდგენილი. ხოლო 2012 წელს საგრძნობლად შემცირების შემდეგ, კვლავ აღმასვლა შეინიშნება 2013-2015 წლების მიხედვით.

ცხრილი N3: სამომხმარებლო ფასების ინდექსი (ინფლაცია)

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
საშუალო წლიური წინა წლის საშუალო წლიურთან	109	110	102	107	109	99	100	103	104
დეკემბერი წინა წლის დეკემბერთან	111	106	103	111	102	99	102	102	105

*** წინასწარი მონაცემებით**

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. გადამოწმებულია ჩვენს მიერ 07.04.16

საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის ინიციატივით 2012 წლიდან სამომხმარებლო კალათაში შემცირდა სურსათის ხვედრითი წილი. ზოგადად, ნაკლებად განვითარებულ ან/და განვითარებად ქვეყნებში, სურსათის ხვედრითი წილი სამომხმარებლო კალათაში საკმაოდ მაღალია. აქედან გამომდინარე, მაღალია ურთერთკავშირი ინფლაციის მაჩვენებელსა და სურსათის ფასების ცვლილებას შორის. თავის მხვრივ, სურსათის ფასები მნიშვნელოვანი ცვლილებებით ხასიათდება საერთაშორისო ბაზრებზე, რაც ინფლაციაზე აისახება საერთო ჯამში. ანუ ინფლაციის მერყეობა გარკვეულწილად სურსათის ფასების ცვლილებით არის გამოწვეული[3.].

საგარეოვაჭრობა, საგარეოვალიდავალუტისგაცვლითიკურსი.ეკონომიკის თეორიაში, ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე დიდ რისკ-ფაქტორად ითვლება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი. შესაბამისად, უპრიანი იქნება თუ ამ კუთხითაც გავაკეთებთ საქართველოს ბოლო წლების მოკლე ანალიზს. ცხრილი N4-ის მიხედვით, 2011-2014 წლებში შეინიშნება მიმდინარე ანგარიშის დეფიცითის მატება, სადაც 2014 წელს უარყოფითი სალდო პიკს აღწევს - 5,733 მილიონი აშშ დოლარი. ეს გარკვეულწილად, გამოწვეული იყო ლარის მაღალი გაცვლითი კურსით (ნახაზი N1), ვინაიდან ადგილობრივი ვალუტის გაცვლითი კურსის სიძლიერე სხვა ვალუტებთან მიმართბაში, სტიმულს აძლევს იმპორტის ზრდას. თავის მხვრივ კი, იმპორტის ზრდა

ნეგატიურად მოქმედებს ქვეყნის სავაჭრო ბალანსზე (ცხრრრN4).მართლაც, 2011-2014 წლების მანძილზე შეიმჩნევა იმპორტის მზარდი ტენდენცია, რაც საგარეო ვაჭრობის ნეგატიურ სალდოშიც აისახება[3.].

ცხრილი N4: საგარეო სავაჭრო ბრუნვა და საგარეო ვაჭრობის სალდო (2007-2015 წლები)

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015*
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	6,444	7,797	5,634	6,935	9,225	10,413	10,921	11,454	9,932
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB)	1,232	1,495	1,134	1,677	2,187	2,376	2,910	2,861	2,204
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი(CIF)	5,212	6,302	4,500	5,257	7,038	8,037	8,012	8,593	7,728
საგარეო ვაჭრობის სალდო	-3,980	-4,806	-3,367	-3,580	-4,852	-5,661	-5,102	-5,733	-5,524

*** წინასწარი მონაცემებით**

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური,გადამოწმებულია ჩვენს მიერ 07.04.16

2015 წელს ლარის გაცვლითი კურსის მკვეთრი გაუფასურების გამო (40%-მდე) იმპორტი შემცირდა 865 მლნ. დოლარით, ანუ დაახლოებით 10%-ით. ამასთან, რეგიონში პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა საქართველოდან საქონლის იმპორტზე. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან რეგიონალური ქვეყნები ტრადიციულ საექსპორტო ბაზარს წარმოადგენენ. შედეგად, 2015 წელს ექსპორტის მოცულობა შემცირდა 23%-ით და დაეცა თითქმის 2011 წლის დონეზე. შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2015 წელს ქართული ვალუტის გაუფასურება, დიდწილად, იყო დაკავშირებული საგარეო ფაქტორებთან. ამერიკული დოლარი გამყარდა ჩვენი რეგიონის პრაქტიკულად ყველა ვალუტასთან მიმართებაში: რუსული რუბლი, თურქული ლირა, აზერბაიჯანული მანათი, უკრაინული გრივნა და სომხური დრამი.აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ დოლარი გამყარდა ევროსთან და სხვა წამყვან ვალუტებთან მიმართებაშიც. მსოფლიო ბაზარზე დოლარის გამყარებამ გამოიწვია ლარის გაუ-

ფასურება დოლართან მიმართებაში. ამ ყველაფერს დაემატა რეგიონის არასტაბილური მდგომარეობა, რომელიც გამოწვეული იყო უკრაინაში მიმდინარე ომით და რუსეთისთვის სანქციების დაწესებით დასავლეთის ქვეყნების მიერ.

ნახაზი N1:ოფიციალური გაცვლითი კურსი საქართველოში (2011-2015წწ.)



*** წინასწარი მონაცემებით**

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი www.nbg.ge გადამოწმებულია ჩვენს მიერ 07.04. 2016

საერთო ჯამში კი, როგორც იმპორტის ასევე ექსპორტის შემცირების შედეგად საგარეო ვაჭრობის სალდო მცირედით, 209 მლნ. დოლარით გაუმჯობესდა.

რეგიონალურმა და ადგილობრივმა ეკონომიკურმა კრიზისებმა, შესაძლოა შეამციროს კაპიტალის ნაკადები (მაგ. ქვეყნის ექსპორტი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და სხვა). განსაკუთრებით კი ეს თვალსაჩინოა ისეთი პატარა და განვითარებადი ქვეყნების მაგალითზე, როგორიც საქართველოა. ამიტომაც, არც თუ ისე იშვიათად მიმართავენ სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტებსა და პარტნიორ ქვეყნებს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის აღმოსაფხვრელად. სანაცვლოდ კი იზრდება საგარეო ვალი. როგორც ცხრილი N5 გვიჩვენებს, საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი წლების მანძილზე იზ-

რდებოდა. 2015 წლისთვის კი თითქმის 15 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა.

ცხრილი N5: მთლიანი საგარეო ვალი 2011-2015 წლები (ათასი აშშ დოლარი)

	2011	2012	2013	2014	2015*
სამთავრობო სექტორი	3,691,253	4,245,807	4,185,083	4,249,895	4,385,183
ეროვნული ბანკი	815,400	582,320	338,205	251,759	219,244
ბანკები	2,119,618	2,468,535	2,646,886	2,681,298	2,946,872
სხვა სექტორები	2,239,393	3,328,028	3,471,550	3,552,688	4,431,228
არასაბანკო საფინანსო კორპორაციები	99,338	171,650	186,931	220,070	242,062
კომპანიათაშორისი სესხები	2,724,935	2,662,851	2,648,357	3,004,066	2,991,395
მთლიანი საგარეო ვალი	11,590,599	13,287,541	13,290,082	13,739,705	14,973,923

*** წინასწარი მონაცემებით**

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი www.nbg.ge გადამოწმებულია ჩვენს მიერ 07.04. 2016

როგორც ვხედავთ, ჩვენი ქვეყნის მიმდინარე ანგარიში კვლავინდებურად ნეგატიურია, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ გაცილებით მეტი ღირებულება გაედინება, ვიდრე შემოედინება საქართველოში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, მზარდი დეფიციტი საქონლის ქვეანგარიშზე (ცხრილი N6), რაც თავის მხრივ, გამოწვეულია სამამულო სამრეწველო სექტორის განვითარების დაბალი დონით.

ცხრილიN6: მიმდინარე ანგარიში და წმინდა სესხები მლნ. აშშ დოლარი (2007-2015 წწ.)

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015*
მიმდინარე ანგარიში	-1,991	-2,810	-1,140	-1,198	-1,842	-1,853	-935	-1,748	-1,644
საქონელი	-2,889	-3,837	-2,417	-2,628	-3,500	-4,226	-3,506	-4,295	-4,320
მომსახურება	172	25	352	548	754	1,115	1,422	1,318	1,469
პირველადი შემოსავალი	37	-58	-43	-217	-425	-149	-316	-204	-402
მეორადი შემოსავალი	688	1,060	968	1,098	1,329	1,408	1,466	1,434	1,608
კაპიტალის ანგარიში	83	107	178	198	146	132	133	108	62
წმინდა დაკრედიტება(+) / წმინდა სესხება(-)	-1,908	-2,704	-963	-1,000	-1,696	-1,721	-802	-1,640	-1,583

* წინასწარი მონაცემებით

წყარო:https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304Nsagareoseqtori საქართველოს ეროვნული ბანკი; გადამოწმებულია ჩვენს მიერ 08.04. 2016

ნაერთი ბიუჯეტი, შემოსავლები და ხარჯები.2015 წლის მონაცემების თანახმად, კონსოლიდირებული ბიუჯეტის მთლიანმა შემოსავლებმა 8,938 მილიონი ლარი შეადგინა (ნახაზი N2), რაც 9%-იანი ზრდაა 2014 წლის შესაბამის მონაცემთან შედარებით, ხოლო ნაერთმა ხარჯებმა 8,156 მილიონი ლარი, რაც 5%-იანზრდას წარმოადგენს 2014 წლის შესაბამის მონაცემთან შედარებით. შედეგად, 2015 წელს გაიზარდა საოპერაციო სალდო 395 მილიონი ლარით და შეადგინა 783 მილიონი ლარი.

ნახაზი N2: ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები, ხარჯები და სალდო, მლნ. ლარი (2007-2015)



*** წინასწარი მონაცემებით**

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, გადამოწმებულია ჩვენს მიერ 08.04. 16

როგორც ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის (EPRC) ნაშრომშია (2012 წლის მიმოხილვა: საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა, გვ. 33)აღნიშნული, მრავალი ემპირიული კვლევა ადასტურებს, რომ: „სამთავრობო ხარჯების მთელი მოცულობა ეფექტიანობის მაქსიმალურ დონეს აღწევს, როდესაც მშპ-ის 13-14%-ს შეადგენს. მშპ-ში სამთავრობო ხარჯების ყოველი დამატებითი პროცენტული წილი ეკონომიკური ზრდის ტემპის 0.1-0.4%-იან შენელებას იწვევს. როდესაც

ხარჯები მშპ-ის 30%-საღწევს, ისინი უარყოფითად მოქმედებს ზრდაზე, ანუ, სამთავრობო ხარჯების უმნიშვნელო ზრდა ეკონომიკის ზრდაზე დადებითად არა ისახება“. ნახაზი N3 ქვემოთ აჩვენებს,რომ საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი 2010 წლიდან მოყოლებული სტაბილურად 28%-ს შეადგენს მიმდინარე მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, ხოლო ხარჯები მერყეობს 24%-27% პროცენტის ფარგლებში.

ნახაზი N3: კონსოლიდირებული შემოსავლები და ხარჯები მშპ-თან მიმართებაში



*** წინასწარი მონაცემებით**

წყარო: http://geostat.ge/?action=page&p_id=313&lang=geo საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, გადამოწმებულია ჩვენს მიერ 08.04. 2016

საქართველოს მაკროეკონომიკური ინდიკატორების სხვადასხვა ფაქტორებით ცვლილების შედეგების მიხედვით მნიშვნელოვანია ვიმსჯელოთ ფინანსური ინტეგრაციის დონეზე და როლზე საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში.

საქართველოს ფინანსური ინტეგრაციის მიმოხილვა.ქვეყნის ფინანსური ინტეგრაციის დონე ასახავს: როგორია მისი მაკროეკონომიკური პოლიტიკა, საინვესტიციო გარემო, ეკონომიკური ზრდის პერსპექტივები, სტაბილურობის ინდიკატორები, და რაც მთავარია, რამდენად დასაშვებია უცხოური ფინანსური ნაკადების თავისუფლად შემოსვლა და გასვლა.

ამ თვალსაზრისით, საქართველო მსოფლიოს ყველაზე ლიბერალური და გახსნილი ქვეყნების რიგებშია. უნდა აღინიშნოს რომ 2000 წლამდე უცხოური ფინანსური ნაკადების მოძრაობა ძალიან მცირე იყო, რაც პირველ რიგში უკავშირდება ქვეყნის ნაკლებად მიმზიდველ საინვესტიციო კლიმატს. გავრცელებული პრობლემები, როგორიცაა კორუფციისა და ბიუროკრატიის მაღალი დონე, სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესში ჩარევა, საგანგაშო კრიმინოგენული ვითარება უარყოფითად მოქმედებდა უცხოელ ინვესტორთა ინტერესზე და შესაბამისად, უცხოური ფინანსური ნაკადების მოცულობაზე.ცხრილი N8 ცხადად გვიჩვენებს, რომ 2000 წლიდან მოყოლებული საქართველოს საგადასახდელო ბალანსის ფინანსურ ანგარიშში ძირითადი გატარებები ხდებოდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ქვეანგარიშზე, ასევე მნიშვნელოვანი გატარებები იყო პორტფელური ინვესტიციებისა და სხვა ინვესტიციების ანგარიშებზე. განსხვავებით ამისგან, ბრუნვა სარეზერვო აქტივებისა და ფინანსური წარმოებულების ანგარიშებზე საკმაოდ მოკრძალებული იყო.

ცხრილი N8: საქართველოს ფინანსურ ანგარიშზე ბრუნვა 2000-2015 წწ. (მლნ აშშ დოლარი)

	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]

* წინასწარი მონაცემებით

წყარო:https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304Nsagareoseqtori

საქართველოს ეროვნული ბანკი; გადამოწმებულია ჩვენს მიერ 21.05. 2016

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ისტორიულად საქართველოში უფრო მეტი უცხოური ფინანსური ნაკადები შემოდიოდა, ვიდრე გადიოდა ქვეყნიდან. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშის მაჩვენებელი წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს უარყოფითი სავაჭრო ბალანსის აღმოსაფხვრელად.

ნახაზი N4-ის მონაცემების თანახმად, წმინდა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა (სხვაობა საქართველოში ინვესტირებასა და საზღვარგარეთ ინვესტირებას შორის) 2000 წელს 128 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 2015 წლის წინასწარი მონაცემებით 1,209 მლნ. აშშ დოლარი. აღნიშნული მიუთითებს, რომ ბოლო 15 წლის განმავლობაში წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაიზარდა თითქმის 10-ჯერ, რაც თავისთავად შესანიშნავი შედეგია. საყურადღებოა, რომ წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეკორდულ ნიშნულს 2007 წელს მიაღწია, როცა მისი მაჩვენებელი 1,676 მლნ აშშ დოლარი იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წლის შემდეგ, პირველად მხოლოდ 2014 წელს წმინდა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა გადააჭარბა ერთ მილიარდ აშშ დოლარს.

ნახაზი N4: წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2000-2015 წწ. (მლნ. აშშდოლარი)



*** წინასწარი მონაცემებით**

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი; გადამოწმებულია ჩვენს მიერ 21.05. 2016

თუ 2015 წლის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს სექტორების მიხედვით დავყოფთ, აღმოვაჩენთ, რომ ქვეყნის წამყვანი სფერო ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა გახლდათ; მას მოსდევს საფინანსო სექტორი და ენერგეტიკა (ნახაზი N5).მონაცემების (ინვესტიციების) ამგვარად დანაწევრება საშუალებას აძლევს სახელმწიფო ორგანოებს უფრო დეტალური ანალიზი გააკეთონ და შეიმუშაონ შესაბამისი პოლიტიკა (მაგ. თუ როგორ წაახალისონ უცხოური ინვესტიციების შემოდინება რომელიმე კონკრეტულ სექტორში).

ნახაზი N5: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით(2015წ.)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის როვნული სამსახური http://geostat.ge/cms/site_images/_ _Geo.pdf და http://www.investingeorgia.org/ გადამოწმებულია ჩვენს მიერ 07.04. 2016

ნახაზი N6 ცხადად მიუთითებს, რომ განსხვავებით წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისგან, წმინდა პორტფელური ინვესტიციების ბალანსი ხშირად იცვლებოდა დადებითიდან უარყოფითისკენ და პირიქით. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ პორტფელური ინვესტიციები სტაბილურობით არ გამოირჩევა და ქვეყნისთვის კრიზისულ სიტუაციებში ხშირად

ხდება ფინანსური ნაკადების ქვეყნიდან გასვლა. აღნიშნული ფაქტი - ანუ კაპიტალის მაღალი მობილობა მიუთითებს ქვეყნის გახსნილობისა და ფინანსური ინტეგრაციის საკმაოდ მაღალ დონეზე.

ნახაზი N6: წმინდა პორტფელური ინვესტიციები 2000-2015 წწ. (მლნ. აშშდოლარი)

*** წინასწარი მონაცემებით**

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი; გადამოწმებულია ჩვენს მიერ 21.05. 2016

წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და წმინდა პორტფელური ინვესტიციების დინამიკა წლების მიხედვით საკმაოდ კარგ წარმოდგენას იძლევა იმაზე, თუ რა ურთიერთმიმართება არსებობს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას, რეფორმებს, სტაბილურობას და მის ფინანსურ ინტეგრაციას შორის გლობალურ ფინანსურ სისტემაში. ვარდების რევოლუციის შემდგომი ორი წელი მარტივი არ ყოფილა საქართველოსთვის. პირველივე წლებში ინვესტიციების გარკვეული ზრდა გამოიკვეთა (2003 წლის მაჩვენებლებთან შედარებით), თუმცა საინვესტიციო ბუმით 2006-2007 წელი გამოირჩევა. 2007 წლის ბოლოდან 2008 წლის ჩათვლით საქართველოსთვის ერთ-ერთი უმძიმესი პოლიტიკური და ეკონომიკური წელი გახლდათ - აგვისტოს ომი და მსოფლიო ფინანსური კრიზისი. ეს ფაქტორები სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ საქართველოში

ინვესტიციების მასშტაბი მინიმუმამდე დასულიყო. სერიოზული კრახისგან თავის დაღწევა ქვეყანამ 2008 წლის ომის შედეგად დონორების მიერ საქართველოსთვის გამოყოფილ დახმარებების წყალობით მოახერხა.

დასკვნა

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკურ ისტორიას საკმაოდ რთული პერიოდები აქვს გამოვლილი. ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შეჯამებისთვის საყურადღებოა ბოლო წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის მზარდი ტენდენცია (ცხრილი N1). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2012 წელს უმუშევრობის დონე საქართველოში 15% იყო, ხოლო 2015 წელს კი 12%-მდე დაიწია, რაც, რა თქმა უნდა, კიდევ ერთი დადებითი ფაქტორია ოპტიმისტური პროგნოზებისათვის.ქვეყნის ბიუჯეტს რაც შეეხება, აქაც გარკვეული სტაბილურობაა მიაღწეული შემოსავლებისა და ხარჯვით ნაწილებში. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქვეყანას არ გააჩნია სუსტი მხარეები, მაგალითად, როგორიცაა სავალუტო კრიზისი, სოციალური პრობლემები და სხვა. პატარა ქვეყნების (მაგ. როგორიც საქართველოა) შემდგომი ეკონომიკური ზრდა-განვითარება დამოკიდებულია, ერთის მხვრივ, სწორ და ოპტიმალურ სტრატეგიულ გეგმაზე, რომელსაც სახელისუფლებო ორგანოები შეიმუშავებენ. მეორე მხვრივ კი იმაზე, თუ რამდენად შეძლებს ქვეყანა იმ უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილებას, რაც საგარეო ფაქტორებით არის გამოწვეული. საქართველოს ეკონომიკა, როგორც ზემოაღნიშნულ ანალიზებიდან დავინახეთ, საკმაოდ მკვეთრად რეაგირებს რეგიონსა თუ მსოფლიო ბაზრებზე განვითარებულ მოვლენების კვალდაკვალ. ნახაზი N4 გვიჩვენებს, რომ მსოფლიო ფინანსური კრიზისის დროს (რუსეთ-საქართველოს ომის გარდა) პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რადიკალურად შემცირდა. ასევე, პორთფელური ინვესტიციების უპრეცედენტო ვარდნა დაფიქსირდა ევროპაში განვითარებული სავალო კრიზისის გამო (ნახაზი N6), რომელიც პიკს 2010-2013 წლებში მიაღწია.

ნახაზი N1 მიგვითითებს ლარის გაცვლითი კურსის ვარდნაზე დოლართან მიმართებაში, რაც 2014 წელს რეგიონში განვითარებული ეკონომიკური და სავალუტო კრიზისებით არის გამოწვეული. ეს ყველაფერი იმის მანიშნებელია, რომ საქართველოს გლობალურ ფინანსურ სისტემაში ინტეგრირების დონე საკმაოდ მაღალია, და მაშასადამე, გარე ფაქტორებით გამოწვეული რისკებიც დიდია. აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ოფტიმალური მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარების მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნისათვის.

გარდა ამისა, უფრო დიდი ყურადღება უნდა გამახვილდეს ქვეყნის ნეგატიური სავაჭრო ბალანსის აღმოსაფხვრელად, გაძლიერდეს ადგილობრივი წარმოების წახალისება, წმინდა ექსპორტის უარყოფითი ნიშნულის კორექტირება ექსპორტის გაზრდითა და იმპორტის შემცირების მეშვეობით. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში აქტიურად განიხილება შიდა კაპიტალის ბაზრის ფორმირების და გააქტიურების საკითხი, რაც ერთმნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საქართველოს საფინანსო სექტორს და ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. თუმცა, ამ კუთხით საგრძნობი ნაბიჯები ჯერ არ განხორციელებულა. ვინაიდან საქართველოს შიდა კაპიტალის ბაზარი კვლავინდებურად განუვითარებელია, ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული დაფინანსების გარე წყაროებზე, კერძოდ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) Prasad, E., Rogoff, K., Wei, S-J., Kose, M.A., (2010): Financial Globalization and Economic Policies;

2) Bumann, S., Hermes, N., Lensink, R., (2012): Financial liberalisation and economic growth: A meta-analysis;

3) ც. ძოწენაძე, (2013): „საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის ეკონომიკური პრობლემები და პერსპექტივები“;

4) ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, (2013): 2012 წლის მიმოხილვა, საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა;

5) საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, http://www.geostat.ge/;

6) საქართველოს ეროვნული ბანკი, https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2.

REFERENCES:

1) Prasad, E., Rogoff, K., Wei, S-J., Kose, M.A., (2010): Financial Globalization and Economic Policies;

2) Bumann, S., Hermes, N., Lensink, R., (2012): Financial liberalisation and economic growth: A meta-analysis;

3) Ts. Dzotsenadze, (2013): „Economic problems and prospects of Georgia's integration with Europe";

4) Economic Policy Research Center, (2013): Review of 2012, Economic Outlook of Georgia;

5) National statistics center of Georgia, http://www.geostat.ge/;

6) National Bank of Georgia, https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2.

THE IMPACT OF FINANCIAL INTEGRATION ON THE CHANGES OF MAIN MACROECONOMIC INDICATORS OF GEORGIA

Asie Tsintsadze,
Professor at Batumi Shota
Rustaveli State University
Beka Phutkaradze,
PhD candidate at Batumi Shota
Rustaveli State University

RESUME

The paper aims to analyze the main macroeconomic indicators of Georgia over the years and to determine the impact of financial integration on these figures. Analyzes and recomendations used in this article can be applied by the relevant governmental bodies.

Key words: financial integration, macroeconomic indicators, economic growth.

სასესხო განაკვეთების პრობლემა კომერციულ ბანკებში და მათი რეგულირების აუცილებლობა

მარიამ ხაჩიძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში განხილულია საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებში არსებული საპროცენტო განაკვეთები, განაკვეთების ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორები და საკრედიტო პორტფელის თავისებურებანი. გამახვილებულია ყურადღება ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა ერთი მსესხებლის შემოსავლის გათვალისწინებით გაანგარიშება მასზე გასაცემი კრედიტების ოდენობაზე. თანამედროვე საბანკო ურთიერთობებში ერთგვარ პრობლემად გამოიკვეთა ერთ მსესხებელზე დამტკიცებული სესხების რაოდენობრივი ზრდა საშუალო და საშუალოზე დაბალი შემოსავლის პირობებში.

ნაშრომში მოყვანილია ერთ-ერთი მსოფლიოში ცნობილი აუდიტორული კომპანიის მიერ საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების საბანკო სისტემის, კონკრეტულად კი საპროცენტო განაკვეთებისა და საკრედიტო პორტფელის შედარებითი ანალიზი და კვლევის შედეგები.

შესავალი

საქართველოს ეკონომიკაში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნების ეკონომიკებში ერთ - ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საბანკო სექტორი. **საბანკო სისტემა** ქვეყნის ეკონომიკის მეტად რთული და ამასთან, აუცილებელი მექანიზმია. მასზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთლიანად ეკონომიკური სისტემის ქმედითუნარიანობა.

წინამდებარე სტატიაში განხილულია საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებში არსებული საპროცენტო განაკვეთები, განაკვეთების ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორები და საკრედიტო პორტფელის თავისებურებანი. გამახვილებულია ყურადღება ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა ერთი მსესხებლის შემოსავლის გათვალისწინებით გაანგარიშება მასზე გასაცემი კრედიტების ოდენობაზე. თანამედროვე საბანკო ურთიერთობებში ერთგვარ პრობლემად გამოიკვეთა ერთ მსესხებელზე დამტკიცებული სესხების რაოდენობრივი ზრდა საშუალო და საშუალოზე დაბალი შემოსავლის პირობებში.

ნაშრომში მოყვანილია ერთ-ერთი მსოფლიოში ცნობილი აუდიტორული კომპანიის მიერ საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების საბანკო სისტემის, კონკრეტულად კი საპროცენტო განაკვეთებისა და საკრედიტო პორტფელის შედარებითი ანალიზი და კვლევის შედეგები.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია დეტალურად იქნეს შესწავლილი და განხილული კომერციული ბანკების ოპერირების თავისებურებანი, ფუნქციონირების მთავარი ასპექტები, საკრედიტო პროდუქტები და არსებული საპროცენტო განაკვეთები.

საკვანძო სიტყვები:

საბანკო სისტემა; საპროცენტო განაკვეთები; რეფინანსირების განაკვეთი; ბანკების მოგება; საკრედიტო პორტფელი; საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებში არსებული საპროცენტო განაკვეთები;

ძირითადი ტექსტი

საქართველოს ფინანსური სისტემა, ისევე როგორც მსოფლიო ფინანსური ბაზრები 2014- 2015 წელს რთული გამოწვევებით ხასიათდება. სირთულეები დიდწილად გამოწვეული იყო მსოფლიოში არსებული ფინანსური კრიზისით, ეკონომიკური ზრდის შენელებითა და რიგ რეგიონებში (მაგ: ჩვენს მეზობელ რუსეთსა და უკრაინაში) რთული გეოპოლიტიკური ვითარებით. ევროზონის ქვეყნებში სწორედ ამ პერიოდში დაიწყო საპროცე-

ნტო განაკვეთების გადახედვა, რათა მომხდარიყო მაღალი საპროცენტო განაკვეთების ოპტიმალურ ნიშნულამდე დაყვანა. ვითარებას ართულებს, როგორც ავღნიშნეთ, ეკონომიკაში მიმდინარე უარყოფითი ცვლილებები: ეკონომიკური აქტივობის დაბალი ტემპები, რეგიონში არსებული უმუშევრობის მაღალი დონე, ასევე, ვალუტის მაღალი გაცვლითი კურსის არსებობა.

როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნების, ისე საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს ფინანსური სექტორის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. აღნიშნულის მისაღწევად ცენტრალური ბანკი კომერციულ ბანკებს უწესებს გარკვეულ მოთხოვნებს და ახორციელებს ფინანსური ანგარიშგებისა და ოპერაციების სისტემატიურ მონიტორინგს.

2014 წლის 31დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს საბანკო სექტორი 21 კომერციული ბანკით იყო წარმოდგენილი, მაგრამ 2015 წლისათვის ეს რაოდენობა შემცირდა, რადგან განხორციელდა სს „ბანკი კონსტანტას“ შერწყმა სს „თიბისი ბანკთან“ და სს „პრივატბანკის“ შეერთება სს „საქართველოს ბანკთან“. ასევე, მოხდა სს „საქართველოს ბანკის“ შემდგომ მეორე უმსხვილესი კომერციული ბანკის სს „თიბისი ბანკის“ შესვლა ლონდონის საფონდო ბირჟაზე. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან საფონდო ბირჟის მოთხოვნები ხელს უწყობს კომერციულ ბანკებში გამჭვირვალეობის ზრდასა და ინვესტორთა მხრიდან მეტ დაინტერესებას.

ზემოაღნიშნულმა პროცესებმა გამოიწვია ადგილობრივ ბანკებს შორის კონკურენციის ზრდა და გამოიკვეთა საპროცენტო განაკვეთების კლების ტენდეცია.

უშუალოდ კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელთან მიმართებაში აღსანიშნავია საცალო სესხების დიდი მოცულობით ზრდა კორპორატიულ, მცირე თუ საშუალო სესხებთან შედარებით. საცალო საკრედიტო სესხებს შეადგენს: იპოთეკური, სამომხმარებლო და მომენტალური განვადებები, რომლის წლიური ზრდის ტემპმა 63% შეადგინა.[1]

2015 წლიდან მოყოლებული დღემდე მონაცემებს თუ გა-

1 საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში 2014

დავხედავთ წინა წლებთან შედარებით, ერთი მნიშვნელოვანი დეტალია აღსანიშნავი. ეს არის ერთ მსესხებელზე გაცემული ფინანსური ვალდებულებების რაოდენობრივი ზრდა. მიუხედავად მაღალი საპროცენტო განაკვეთებისა, უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლისა და დასაქმებულ მოქალაქეთა დიდი ნაწილის დაბალი შემოსავლისა, საგრძნობლად გაიზარდა ფინანსური ტვირთი თითოეულ მსესხებელზე. აღნიშნულ პროცესებს ბიძგი მისცა საბანკო სექტორში დაფინანსების ზრდამ, უცხოური ფულის დიდი ოდენობით შემოდინებამ. თავის მხრივ, კომერციულმა ბანკებმა შეარბილეს მოთხოვნები და გამარტივებული წესებით: შემოსავლის დადასტურების გარეშე დაიწყეს სესხების გაცემა, რამაც გარდა სესხების სიმრავლისა, უკვე შემდგომში გამოიწვია ვადაგადაცილებული - ე.წ. გაფუჭებული სესხების წილის ზრდა მთლიან საკრედიტო პორტფელში.

აუცილებლად მიგვაჩნია, ერთ მსესხებელზე გაცემული სესხების რაოდენობრივ ზრდამდე განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მსესხებლის, თანამსესხებლის, თავდების და შემდგომ მთლიანად მსესხებლის ოჯახის ყოველთვიურ ფინანსურ ხარჯებს: გადასახდელებს. ანუ მოხდეს, მსესხებლის წმინდა შემოსავლის გაანგარიშება და შემდგომ ამისა დადგენილი იქნეს ზღვრები: რა რაოდენობის ვალდებულებების დამტკიცებაა შესაძლებელი ერთ კონკრეტულ მსესხებელზე. ეროვნული ბანკი ამგვარ გრადაციას სთავაზობს კომერციულ ბანკებს[1]:

ყოველთვიურად სესხზე გადასახდელები	წმინდა შემოსავალი ეროვნულ ვალუტაში (GEL)
30%	1000<
35%	1000-2000
40%	2000-4000
45%	>4000

1 საქართველოს ეროვნული ბანკი: წლიური ანგარიში 2014. თბ. გრანულარული პორტფელი 2014წ.

როგორც ავღნიშნეთ მთლიან საკრედიტო პორტფელში დიდია მცირე საცალო სესხების წილი. საცალო სესხები სხვა საკრედიტო ვალდებულებებთან შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთით ხასიათდება. კომერციული ბანკები მაღალ პროცენტიანი სესხების არსებობას მეტი საოპერაციო ხარჯის არსებობით ამართლებენ და თვლიან, რომ მისაღები მომგებიანობის ნაწილს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რისკი გარკვეულწილად ამცირებს.

ეროვნული ბანკის მონაცემებით არსებულ კომერციულ ბანკებში შემდეგი საპროცენტო განაკვეთები მოქმედებს: ცხრილი N2

საბაზრო საპროცენტო განაკვეთები სესხებზე							
	საპროცენტო განაკვეთები სესხებზე, სულ	მათ შორის:					
		ეროვნული ვალუტით	აქედან:		უცხოური ვალუტით	აქედან:	
			იურ. პირებზე	ფიზ. პირებზე		იურ. პირებზე	ფიზ. პირებზე
2014	14.3-18.4 %	17.5-21.1%	11.2-13.0%	21.5-24.5%	10.5-12.9%	9.9-11.5%	11.6-15.6%
2015	14.8-16.4%	18.2-21.1%	11.5-13.7%	21.6-25.5%	10.2-11.7%	10.1-11.4%	10.4-12.7%
2016	14.9-17.1%	20.9-23.3%	14.0-14.5%	25.6-26.6%	9.9-10.5%	10.0-10.%	9.9-11.0%

ცხრილი N 2: წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

2015 – 2016 წლების მონაცემებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ კომერციულ ბანკებში უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ (იპოთეკურ) სესხებზე 11,8%-დან 13,9%-მდე მერყეობს საპროცენტო განაკვეთი. გაცილებით მაღალია არაუზრუნველყოფილი სესხების პროცენტი და ის 17,3-დან -18,3%-მდეა. აღსანიშნავია უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების წილი

და საპროცენტო განაკვეთები. ის 10,4% -11,3%-ს შეადგენს და მთლიანი საკრედიტო პორტფელის უდიდეს ნაწილს მოიცავს. მაშინ, როდესაც ლარში გაცემული სესხების ოდენობა 2015 წლის მონაცემებით 35,87-%ია, უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების წილი მთლიან პორტფელში 64%-ს აჭარბებს.[1]

როდესაც საუბარია საპროცენტო განაკვეთებსა და მათს ხელმისაწვდომობაზე, აუცილებელია შევეხოთ რეფინანსირების განაკვეთს (Official Discount Rate), რომლის ინსტრუმენტების გამართული ფუნქციონირება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დაბალი საპროცენტო განაკვეთების არსებობისათვის, სავალუტო ოპერაციებისას გრძელვადიანი და სტაბილური კურსის არსებობისთვის და ზოგადად საფინანსო სექტორის სტაბილურობისათვის. რეფინანსირების განაკვეთი არის ეკონომიკის რეგულირების საკვანძო მექანიზმი. როგორც ცნობილია, რეფინანსირების განაკვეთი 7,5%-მდე გაიზარდა და გახდა განმაპირობებელი საპროცენტო განაკვეთების ცვლილების.ის აღნიშნავს ოფიციალურ, ძირითად განაკვეთს, რომლის მიხედვითაც ცენტრალური ბანკები გასცემენ სესხს კომერციულ ბანკებზე. შესაბამისად, რაც უფრო მაღალია რეფინანსირების განაკვეთი, მეტად ძვირად უწევთ ბანკებს სესხის აღება. შესაბამისად საცალო თუ ბიზნეს დაკრედიტებისას (სესხების გაცემისას) თუკი მოხდება არსებული საპროცენტო განაკვეთების შენარჩუნება სესხებზე, მოგება ნაკლები უნდა მიიღონ, ან უნდა გაზარდონ საპროცენტო ნიშნული მაღალი მოგების მიღების მიზნით.

ჰოლანდიურმა საერთაშორისო აუდიტორულმა ფირმამ „KPNG“-მ, რომელიც მსოფლიოს წამყვან ოთხ აუდიტორულ კომპანიას შორის ერთ-ერთია, აღმოსავლეთ ევროპის, ბალკანეთის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში ჩაატარა შედარებითი კვლევა საქართველოსა და ამ ქვეყნებში არსებული საპროცენტო განაკვეთების არსებობაზე. კვლევა აქცენტირებული იყო კონკრეტულად საკრედიტო პროდუქტებზე. კვლევამ მოიცვა: აზერბაიჯანი, პოლონეთი, სერბეთი, სომხეთი და ყაზახეთი. გამოკვლეული იქნა იპოთეკური, უზრუნველყოფილი და არა-

1 „ბანკები და ფინანსები“ . ნოემბერი, 2015

უზრუნველყოფილი, კორპორატიული სესხები და საკრედიტო ბარათები. ისევე, როგორც ზემოხსენებულ ქვეყნებში არსებული ნომინალური და ეფექტური საპროცენტო განაკვეთები.

ზოგადი მონაცემებიდან საყურადღებოა უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი სესხების, საკრედიტო ბარათების საპროცენტო განაკვეთების მაგალითი[1]:

საკრედიტო ბარათებზე არსებული %(NC)	ეფექტური % განაკვეთი (NC)	ნომინალური % განაკვეთი (FC)
Georgia	36.0%	53.8%
Armenia	21.7%	26.9%
Azerbaijan	24.3%	27.5%
Kazakhstan	22.7%	30.6%
Poland	16.0%	23.8%
Serbia	26.7%	32.6%

ცხრილი N3: წყარო: KPMG Cross-Country Comparative Research on Credit Effective Interest Rates

ქვეყანა (NC)	ეფექ % არაუზრუნ. სესხები	ნომინ. % არაუზრ. სესხები	ეფექ. % სამომხ სესხები (უზრუნველყ)	ნომინ % სამომხ. სესხი (უზრუნველყ)
Georgia	15.1%	18.8%	15.1%	19.2%
Armenia	24.0%	29.9%	24.0%	29.3%
Azerbaijan	22.0%	25.0%	19.4%	21.7%
Kazakhstan	16.4%	19.2%	14.4%	17.1%
Poland	14.3%	17.6%	11.5%	13.7%
Serbia	20.5%	26.1%	21.2%	25.7%

ცხრილიN4: წყარო: KPMG Cross-Country Comparative Research on Credit Effective Interest Rates

1 KPMG Cross-Country Comparative Research on Credit Effective Interest Rates. 2014. March 11.

მაშინ როდესაც, საკმაოდ მაღალ პროცენტში გასცემენ კომერციული ბანკები სესხებს, 2- 3 ჯერ დაბალია მათ მიერ დარიცხული სარგებელი ბანკებში განთავსებულ დეპონირებულ (ვადიანი თუ მოთხოვნამდე დეპოზიტები) თანხებზე. ჯერ კიდევ 2011 წლიდან მოყოლებული მსოფლიო ბანკის სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ვნახავთ: გარდა იმისა, რომ კრედიტების სიძვირით საქართველო მე5- მე-7 ადგილზეა, ერთ - ერთი იმ ქვეყანათაგანია, სადაც შეუსაბამოდ დიდია სხვაობა სესხის პროცენტსა და დეპოზიტზე დარიცხულ საპროცენტო სარგებელს შორის. თუკი განვითარებულ ქვეყნებში სხვაობა მაქსიმუმ 3 – 4%-ს შორის მერყეობს, საქართველოში ეს მაჩვენებელი 15-16%-ია. [1]

როგორც ავღნიშნეთ, კრედიტების სიძვირეს ბანკთაშორისი კონკურენციაც განაპირობებს. თუმც სტატისტიკური მონაცემების მიხედვით როგორც სესხების, ისე დეპოზიტების პორტფელის 70% - 75% კონცენტრირებულია სამ უმსხილეს კომერციულ ბანკში. ესენია: „თიბისი ბანკი“, „საქართველოს ბანკი“და „ლიბერთი ბანკი“.

აღსანიშნავია, რომ ძირითადად კომერციული ბანკების მოგებაში უდუდესი წვლილი საპროცენტო შემოსავლებზე მოდის და განპირობებულია როგორც საცალო საბანკო დაკრედიტებაში არსებული მაღალი საპროცენტო სარგებლით, ასევე რაოდენობრივად დიდი პორტფელით. იგივეს ვერ ვიტყვით კორპორატიულ, მცირე და საშუალო სესხებზე, რომელთა შემოსავლიანობაც და მოცულობაც კლების ტენდენციით ხასიათდება.

მიუხედავად ეკონომიკური სირთულეებისა, კრედიტების სიძვირისა და მაღალი გაცვლითი კურსისა ერთი რამ ცხადია: კომერციულმა ბანკებმა 2013 წლის 389,1 მლნ ლარის მოგება გააუმჯობესეს და 2014 წელი 474,8 მლნ ლარის მოგებით დაასრულეს. რაც შეეხება 2015 წელს, კომერციული ბანკების წმინდა მოგემამ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და ნახევარ მილიარდ ლარს გადააჭარბა[2].

1 World Bank, Annual report 2011.

2 „ბანკები და ფინანსები“ 2015. ნოემბერი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ბანკები და ფინანსები“ . ნოემბერი, 2015
2. საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში 2014
3. საქართველოს ეროვნული ბანკი; საინფორმაციო ბიულეტენი;
4. Деньги. Кредит. Банки: Учебник для ВУЗов / Е.Ф. Жуков, Л.М. Максимова, А.В. Печникова и др.; под ред. Е.Ф. Жукова. – М.: ЮНИТИ, 2007.
5. Е.В. Иода, И.Р. Унанян. ,,Основы Организации Деятельности Коммерческого Банка,, изд: ТГТУ, Тамбов, 2003
6. KPMG Cross-Country Comparative Research on Credit Effective Interest Rates. 2014. March
7. World Bank, Annual report 2011

REFERENCES:

1. Banking and Finance. November 2015 (In Georgian Language);
2. The National Bank of Georgia, Annual Report 2014 (In Georgian Language);
3. The National Bank of Georgia, Newsletter; (In Georgian Language);
4. Money. Credit. Banks: A Textbook for High Schools / E.F Zhukov, L.M Maksimov, A.V Pechnikova etc .; ed. E.F Zhukova. - M .: UNITY 2007.
5. E.V Iodine, I.R Hunanyan. ,, For organizational Commercial Bank,, ed TSTU, Tambov, 2003.
6. KPMG Cross-Country Comparative Research on Credit Effective Interest Rates. 2014. March
7. World Bank, Annual report 2011.

LENDING RATES PROBLEM OF COMMERCIAL BANKS AND THE NEED FOR THEIR REGULATION

Mariam Khachidze
GTU, PhD student

RESUME

The presented article discusses the interest rates in the existed commercial banks of Georgia, affecting factors on the formation of rates and the characteristics of the loan portfolio. the attention is focused on such important issues, such as the considering the calculation of borrower's income for the issuing of credits amount. In the modern banking relations there were shown some kind of problems, mainly that on one side borrowers are quantitatively increased in spite of that their incomes are even low than average conditions.

In the work is given the banking system in Georgia and in the neighboring countries, concretely the interest rates and comparative analysis of the credit portfolio and the survey results held by the one of the world famous audit company.

სავალუტო ბაზარი, ვალუტის გაცვლითი კურსის დადგენა და საქართველოში არსებული მდგომარეობა

ნინო ჭოველიძე
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტი

რეზიუმე

ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარება ეფექტიანად ფუნქციონირებადი ფინანსური ბაზრების გარეშე შეუძლებელია. ფინანსური ბაზრების ერთ-ერთი სახეობაა სავალუტო ბაზარი. ძლიერი სავალუტო ბაზარი კი ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერისა და სიმყარის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. საქართველოში შიდა სავალუტო ბაზრის აგენტებს წარმოადგენენ ეროვნული ბანკი, კომერციული ბანკები და ვალუტის გადამცვლელი პუნქტები. სავალუტო კურსის დაფიქსირებაზე კი პასუხისმგებელია ეროვნული ბანკი, რომელსაც 1997 წლიდან არჩეული აქვს მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი.

საქართველოში გაცვლით კურსთან (ლარის აშშ დოლართან) მიმართებაში არასახარბიელო მდგომარეობაა. კერძოდ, 2014 წლის ნოემბრიდან მოყოლებული სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ეროვნული ვალუტის გაუფასურების პროცესი.

ლარის გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ გამოიწვია როგორც გარე, ასევე, ქვეყანაში მიმდინარე შიდა ფაქტორებმა. კერძოდ, რეგიონში დაძაბულმა გეოპოლიტიკურმა ვითარებამ და კონფლიქტმა უკრაინაში, მსოფლიო ბაზრებზე ნავთობის ფასების ვარდნამ, უცხოური საინვესტიციო ნაკადების ზრდის ტემპის შემცირებამ, სახელმწიფოს ფისკალურმა პოლიტიკამ.

აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად საჭიროა ხელისუფლების მხრიდან შეიქმნას სტაბილური პოლიტიკური გარემო და მთავარი აქცენტები გაკეთდეს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე და ადგილობრივი ბიზნესის წახალისებაზე.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური ბაზარი, სავალუტო ბაზარი, ეროვნული ვალუტა, ვალუტის გაცვლითი კურსი, მცურავი გაცვლითი კურსი, ფიქსირებული გაცვლითი კურსი, ეროვნული ბანკი.

ძირითადი ტექსტი

სავალუტო ბაზარი სტაბილური ეკონომიკის არსებობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტიაა. საქართველოში სავალუტო კურსი ფიქსირდება ეროვნული ბანკის მიერ მოწყობილ სავალუტო აუქციონზე, რომლის მეშვეობითაც ეროვნული ბანკი ყიდულობს ან ყიდის უცხოურ ვალუტას ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე. ბანკთაშორის ბაზარზე ვაჭრობა მიმდინარეობს საერთაშორისო სავაჭრო სისტემაში - „ბლუმბერგი", რომლის საშუალებითაც ხდება ვალუტებით ვაჭრობის გარიგებების დადება. დადებულ გარიგებათა გათვალისწინებით გამოითვლება ლარის საშუალო შეწონილი კურსი აშშ დოლარის მიმართ, რომელიც ცხადდება ოფიციალურ გაცვლით კურსად შემდგომი დღისთვის[1].

გაცვლით კურსზე მოქმედი ფაქტორები მოკლევადიან პერიოდში მნიშვნელოვნად განსხვავდებიან საშუალო და გრძელვადიან პერიოდში მოქმედი ფაქტორებისგან. გრძელვადიან პერიოდში გაცვლით კურსზე სტრუქტურული ფაქტორების გავლენა დომინირებს, საშუალო ვადიან პერიოდში ციკლური, ხოლო მოკლევადიან პერიოდში ბაზრის მონაწილეთა მოლოდინები და ვალუტის მიმდინარე ტრანზაქციებისთვის საჭიროება ახდენს გავლენას. იხ. დიაგრამა N1[2].

გაცვლითი კურსი არსებობს ორი სახის: მცურავი გაცვლითი კურსი და ფიქსირებული გაცვლითი კურსი. მცურავი კურსის უპირატესობებია (ანუ ფიქსირებულის ნაკლოვანებებია) - „ფიქსირების შემთხვევაში გაცვლითი კურსის შესწორების შესაძლებლობის არარსებობა, ფასების მოკლევადიან სიხისტესთან ერთად, გვაძლევს ფასწარმოქმნაში დამახინჯებებს. შესაბა-

1 https://www.nbg.gov.ge/index.php?m=521
2 https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2014/statia1.pdf



მისად, ასეთ დროს ფიქსირებული გაცვლითი კურსის რეჟიმი მთლიანი გამოშვების მაღალ მერყეობას განაპირობებს[1].

ფიქსირებული კურსის რეჟიმი ხელს უწყობს გარე ინფლაციის იმპორტირებას ქვეყანაში და კიდევ უფრო ამწვავებს გარე ფაქტორებით გამოწვეულ კრიზისებს, მაშინ როდესაც მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი გარე შოკების შემწოვი ერთ-ერთი საშუალებაა და ავტომატური მასტაბილიზირებელის როლს თამაშობს. „რეალური/საგარეო შოკების დროს მცურავი კურსი, ფიქსირებულისგან განსხვავებით იცავს ეკონომიკას მაღალი უმუშევრობისგან და მაღალი საპროცენტო განაკვეთებისგან (რაც ინვესტიციებს ამცირებს)“, რადგან საგარეო შოკის დროს ხდება რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის კორექტირება, რათა დაბალანსდეს ვალუტის შემოდინება და გადინება. აღსანიშნავია, რომ საბაზრო წონასწორობის მისაღწევად ადრე თუ გვიან ხდება კურსის კორექტირება, მიუხედავად იმისა, თუ გაცვლითი კურსის რომელი რეჟიმი აქვს ქვეყანას - ფიქსირებული თუ მცურავი, თუმცა კურსის კორექტირება ხდება სხვადასხვა მიმართულებით (დამოკიდებულია ქვეყანას რომელი რეჟიმი აქვს). იმ შენთხვევაში თუ ქვეყანას მცურავი კურსის რეჟიმი აქვს, ასეთ დროს „საჭირო რეალური გაუფასურება ხდება ნომინალური გაუფასურების მეშვეობით, რაც უცვლელს ტოვებს ხელფასებს და დასაქმების დონეს. ფიქსირებული კურსის დროს კი რეალური გაუფასურე-

1 https://www.nbg.gov.ge/bankjournal/uploads/journal/2016_1/1_nawili.pdf

ბა ხდება დეფლაციის მეშვეობით, რაც ბერავს რეალურ ხელფასებს და ამით იწვევს დასაქმებისა და მთლიანი გამოშვების შემცირებას“[1].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მცურავი კურსის რეჟიმი არის მეტად მოქნილი საგარეო შოკების დროს. შესაბამისად ეს რეჟიმი იძლევა უფრო მაღალ ეკონომიკურ ზრდას და ეკონომიკური ზრდის უფრო ნაკლებ მერყეობას.

ვალუტის გაცვლითი კურსი და საქართველო: 1995 წლიდან 1997 წლამდე საქართველოში ფიქსირებული გაცვლითი კურსის რეჟიმი მოქმედებდა, რადგან ქვეყანაში იყო მაღალი ინფლაცია, შესუსტებული იყო ეროვნული ვალუტისადმი ნდობა და გაცვლითი კურსის მიბმა უზრუნველყოფდა კურსის სტაბილურობის შენარჩუნებას (აშშ დოლარის გაცვლითი კურსის შესაბამისად) და ნდობის აღდგენას. ფიქსირებული კურსის რეჟიმი 1997 წლიდან შეიცვალა მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმით, რადგან, ეროვნული ბანკის მოსაზრებით, „ქვეყნისთვის ფიქსირებული კურსის რეჟიმი ან საერთო ვალუტის შემოღება ოპტიმალური გამოსავალია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იძლევა მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტურობის მიღწევის საშუალებას. იმისათვის რომ ეს პირობა რეალურად განხორციელდეს, საჭიროა, რომ მონაწილე ქვეყნებს შორის არსებობდეს კაპიტალისა და შრომის რესურსების მობილურობა, რისკის გაზიარების პრინციპი და ერთნაირი ბიზნეს ციკლები. საქართველოსა და აშშ-ს შემთხვევაში კი ეს წინაპირობები არ არის და შესაბამისად არის საფუძველი იმისა, რომ ფიქსირებული კურსის რეჟიმი გახდეს ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი ერთ-ერთი მიზეზი“[2].

დღეს საქართველოში გაცვლით კურსთან (ლარის აშშ დოლართან) მიმართებაში არასახარბიელო მდგომარეობაა. 2014 წლის ნოემბრიდან მოყოლებული სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ეროვნული ვალუტის გაუფასურების პროცესი. 2014 წელს ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსი შეადგენდა 1.8,

1 https://www.nbg.gov.ge/bankjournal/uploads/journal/2016_1/1_nawili.pdf
2 https://www.nbg.gov.ge/index.php?m=521

ხოლო 2015 წელს გაცვლითმა კურსმა გადააჭარბა 2.2 ანუ თუ 1 აშშ დოლარის შეძენა შეიძლებოდა 2014 წელს 1 ლარად და 80 თეთრად, 2015 წელს კი შესაძლებელი იყო 2 ლარად და 20 თეთრად. იხ. დიაგრამა N2[1].

დიაგრამა N2.



გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი ეკონომიკა ღია ეკონომიკაა, რაც ნიშნავს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისადმი მის მგრძნობიარობას, შესაბამისად ლარის გაუფასურებაზე მოქმედ გარე ფაქტორებს მიეკუთვნება 2014 წელს მომხდარი გლობალური ეკონომიკური ძვრები. Kკერძოდ[2]:

- მსოფლიო ბაზრებზე ნავთობის ფასების ვარდნა;
- რეგიონში დაძაბული გეოპოლიტიკური ვითარება და კონფლიქი უკრაინაში;
- საქართველოში ექსპორტით მიღებული შემოსავლების კლება, რომელიც დაიწყო 2014 წლის აგვისტოს თვეში და მაქსიმალურ ზღვარს (35%-ს) ნოემბერში მიაღწია, ხოლო შემდეგ

1 http://geostat.ge/?action=page&p_id=316&lang=geo

2 https://idfi.ge/ge/reasons-and-threats-of-devaluation-of-national-currency; https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2015/annual_geo_2015.pdf

თვეებში 20-30 პროცენტებს შორის მერყეობდა. 2015 წელს ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი 23 %-ით შემცირდა, რაშიც ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვის აზერბაიჯანში, უკრაინაში, სომხეთში და რუსეთში ექსპორტის მკვეთრ შემცირებას. იხ. დიაგრამა N3;

დიაგრამა N3



- უცხოური საინვესტიციო ნაკადების ზრდის ტემპის შემცირება;
- მიმდინარე ტრანსფერების (ფულადი გზავნილების) შემცირება, რომელიც 2014 წლის ოქტომბრიდან დაიწყო. 2015 წელს კი ფულადი გზავნილების სახით შემოსული თანხები 25 %-ით შემცირდა. განსაკუთრებით გზავნილების მკვეთრი კლება მოხდა რუსეთიდან, საბერძნეთიდან და იტალიიდან. იხ. დიაგრამა N4;
- საგარეო ვალების გასტუმრება;
- ტურიზმიდან შემოსავლების ზრდის ტემპების შენელება და სხვ.

ლარის გაუფასურების შიდა ფაქტორებს კი მიეკუთვნება სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკა, განსაკუთრებით კი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ნაწილი, და მეორე მხრივ, ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილში შიდა ვალზე და-

დიაგრამა N4



მოკიდებულების ზრდა[1].

ლარის გაუფასურებამ საქართველოში უარყოფითი შედეგები გამოიწვია. კერძოდ[2]:

1. შედეგად მოხდა უძრავი ქონებისა და ავტომობილების რეალიზაციის შემცირება, რადგან ქვეყანაში უძრავი ქონებითა და ავტომობილებით ვაჭრობა დოლარში მიმდინარეობს.

2. საქართველოს სახელმწიფო ვალის 73 %-ს (4.1 მილიარდი დოლარი) საგარეო სახელმწიფო ვალი შეადგენს. საგარეო ვალი კი ძირითადად დოლარსა და ევროში აქვს საქართველოს აღებული. 2014 წლის ნოემბრიდან 2015 წლის თებერვლის მდგომარეობით დოლარში გამოსახული საგარეო სახელმწიფო ვალი არ გაზრდილა, თუმცა ლარის გაუფასურებამ ლარში გამოხატული საგარეო სახელმწიფო ვალის 1.4 მილიარდი ლარით გაზრდა გამოიწვია[3].

3. გაძვირდა საკრედიტო რესურსი - მოსახლეობას გაუძვირდა სესხები, განსაკუთრებით მათ ვისაც სხვა ვალუტაში ჰქო-

1 https://idfi.ge/ge/reasons-and-threats-of-devaluation-of-national-currency

2 http://w.bpn.ge/finansebi/17740-laris-gaufasurebis-5-uaryofithi-da-2-dadebithi-shedegi.html?lang=ka-GE

3 https://idfi.ge/ge/reasons-and-threats-of-devaluation-of-national-currency; http://forbes.ge/news/623/laris-gaufasurebis-Sedegebi

ნდათ სესხი აღებული.

4. იმპორტირებულ საქონელზე გაიზარდა ფასები. ფასები გაიზარდა როგორც ხანგრძლივი მოხმარების საგნებზე, ასევე მედიკამენტებზე, რომელთა მომხმარებლები არიან მაღალი ასაკობრივი ჯგუფის, დაბალშემოსავლიანი ადამიანები.

5. ინვესტიციების შემოდინება შემცირდა. როგორც ბატონი ემზარ ჯგერენაია აღნიშნავს „ლარის გაუფასურებამ ინვესტორები შეაფერხა დროებით, რადგან ფულის უკან წაღება გაუძვირდათ“. 2015 წლის პირველ კვარტალში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 175 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 34 პროცენტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ პერიოდზე[1].

6. საზოგადოებაში გაჩნდა ფინანსური მოულოდნელობის სინდრომი, შესაბამისად მოსახლეობამ შეამცირა შემოსავლების ხარჯვა.

ეროვნული ვალუტის გაუფასურების ფონზე ეროვნული ბანკი ცდილობს ლარის გამყარებას. ბოლო მონაცემებით 2016 წლის ოქტომბერში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 3 სავალუტო აუქციონი ჩაატარა და ჯამში 100 მლნ აშშ დოლარი გაყიდა. ნოემბრის თვეში საქართველოს ეროვნულ ბანკს სავალუტო აუქციონი არ ჩაუტარებია. საანგარიშო პერიოდში ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 1.5 პროცენტით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 1.6 პროცენტით გაუფასურდა. აშშ დოლარის მიმართ ოფიციალური გაცვლითი კურსი 2.4091-დან 2.5311- მდე შეიცვალა, ანუ გაუფასურდა 5.1 პროცენტით. იხ. დიაგრამა N5[2].

1 http://www.mof.ge/images/File/BROSHURA/BROSHURA_05.pdf

2 საქართველოს ეროვნული ბანკის თვის მიმოხილვა - ოქტომბერი და ნოემბერი 2016წ. გვ.15

დიაგრამა N5.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დასკვნა

საქართველოში ლარის გაცვლით კურსთან დაკავშირებით მიმდინარე მდგომარეობის ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით არასახარბიელო მდგომარეობაა. მიუხედავად ეროვნული ბანკის მცდელობებისა, ლარის კურსის გაუფასურება სწრაფი ტემპებით გრძელდება. აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად, ხელისუფლებამ და ეროვნულმა ბანკმა ერთობლივად უნდა შეიმუშაოს ფინანსური სტაბილიზაციის გეგმა როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან ჭრილში. განისაზღვროს ყველა მოსალოდნელი რისკი როგორც შიდა, ასევე, გარე, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინონ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. მოკლევადიან ჭრილში პირველ რიგში, ხელისუფლებამ კოორდინირებული განცხადებები უნდა გააკეთოს, რადგან საზოგადოებაში არის ნეგატიური მოლოდინები და არასწორმა განცხადებებმა შეიძლება მეტი რყევა გამოიწვიოს გაცვლით კურსში. გრძელვადიან ჭრილში კი შეიქმნას სტაბილური პოლიტიკური გარემო და ხელისუფლების მხრიდან მთავარი აქცენტები გაკეთდეს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაზე, ადგილობრივი ბიზნესის წახალისებაზე.

მნიშვნელოვანია მთავრობის მხრიდან ქვეყანაში მოხდეს გონივრული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის გატარება.

ლიტერატურა:

1.საქართველოს ეროვნული ბანკი, „სავალუტო პოლიტიკა და რეზერვების მართვა“ https://www.nbg.gov.ge/index.php?m=521

2.საქართველოს ეროვნული ბანკი, ჟურნალი „ეკონომიკა და საბანკო საქმე“, სტატია „გაცვლითი კურსის განმსაზღვრელი ფაქტორები“, გვ.6 https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2014/statia1.pdf

3.საქართველოს ეროვნული ბანკი, ჟურნალი „ეკონომიკა და საბანკო საქმე“, სტატია „ლარის გაცვლითი კურსი და საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის შეფასებები“, გვ. 1 და 6 https://www.nbg.gov.ge/bankjournal/uploads/journal/2016_1/1_nawili.pdf

4.საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მონეტარული სტატისტიკა, გაცვლითი კურსები http://geostat.ge/?action=page&p_id=316&lang=geo

5.ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, „ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამომწვევი მიზეზები და საფრთხეები“ https://idfi.ge/ge/reasons-and-threats-of-devaluation-of-national-currency

6. საქართველოს ეროვნული ბანკის ყოველწლიური ანგარიში 2015 წ., გვ. 42-55 https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2015/annual_geo_2015.pdf

7. საინფორმაციო ინტერნეტ პორტალი „Forbes.ge“, სტატია „ლარის გაუფასურების შედეგები“ http://forbes.ge/news/623/laris-gaufasurebis-Sedegebi

8. საინფორმაციო ინტერნეტ პორტალი „w.bpn.ge“, სტატია „ლარის გაუფასურების 5 უარყოფითი და 2 დადებითი შედეგი“ http://w.bpn.ge/finansebi/17740-laris-gaufasurebis-5-uaryofithi-da-2-dadebithi-shedegi.html?lang=ka-GE

9. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკური

მიმოხილვა მაისი 2015 წ., გვ.5 http://www.mof.ge/images/File/BROSHURA/BROSHURA_05.pdf

10. საქართველოს ეროვნული ბანკის თვის მიმოხილვა - ოქტომბერი და ნოემბერი 2016 წ., გვ.15

REFERENCES:

1.National Bank of Georgia, „Monetary policy and Reserves management“, https://www.nbg.gov.ge/index.php?m=521

2.National Bank of Georgia, the magazine „Economy and Banking“, article „Factors of exchange rate“, p.6 https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2014/statia1.pdf

3,National Bank of Georgia, the magazine „Economy and Banking“, article „Exchange rate and estimates of monetary policy by National Bank of Georgia“, p.1 and 6

4.National Statistics Office of Georgia, Monetary Statistics, Exchange Rates http://geostat.ge/?action=page&p_id=316&lang=geo

5.Institute for Development of Freedom of Information, „Reasons and Threats of Depreciation of National Currency“ https://idfi.ge/ge/reasons-and-threats-of-devaluation-of-national-currency

6.National Bank of Georgia, Annual Report 2015, p. 42-55 https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2015/annual_geo_2015.pdf

7.Forbes Georgia, article „ Results of Depreciation of National Currency“ http://forbes.ge/news/623/laris-gaufasurebis-Sedegebi

8.Business Press News, article „ 5 Negative and 2 Positive results of Depreciation of National Currency“ http://w.bpn.ge/finansebi/17740-laris-gaufasurebis-5-uaryofithi-da-2-dadebithi-shedegi.html?lang=ka-GE

9.Ministry of Finance of Georgia, Economic Review 2015, p. 5 http://www.mof.ge/images/File/BROSHURA/BROSHURA_05.pdf

10.National Bank of Georgia, Monthly Report 2016, October and November, p. 15

THE FOREIGN EXCHANGE MARKET, EXCHANGE RATE DETERMINATION AND THE SITUATION IN GEORGIA

Nino Chovelidze
St. Andrew the First-Called Georgian University
of the Patriarchate of Georgia,
PHD student of Business Administration

RESUME

The sustainable development of country is impossible without the efficient functioning of the financial markets. The foreign exchange market is one of the types of financial markets. One of the strengths of the country is defined by stability and strength of the foreign exchange market. Georgia's internal currency market agents are National Bank, commercial banks and currency exchange bureaus. National bank is responsibility to fix the exchange rate, which has chosen the floating exchange rate regime since 1997.

Georgia has an unfavorable situation in the exchange rate (Lari to USA dollar). In particular, the national currency devaluation process is quick since November, 2014.

The national currency devaluation process causes are external as well as the ongoing internal factors. In particular, the tense of geopolitical situation in the region and the conflict in Ukraine, Falling of oil prices in the world markets, reduction of foreign investment, and fiscal policy of state. The government creates a stable political environment, improving the investment environment and local business incentives to solve these problems.

Keywords: Financial market**,** foreign exchange market, National Bank, currency exchange rate, national currency, floating rate, fixed rate.

ფინანსური ინტეგრაცია: შეხედულებები და მტკიცებულებები

ასიე ცინცაძე,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

ბექა ფუტკარაძე,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

აღნიშნული ნაშრომის მიზანია, რომ მკითხველს მიაწოდოს ფინანსური ინტეგრაციის შესახებ არსებული კვლევების ზოგადი სინთეზი და გარკვეული წარმოდგენა შეუქმნას ეკონომიკის ამ მზარდ მიმართულებაზე.სტატიაში განხილული იქნება სხვადასხვა გავლენიანი ეკონომისტების კონცეფციები და მოდელები, რომლებიც აქტუალურობას დღესაც არ კარგავენ.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური ინტეგრაცია, ეკონომიკური ზრდა, კრიზისები.

ძირითადი ტექსტი

არსებული კონტექსტი და ძირითადი მიდგომები. არც ისე ბევრ საკითხს გამოუწვევია ისეთი მღელვარე დებატები განვითარების მკვლევარებსა და პოლიტიკოსებს შორის, როგორიცაა ფინანსური ინტეგრაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ერთის მხრივ, მრავალი ეკონომისტი ხედავს ფინანსურ გლობალიზაციას, როგორც მნიშვნელოვან ნაბიჯს საშუალო შემოსავლის განვითარებად ქვეყენებისთვის, რომ სწრაფად მიაღწიონ მოწინავე ინდუსტრიული ეკონომიკების შემოსავლის და სტაბილურობის დონეს (მაგალითად,Summers, 2000). მეორეს მხრივ, მრავალი გავლენიანი მკვლევარი ამტკიცებს, რომ ფინანსურ ინტეგრაციას თან ახლავს მნიშვნელოვანი რისკები, რომლებიც ბევრად აჭარბებს მის პოტენციურ სარგებელს და-

ბალ და საშუალო შემოსავლიან ქვეყნებში (მაგალითად,Rodrik, 1998; Stiglitz, 2002). აღნიშნული ეკონომისტები მიუთითებენ განვითარებადი ქვეყნების ფინანსური კრიზისების მთელ სერიაზე, რომელმაც გადაუარა ლათინურ ამერიკის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებს 80-იან და განსაკუთრებით 90-იანწლებში, როგორც ფინანსური გლობალიზაციის პოტენციურად სავალალო შედეგებს.

მკვლევარებისთვის, ფინანსური გლობალიზაციის თემა მომხიბლავია არა მხოლოდ მისი პრაქტიკული რელევანტურობის გამო, არამედ იმის გამოც, რომ დღესდღეობით უზარმაზარი ვარიაციაა ფინანსური ინტეგრაციის მიდგომებსა და გამოცდილებას შორის სხვადასხვა ქვეყნებში. განსხვავებები ფინანსური გლობალიზაციის ტემპსა და მიდგომებს შორის ძირითადად გამოწვეულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა პოლიტიკოსების ხედვები და ფილოსოფია, რეგიონული ტენდენციები, შიდა და საგარეო პოლიტიკური ვითარება და ასევე გარკვეული სპეციფიკური ეკონომიკური ფაქტორები.

აღნიშნული ნაშრომის მიზანია, რომ მკითხველს მიაწოდოს არსებული კვლევების ზოგადი სინთეზი და გარკვეული წარმოდგენა შეუქმნას ეკონომიკის ამ მზარდ მიმართულებაზე. რა თქმა უნდა, ჩვენ პრეტენზია არ გვაქვს იმაზე, რომ აღნიშნული ანალიზი სრულყოფილი იქნება, ვინაიდან თვითონ ლიტერატურა ამ სფეროში არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული. სტატიაში განხილული იქნება სხვადასხვა გავლენიანი ეკონომისტების კონცეფციები და მოდელები, რომლებიც აქტუალურობას დღესაც არ კარგავენ. ამასთან, ყურადღებას მივაქცევთ არა მარტო ფინანსური ინტეგრაციის პირდაპირ ეფექტს ეკონომიკურ ზრდაზე, არამედ არაპირდაპირ (ირიბ) ზეგავლენასაც, რასაც ზოგადად არც ისე ბევრი მკვლევარი უთმობს ჯეროვან ყურადღებას. ფინანსური ინტეგრაციის მიმართულებით კვლევის პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს მოსაზრებას, რომელიც ამტკიცებს, რომ კაპიტალის ანგარიშის ლიბერალიზაცია განვითარებადი ქვეყნების ფინანსური კრიზისის ძირეულ პრობლემას წარმოადგენს ბოლო ორი ათწლეულის

განმავლობაში.

ახალი მიდგომები გარკვეულწილად დაშორდა სტანდარტული ნეოკლასიკური კვლევების ჩარჩოს, რომლითაც დიდ წილად ხელმძღვანელობდა ფინანსური გლობალიზაციის ლიტერატურის ადრეული ტალღა. აღნიშნული ლიტერატურა ფინანსური გლობალიზაციის ძირითად სიკეთედ თვლიდა გრძელვადიანი წმინდა კაპიტალის ნაკადს განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებადი ეკონომიკებისკენ. საბაზისო იდეა იყო ის, რომ განვითარებულ ქვეყნებს აქვთ დიდძალი კაპიტალი მაშინ, როცა განვითარებადი ქვეყნები კაპიტალის მკვეთრ დეფიციტს განიცდიან. შესაბამისად, კაპიტალის აღნიშნულ ნაკადს უნდა გამოეწვია უფრო მაღალი ზრდა განვითარებად ქვეყნებში და კეთილდღეობის გაუმჯობესება ორივე ჯგუფის ქვეყნებისთვის. ალბათ გასაკვირი არ არის, რომ ლიტერატურა ეკონომიკური ზრდის შესახებ დახურულ(იზოლაციონისტურ) ქვეყნებში (მაგალითად, Hallდა Jones, 1999), ხშირად აწყდება კონფლიქტურ შედეგებს. როგორც ჩვენ დავინახავთ, ადრეულ კვლევებს ასევე ჰქონდათ ემპირიული გაზომვის პრობლემები, რომელიც მას შემდეგ იქნა აღიარებული და ნაწილობრივ მაინც გამოსწორებული.მაგალითად, კვლევა(Eichengreen, 2001), რომელიც აქცენტს ეკონომიკურ ზრდასა და კაპიტალის ანგარიშის ოპერაციების შეზღუდვებს შორის ურთიერთობაზე აკეთებდა, ამტკიცებს, რომ ემპირიული მტკიცებულებები ერთგვაროვანი არ არის. შემდგომი კვლევა (Prasad და სხვები, 2003) აჩვენებს, რომ თუკი ფინანსურ გლობალიზაციას უფრო ფართო სპექტრში შევხედავთ, სურათი უფრო გაურკვეველი ხდება. ამასთან, ადრეული ლიტერატურა ვერ აყალიბებს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ფინანსურ ინტეგრაციასა და ეკონომიკურ ზრდას შორის. გარდა ამისა, ამავე კვლევის თანახმად, განვითარებად ქვეყნებში მოხმარების ზრდის ტენდენციები დადებითად უკავშირდება ფინანსურ ინტეგრაციას, რაც საპირისპირო დასკვნაა იმისა, რასაც კანონიკური თეორიული მოდელები პროგნოზირებდნენ.

ძირითადი კონცეპტუალური თვალსაზრისი, რომლითაც

თანამედროვე კვლევები ხელმძღვანელობენ არის ის, რომ წარმატებული ფინანსური გლობალიზაციის ძირითადი სარგებელი კატალიზური და ირიბია და ძირითად სარგებელს არ წარმოადგენს გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა ფინანსური რესურსების მიმართ და ინვესტიციების განსახორციელებლად. თუკი ამ ახალი პესპექტივიდან შევხედავთ, ამჟამად არსებობს მოკრძალებული მაგრამ მზარდი მტკიცებულებები, რომ ფინანსური ინტეგრაცია შეიძლება მრავალი სხვადასხვა მიმართულების წინსვლას და გაუმჯობესებას უწყობდეს ხელს, როგორიცაა შიდა ფინანსური სექტორის განვითარება, დისციპლინის დამყარება მაკროეკონომიკური პოლიტიკის სფეროში, არსებული შიდა კომპანიების ეფექტურობის გაუმჯობესება უცხოეულ კონკურენტებთან მზარდი კონკურენციის გამო და ზოგადად, მართვის გაუმჯობესება როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორში. რომ შევაჯამოთ, ფინანსურ ინტეგრაციას შეუძლია მოიტანოს მნიშვნელოვანი არაპირდაპირი სარგებელი სხვადასხვა სფეროებში, რომლებიც თავის მხრივ ხელს შეუწყობენ ეკონომიკის ზრდასა და სტაბილურობის გაძლიერებას ქვეყანაში. უბრალოდ იმ აზრის გაზიარება, რომ მთავარი სარგებელი, სავარაუდოდ, კატალიზური და ირიბია, ვიდრე პირდაპირი და ხელშესახები, შეიძლება უკვე სასარგებლო აღმოჩნდეს მრავალი პოლიტიკოსისა და ზოგადად ამ მიმართულებით გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის.

მოსაზრებას, რომ ფინანსური გლობალიზაცია ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედებს, ძირითადად, არაპირდაპირი არხების მეშვეობით, მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ემპირიული ანალიზისთვისაც. ქვეყნის ინსტიტუტების შენებას, საბაზრო დისციპლინის გაძლიერება-განმტკიცებას და ფინანსური სექტორის განვითარებას დრო სჭირდება, შესაბამისად გამოდის, რომ დრო ჭირდება ასევე ფინანსური ინტეგრაციის შედეგების ასახვას ეკონომიკურ ზრდაზე. ამით შეიძლება აიხსნას, რატომ არის მოკლევადიან პერიოდებში ფინანსური გლობალიზაციის ხარჯების დანახვა უფრო ადვილი, ვიდრე მისი სარგებელის. თუმცა ისიც მართალია, რომ თუნდაც გრძელვადიან

პერიოდში ფინანსური ინტეგრაციის სარგებლის დანახვა მარტივი არ შეიძლება იყოს, რადგან ის მოქმედებს არაპირდაპირ და ძირითადად აისახება სტრუქტურული, ინსტიტუციური და მაკროეკონომიკური პოლიტიკის ცვლადებში.

კიდევ ერთი პრობლემა, რაც ფინანსური ინტეგრაციის ადრეულ ლიტერატურას თან ახლავს არის ის, რომ ისინი ეყრდონობოდნენ ოფიციალურ (de jure) ფაქტებს კაპიტალის ანგარიშის გახსნილობის შესახებ. მაგრამ არაპირდაპირი სარგებელი სავარაუდოდ განხორციელდება რეალური (de facto) ინტეგრაციის საშუალებით, რომელიც ბევრ ქვეყანაში მკვეთრად განსხვავდება ოფიციალურად გაცხადებული ინტეგრაციის კურსისგან. მაგალითად, ბევრ ქვეყანას აქვს კაპიტალის კონტროლის საკმაოდ მკაცრი ზომები ქაღალდზე, მაგრამ მათი უმრავლესობა პრაქტიკაში არ მუშაობს, ასე რომ ასეთი ქვეყნების რეალური (de facto) ინტეგრაციის დონე, რომელიც იზომება უცხოური კაპიტალის ნაკადების ან უცხოური აქტივებისა და ვალდებულებების აქციების სახით, საკმაოდ მაღალია(Prasad და სხვები, 2003).

პირდაპირი ეფექტის ნაცვლად, ფინანსური გლობალიზაციის არაპირდაპირ ეფექტზე ფოკუსირება ასევე სასარგებლოა იმის ახსნაში, თუ ბოლო კვლევების თანახმად, რატომ აქვს სააქციო კაპიტალის ბაზრის ლიბერალიზაციას ასეთი სერიოზული გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე. საქმე იმაშია, რომ სააქციო კაპიტალის ბაზრის ლიბერალიზაცია, როგორც წესი, ხდება სხვადასხვა შიდა რეფორმებთან ტანდემში და იმ დროს, როცა ეროვნულ მთავრობებს აქვთ რწმენა, რომ მათ შეუძლიათ ადეკვატურად გაუწიონ ზედამხედველობა შიდა ფინანსურ ბაზრებს. ამდენად, სააქციო კაპიტალის ნაკადები ყველაზე ნათლად ასახავს ფინანსური გლობალიზაციის არაპირდაპირ სიკეთეს.

ფინანსურიინტეგრაციისშესახებეკონომიკურითეორიისმიმოხილვა.ყველაზე მარტივი ნეოკლასიკური ეკონომიკური ზრდის მოდელი ვარაუდობს, რომ ფინანსურ გლობალიზაციას უნდა მოჰყვეს კაპიტალის გადინება კაპიტალით მდიდარი ეკონომიკიდან კაპიტალით ღარიბ ეკონომიკაში იმიტომ, რომ

ამ უკანასკნელში კაპიტალზე უკუგება უნდა იყოს უფრო მაღალი. როგორც აღმოჩნდა, პრაქტიკაში აღნიშნული მოდელი არ მუშაობს, ვინაიდან ფაქტობრივი კაპიტალის ნაკადების მოცულობა ახლოსაც კი არ არის იმასთან, რასაც ეს საბაზისო მოდელი პროგნოზირებს. აღნიშნული საკითხი საფუძვლიანად არის განხილული Lucas-ის (1990) ძალიან მნიშვნელოვან ნაშრომში. მართლაც, 2004 წლიდან 2006 წლამდე, განვითარებულ ქვეყნებს ერთობლივად ჰქონდათ მიმდინარე ანგარიშის დიდი ნამეტი, და არა დეფიციტი როგორც ამას ნეოკლასიკური ზრდის მოდელი ვარაუდობს. იმის ასახსნელად, თუ რატომ იყო კაპიტალის ნაკადები ასეთი დაბალი განვითარებადი ქვეყნებისკენ, Lucas-მა თავად შემოგვთავაზა ახალი ზრდის მოდელი, რომელიც დაფუძნებულია განვითარებულ ქვეყნებში მაღალ უკუგებაზე ადამიანურ კაპიტალზე. თუმცა უფრო თანამედროვე კვლევებმა სხვა მიმართულებით მოახდინეს ფოკუსირება. Mendoza, Quadrini და Rios-Rull (2007) ამტკიცებენ, რომ ინსტიტუციურმა ხარვეზებმა განვითარებად ქვეყნებში შეიძლება გამოიწვიოს კაპიტალის ნაკადის შებრუნება და კაპიტალი შემოსვლის ნაცვლად, გავიდეს ქვეყნიდან. Reinhart და Rogoff (2004) ვარაუდობენ, რომ განმეორებადი დეფოლტების და ფინანსური კრიზისების საფრთხე განვითარებად ქვეყნებში უფრო მაღალია და ამან შეიძლება დათრგუნოს საინვესტიციო გარემო, და შესაბამისად, შეამციროს კაპიტალის შემოსვლა. Gordon და Bovenberg (1996) ხაზს უსმევენ ასევე ინფორმაციის ასიმეტრიის პრობლემას.

თეორიულად, კაპიტალის ნაკადებმა განვითარებული ქვეყნებიდან უნდა შეავსოს შეზღუდული შიდა დანაზოგები და შესაბამისად შეამციროს კაპიტალის ღირებულება განვითარებად ქვეყნებში, რაც თავის მხრივ, გამოიწვევს შიდა ინვესტიციების გაზრდას. მკვლევარი Henry (2007) ამტკიცებს, რომ თუნდაც ნეოკლასიკური მოდელის კონტექსტში კაპიტალის ნაკადებს შეუძლია გამოიწვიოს ეკონომიკური ზრდა მხოლოდ მოკლევადიან და არა გრძელვადიან პერიოდში. თუმცა, არ არის ნათელი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს ნიუანსი, როდესაც

ხდება რამდენიმე ათწლეულის მონაცემების ემპირიულად გაანალიზება.

გარკვეული სახის ფინანსურ ნაკადებს ასევე შეუძლია გამოიწვიოს ტექნოლოგიის გადაცემის (spillover) ეფექტი და გააუმჯობესოს კორპორატიული მართვა განვითარებული ქვეყნებიდან მიღებული ცოდნის საფუძველზე. უახლესი ანალიზები ხაზს უსმევენ კიდევ უფრო დახვეწილ და არაპირდაპირ არხებს. მაგალითად, როდესაც ადგილობრივ მოსახლეობას შეუძლია საკუთრებაში იქონიოს უცხოური აქტივები, მათ შეუძლიათ დააზღვიონ საკუთარი შემოსავალი მათიქ ვეყნისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური შოკებისგან. ეს, ბუნებრივია, საშუალებას იძლევა, რომ მოსახლეობამ მოახდინოს თავისი შემოსავლის რისკის დივერსიფიკაცია.ტექნოლოგიური უნარჩვევების „გადადინება“განვითარებად ქვეყნებში ხელს შეუწყობს პროდუქტიულობის და ეკონომიკური ზრდის ამაღლებას. გარდა ამისა, ფინანსური ინტეგრაცია ხელს უწყობს შიდა ფინანსური სექტორის განვითარებას და ამყარებს დისციპლინას მაკროეკონომიკური პოლიტიკის სფეროში.

ფინანსური ინტეგრაციის თეორიული ეფექტი ეკონომიკური ზრდის მერყეობაზე ბუნდოვანია. ერთის მხრივ, ფინანსური ინტეგრაცია საშუალებას იძლევა, რომ კაპიტალით ღარიბმა ქვეყნებმა მოახდინონ დივერსიფიკაცია და გამოვიდნენ სასოფლო-სამეურნეო სექტორზე და ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებულებიდან. თუმცა, განვითარების უფრო მოწინავე ეტაპზე, სავაჭრო და ფინანსურ ინტეგრაციამ შესაძლოა ხელი შეუწყოს ქვეყნის სპეციალიზაციას სხვა დარგებში. მეორეს მხრივ, ამან შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ განვითარებადი ქვეყნები უფრო დაუცველნი გახდნენ კონკრეტული ინდუსტრიული შოკების მიმართ და ამით გაიზარდოს ეკონომიკური ზრდის მერყეობა-არასტაბილურობის საფრთხე (Kose, Prasad და Terrones, 2004). ასევე თუ ფინანსური ინტეგრაცია იღებს საგარეო ვალზე დამოკიდებულების ფორმას, ეს გამოიწვევს ქვეყნის საერთაშორისო საპროცენტო განაკვეთის შოკზე დამოკიდებულებას და შესაბამისად, გააძლიერებს ეკონომიკური

ზრდის არასტაბილურობას.

თეორიულად, არსებობს ძლიერი დამოკიდებულება ფინანსურ ინტეგრაციასა და შიდა მოხმარების მერყეობას შორის. იმის გამო, რომ მომხმარებლები და შესაბამისად, ეკონომიკები უარყოფითად არიან რისკის მიმართ განწყობილნი, მოხმარების თეორია გვეუბნება, რომ მათ უნდა ქონდეთ სურვილი, რომ გამოიყენონ ფინანსური ბაზრები თავიანთი შემოსავლის რისკის დასაზღვევად. ამით გარკვეულწილად განეიტრალდება შემოსავლის ზრდის მერყეობის დროებითი ეფექტი მოხმარების ზრდაზე. მიუხედავად იმისა, რომ რისკის საერთაშორისო დონეზე განაწილების სარგებელი შეიძლება იყოს საკმაოდ დიდთეორიულ მოდელებში, ამ სარგებლის კონკრეტული ზომა დამოკიდებულია მოდელის სპეციფიკურ თვისებებზე. კერძოდ, მომხმარებლების კეთილდღეობის ზრდა დამოკიდებულია მთლიანი შიდა პროდუქტის მერყეობაზე, რისკების მიმართ უარყოფითი განწყობის დონეზე, რისკების მიხედვით კორექტირებულ ეკონომიკურ ზრდის ტემპზე და ურისკო საპროცენტო განაკვეთზე (Obstfeld და Rogoff, 2004, თავი 5). მკვლევარი ლუკასის (1987) მტკიცება, რომ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია მოხმარების მერყეობის შემცირებისკენ, შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ მინიმალური გავლენა მომხმარებლების კეთილდღეობაზე, დღესაც გავლენიან აზრად ითვლება ლიტერატურაში (Barlevy, 2004).

ბოლო კვლევები დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ განვითარებად ქვეყნებმა შეიძლება დიდი სარგებელი მიიღონ ფინანსური ინტეგრაციით, ვინაიდან ისინი მოახდენენ მათი ეკონომიკური ზრდის რისკების დაზღვევას საერთაშორისო საფინანსო ხელშეკრულებებით (Pallage და Robe, 2003).

შეჯამებისთვის შეიძლება ითქვას, რომ რამდენიმე ცნობილი ეკონომისტი ეჭვქვეშ აყენებს ფინანსური ინტეგრაციის სარგებელს პრაქტიკაში. ამ ეკონომისტების უმრავლესობა თავიანთ არგუმენტებს ამყარებს იმ პრობლემებზე, რომლებიც ჩნდება ფინანსური ინტეგრაციის დროს სავაჭრო პოლიტიკის რეჟიმის, მაკროეკონომიკური პოლიტიკის, შრომის ბაზრის სფეროებში

და ასევე ინფორმაციის ასიმეტრიის კუთხით. მაგალითად, თუ ეკონომიკის გარკვეული დარგები დაცულია სავაჭრო ბარიერებით, საერთაშორისო კაპიტალის ნაკადი შეიძლება შევიდეს ამ დარგებში, რაც საბოლოო ჯამში გამოიწვევს არაეფექტურ ზრდას და კეთილდღეობის შემცირებას (Eichengreen, 2001). ასევე ინფორმაციის ასიმეტრიამ, რომელიც გამომდინარეობს ფინანსური ინსტიტუტების არასაკმარისი გამჭვირვალობით, შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური ნაკადების არაეფექტური განაწილება ქვეყნის ეკონომიკაში და საბოლოო ჯამში, გახდეს ძვირადღირებული კრიზისების ერთ-ერთი წყარო (Stiglitz, 2004).

შეშფოთება, რომ ფინანსურ გლობალიზაციამ შეიძლება ზოგჯერ გამოიწვიოს უარყოფითი გვერდითი მოვლენები განვითარებად ეკონომიკებში არის სრულიად ლეგიტიმური, თუმცა ეს გვერდითი მოვლენები ყოველთვის მძიმე შეიძლება არ იყოს. მართლაც, ფინანსური ინტეგრაციის კვლევის მიმართულებით ყველაზე კრიტიკული საკითხი დღესდღეობით არის ის, რომ შესაძლებელია თუ არა, რომ ემპირიული კვლევებით პასუხი გაეცეს კითხვას, რატომ აქვს ფინანსურ გლობალიზაციას აშკარად დადებითი ეფექტი ზოგიერთ შემთხვევაში და საკმაოდ უარყოფითი შედეგები სხვა შემთხვევებში.

ემპირიულ კვლევებში გამოყენებული თეორიული მოდელების მოკლე მიმოხილვა. აღნიშნულ ქვეთავში ჩვენ მიმოვიხილავთ რამდენიმე თეორიულ მოდელს, რომლებიც ხშირად გამოიყენება ემპირიულ ნაშრომებში ფინანსური ინტეგრაციის კვლევის დროს.

კვლევაში (Ranciere, Tornell და Westermann, 2003) ავტორებმა განავითარეს მოდელი, რომელშიც ასიმეტრია სავაჭრო და არასავაჭრო სექტორებს შორის წარმოადგენს გასაღებს ფინანსურ ლიბერალიზაციასა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირის გასაგებად. ასევე იმის გამო, რომ ლიბერალიზაციას არ ახლდა სასამართლო რეფორმა, ხელშეკრულების აღსრულების პრობლემა მწვავედ დადგა ბევრ განვითარებად ეკონომიკაში.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრ სავაჭრო სექტორის ფირმებს შეუძლიათ დაძლიონ ეს პრობლემები საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე წვდომის გზით, არასავაჭრო სექტორის ბევრ ფირმას ეს არ შეუძლია. ამდენად არასავაჭრო სექტორის ფირმები რჩებიან ფინანსურად შეზღუდულნი, და შესაბამისად, დამოკიდებულნი შიდა საბანკო კრედიტზე.

თეორიაში ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ფინანსური ლიბერალიზაცია ხელს უწყობს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით, და შესაბამისად, ფირმების საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურებით. თუმცა, ქვეყნის ფინანსური ინტეგრაცია და შესაბამისად გამარტივებული წვდომა ფინანსურ რესურსებზე ასევე უკავშირდება გადახდისუუნარობის რისკების ზრდას, რომელიც ხშირად იღებს უცხოური ვალუტით დენომინირებული ვალის ფორმას, რომელიც უზრუნველყოფილია არასავაჭრო სექტორის აქტივებით. უნდა აღნიშნოს ისიც, რომ გადახდისუუნარობის რისკი ჩნდება არა მხოლოდ იმიტომ, რომ ფინანსური ლიბერალიზაცია ამარტივებს წვდომას ფინანსურ რესურსებზე, არამედ იმიტომაც, რომ ხშირად იგი ასევე გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან სისტემურ გარანტიებს კრედიტორების გაკოტრების საფრთხის შემთხვევაში. ამიტომ გასაკვირი არ არის ის, რომ ვინაიდან უცხოური ფინანსური ნაკადების მნიშვნელოვან ნაწილს აქვს მაღალ რისკიანი ფორმა, ფინანსური სექტორი და ზოგადად მთელი ეკონომიკა შედარებით მოწყვლადი ხდება არასტაბილურობისა და კრიზისების მიმართ. მაგალითად, უცხოურ ვალუტაში გამოხატული ვალდებულებების წილი საბანკო სექტორის საკუთარ სააქციო კაპიტალთან შედარებით ტაილანდში გაიზარდა 50%-დან 1990 წელს 240%-მდე 1996 წლისათვის. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი ქვეყანაში 1997 წელს მწვავე ფინანსური კრიზისისა.

ზოგადად არასავაჭრო სექტორის სწრაფი ზრდა ხელს უწყობს სავაჭრო სექტორის ზრდასაც, ვინაიდან არასავაჭრო სექტორი მას სწრაფად უზრუნველყოფს უხვი და იაფი საწარმოო საშუალებებით. ამდენად, თუ კრიზისი არ მოხდება, ეკო-

ნომიკური ზრდა ფინანსურად ინტეგრირებულ ეკონომიკაში უფრო მაღალია, ვიდრე ნაკლებად ინტეგრირებულში. რა თქმა უნდა, მოწყვლადობა ფინანსური კრიზისების მიმართ იმასაც გულისხმობს, რომ შესაძლოა მოხდეს ფინანსური კრიზისი თვითშესრულებადი პროგნოზის (self-fulfilling prophecy) საფუძველზე. საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ როგორც ჩანს საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ეკონომიკური ზრდა შედარებით მაღალია ფინანსურად ინტეგრირებულ ეკონომიკებში.

კიდევ ერთი კვლევა (Martin და Rey, 2005) აანალიზებს საფონდო ბაზრის ლიბერალიზაციის გავლენას კაპიტალის ნაკადებზე, აქტივების ფასებზე და საინვესტიციო აქტივობაზე. იგი აჩვენებს, რომ როდესაც არსებობს ტრანზაქციის ხარჯები საერთაშორისო აქტივების შესაძენად, საფონდო ბაზრის ლიბერალიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს ორი შესაძლო შედეგები განვითარებად საბაზრო ეკონომიკაში. პირველი, ნორმალურ პირობებში, ფინანსური ლიბერალიზაცია ასრულებს პოზიტიურ როლს კაპიტალის ნაკადების გაზრდის კუთხით, შესაბამისად აფართოებს დივერსიფიკაციის შესაძლებლობებს და ამცირებს კაპიტალის ღირებულებას, ამდენად დადებითად მოქმედებს საინვესტიციო აქტივობასა და ეკონომიკურ ზრდაზე. მეორე, გარკვეულ პირობებში პესიმისტურმა მოლოდინებმა ეკონომიკის სისუსტის შესახებ შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური კრიზისი, რაც ასახვას ჰპოვებს დაბალ საინვესტიციო აქტივობასა და ეკონომიკური ზრდის შენელებაში. ძირითადი ელემენტი ამ მექანიზმის მუშაობისა არის ის, რომ ერთი ეკონომიკური აგენტის საინვესტიციო გადაწყვეტილება გავლენას ახდენს კაპიტალის ღირებულებაზე სხვა ინვესტორებისთვის. აგრეთვე საყურადღებოა სხვადასხვა კვლევები საფონდო ბაზრის მნიშვნელობაზე, როგორც ქვეყნის ფინანსური ინტეგრაციის განმსაზღვრელი ფაქტორი. მაგალითად, თავიანთ კვლევებში (Королевич, 2013) და (Лукасевич داФедорова, 2012) აუტორები აღნიშნავენ, რომ ფინანსური ინტეგრაციის ხარისხის დონე რომ განისაზღვროს, საჭიროა ამ ქვეყნების სა-

ფონდო ბაზრების ურთიერთკავშირის განსაზღვრა მსოფლიო საფონდო ბაზრებთან მიმართებაში. ეს მოგვცემს ქვეყნის ფინანსური ინტეგრაციის ამპლიტუდის განსაზღვრის საშუალებას. აღნიშნული მიდგომა საკმაოდ საინტერესო და კანონზომიერი გახლავთ, თუმცა, ამ კონცეფციის გამოყენებამხოლოდ განვითარებულ ეკონომიკებშია შესაძლებელი. ამის მიზეზი კი ის არის, რომ მცირე და განვითარებად ქვეყნებში (მაგ. საქართველო), საფონდო ბაზრების ფუნქციონირების დონე უმნიშვნელოა. შესაბამისად, ვერც ინტეგრაციის განსაზღვრა არის შესაძლებელი ამ გზით.

ნაშრომში (Dell'Arricia და Marquez, 2004) ავტორებმა შემოგვთავაზეს ახალი კონცეპტუალური მოდელი, სადაც ფინანსური ლიბერალიზაცია იწვევს ეკონომიკის დაკრედიტების სწრაფ ზრდას, ვინაიდან ხდება ბანკების მიერ კრედიტების გაცემაზე დასაკმაყოფილებელი პირობების შერბილება. შედეგად, საკრედიტო ციკლი კიდევ უფრო მეტ ძალას იძენს და შესაბამისად ამძაფრებს ეკონომიკური ზრდის არასტაბილურობას. აღნიშნულ მოდელში, ფინანსურ ინტეგრაციამდე ბანკები ახორციელებენ მსესხებლების უარყოფით შერჩევას - ისინი თავს არიდებენ ისეთი პროექტების დაფინანსებას, რომლებიც უკვე უარყოფილი იქნა სხვა ბანკების მიერ. როდესაც ხდება ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაცია, შედარებით ხარისხიანი პროექტები ან ფირმები დაფინანსებას იღებენ კაპიტალის ბაზრის საშუალებით. შესაბამისად, ბანკებს უკვე უწევთ ბევრი ახალი და შეუმოწმებელი პროექტების თუ ფირმების დაფინანსება, რომლებსაც ადრე ყურადღებას ნაკლებად აქცევდნენ. საბოლოო ჯამში, აღნიშნული პროცესი ზრდის საინვესტიციო აქტივობას და აუმჯობესებს ეკონომიკურ ზრდას, მაგრამ იგი ასევე იწვევს ბანკების საკრედიტო პორტფელის გაუარესებას, რაც თავისთავად ქვეყნის ფინანსურ სისუსტეში აისახება. ასეთ შემთხვევაში, თუკი წარმოიშობა რაიმე შოკი მაკროეკონომიკურ დონეზე, აღნიშნული სისუსტე ფართო გზას გაუხსნის ფინანსურ კრიზისსა და ეკონომიკის რეცესიას.

შეჯამებისთვის, ზემოთ განხილული მოდელები ფინანსური

ლიბერალიზაციის შესახებ აღწერს კომპრომისს სწრაფ ეკონომიკურ ზრდასა და ფინანსური კრიზისების გაზრდილ ალბათობას შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფინანსური ინტეგრაციის შემდეგ ეკონომიკა იზრდება უფრო სწრაფად ვიდრე ჩაკეტილ მდგომარეობაში, მაგრამ მას ასევე მეტი მიდრეკილება აქვს ეკონომიკური არასტაბილურობისკენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) Barlevy, G., (2004): The Cost of Business Cycles under Endogenous Growth, American Economic Review, Vol. 94;

2) Dell'Ariccia, G., and Marquez, R., (2004): Information and Bank Credit Allocation;

3) Eichengreen, B.,J., (2001):Capital Account Liberalization: What do Cross-CountryStudies Tell Us?(Unpublished; Berkeley: University of California);

4) Gordon, R., and Bovenberg, A., L., (1996): Why is Capital so Immobile Internationally? Possible Explanations and Implications for Capital Income Taxation, American Economic Review, Vol. 86

5) Hall, R., E., Charles I.,J., (1999):Why Do Some Countries Produce So Much MoreOutput Per Worker Than Others? Quarterly Journal of Economics, Vol. 114, No. 1(February), pp. 83–116;

6) Henry, P., B., (2007): Capital Account Liberalization: Theory, Evidence, and Speculation, Journal of Economic Literature, Vol. 45;

7) Kose, M., A., Prasad E., S., Terrones, M., E., (2004): Taking the Plunge without Getting Hurt;

8) Lucas, R., E.,(1990): Why Doesn't Capital Flow from Rich to Poor Countries, American Economic Review, Vol. 80;

9) Mendoza, E., G., Quadrini, V., Rios-Rull, J., V., (2007): On the Welfare Implications of Financial Globalization without Financial Development,NBER Working Paper No. 13412;

10) Martin, P., Rey, H., (2005): Financial super-markets: size matters for asset trade;

11) Obstfeld, M., and Rogoff, K., (2004): The Unsustainable US Current Account Position Revisited, Working Paper 10869;

12) Pallage, S., Michel A., R., (2003): On the Welfare Cost of Economic Fluctuations in Developing Countries, International Economic Review;

13) Prasad, E., Rogoff, K., Wei, S-J., Kose, M.A., (2003): Effects of Financial Globalization on Developing Countries: Some Empirical Evidence;

14) Prasad, E., Rogoff, K., Wei, S-J., Kose, M.A., (2009): Financial globalization: A reappraisal;

15) Rodrik, D., (1998): Who Needs Capital-Account Convertibility? Essays in International Finance, No. 207 (Princeton: Princeton University);

16) Reinhart, C., M., Rogoff, K., (2004): Serial Default and The „Paradox“ of Rich To Poor Capital Flows, American Economic Review, Vol. 94;

17) Ranciere, R., Tornell, A., Westermann, F., (2003): Systemic Risk and Growth;

18) Summers, L., H., (2000): International Financial Crises: Causes, Prevention, andCures,American Economic Review, Vol. 90;

19) Stiglitz, J., (2002): Globalization and Its Discontents (New York, W.W. Norton and Company);

_____, (2004): Capital-Market Liberalization, Globalization, and the IMF, Oxford Review of Economic Policy, Vol. 20;

20) Королевич,О., П., (2013): Оценка финансовой интеграции фондовых рынков: методологические подходы и показатели;

21) Лукасевич, И., Я., Федорова, Е., А., (2012): Финансовая интеграция фондовых рынков: особенности развивающихся стран;

FINANCIAL INTEGRATION: THE VIEWS AND EVIDENCES

Asie Tsintsadze,Professor at BSU
Beka Phutkaradze,PhD candidate at BSU

RESUME

The paper aims to provide readers' general overview of research studies regarding the financial integration and its possible consequences. The article will discuss the various concepts and models analyzed by the influential economists, which do not lose their relevance today.

Key words: financial integration, economic growth, crises.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მართვის რეგიონული ასპექტები

ბექა ბიბილური
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მმართველობითი ხასიათის გადაწყვეტილებების აქცენტების გადატანას ცენტრიდან რეგიონებში, რასაც წინ უნდა უძღოდეს რეგიონების ფინანსური და ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერება. მოცემული პრობლემის გადაწყვეტას ხელს შეუწყობს რიგი საკანონმდებლო რეგულაციების გატარება და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და ხალხის ცხოვრების დონის შეფასების თანამედროვე ინდიკატორების დანერგვა.

საკვანძო სიტყვები: რეგიონული ეკონომიკა, სოციალურ-ეკონომიკური ინდიკატორები, განვითრების პროგრამა, ფინანსური და ეკონომიკური პოტენციალი.

ძირითადი ტექსტი

დღეს, როდესაც ქვეყანაში აღებულია კურსი გაიზარდოს რეგიონების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის საერთო და ფინანსურ პოტენციალში, აუცილებელია მეცნიერულად განისაზღვროს საბაზრო ეკონომიკის პირობებში რეგიონალური წარმონაქმნების ადმინისტრაციის ადგილი და როლი, მოხდეს მოცემული ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური, მეცნიერული, რესურსული და ქონებრივი პოტენციალის შეფასება. ეს კი შეუძლებელია ქვეყნის ტერიტორიული ერთეულების მატერიალური წარმოების დარგების, მომსახურების, ინფრასტ-

რუქტურის, მოსახლეობის ცხოვრების დონისა და პირობების საფუძვლიანი შესწავლისა და შეფასების გარეშე, რისთვისაც გამოყენებული უნდა იქნეს მათი ცვლილებების ანალიზის და შეფასების ტრადიციული და არატრადიციული თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომები. მთლიანობაში აქცენტი უნდა გაკეთდეს რეგიონების დონეზე ეკონომიკის და ფინანსური პოტენციალის მართვისა და გაძღოლის თვისებრივად ახალ გზებსა და მეთოდებზე.

ცნობილია, რომ საქართველოს რეგიონები გამოირჩევიან მრავალფეროვნებით და ძირეულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი ისტორიული, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური თავისებურებებით, ეკონომიკური განვითარების დონით და ბუნებრივ-საწარმოო პირობებით. საქართველოს ტერიტორიის განაწილება დასაფიქრებელი ფაქტორია ტერიტორიების ზღვის დონიდან მდებარეობის თვალსაზრისით, ასე მაგალითად, მთიან ადგილზე მოდის საქართველოს ტერიტორის ნახევარზე მეტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროდ ჩავთვალეთ გამოგვეკვლია რეგიონების დონეზე ეკონომიკური და ფინანსური პოტენციალის თეორიულ - მეთოდოლოგიური საკითხები, ასევე შემოგვეთავაზებინა სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ცხოვრების დონისა და ხარისხის ახალი ინდიკატორები.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარების აუცილებლობამ დღის წესრიგში დააყენა საერთო-სახელმწიფოებრივი და რეგიონალური ინტერესების დაბალანსება. „ჩვენი აზრით, „სახელმწიფო-რეგიონის“ ურთიერთობების სრულყოფის საერთო აუცილებელ პირობად უნდა მივიჩნიოთ მათი კომპლექსურობა. დღევანდელ სიტუაციაში უპირატესობა ენიჭება ქვეყნის ტერიტორიაზე თანამედროვე საბაზრო ურთიერთობების სისტემის ჩამოყალიბებას და ეროვნული მეურნეობის ეფექტიანი ფუნქციონირების პოლიტიკური, სოციალურ-ეკო-

ნომიკური, ორგანიზაციული წანამძღვრების მომზადებას".[1]

ურთულეს პრობლემებს შორის, რომლებიც ხელს უშლიან რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარებას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათი ეკონომიკური და ფინანსური პოტენციალის დადგენას.

ეკონომიკური და ფინანსური პოტენციალი იმ საშუალებებისა და პირობების ერთობლიობაა, რომლებიც აუცილებელია საზოგადოებრივი წარმოების განვითარებისა და ინვესტიციების გაფართოების უზრუნველსაყოფად.

საქართველოსა და მისი რეგიონების ფინანსური პოტენციალის ძირითადი წყაროებია:

1. ცენტრალური და ტერიტორიული ერთეულების საბიუჯეტო და ბიუჯეტგარეშე სახსრები;

2. საინვესტიციო პროგრამების დაფინანსების რესურსები, ტრანსფერტები, დოტაციები და სესხები;

3. არაფინანსური კორპორაციების სახსრები;

4. ფინანსური კორპორაციების სახსრები;

5. საოჯახო მეურნეობების ფულადი სახსრები ;

6. შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების ფინანსური სახსრები;

ამჟამად საქართველოში რეგიონული განვითარების პროცესზე მოქმედ ფაქტორებს შორის მნიშვნელოვანია:

- ქვეყნის საერთო გეოპოლიტიკური მდგომარეობის ცვლილება კონკრეტული პერიოდისათვის;
- ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის შემცირება ოკუპაციის შედეგად;
- ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმებით რეგიონების არასაკმარისი მოცვა.

საქართველოს რეგიონები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ბუნებრივ-რესურსული პოტენციალით, კლიმატური პი-

1 ნ. ჭითანავა. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების თავისებურებანი და ტენდენციები ეკონომიკური გლობალიზაციის კონტექსტში (თვისებრივ-ეკონომიკური მიდგომა),კრ. „საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში", ბათუმი-თბილისი, ესპუკი, 2001.გვ.16-17.

რობებით და ცალკეულ პერიოდებში საერთო ეკონომიკური განვითარების მიღწეული დონით. ამდენად, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შედგენისას, როგორც მთელი ქვეყნის მიხედვით, ისე ცალკეულ რეგიონში მხედველობაში უნდა მივიღოთ ზემოაღნიშნული თავისებურებანი.

საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პირველივე წლებიდან არაეფექტური ეკონომიკური გადაწყვეტილებები იქნა მიღებული, რამაც დაღი დაასვა როგორც მთელი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, ისე მისი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. სხვადასხვა მეცნიერები ეკონომიკური განვითარების ოთხ ეტაპს მიმოიხილავენ. ასე მაგალითად, პროფესორი ნოდარ ჭითანავა 90-იანი წლებიდან პირველ ეტაპს ახასიათებს 1991-1995 წ.წ. პერიოდად, მეორე ეტაპია 1996-2003წ.წ., მესამე 2004-2012 წ.წ. და მეოთხე ეტაპი 2013-დღემდე.[1]

ეკონომიკური განვითარების თითოეული ეტაპი გარკვეული სპეციფიკით ხასიათდებოდა. ასე მაგალითად, პირველ ეტაპზე მოხდა ეკონომიკის ცალკეული დარგების მყისიერი განსახელმწიფოებრიობა. არასრულფასოვანი საკანონმდებლო ბაზის და უარყოფითი კრიმინოგენული ვითარების შედეგად პრობლემები შეექმნა ეკონომიკის ხუთივე ინსტიტუციურ სექტორს (არაფინანსური კორპორაციები, ფინანსური კორპორაციები, სახელმწიფო მართვის ორგანოები, შინამეურნეობები და შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები). შედეგად სახელმწიფო მოიცვა სისტემურმა კრიზისმა და ეკონომიკის განვითარების მოცემულ ეტაპზე ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) შედაგინა 1990 წლის დონის მხოლოდ 25 %. დაქვეითება აღინიშნა ეკონომიკის ისეთ დარგებში როგორიც არის სამრეწველო პროდუქციის წარმოება, სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის წარმოება, კაპიტალური დაბანდებები, სატრანსპორტო მომსახურება და ა.შ.

---

1 ნ. ჭითანავა. საქართველოს სოფლის მეურნეობა: ტრანსფორმაცია, პრობლემები პერსპექტივები. გამომცემლობა „ივერიონი“, თბილისი 2015 წ. გვ. 160.

ეკონომიკის განვითარების მეორე ეტაპზე აღინიშნა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის რამდენადვე გამოცოცხლება. მიუხედავად ამისა, ეკონომიკის ისეთი დარგები როგორიცაა მრეწველოსა და სოფლის მეურნეობა კვლავაც აგრძელებდა წარმოების მოცულობის შემცირებას. მეორე ეტაპზე აღინიშნა საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების რამდენადმე გაუმჯობესება, კერძოდ გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი და შემცირდა მოცემული პროდუქციის იმპორტი. მოხდა მოსახლეობის ცხოვრების დონის პოლარიზაცია, გაიზარდა ჩრდილოვანი ეკონოომიკის მასშტაბები.

ეკონომიკური განვითარების მესამე ეტაპზე ქვეყანაში ბრძოლა გამოეცხადა კორუფციას, მოიმატა უცხოურმა ინვესტიციებმა, გამოცოცხლდა უცხოელი ტურისტებით ჩვენი ქვეყნის დაინტერესება, მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფაში აქცენტები გაკეთდა იმპორტირებულ სასურსათო საქონელზე.

ეკონომიკის განვითარების მეოთხე ეტაპზე პრიორიტეტი მიეცა სოფლის მეურნეობის განვითარებას. ამ მიზნით ხორციელდება მრავალი სამთავრობო პროგრამა, თუმცა მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის მაჩვენებლები კვლავას არასახარბიელოა.

რეგიონის კომპლექსური განვითარების პრობლემების გადაწყვეტის საკითხებზე მსჯელობისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად მიგვაჩნია საქართველოს რეგიონების მიხედვით დაიწყოს ახალი ინოვაციური ინდიკატორების შემუშავება და დანერგვა, რაც ეფექტურს გახდის რეგიონის დონეზე განსახორციელებელ მმართველობითი ხასიათის გადაწყვეტილებებს. ასეთი მაჩვენებლებია:

1. რეგიონის საერთო ეკონომიკური და ფინანსური მაჩვენებლები:

1.1 მთლიანი რეგიონალური პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე;

1.2 მთლიანი რეგიონალური პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა;

1.3 მთლიანი რეგიონალური პროდუქტის ზრდის ტემპი;

1.4 სამომხმარებლო ფასების ინდექსი პროცენტობით;

1.5 მწარმოებელთა ფასების ინდექსი პროცენტობით;

1.6 რეგიონში განხორციელებული ინვესტიციების ღირებულება;

1.7 ცენტრალური და ტერიტორიული ერთეულები შემოსავლები და ხარჯები;

1.8 არაფინანსური კორპორაციების ფულადი სახსრები;

1.9 ფინანსური კორპორაციების ფულადი სახსრები;

1.10 საოჯახო მეურნეობების ფულადი სახსრები;

1.11 არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსური სახსრები.

2. ეკონომიკური კეთილდღეობის დაკმაყოფილების მაჩვენებლები:

1.1 კვებით კმაყოფილების დონე;

1.2 კომფორტული საცხოვრისის კმაყოფილების დონე;

1.3 გზების მდგომარეობის კმაყოფილების დონე;

1.4 სოფლის/ქალაქის კეთილმოწყობის კმაყოფილების დონე;

3. ცხოვრების პირობების დაკმაყოფილების მაჩვენებლები:

1.1 მოსახლეობის ჯამრთელობის მდგომარეობის კმაყოფილების დონე;

1.2 მოსახლეობის მთლიანობაში ცხოვრებით კმაყოფილების დონე;

1.3 საზოგადოებაში მდგომარეობის კმაყოფილების დონე;

1.4 მოსახლეობის თვითრეალიზების კმაყოფილების დონე;

1.5 სამსახურით კმაყოფილების დონე;

1.6 თავისუფალი დროის გატარების კმაყოფილების დონე;

1.7 დასვენების კმაყოფილების დონე;

4. **ცხოვრების უზრუნველყოფის შესაძლებლობის დაკმაყოფილების მაჩვენებლები:**

4.1 შემოსავლებით კმაყოფილების დონე;

4.2 ოჯახების მატერიალური მდგომარეობით კმაყოფილების დონე;

5. **სოციალური სფეროს განვითარების დაკმაყოფილების მაჩვენებლები:**

5.1 საშუალო სასკოლო განათლებით კმაყოფილების დონე;

5.2 სკოლამდელი განათლებით კმაყოფილების დონე;

5.3 დამატებითი განათლებით კმაყოფილების დონე;

5.4 ჯანდაცვის ორგანიზაციების მუშაობით კმაყოფილების დონე;

5.5 საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობით კმაყოფილების დონე;

5.6 საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციების მუშაობით კმაყოფილების დონე;

5.7 ბანკების მუშაობით კმაყოფილების დონე;

5.8 მაღაზიებში მომსახურების კმაყოფილების დონე;

5.9 მომსახურების სფეროს საწარმოების (ქიმწმენდა, ავტოსერვისი, სილამაზის სალონი, ფიტნეს-ცენტრების და სხვა.) კმაყოფილების დონე;

5.10 კულტურის სფეროს (თეატრები,მუზეუმები, ბიბლიოთეკები) ორგანიზაციების მომსახურების კმაყოფილების დონე;

6. **მოსახლეობის სიცოცხლის უსაფრთხოების დაკმაყოფილების მაჩვენებლები:**

6.1 მოსახლეობის უსაფრთხოების დაკმაყოფილების დონე;

6.2 მოსახლეობაში კრიმინალური შემთხვევების გავრცელების დონე;

6.3 გარემოს მდგომარეობით კმაყოფილების დონე.

ჩამოთვლილი სოციალურ-ეკონომიკური ინდიკატორების ანალიზი (ნორმატიული და ფაქტობრივი მაჩვენებლების განხილვა) საშუალებას მოგვცემს რეგიონის დონეზე დავამუშაოთ მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, შესაბამისი მმართველობითი ხასიათის გადაწყვეტილებების მიღებისათვის. ამასთან, შესაბამის ინფორმაციებზე დროითი მწკრივების ანალიზისას და შესაბამისი პროგნოზული მაჩვენებლების გაანგარიშებისას მხედველობაში უნდა გავითვალისწინოთ მწკრივების აგების ერთნაირი დროითი პერიოდიზაციის პრინციპის დაცვის აუცილებლობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი ე., კოლუაშვილი პ., ჩადუნელი გ., გალახვარიძე ნ., მახარაშვილი ი., კვაბზირიძე თ., საქართველოს ეკონომიკა, სახელმძღვანელო, თბ., 2016.

2. ჭითანავა ნ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების თავისებურებანი და ტენდენციები ეკონომიკური გლობალიზაციის კონტექსტში (თვისებრივ-ეკონომიკური მიდგომა), კრ. „საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში“, ბათუმი-თბილისი, ესპსკი, 2001.

3. ჭითანავა ნ., საქართველოს სოფლის მეურნეობა: ტრანსფორმაცია, პრობლემები პერსპექტივები. გამომცემლობა „ივერიონი“, თბილისი 2015.

4. კაკულია რ., ფინანსების ზოგადი თეორია. მე-3 გამოცემა, 2002.

5. ბარათაშვილი ე., ვეშეპიძე შ., რეგიონალური ეკონომიკური პოლიტიკა. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი, 2002.

6. Зенченко С.В. Финансовый потенциал региона: методы и модели оценки. Ставрополь: СевКавГТУ, 2008.

7. Исаев Э.А. Финансовый потенциал крупного экономического района. М.: Экономика, 2007.

8. Сабитова Н. М. О понятии финансового потенциала региона и методологии его оценки // Финансы. 2003. № 2. С. 63–68.

REFERENCES

1 E. Baratashvili, P. Koguashvili, G. Chaduneli, N. Galakhvadze, I. Makharashvili, T. Kvabziridze. Economy of Georgia, Tbilisi, 2016 (In Gerogian Language)

2. N. Chitanava, Peculiarities and Tendencies in Formation of Social-economical Policy in the context of Economical Globalisation (qualitative-economical approach), coll. „The Directions of

Social and Economical Development of Georgia in the Transitional Period.“ Batumi-Tbilisi,ESPSK,2001

3. N.Chitanava, Agriculture of Georgia: Transformation, problems and perspectives. Publisher „Iverioni“, Tbilisi 2015

4. R. Kakulia, General Theory of Finance. 3rd edition,2002

5. E. Baratashvili, Sh. Veshapidze, Regional Economical Policy. Tbilisi, Social-Economical Institute, 2002

6. S.V.Zenchenko. Financial Potential of Regions: methods and models of assessment. Stavropol, NorthCauc. STU,2008

7. E.A. Isaev, Financial Potential of a Large Economical Region, M., Economics, 2007

8. M.N. Sabitova. About the Concept of Financial Potential of Regions and the Methodology of its Assessment. Finance, 2003. N2. p.63-68.

REGIONAL ASPECTS OF MANAGEMENT OF THE COUNTRY'S SOCIO-ECONOMIC DEVELOPMENT

Beqa Bibiluri
GTU, PHD student

RESUME

On the current stage of socio-economic development in Georgia the great importance is given to transferring the accents of managerial decisions from the centre to the regions. This process should be preceeded by enhancing of financial and economical capability of these regions. The solution of the problem can be contributed by carrying out certain legislative regulations and timely implementation of modern indicators for estimating peoples' living standard.

Key words: regional economy, social and economical indicators, the program of development, financial and economical potential.

აუდიტი – ეკონომიკის მდგრადი განვითარების სისტემის ელემენტი

ნათია ხოჭოლავა
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

აუდიტი არის ეკონომიკის დინამიურად განვითარებადი მიმართულება, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური აღრიცხვის საიმედოობას და სანდოობას, ამავე დროს ამყარებს სამეურნეო ურთიერთობებს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტებს შორის. ეკონომიკური სუბიექტის ფინანსური მდგომარეობის შეფასებისას მონაცემების გაანგარიშებისათვის საფუძვლად გამოიყენება ფინანსური ანგარიშგების მონაცემები. ეკონომიკური სუბიექტის ფინანსური მდგომარეობის შეფასებისათვის კი გამოიყენება აუდიტორული დასკვნა, რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს ფინანსური ანგარიშების დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის ხარისხი. ყველაზე უფრო ინფორმატიული ამ შემთხვევაში არის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) საფუძველზე შედგენილი ფინანსური ანგარიშგება.

აუდიტი არის სამეურნეო სუბიექტების ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების წყარო, როგორც ინვესტორებისათვის, ასევე სხვა დაინტერესებული პირებისათვის – კონტრაგენტების, კრედიტორების, წარმოების მომსახურეების და სახელმწიფოსათვის.

აუდიტი ახდენს ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობის ყოველმხრივ შემოწმებას და დასკვნის საიმედობის განსაზღვრას. განიხილავს სუბიექტის სიცოცხლისუნარიანობას, სტაბილურობას და ამით ხდება მეურნე სუბიექტის მდგრადი განვითარების უზრუნ-

ველყოფის სისტემის ერთერთი ელემენტი. უზრუნველყოფს რა მეურნე სუბიექტის მდგრად განვითარებას, აუდიტი მთლიანობაში ხელს უწყობს ქვეყნის სასურველ ეკონომიკურ განვითარებას.

შესავალი

ეკონომიკა რთული მექანიზმია, რომლის მეშვეობითაც ხდება ეკონომიკური კეთილდღეობის შექმნა და განაწილება ქვეყნის მოთხოვნილების შესაბამისად. იგი თავის თავში მოიცავს საქმიანობის სხვადასხვა სახეს: საწარმოოს, საკრედიტო-საფინანსოს, საინვესტიციოს, სადაზღვევოს და ა.შ.

საქმიანობის ერთერთი სახე არის აუდიტორული მომსახურება. აუდიტი ეს არის ანგარიშგების უტყუარობის თაობაზე აზრის გამოთქმის მიზნით ეკონომიკური სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების შემოწმება დამოუკიდებელი პირების მიერ. უტყუარობის ქვეშ იგულისხმება ბუღალტრული ანგარიშების მონაცემთა სიზუსტის ხარისხი, რომელიც საშუალებას იძლევა ამ ანგარიშების მონაცემების საფუძველზე გაკეთდეს სწორი დასკვნები აუდიტის ობიექტის სამეურნეო საქმიანობის, ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ და მიღებულ იქნას ამ დასკვნებზე ბაზირებული დასაბუთებული გადაწყვეტილება.

საკვანძო სიტყვები: აუდიტორული დასკვნა, ფინანსური ანგარიშგება, საინფორმაციო რისკი, ფუნქციონირებადი საწარმო, აუდიტორული მტკიცებულება, პროფესიული სკეპტიციზმი, მდგრადი ეკონომიკური განვითარება.

ძირითადი ტექსტი

საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური როლის გაღრმავების უზრუნველყოფისათვის მსოფლიო თანამეგობრობაში, აუცილებელია ეკონომიკის მოდერნიზაცია, გადასვლა საექსპორტო ტიპზე, ინოვაციურ ეკონომიკურ განვითარებაზე.ᲥᲥვეყნისა და მისი სამეურნეო სუბიექტების მდგრადი განვითარება გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან სტაბილურობისა და საიმედოობის უზრუნველყოფას, როგორც გარანტს შესაძლო ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური რყევებისგან.

სტრატეგია, რომელიც მიმართულია ინოვაციური ეკონომიკური განვითარების ინსტიტუციონალური საფუძვლების ფორმირებისკენ უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, გვთავაზობს გახსნილობის, ეფექტურობის ხარისხობრივ ამაღლებას.

დაბანდების (ინვესტიციის) მიმზიდველობის შეფასება ხორციელდება აუდიტორული დასკვნის საფუძველზე, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ეკონომიკური სუბიექტის საქმიანობის შესახებ. მაგალითად: მასშტაბური პროექტების განხილვისას ინვესტორები, საფინანსო-საბანკო დაწესებულებები პოტენციური კლიენტის შეფასებისას, ფინანსურ ანარიშგებასთან ერთად (რომელიც თავისთვად შედგენილი უნდა იყოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით), ასევე ითხოვენ აუდიტორული დასკვნის წარდგენას, იმისათვის, რომ დადასტურდეს წარმოდგნილი ინფორმაციის უტყუარობა ყველა არსებით ასპექტთან მიმართებაში. აქ აუდიტორული დასკვნა წარმოდგენილია, როგორც მსესხებლის მონაცემების საიმედობის კიდევ ერთი წყარო და საშუალებას იძლევა შემოწმებული ანგარიშების საფუძველზე გაკეთდეს პოტენციური მსესხებლის გადახდისუნარიანობისა და კრედიტუნარიანობის მონაცემების გაანგარიშება.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელია რიგი ღონისძიებათა რეალიზაცია შემდეგ დარგებში: განათლება, მეცნიერება, ჯანდაცვა, კულტურა, მომსახურების დასაქმება, დემოგრაფიული პოლიტიკა. ეკონომიკის ინოვაციურ ტიპზე გადასვლის გეგმით ნავარაუდევია საინფორმაციო საზოგადოების შექმნა და განვითარება, ხელსაყრელი სამეწარმეო და საინვესტიციო კლიმატი, ღონისძიებათა რეალიზაცია მაკროეკონომიკის, სტრუქტურული პოლიტიკის დარგში და ასევე ტერიტორიული განვითარების სტრატეგიისა და რეგიონალური პოლიტიკის მიღება.

როგორც კერძო პირებისაგან, ასევე მსხვილი კორპორაციებისაგან ინვესტიციების მოზიდვის ამოცანის გადაჭრა ჩადებულია ბიზნესის საინფორმაციო უზრუნველყოფის, ბუღალტრული აღრიცხვისა და სტატისტიკის რეფორმირების გაუმჯობესებაში.

საწარმოების საინვესტიციო მიმზიდველობა დამოკიდებულია ფინანსური ინფორმაციის ხარისხზე, რომელიც თავის მხრივ უზურნველყოფს სამეურნეო სუბიექტებისა და საერთოდ მთელი ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებას.

ხარისხიანი ფინანსური ანგარიშგება (შედგენილი ფასს-ების მიხედვით), ხელს უწყობს ბაზარზე საწარმოს პოზიციის განმტკიცებას, ასევე მათი მართვის სრულყოფას, იმდენად რამდენადაც მენეჯერები უფრო სრულად წარმოადგენენ რეალურ ეკონომიკურ პირობებს, რომელშიც ფუნქციონირებს სამეურნეო სუბიექტი.

ფინანსური აღრიცხვიანობის სრულყოფა მიმართულია ნორმატიული აქტების ერთიანი სისტემის ფორმირებისაკენ, აუდიტორული საქმიანობის შესაბამისობისათვის იმ მოთხოვნების მიმართ, რომელიც წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშების მომხმარებელთა მხრიდან.

აუდიტი, როგორც სამეურნეო სუბიექტების მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის სისტემის ელემენტი, საშუალებას იძლევა:

1) შეამციროს ფინანსური ანგარიშების მომხმარებელთა როგორც გარე (ინვესტორები, კრედიტორები, სახელმწიფო), ასევე შიდა (აქციონერები, საწარმოს ხელმძღვანელობა) საინფორმაციო რისკები;

2) განხილულ იქნას ეკონომიკური სუბიექტის საქმიანობის უწყვეტობის დაშვება;

3) ეკონომიკური სუბიექტის ფინანსური მდგომარეობის შეფასება.

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ აუდიტი – როგორც სუბიექტის მეურნეობის, რეალობისა და საერთოდ ეკონომიკის განვითარების ელემენტი.

საინფორმაციო რისკი. საინფორმაციო რისკი ეს არის რისკის იმისა, რომ ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც მიღებულია გადაწყვეტილება იყოს არაზუსტი. საინფრომაციო რისკის წარმოშობის მთავარი მიზეზია კლიენტის არაზუსტი ფინანსური ანგარიშება [3].

დამოუკიდებელი აუდიტი გამოდის სუბიექტის მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის სისტემის ელემენტის სახით და ამ გზით საშუალებას იძლევა შემცირდეს საინფორმაციო რისკი.

აუდიტის დროს მხედველობაში მიიღება სტრუქტურისა და ფუნქციის სირთულე, რომელსაც ასრულებს ბუღალტრული აღრიცხვა და საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად შემცირდეს ფინანსურ ანგარიშებში წარმოდგენილი ინფორმაციის არასაიმედოობა. ამავდროულად გასათვალსიიწნებელია ის ფაქტიც, რომ აუდიტის დროს არ ხდება ბუღალტრული აღრიცხვის რეესტრების 100%-ის შემოწმება.

Aამრიგად, დასახული ამოცანის გადაჭრისათვის აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნას:

• ინდივიდუალური აუდიტორებისა და აუდიტორული ორგანიზაციების პროფესიული შესაძლებლობის ამაღლება. აუდიტორული შემოწმების დარგში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი და აუდიტის საყოველთაოდ მიღებული საშუალებებისა და მეთოდების გამოყენება, ასევე აუდიტორულ პრაქტიკაში უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების აქტიური ჩართვა;

• იმ ორგანოების მუშაობის ეფექტურობის ამაღლება, რომელიც არეგულირებს აუდიტოულ საქმიანობას.

ფინანსური ანგარიშების მომხმარებელთა მოთხოვნილების ზრდა უტყუარი ინფორმაციის მისაღებად განპირობებულია რიგი ფაქტორებით. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვნად შეიძლება ჩაითვალოს მსოფლიო ეკონომიკაში გლობალური ეკონომიკური რყევები. წარდგენილი ფინანსური ინფორმაციის აუდიტორული დასკვნით დადასტურება აუცილებელი გახდა თითქმის ყველა ეკონომიკური სუბიექტისათვის.

ფუნქციონირებადი საწარმო - საქმიანობის უწყვეტობა დაკავშირებულია საწარმოს განსაზღვრულ სიცოცხლისუნარიანობასთან, ამისათვის აუდიტის ობიექტი მოწმდება ფინანსური ანგარიშების შედგენის ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობის – მეურნე სუბიექტის საქმიანობის უწყვეტობის თაობაზე.

ფუანქციონირებადი საწარმოს დაშვება – არის მეურნე სუბიექტის ბაზარზე მდგომარეობის ერთ-ერთი პირობა, ასეთი ვარაუდი აუცილებელია ეკონომიკური სუბიექტების მიმართ, რამდენადაც საშუალებას იძლევა გაკეთდეს დასკვნები მისი შესაძლებლობების თაობაზე მოემსახუროს ვალდებულებებს და მოახდინოს აქტივების რეალიზაცია. საქმიანობის უწყვეტობა სტაბილური განვითარების საწინდარია, რაც დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე მთლიანად.

საქმიანობის უწყვეტობის ანალიზი და შეფასება უნდა ტარდებოდეს არა მარტო აუდიტორის, არამედ თვით საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ. აუდიტორმა შეიძლება გამოიყენოს ეკონომიკური სუბიექტის მონაცემები, მაგრამ პროფესიული სკეპტიციზმის პოზიციიდან. პროფესიული სკეპტიციზმის გამოვლენა ნიშნავს, რომ აუდიტორი კრიტიკულად აფასებს მიღებულ აუდიტორიულ მტკიცებულებების წონადობას და ყურადღებით შეისწავლის აუდიტორიულ მტკიცებულებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება ან ეჭვის ქვეშ აყენებს არსებული დოკუმენტაციის ან ხელმძღვანელობის განცხადებებს. პროფესიული სკეპტიციზმის გამოვლინება საჭიროა აუდიტის მსვლელობისას, იმისათვის, რომ არ გამოგვრჩეს მხედველობიდან საეჭვო საკითხები, არ მოხდეს დასკვნების გაუმართლებელი განზოგადება, არ იქნეს გამოყენებული მცდარი ვარაუდები აუდიტორული პროცედურების ხასიათის, ფარგლებისა და მოცულობის განსაზღვრისას, აგრეთვე მათი შედეგების შეფასებისას. ‌Ფპროფესიული სკეპტიციზმის გამოყენება საშუალებას აძლევს აუდიტორს იქონიოს წარმოდგენა საწარმო საქმიანობაზე, რომელიც ასახავს საქმის რეალურ მდგომარეობას; შეაფასოს შესამოწმებელი ფინანსური ანგარიშების კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

დასკვნა

ამრიგად, აუდიტი როგორც ეკონომიკური სუბიექტების მდგრადი განვითარების სისტემის ელემენტი, საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს არა მხოლოდ განამტკიცონ მდგომარეობა ბაზარზე, არამედ ფლობდნენ უნარს თანმიმდევრული და მუდ-

მივი წინსვლისკენ. მაშასადამე, აუდიტი არის რთული სისტემის ნაწილი, რომელიც საერთო ჯამში ემსახურება ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური განვითარების უზრუნველყოფას.

ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ:

1. გ. ცაავა, თ. აბრამია, დ. ცაავა "რისკოლოგია: ფინანსური და საბანკო-საკრედიტო რისკების მენეჯმენტი" 2007წ.

2. მელნიკი მ.ვ., კოგდენკო ვ.გ ეკონომიკური ანალიზი აუდიტში, სახელმძღვანელო. 2007წ. Экономический анализ в аудите: Учебное пособие/ М.В. Мельник, В.Г. Когденко

3. არენე ე.ა., ლობეკი ჯ.კ., „აუდიტი, ფინანსები, სტატისტიკა" 2003წ. Arrene E.A., Lobbeck J.k., Audit, Finance and statistics. 2003.

REFERENCES:

1. G.Tsaava, T. Abramia, D. Tsaava "Riskology: Financial and credit risk management" 2007w.

2. Melnik M.V, Kogdenko V.G., Economic analysis in audit: Tutorial, 2007.

3. Arrene E.A., Lobbeck J.k., Audit, Finance and statistics. 2003.

AUDIT AS THE SYSTEM ELEMENT OF SUSTAINABLE ECONOMIC DEVELOPMENT

Khocholava Natia
GTU, PhD student

RESUME

Audit is dynamically developing a direction of economy that provides the reliability and credibility of financial reporting at the same time reinforcing the economic relations between the subjects of entrepreneurial activity. In assessing the financial condition of the economic entity for calculating basis are used data from financial reporting. On the other hand audit report makes possible to assess the financial condition of the economic entity, it allows determine the quality criteria accordance with

financial reporting requirements. Most informative in this case is the financial statement, drawn from International Financial Reporting Standards (IFRS) basis.

Audit is a source of information about the financial situation of business entities - for investors and other interested parties, counterparties, creditors, production personnel and the government.

Audit is conducting a comprehensive review of the activities of economic entities and the conclusion reliability. It discusses the subject of visibility and stability, therefore becomes the element of sustainable development system of economic entity. By ensuring the sustainable economic development, the audit itself promotes the desired economic development as a whole.

Keywords: Audit report, financial statement, informational risk, going concern, audit evidence, professional skepticism, sustainable economic development.

ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების გავლენა ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელზე

ნატა ქირია, მარიამ მუქერია
თსუ ბაკალავრიატის მე-3 კურსის სტუდენტები

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების გავლენა დემოგრაფიულ პარამეტრებზე, კერძოდ, ბავშვთა სიკვდილიანობაზე. კორელაციური კავშირის საჩვენებლად გაანალიზებულია 4 ქვეყანის დემოგრაფიული მახასიათებლები ჯანდაცვაზე გამოყოფილ ხარჯებთან მიმართებაში. შერჩეულია 2 ქვეყანა ბავშვთა სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით (ავღანეთი, მალი) და 2 ქვეყანა ბავშვთა სიკვდილიანობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლით (მონაკო, იაპონია).ნაჩვენებია ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა დინამიკაში, 90-იანი წლებიდან დღემდე, როგორ შეიცვალა მდგომარეობა ბავშვთა სიკვდილიანობის კუთხით. აღვწერეთ მთავრობის და ჯანდაცვის სისტემის წვლილი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული პრობლემის გადაჭრის გზების ძიებაში. ვაჩვენეთ თუ როგორ ვარირებდა ჯანდცვისთვის გამოყოფილი ხარჯები 2008 წლიდან 20015 წლამდე პერიოდში. ასევე ხაზი გავუსვით გაეროს ბავშვთა ფონდის აქტიურ ჩართულობას ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: ბავშვთა სიკვდილიანობა, მთლიანი შიდა პროდუქტი, საყოველთაო დაზღვევა.

შესავალი

ჯანდაცვის სფეროს გაძლიერება და ამ კუთხით განხორციელებული რეფორმები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ნებისმიერი ქვეყნისთვის. ის თუ რა რაოდენობის თანხას ხარჯავს მთლიანი შიდა პროდუქტიდან ესა თუ ის ქვეყანა აისახება ამ ქვეყნის დემოგრაფიულ მაჩვენებლებზეც. ამის ნათელი მაგალითია ჩვილთა სიკვდილიანობის კოეფიციენტი, რომელიც ხშირ შემთხვევაში პირდაპირ კორელაციაშია სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვაზე

გაწეულ თანხებთან და ამ თანხების ერთ სულ მოსახლეზე გადანაწილებასთან.

მნიშვნელოვანია საბიუჯეტო დაფინანების ამა თუ იმ სოციალური სეგმენტის შეფასება არა მხოლოდ საბიუჯეტო ხარჯების, არამედ მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ ერთ სულ მოსახლეზე გაწეული ხარჯების გაანგარიშებით. „ასე მაგალითად, ერთ სულ მოსახლეზე ჯანდაცვაზე გაწეული სახელმწიფო ხარჯები მნიშვნელოვნად ვარირებენ განვითარებული და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში და შეადგენს: აშშ-ში — 2168, შვეიცარიაში — 2156, შვედეთში — 1832, ჩეხეთში — 372, ესტონეთში — 172, ლიტვაში — 146, რუსეთში — 78, ყაზახეთში — 27, უკრაინაში — 22 აშშ დოლარს, ხოლო საქართველოში სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვისთვის ერთ ადამიანზე დახარჯული თანხის ოდენობა 25-30 ლარს არ აღემატება."(ბოლქვაძე, ჟოჟუაშვილი, 2009)

მსოფლიოს მდგომარეობა ბავშვთა სიკვდილიანობის კუთხით

2016 წლის მონაცემებით ბავშვთა სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირედება ავღანეთში 112,8‰ (Central Intelligence Agency CIA), რაც ნიშნავს, რომ ყოველი დაბადებული 1000 ბავშვიდან დაახლოებით 113 კვდება. შიკვდილიანობის კუთხით ასეთი საგანგაშო სტატისტიკა შესაძლოა ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯებით აიხსნას. 2014 წლის მონაცემებით მშპ-ს 8,2% (World Health Organization, WHO) იხარჯება ჯანდაცვაზე, რაც არც თუ ისე დაბალი მაჩვენებელია, მაგრამ არა საკმარისი, რადგან ქვეყნის მოსახლეობა 35,5 მილიონს (2015 წ.) აღემატება, როცა მთლიანი შიდა პროდუქტი 62,32 მილიარდი დოლარია (CIA, 2015) და შესაბამისად ერთ სულ მოსახლეზე ჯანდაცვისთვის გამოყოფილი თანხა კი — 167 დოლარია (WHO, 2015).

2016 წლის მონაცემებით მსოფლიოში ბავშვთა სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლით მე-2 ადგილზეა მალი, სადაც ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი არის 100‰. (CIA) 2014 წლის მონაცემებით მალი მშპ-დან ჯანდაცვისთვის 6,9% მოიხმარს (CIA), რაც ერთ სულ მოსახლეზე 108 დოლარს შეადგენს (WHO, 2014).

განვითარებულ ქვეყნებში კი მდგომარეობა რადიკალურად

განსხვავებულია, მაგალითად 2016 წლის მონაცემებით ბავშვთა სიკვდილიანობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მონაკოში აღინიშნება — 1,8‰ (CIA). ასევე მონაკო პირველ ადგილზეა სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგძლივობით — 89,5 წელი (CIA). სიცოცხლის მაღალი საშუალო ხანგძლივობა და ბავშვთა დაბალი სიკვდილიანობა შესაძლოა იყოს ერთ-ერთი ინდიკატორი კარგი ჯანდაცვის სისტემისა, ამაზე ამ კუთხით თანხაც მეტყველებს. მონაკოს მთავრობა თითოეულ მოსახლეზე ჯანდაცვის კუთხით გამოყოფს 7302 დოლარს (WHO, 2014).

იაპონია ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ქვეყანაა 126,5 მილიონზე მეტი მოსახლეობით. იაპონია ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლით 224 ადგილზეა — 2‰ (CIA), რაც იმას ნიშნავს, რომ ამ მხრივ მხოლოდ მონაკო უსწრებს მას. ეს შედეგები შეიძლება აიხსნას იაპონიის განვითარების მაღალი დონით, რისი ერთ-ერთი მანიშნებელიც არის მშპ-დან ჯანდაცვისთვის გამოყოფილი თანხის პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც 10,2% (CIA, 2015) და ერთ სულ მოსახლეზე საკმაოდ სოლიდური თანხა — 3724 დოლაია (WHO, 2014). აქედან გამომდინარე ქვეყანაში სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგძლივობაც მაღალია (85 წელი), ამ მაჩვენებლით კი მსოფლიოს ქვეყნების ხუთეულში მე-3 ადგილს იკავებს (CIA, 2015).

საქართველოს მდგომარეობა ბავშვთა სიკვდილიანობის კუთხით

რაც შეეხება საქართველოს ამ კუთხით საგანგაშო ვითარება არ არის, 2016 წლის მონაცემებით ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 15,6‰ და მსოფლიოში მეასე ადგილს იკავებს (CIA) . უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვთა სიკვდილიანობა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით არც ისე დაბალია და იგივე შეიძლება ითქვას სიცოცხლის მოსალოდნელ საშუალო ხანგძლივობაზეც, რაც 72,2 წელია (CIA, 2016). ეს დემოგრაფიული პარამეტრები შეგვიძლია ავხსნათ ჯანდაცვაზე გამოყოფილი ხარჯებით, რაც მშპ-ს 7,4%-ია და ერთ ადამიანზე 628 დოლარს შეადგენს (WHO, 2014). ამ მხრივ აქტიურად მუშაობს საქართველოს მთავრობა

და ჯანდაცვის სამინისტრო, სწორად ჯანდაცვის სამინისტოროს მიერ განხორციელებული რეფორმების შედეგად გაუმჯობესდა ქვეყანაში ამ კუთხით მდგომარეობა. ამა მოწმობს ბავშვთა სიკვდილიანობის შეფასების გაეროს სააგენტოთაშრისო ჯგუფის (IGME) მიერ მოცემული სტატისტიკა. მის მიხედვით 1990 წელს საქართველოში 0—5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა 47‰-ს შეადგენდა. IGME-ს შეფასებით, „2013 წელს საქართველოში 5 წალმდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელმა 1000 ცოცხალ შობილზე შეადგინა 13‰. ოფიციალური სტატისტიკით, 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელმა 1000 ცოცხალ შობილზე იმავე წელს 12,4‰ შეადგინა. ამრიგად, საქართველოში 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის კუთხით მნიშვნელოვანი გაუმჯობესება აღინიშნება."[1]

2015 წელს წინა წლებთან შედარებით საქართველოში ბავშვთა სიკვდილიანობა რადიკალურად შემცირდა, რასაც თან ახლდა ჯანდაცვის სისტემაში განხორციელებული რეფორმები და საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედება. საქართველოს მთავრობამ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედების ვადად 2013 წლის 28 თებერვალი განსაზღვრა[2] და ეს პროგრამა ხარვეზების მიუხედავად დღემდე წარმატებით მუშაობს. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყანა სულ უფრო და უფრო მეტ თანხას ხარჯავს ჯანდაცვის განვითარებაზე, რასაც მოწმობს გრაფიკი 1.

ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირების საკითხით დაინტერესებულია გაეროს ბავშვთა ფონდიც. ის ხშირად მართავს სხვადასხვა სახის კონფერენციებს და აფინანსებს ჯანდაცვის პროექტებს, რაც ხელს უწყობს ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებას. გაეროს ბავშვთა ფონდი თავის ოფიციალურ საიტზე განმარტავს, რომ მისი ერთ-ერთი მისიაა მოახდინოს პოლიტიკური ნებისა და მატერიალური რესურსების მობილიზება განსაკუთრებით გან-

1 **დაავადების კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.**

2 **საქართველოს მთავრობის დადგენილება №36, 2013 წლის 21 თებერვალი, ქ. თბილისი**

ვითარებადი ქვეყნების დასახმარებლად, რათა მათ ყურადღება გაამახვილონ ბავშვთა საკითხებზე და აცხადებს, რომ ბავშვთა სიცოცხლის შენარჩუნება განვითარება და დაცვა აუცილებელია საყოველთაო განვითარებისათვის.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჯანდაცვისთვის გამოყოფილი თანხები გავლენას ახდენს დემოგრაფიულ პარამეტრებზე, კერძოდ. კი ბავშვთა სიკვდილიანობაზე. თუ სახელმწიფო გაზრდის ჯანდაცვაზე გამოყოფლი ხარჯებს და უფრო დიდ ყურადღებას დაუთმობს ამ სფეროს, შეძლებს ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებას, როგორც ეს საქართველოს მაგალითიდან ჩანს. აქ სურათი 90-იანი წლებიდან დღემდე კონტრასტულად შეიცვალა დადებითისკენ, რაშიც დიდი როლი გაეროს ბავშვთა განვითარების ფონდმა და სახელმწიფოს აქტიურმა ჩართულობამ ითამაშა.

გრაფიკი. სახელმწიფო დაზღვევის პროგრამასა და საყოველთაო ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების ზრდის ტემპი (2008-2015 წლები)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბოლქვაძე, ბ. & ჟოჟუაშვილი, ნ. (2009); სახელმწიფო ფინანსების გამოყენების ტენდენციები და პრიორიტეტები გარდამავალ პერიოდში; ხელმისაწვდომია ლინკზე: http://www.nplg.gov.ge/ (წვდომის თარიღი 24.01.2017)

2. გაეროს ბავშვთა ფონდი http://unicef.ge/misia/45 (წვდომის თარიღი 25.01.2017)

3. დაავადების კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; 1 ივნისი — ბავშვთა საერთაშორისო დღე; ხელმისაწვდომია შემდეგ ლინკზე: http://www.ncdc.ge/Home/Article/2995 (წვდომის თარიღი 24.01.2017)

4. მსოფლიოს ჯანმრთელობის ორგანიზაცია
http://www.who.int/countries/en (წვდომის თარიღი 23.01.2017)

5. საქართველოს მთავრობის დადგენილება №36, 2013 წლის 21 თებერვალი, ქ. თბილისი

6. ცენტრალური სადაზღვევო სააგენტო https://www.cia.gov/library/publications/resources/the-world-factbook/
(წვდომის თარიღი 23.01.2017)

REFERENCES:

1. Bolkvadze, B. & Jojuashvili, N. (2009); Annotation The Tendencies And Priorities Of Using Of The Public Finances In Transitorial Period; Retrived From: http://www.nplg.gov.ge on (24.01.2017)

2. United Nations Children's Fund http://unicef.ge/misia/45 on (25.01.2017)

3. National Center For Disease Control and Public Health http://www.ncdc.ge/Home/Article/2995 on (24.01.2017)

4. World Health Organization http://www.who.int/countries/en on (23.01.2017)

5. Georgian Government Resolution # 36; (23.02.2013) Tbilisi;

6. Central Intelligence Agency https://www.cia.gov/library/publications/resources/the-world-factbook/ on (23.01.2017)

THE EFFECT OF THE HEALTH CARE COSTS ON CHILD MORTALITY RATE

Nata Kiria, Mariam Mukeria,
3d year Bachalor Students at TSU.

RESUME

In our article, we examined the effect of the health care costs of demographic parameters, in particular on child mortality rate. To show the correlation, we have examined 4 countries' demographic characteristics of health care costs. We have chosen 2 countries according to highest number of children mortality rate and other 2 countries for the last number of it.

And according to this information we have examined Georgian reality towards this issue particularly, the change from 90's to nowadays. We have also described the contribution of government and ministry of health care in solving this problem. It has also taken into our account the active United Nations Children's Fund in process of reducing the children mortality.

Key Words: Children Mortality, Gross Domestic Product, General Health care.

კვლევითი პროექტები და მათი თავისებურებანი

ქეთევან კიწმარიშვილი
სტუ ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

განასხვავებენ **კვლევით** და **ვენჩერულ** პროექტებს: **კვლევითი პროექტი** წარმოადგენს სოციალურ-კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე აქტუალური თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაზე მიმართულ კვლევებისა და სამუშაოების გეგმას. კვლევით პროექტებში მოცემულია მეცნიერულად დასაბუთებული ტექნიკური, ეკონომიკური ან ტექნოლოგიური გადაწყვეტები.

საკვანძო სიტყვები: სამეცნიერო კვლევები; მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; საინფორმაციო სისტემა; საექსპედიციო სამუშაოები.

ძირითადი ტექსტი

განასხვავებენ **კვლევით** და **ვენჩერულ** პროექტებს: **კვლევითი პროექტი** წარმოადგენს სოციალურ-კულტურული, ეკონომიკური, და პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე აქტუალური თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაზე მიმართულ კვლევებისა და სამუშაოების გეგმას. კვლევით პროექტებში მოცემულია მეცნიერულად დასაბუთებული ტექნიკური, ეკონომიკური ან ტექნოლოგიური გადაწყვეტები. განასხვავებენ: **საინიციატივო სამეცნიერო პროექტებს**; **სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების პროექტებს**; **საინფორმაციო სისტემებისა და მონაცემთა ბაზების შექმნის პროექტებს; საგამომცემლო პროექტებს**; **საექსპედიციო სამუშაოების ჩატარების პროექტებს** და სხვა. განვიხილოთ ისინი დაწვრილებით.

საინიციატივო პროექტებს ჩვეულებრივ ახორციელებენ მცირერიცხოვანი (10 კაცამდე) სამეცნიერო კოლექტივები ან ცალკეული მეცნიერები. ამგვარ პროექტებს არ ჰყავთ კონკრე-

ტული დამკვეთები. საინიციატივო პროექტის შესრულების ვადა განისაზღვრება 1, 2 ან 3 წლით.

საინიციატივო პროექტის შინაარსი მოიცავს:

➢ ფუნდამენტურ სამეცნიერო პრობლემას, რომლის მოგვარებისკენაა მიმართული პროექტი.

➢ აღნიშნული პრობლემის ფარგლებში კონკრეტულ ფუნდამენტურ ამოცანას.

➢ შემოთავაზებულ მეთოდებსა და მიდგომებს (სიახლის ხარისხის შეფასების გათვალისწინებით), სამუშაოს შესრულების მთელი პერიოდისთვის საერთო გეგმას.

➢ მოსალოდნელ სამეცნიერო შედეგებს (გაფართოებული აღწერილობა პროექტის ორიგინალურობის ხარისხის შეფასებით).

➢ მეცნიერების მოცემულ სფეროში კვლევების თანამედროვე მდგომარეობას და მათი მოსალოდნელი შედეგების შედარებას მსოფლიოში არსებულ დონესთან;

➢ შემოთავაზებულ პროექტზე კოლექტივის სამეცნიერო მარაგნაკეთს; ადრე მიღებულ შედეგებს (ორიგინალურობის ხარისხის შეფასებით), და შემუშავებულ მეთოდებს (სიახლის ხარისხის შეფასებით);

➢ ძირითადი პუბლიკაციების სიას, რომლებიც ყველაზე ახლო დგას მოცემულ პროექტთან.

➢ არსებული დანადგარების ჩამონათვალს და დახასიათებას.

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების პროექტი მოიცავს:

➢ ფუნდამენტურ პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტისთვის გამოყენებული იქნება ძვირადღირებული დანადგარები;

➢ დანადგარების გამოყენების სფეროს კონკრეტულ დახასიათებას (ქვეგანყოფილება, ორგანიზაცია და ა.შ.);

➢ დანადგარების შეძენისა და ექსპლუატაციაში შესვლის აუცილებელი სამუშაოების ზოგად გეგმას;

➢ მოცემული პროექტის წინარე ვარიანტს;

➢ არსებული მასალებისა და დანადგარების ნუსხას;

➢ ახლის შეძენის დასაბუთებას და მასზე კონტროლს.

საინფორმაციო სისტემებისა და **მონაცემთა ბაზების (სს-სა და მბ-ის) პროექტში** აისახება:

- ცოდნის ის სფერო, რომელშიც შემდგომში გამოიყენება საინფორმაციო სისტემები და მონაცემთა ბაზები;
- ფუნდამენტალური სამეცნიერო პრობლემები, რომელთა მოგვარებისთვის აუცილებელია საინფორმაციო სისტემები და მონაცემთა ბაზები, აგრეთვე მომხმარებელთა წრე და მათი მოსალოდნელი რაოდენობა;
- კონკრეტული ფუნდამენტური ამოცანა, რომლის გადაწყვეტაზეა ორიენტირებული პროექტი;
- შემოთავაზებული მეთოდები და მიდგომები;
- პროექტის შესრულების პერიოდზე გაწერილი სამუშაოების ზოგადი (საერთო) გეგმა;
- მოსალოდნელი შედეგები;
- არსებული საინფორმაციო სისტემების მდგომარეობა მეცნიერების მოცემულ სფეროში, მისი შედარება მსოფლიოში არსებულთან, სამამულო ან უცხოური ანალოგები;
- ანალოგიური პროექტების რეალიზაციის გამოცდილება, ადრე შექმნილი საინფორმაციო სისტემების აღწერილობა, ძირითადი პუბლიკაციები;
- საინფორმაციო სისტემების შემქმნელებთან არსებული სალიცენზიო პროგრამული საშუალებები;
- პროექტის წარმატებით შესრულებისას აუცილებელად შესაძენი ძვირადღირებული საპროგრამო საშუალებებისა და აპარატების ნუსხა;
- სამეცნიერო საზოგადოებისთვის საინფორმაციო სისტემების გადაცემის საშუალებები;
- შესაქმნელი საინფორმაციო სისტემების სტანდარტული მახასიათებლები (ოპერატიული მეხსიერების საჭირო მოცულობა, კილობაიტი); მეხსიერების საჭირო მოცულობა პროგრამებსა და ცალკე მონაცემთა ბაზისთვის; სავარაუდო სააპარატო და საოპერაციო პლატფორმები, საპროგრამო საშუალებები, რომლებიც საინფორმაციო სისტემების ფუნქციონირებისთვის არის აუცილებელი;

➢ ფუნქციონალური მახასიათებლები (საინფორმაციო სისტემების ტიპი, მისაღები ფორმების რაოდენობა, საინფორმაციო სისტემების მონაცემთა წყარო, ველების რაოდენობა, ჩანაწერთა ან ობიექტთა რიცხვი; დოკუმენტის წარდგენის ფორმები; ძიების ორგანიზება და რეჟიმი);

➢ დამატებითი საშუალებები (მონაცემთა გადაცემის ქსელი, კავშირის არხები, საინფორმაციო სისტემების შემდგომი განვითარების საშუალებები, საინფორმაციო სისტემებიდან ინფორმაციის მოწოდების ხერხები).

საგამომცემლო პროექტში ნაჩვენებია:

➢ ფუნდამენტალური სამეცნიერო პრობლემა, რომლის ანალიზსა და შედეგების განზოგადოებაზეა მიმართული პროექტი;

➢ მოცემული პრობლემის ფარგლებში კონკრეტული ფუნდამენტალური ამოცანა;

➢ გამოცემის გეგმა-პროექტი (სტრუქტურა და შინაარსი), გამოცემის მოცულობა საავტორო ვარიანტში (ავტორის ერთი ფურცელი უტოლდება 40 000 ნიშანს) და მოსალოდნელი ტირაჟი;

➢ მეცნიერების მოცემულ სფეროში პუბლიკაციების დღევანდელი მდგომარეობა;

➢ შემოთავაზებული გამოცემის ორიგინალობის ხარისხი (შინაარსის, სტრუქტურის, ანალიზისა და განზოგადოების დონის, გადმოცემის მეთოდიკის მიხედვით).

➢ ავტორის (ან ავტორთა კოლექტივის) წინასწარ მომზადებული სამუშაოს მარაგნაკეთი;

➢ ადრე მიღებული შედეგები და დამუშავებული მეთოდები;

➢ ავტორის იმ პუბლიკაციათა ჩამონათვალი, რომლებიც ყველაზე ახლოა მოცემულ პროექტთან.

საგამომცემლო პროექტებს შორის სულ უფრო ვრცელდება ელექტრონული სახელმძღვანელოები და კურსები, რომლებსაც უნივერსიტეტი ქმნის, სპეციალიზებულ კომპანიებსა და ფირმებთან ერთად.

პროცესებს ხელმძღვანელობს და სამუშაოებს ახორციელებს ორგანიზაციის უმაღლესი მენეჯმენტი.

ელექტრონული სახელმძღვანელოებისა და კურსების შესაქმნელად იქმნება დროებითი შემოქმედებითი კოლექტივები, სადაც მთავარი ფიგურა — მასწავლებელია. მასწავლებლის გარდა, რომელსაც მოცემული დისციპლინის სწავლების საკმაო გამოცდილება აქვს, სახელმღვანელოზე მუშაობენ მეთოდისტები, პროგრამისტები და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროს სხვა სპეციალისტები.

ელექტრონული სახელმძღვანელოს საგანმანათლებლო პროცესში დანერგვისა და მომზადების შესახებ საგამომცემლო პროექტი მოითხოვს დიდ დანახარჯებს და ამიტომ ის კვლევით და ვენჩერულ პროექტებს შორის ზღურბლზეა.

საექსპედიციო სამუშაოების ჩატარების პროექტი ასახავს:

➢ ფუნდამენტურ სამეცნიერო პრონლემას, რომლის მოსაგვარებლადაც არის ის მიმართული;

➢ კონკრეტული გადასაწყვეტი საკითხის ფორმულირებას; სამუშაოების საერთო გეგმას;

➢ მოცემული პროექტის წინარე ჩატარებულ სამუშაოებს (ადრე მიღებული შედეგები, რომლებიც ასაბუთებს საექსპედიციო სამუშაოების ჩატარების აუცილებლობას);

➢ არსებული და აუცილებელი დანადგარების ჩამონათვალს.

კოლექტიური სარგებლობის ცენტრების შექმნის პროექტი ასახავს:

➢ ფუნდამენტალური პრობლემების გადაწყვეტისას ცოდნის სფეროს, რომელიც დანადგარების კომპლექსის გამოყენებას გულისხმობს;

➢ არსებული დანადგარების ჩამონათვალს, მათ ტექნიკურ მდგომარეობას და ძირითად მახასიათებლებს.

➢ ფუნდამენტური კვლევებისათვის დანადგართა კომპლექსის სამეცნიერო-მეთოდური გამოყენების კუთხით არსებულ გამოცდილებას.

➢ კომპლექსის სამენციერო-მეთოდური განვითარების ძირითად მიმართულებებს, ასევე კომპლექსის მდგრადი მუშაობისათვის საჭირო აღჭურვილობისა და მასალების ნუსხას.

განხილული პროექტები დამახასიათებელია სამეცნიერო

კვლევების ჩატარებისათვის მათემატიკაში, ინფორმატიკაში, მექანიკაში, ფიზიკაში, ასტრონომიაში, ქიმიაში, ბიოლოგიასა და მედიცინაში; მიწის შესახებ მენციერებაში, ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მენციერებებში.

კვლევითი პროექტისთვის დამახასიათებელია:

- სიახლის მომენტი;
- წინასწარ ჩამოყალიბებული მიზანი;
- დაწყების და დამთავრების ვადა;
- დროის და საშუალებების შეზღუდულობა.
- სირთულე;
- სხვადასხვა პროფილის სპეციალისტთა მოზიდვის აუცილებლობა;
- მაღალი პრიორიტეტი.

პროექტი გამიზნული უნდა იყოს განსაზღვრულ დროში და შეზღუდული რესურსების გამოყენებით კონკრეტული მიზნის მიღწევისთვის, რომელიც იმდენად ახალია, რომ რეალიზაციისთვის სპეციალურ მიდგომებს – საპროექტო ჯგუფის ან შემოქმედებითი კოლექტივის შექმნას, მართვას და ა.შ. საჭიროებს.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

ვლევითი პროექტები ხასიათდება არამდგრადი ეკონომიკური ეფექტით და მაღალი რისკების შემცველობით. ამის გამო, ფინანსური ინსტიტუტები და სხვა მოგებაზე ორიენტირებული სტრუქტურები არ არიან დაინტერესებულნი მათი ინვესტირებით. ამგვარი პროექტების დაფინანსება შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან და გრანტებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქ. კიწმარიშვილი. ინოვაციური მენეჯმენტი. 2016წ. (Innovative Management.)

2. Инновационный менеджмент, под ред. С. Ильенковой, М., 2014.

3. Иновационный менеджмент, под ред. В. Горфинкеля, М., 2007.

4. http: //www.russba.ru/

RESEARCH PROJECTS AND THEIR PECULIARITIES

Ketevan Kitsmarishvili
GTU, Associated Professor

RESUME

There are research and venture projects: **research project** represents a plan of works and research that are oriented towards the solution of theoretic and practical tasks having social-cultural, economic and political significance. Research projects introduce the technical, economical or technological solutions argued under the scientific manner.

Keywords: Scientific Researches; Material-technical Base; Information System; Expedition works.

აგრარული რისკები, აგროდაზღვევისა და აგროდაკრედიტების პრობლემები

გიორგი თეთრაძე,
სტუ დოქტორანტი

პაატა კოღუაშვილი
სტუ პროფესორი

რეზიუმე

მოცემულ ნაშრომში ავტორები განიხილავენ აგრორისკებს და ქვეყანაში არსებულ პრობლემატიკას აგროდაზღვევსთან და აგროდაკრედიტებასთან დაკავშირებით. გამომდინარე იქიდან, რომ აგრარული სექტორი, ეკონომიკის სხვა დარგებთან მიმართებაში მაღალი რისკიანობით გამოირჩევა, დღესდღეობით არსებული გამოუსწორებელი და ჩამოუყალიბებელი საკითხების გამო, როგორიცაა აგროდაზღვევა და აგროდაკრედიტება, კიდევ უფრო აბრკოლებს მოცემული სექტორის განვითარების ეტაპებს. მრავალმხრივი ანალიზისა და უცხოური გამოცდილების ფონზე შემოთავაზებულია რეკომენდაციები და მათი განხორციელების გზები.

საკვანძო სიტყვები: აგრარული სექტორი, ეფექტური, ფერმერი, დაკრედიტება, აგრობიზნესი, კონტროლი, სასოფლო სამეურნეო დაზღვევა;

ძირითადი ტექსტი

სოფლის მეურნეობა გამოირჩევა ყველა სხვა დარგისგან. ეს არის სექტორი, სადაც საჭიროა დიდი შრომის ჩადება, რომელიც შემდგომ გარკვეული მიზეზების გამო (სტიქიური მოვლენები, დაავადებები და სხვ.) შეიძლება არ დაფასდეს. რისკების კონტროლი და მათი მინიმუმამდე დაყვანა ფერმერისთვის ხშირად შეუძლებელი ხდება. საქართველოში ფერმერთათვის აგროდაზღვევა მხოლოდ საპილოტო რეჟიმში განხორციელდა. ფერმერთა უმრავლესობისთვის მოცემული საკითხი არც იყო ცნობილი იმ დროისათვის.

ფერმერები ამინდის პირობების, მავნებლების, დაავადებების, ბაზარზე ვითარების ცვლილებისა და მრავალი სხვა საწარმოო და მარკეტინგული რისკის წინაშე დგანან. ეს რისკები საფრთხეს უქმნის მათი შემოსავლების სტაბილურობას. საქართველოში 16 სადაზღვევო კომპანიაა, მაგრამ მათგან მხოლოდ ერთი-ორი თუ ახორციელებს სოფლის მეურნეობის დაზღვევას. **სასოფლო-სამეურნეო დაზღვევა** სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული საწარმოო რისკების მესამე პირებისთვის გადაცემის საუკეთესო ფინანსური ინსტრუმენტია. ამჟამად, საქართველოში ფერმერები ამ ინსტრუმენტს სასოფლო-სამეურნეო რისკების შესამცირებლად ვერ იყენებენ.

მეცხოველეობისა და მეფრინველეობის დარგში რისკის ფაქტორად მოიაზრება სიკვდილიანობა, სხვადასხვა მტაცებლის თავდასხმა, დაკარგვა, და სხვ. სიკვდილიანობა პირობითად მარჟენალური მოგების კალკულაციაში მთლიანი ამონაგების 2%-ს შეადგენს. სიკვდილიანობის მიზეზი შესაძლოა იყოს ასევე დაავადება. მაგალითდ, მეცხოველეობაში გახშირებულია თურქული, მეღორეობა–მეფრინველეობაში განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩევა ქათმის/ღორის გრიპი. ამ უკანასკნელმა დიდი ზიანი მიაყენა 2008-2009 წლებში საქართველოში მეღორეობით დაკავებულ გლეხებს, ასეთივე სისასტიკით გამოირჩეოდა ქათმის გრიპიც. მეცხვარეობაში ხშირია ე.წ. ნაბარევი.

მეცხოველეობასთან შედარებით კიდევ უფრო მაღალ რისკიანია მემცენარეობა. ყველაზე დიდ საშიშროებას აქ წარმოადგენს ისეთი სტიქიური მოვ-ლენები როგორიცაა:გვალვა;სეტყვა; დაქარვა.

ზემოაღნიშნული გამოწვევების წინაშე ჩვენი ქვეყნის ფერმერები უძლურნი არიან, რადგან სოფლად განვითარებული არაა სამელიორაციო სისტემები – გვალვის წინააღმდეგ, განვითარებული არაა ქარსაცავები. არ არსებობს ქვეყნად სოფლის მეურნეობაში დაზღვევის კულტურა. გერმანიაში ფერმერი გვალვა/სეტყვის დაზღვევის საფასურს ამონაგების 2%-ს იხდის.

საქართველოში არც ერთი სადაზღვეო კომპანია არაა აღნიშნული საკითხით დაინტერესებული, რადგან, ბუნებრივია, იქ, სადაც სამელიორაციო სისტემები არაა მოწყობილი იმ ტერიტორიის დაზღვევა გვალვისგან დიდ რისკთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, სადაზღვეო კომპანია თავს იკავებს აღნიშნულ სეგმენტში ინტეგრაციაზე. ისინი ამ ყველაფერს კომერციული თვალსაზრისით უდგებიან და არ სურთ დაზღვიონ მაღალრისკიანი სფერო. ისევე როგორც კომერციული ბანკების შეხედულება იყო აგრო კრედიტებზე, მანამ, სანამ სახელმწიფომ არ დააარსა ფონდი, რომლის მეშვეობითაც კრედიტი ასე თუ ისე ხელმისაწვდომი გახდა გლეხისთვის. ხელმისაწვდომობაში ვგულისხმობ დაბალ სარგებლიან სესხებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის უგულვებელყოფა გარკვეულწილად შესაძ-ლებელია თუ ქვეყანაში იარსებებს აგრო დაზღვევა. აგრო დაზღვევის განსა-კუთრებული ინტერესით გამოირჩევიან ასევე კომერციული ბანკები, მაგრამ სამწუხარო რეალობაა, რომ დღესდღეობით აგრო დაზღვევა ფაქტიურად არ არსებობს, ან თუ არის, გლეხისთვის მიუღებელია მისი ტარიფი და ურჩევნია ისევ რისკზე წავიდეს. აგრო დაზღვევა, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს მისაღები ყველა ფერმერისთვის, საწყის ეტაპზე სასურველია დაეზღვიოს მემცენარეობის დარგი სეტყვასა და გვალვაზე. ამასთან, დაზღვევის ტარიფი ყველასათვის მისაღები უნდა იყოს.

დაზღვევასთან დაკავშირებითაც მივიჩნევთ, რომ სასურველია სოფლის მე-ურნეობის სამინისტროს ინტერვენცია იაფიანი აგრო კრედიტების დაარსების შესაბამისად. ანუ, უნდა დაფუძნდეს ფონდი, რომელიც უზრუნველყოფს სადაზღვეო კომპანიების საწყის ე. წ. სარისკო კაპიტალის გამოყოფას, შემდგომი სარგებლის ნორმატივების თანახმად. ამის შემდეგ აგრო სადაზღვეო სისტემა საქართველოში დაწყებით ფაზაში შევა. სახელმწიფომ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბებაში.

დაზღვევის საერთაშორისო გამოცდილება

აგრორისკები ეხება როგორც მემცენარეობას, ისე მეცხო-

ველეობასა და მათთან დაკავშირებულ რისკებს. მათი დაზღვევა მოიცავს ერთ ან რამდენიმე (კომბინირებული დაზღვევა) რისკს, მთელ მეურნეობას ან მის რომელიმე საქ-მიანობას. შესაძლებელია ბუნებრივ მოვლენებთან დაკავშირებული რისკების (სეტყვა, გვალვა, წყალდიდობა და სხვ.), ასევე ცალკეულ დაავადებებთან და-კავშირებული რისკების დაზღვევა. კერძო კომპანიები, როგორც წესი, აზღვევენ მხოლოდ განსაზღვრულ რისკებს (მაგალითად, სეტყვით ან ხანძრით გამოწვეულ შემთხვევებს), ამიტომ სოფლის მეურნეობის კომბინირებული რისკების დაზღვევისათვის აუცილებელი ხდება სახელმწიფოს ჩარევა და მონაწილეობა სადაზღვევო საქმიანობაში. შესაბამისად, ყალიბდება სახელმწიფოს მიერ კონტ-როლირებადი დაზღვევა, სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობაზე დაფუძნებული სადაზღვევო სისტემა და მხოლოდ კერძო სექტორის მიერ კონტროლირებადი სადაზღვევო სისტემა. სადაზღვევო სისტემა ევროკავშირის ქვეყნებში.

ცხრილი

ქვეყანა	ცალკეული რისკების დაზღვევა	კომბინირებული დაზღვევა	მოსავლის დაზღვევა
ავსტრია	კერძო ნაწილობრივ სუბსიდირებული	კერძო ნაწილობრივ სუბსიდირებული	კერძო ნაწ. სუბსიდ.
ბელგია	კერძო არასუბსიდირებული		
ბულგარეთი	კერძო არასუბსიდირებული	კერძო არასუბსიდირებული	
კვიპროსი	სახელმწიფო სავალდებულო ნაწილობრივ სუბსიდირებული	სახელმწიფო სავალდებულო ნაწილობრივ სუბსიდირებული	

ჩეხეთი	კერძო ნაწილობრივ სუბსიდირებული	კერძო ნაწილობრივ სუბსიდირებული	
დანია	კერძო არასუბსიდირებული		
ესტონეთი	კერძო არასუბსიდირებული		
ფინეთი	კერძო არასუბსიდირებული	კერძო არასუბსიდირებული	
საფრანგეთი	კერძო არასუბსიდირებული	კერძო არასუბსიდირებული	კერძო ნაწ. სუბსიდ.
გერმანია	კერძო არასუბსიდირებული		
საბერძნეთი	კერძო არასუბსიდირებული	სახელმწიფო სავალდებულო სუბსიდირებული, არასუბსიდირებული, ნაწილობრივ სუბსიდირებული	
უნგრეთი	კერძო არასუბსიდირებული	კერძო არასუბსიდირებული	
ირლანდია	კერძო არასუბსიდირებული		
ბრიტანეთის გაერთ. სამეფო	კერძო არასუბსიდირებული		
იტალია	კერძო ნაწილობრივ სუბსიდირებული	კერძო ნაწილობრივ სუბსიდირებული	კერძო ნაწ. სუბსიდ.

ლატვია	კერძო ნაწილობრივ სუბსიდირებული		
ლიტვა	კერძო ნაწილობრივ სუბსიდირებული		
ლუქსემბურგი	კერძო ნაწილობრივ სუბსიდირებული	კერძო ნაწილობრივ სუბსიდირებული	კერძო ნაწ. სუბსიდ.
ნიდერლანდები	კერძო არასუბსიდირებული		
პოლონეთი	კერძო არასუბსიდირებული (საპილოტე პროგრამა)	კერძო არასუბსიდირებული (საპილოტე პროგრამა)	
პორტუგალია	კერძო ნაწილობრივ სუბსიდირებული	კერძო ნაწილობრივ სუბსიდირებული	
რუმინეთი	კერძო ნაწილობრივ სუბსიდირებული	კერძო ნაწილობრივ სუბსიდირებული	
სლოვაკია	კერძო ნაწილობრივ სუბსიდირებული	კერძო ნაწილობრივ სუბსიდირებული	
ესპანეთი	კერძო ნაწილობრივ სუბსიდირებული	კერძო ნაწილობრივ სუბსიდირებული	კერძო ნაწ. სუბსიდ.
შვედეთი	კერძო არასუბსიდირებული	კერძო არასუბსიდირებული	

წყარო: www.ec.europa.eu/agriculture/analysis/external/insurance/...

ევროკავშირის ქვეყნებში სადაზღვევო სისტემაში მონაწილე ფერმების წილი განსხვავებულია. კვიპროსში ყველა ფერმა დაზღვეულია, დანიაში – 95%, ავსტრიაში – 78%, ლუქსემბურგში – 57%, პორტუგალიაში – 40%, ფინეთში – 30%, საფრანგეთში – 15% და ა.შ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სოფლის-მეურნეობის სექტორ-

ში დაკრედიტების საკითხი. **„აგროკრედიტი თავისი ბუნებით „შეფერებული და შეწონილი უნდა იყოს მიწისა და მიწათმოქმედების თვისებასთან. სოფლის მეურნეობა, რომლის გაძლიერებისათვის გვინდა შემწეობა კრედიტისა, თითქმის ერთადერთი წყაროა ჩვენი სიმდიდრისა“** - ბრძანებდა დიდი ილია.

1882 წლის 22 აპრილს თბილისის სათავადაზნაურო, საადგილმამულო ბანკის საზოგადო კრებამ მოისმინა და მოიწონა გამგეობის მოხსენება გლეხებისთვის „იაფი“ კრედიტის მიცემის თაობაზე და წარუდგინა ფინანსთა სამინისტროს დასამტკიცებლად. მაგრამ მეფის მთავრობამ საჭიროდ არ ჩათვალა კერძო ბანკებისათვის მიენდო „იაფი“ კრედიტის საქმე. მიზანშეწონილად მიიჩნიეს „სახელმწიფო საგლეხო კრედიტის ბანკის დაარსება“, რაც განახორციელეს კიდეც რუსეთში.

ილია ჭავჭავაძე, 1889 წელს გამოქვეყნებულ წერილში „საგლეხო ბანკის საკითხისათვის“, როცა შეეხო ამ დაწესებულების ჩამოყალიბებას საქართველოში, აღნიშნავდა: „დანიშნულება საადგილმამულო კრედიტისა განკარგებაა მამულ-დედულისა, გაძლიერება მიწათმოქმედების ღონისა და მომცემლობისა“. დადებით მხარეებთან ერთად გააკრიტიკა წესდების ბიუროკრატიული ხასიათი და მისი შეუთავსებელი ბუნება ქართული სოფლის სინამდვილესთან (რუსული ბანკის წესდება, მაგალითად, არ ითვალისწინებდა კრედიტის გაცემას ვენახის შესასყიდად).

მისი შეხედულებით ბანკის შექმნას აზრი არ ექნებოდა თუ მისი წესდება არ გაითვალისწინებდა მიწათმოქმედების ინტერესებს. ასეა დღესაც, სოფლის მეურნეობის მართვა, მისი დიდი სირთულის და სპეციფიკურობის გამო ღრმა პროფესიულ მიდგომას მოითხოვს.

უნდა აღნიშნოს, რომ 90-იან წლებში კომერციულ ბანკებსა და გლეხებს შორის არსებობდა გარკვეული უნდობლობის ბარიერი. შემდგომ ეტაპობრივად ბანკები დაინტერესდნენ მოცემულ სფეროში „ინვესტირებით“ და თანდათანობით შეიძლება ითქვას ნდობა გაძლიერდა, მაგრამ გამომდინარე მაღალი რისკისა, კომერციული ბანკები ამ სფეროში მაღალი საპროცე-

ნტო განაკვეთით გამოირჩევიან, რასაც ხელს უწყობს სოფლად მცხოვრები ფერმერების დაბალი გათვითცნობიერებულობას ფინანსურ საკითხებში.

REFERENCES

1. Koguashvili P., Observation of food safety practices is the first responsibility of the Government. Social economy – of the 21st century. №5, 2013.

2. Koguashvili P., Georgian village capacity. Journal "Economics and Business". №3, 2014. pp. 43-46.

3. Koghuashvili P., Zibzibadze G., Economy of Farming; Publishment of Tbilisi University; Tbilisi - 2010.

4. Koghuashvili P., Zibzibadze G., Economy of Agrarian Enterprise.

5. Tetradze G. - Master work, "Financing of Agrarian Sector of Georgia".

AGRARIAN RISKS, THE PROBLEMS OF AGRARIAN LENDING AND AGRARIAN INSURANCE

Giorgi Tetradze,
PHD Student, GTU
Paata Koghuashvili,
GTU Professor

RESUME

In this work the authors discuss agrarian risks and the problematic about lending and insurance. As it's known, agrarian sector is characterized as most risk full sector to compare to other branches of economy and incompletely developed agrarian insurance and lending, makes it more impediment in its development cycle. Underlie of Annalise and experience of foreign countries, there are some suggestions and recommendations of usage those experiences.

Key words: Agrarian sector, effective, farmer, lending, agribusiness, control, agrarian insurance;

სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლება მისი დასაქმების გარანტი უნდა გახდეს

სოფიო მაჭარაშვილი
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია სწავლების ახალი მეთოდი, რომელიც უმაღლესი სწავლების პროცესში სტუდენტთა ღრმა ჩართულობას ითვალისწინებს.

სტატიაში ნათქვამია, რომ თუ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო პროგრამები და სილაბუსები შედგება დამსაქმებლების მოთხოვნების გათვალისწინებით, ხოლო სწავლება იქნება სტუდენტზე ორიენტირებული, მაშინ სტუდენტები მიიღებენ დამსაქმებლებისთვის სასურველ ცოდნას და ისინი დასაქმდებიან.

სტატიაში ნათქვამია აგრეთვე, რომ საქართველოს უმაღლეს სასწავლებელსა და დამსაქმებლებს შორის გაფორმებული მემორანდუმები არაფრისმთქმელია, მათში ურთიერთვალდებულებები არ არის მოცემული. მემორანდუმები საჭიროა შეიცვალოს ხელშეკრულებებით.

საკვანძო სიტყვები: სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება, დასაქმება, კარიერული განვითარება, დამსაქმებელი, უმაღლესი განათლება, უმაღლესი სასწავლებელი

ძირითადი ტექსტი

ტერმინი „სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება“ გაჩნდა განათლებაში მიღებული ისეთი გადაწყვეტილებების პასუხად, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია ბოლომდე დაადგინო რისი ცოდნა სჭირდება სტუდენტს, ან რომელი მეთოდი იქნება უფრო ეფექტური ინდივიდუალურ სტუდენტებთან თუ ჯგუფებთან მუშაობის დროს. მაგალითად: სწავლების ბევრ ტრადიციულ მიდ-

გომას შეიძლება ვუწოდოთ „სასწავლებელზე ორიენტირებული“, რადგან სასწავლებელი როგორც წესი არის ორგანიზებული და გამართული და კარგად ასრულებს საორგანიზაციო ოპერაციებს, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის იყენებს ეფექტურ გზებს სტუდენტებისთვის განათლების მისაცემად. მაგალითად, ინსტიტუციონალური, ადმინისტრაციული და ლოჯისტიკური თვალსაზრისით, ბევრად უფრო მოსახერხებელია თუ ყველა სტუდენტი ცოდნას მიიღებს აუდიტორიაში ლექტორების დაკვირვების ქვეშ, თუკი მათ მიეცემათ მხოლოდ ფიქსირებული არჩევანის შესაძლებლობა სალექციო კურსის ფარგლებში, თუკი ყველა მათგანი გამოიყენებს ერთი და იგივე წიგნს და სასწავლო მასალას და/ან თუ მათი განათლება მოექცევა წინასწარ განსაზღვრულ ჩარჩოში.

სტუდენტზე ორიენტირებული ინსტრუქცია არის ინსტრუქციული მიდგომა, რომლის დროსაც სტუდენტები გავლენას ახდენენ სწავლების შინაარსზე, აქტივობებზე, მასალებსა და ტემპზე. ეს მოდელი სტუდენტს აყენებს სწავლის პროცესის ცენტრში. ინსტრუქტორი სთავაზობს სტუდენტებს სხვადასხვა არჩევანს იმისათვის, რომ მათ ისწავლონ დამოუკიდებლად და ასევე ერთმანეთისგან. გარდა ამისა, ინსტრუქტორი ეხმარება მათ სწავლისათვის ეფექტური უნარების გამომუშავებაში. მსგავსი მიდგომა აერთიანებს სხვადასხვა ტექნიკას იმისათვის, რომ სწავლის პროცესი ბევრად აქტიური გახდეს. ლექტორი წამოჭრის პრობლემას და ღიად ტოვებს მას, ამ პრობლემის გადაჭრა კი სტუდენტების მხრიდან საჭიროებს კრიტიკულ და კრეატიულ აზროვნებას, რისთვისაც არ არის საკმარისი მხოლოდ ტექსტის ცოდნა, არამედ ხშირად ეს პროცესი მოიცავს როლურ თამაშებს, სიმულაციებს და გუნდურ მუშაობას. ამ მეთოდის ხშირად გამოყენება სტუდენტებში იწვევას სწავლის მოტივაციის ზრდას, ცოდნის გაღრმავებას და შესასწავლი საკითხის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალებებას.

სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლას ზოგჯერ აკრიტიკებენ, როგორც ბუნდოვან კონცეფციას, რომელიც აერთიანებს სწავლების გაუგებარ სტრატეგიებს, რაც შედეგად იწვევს იმას, რომ სხვადასხვა ლექტორები განსხვავებულად იგებენ და აღიქვამენ

ამ პრინციპებს. ამის გამო, ბოლო წლების მანძილზე განათლების რეფორმატორებმა და მკვლევარებმა გადაწყვიტეს, აღნიშნულ ტერმინი უფრო ზუსტად განმარტონ. მათი ეს მცდელობა ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა, თუმცა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მხარდამჭერებმა უკვე გამოკვეთეს ამ მიდგომის რამდენიმე ფუნდამენტალური მახასიათებელი [1]:

- სწავლის და სწავლების აღქმა არის ინდლივიდუალური, რაც ნიშნავს, რომ ეს პროცესი დამოკიდებულია თითოეული სტუდენტის საჭიროებებზე, ინტერესებსა და კულტურულ ბაზისებზე.
- სტუდენტების განათლების პროცესი წარმატებულია, მაშინ როცა ისინი თვლიან, რომ იღებენ თავიანთი მოლოდინის შესაბამის ცოდნას და უნარებს.
- სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისწავლონ „ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას“, რაც ნიშნავს იმას, რომ სტუდენტის სასწავლო გარემო შეიძლება გასცდეს ტრადიციულ საკლასო ოთახს. ამის მაგალითია სასწავლო-სამუშაო პროგრამები, ონლაინ სწავლების კურსები, სწავლება არატრადიციულ დროს, როგორიცაა შაბათ-კვირა ან საღამოს საათები.
- სტუდენტებს ეძლევათ საშუალება თვითონ აირჩიონ საკუთარი სწავლის მეთოდი და წვლილი შეიტანონ სწავლების დიზაინის/გეგმის შექმნაში.

აისახება თუ არა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდის გამოყენება სტუდენტების აკადემიურ მოსწრებაზე? ტეხასის სწავლების გაუმჯობესების ცენტრმა რამდენიმე უნივერსიტეტში ჩაატარა კვლევა, რომლის შედეგები ცხადყოფს, რომ პასუხი ამ კითხვაზე დადებითია. კვლევის შედეგად ასევე დადგინდა, რომ მას შემდეგ რაც ლექტორებმა სწავლების ტრადიციული მეთოდები ჩაანაცვლეს ამ ახალი აქტიური სტრატეგიებით, სტუდენტები მეტი ხალისით ჩაერთნენ სასწავლო პროცესში და გაიზარდა ცოდნის შეძენაზე მათი მოთხოვნა.

მაგრამ იყო და დღესაც არის ერთი დიდი პრობლემა. ეს არის უმაღლესდამთავრებულების თვითრეალიზაციის პრობლემა. ამ საქმეში თვით უმაღლესი სასწავლებელები ინდიფერენტულად არიან განწყობილი. ეს გამოიხატება იმით, რომ მათ უმრავლესო-

ბას არა აქვს შექმნილი სტუდენტთა სამომავლო კარიერის სამსახური.

ზოგადად ფაქტია, რომ უმაღლესი განათლების გარეშე, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში სამუშაო ადგილის მოპოვება ძალზე რთულია. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი განათლების ბაზარზე დღეს არსებული უამრავი ნაკლოვანებების გამო, უმაღლეს დაწესებულებებში მიღებული განათლება, სამწუხაროდ, სულაც არ წარმოადგენს სამუშაო ადგილის მოპოვების გარანტიას. ამას იწვევს კურსდამთავრებულთა დაბალი კვალიფიკაცია, კერძოდ ის, რომ მათი პროფესიული შესაძლებლობები ვერ პასუხობენ თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს. ნათელია, რომ როდესაც უმაღლეს სასწავლებლის კურსდამთავრებულებს არა აქვთ საკმარისი ცოდნა, და, მათი უნარ-ჩვევები ვერ პასუხობს ბაზრის თანამედროვე გამოწვევებს, დამსაქმებელთა მხრიდან კლებულობს მათზე მოთხოვნა. ხშირია შემთხვევები, როდესაც დამსაქმებლებს თავად უწევთ საქართველოს უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებულთა როგორც თეორიული (ტრენინგები, სასწავლო ბლოკ-კურსები), ასევე, პრაქტიკული უნარ-ჩვევების (კომპიუტერული პროგრამების, ფინანსური და საბუღალტრო პროგრამების, მსოფლიო საძიებო სისტემების Google, Bing და სხვა გამოყენების, საჭირო ინფორმაციის მოძიების) განვითარება [2]. აღნიშნული პროცესები კი უკავშირდება როგორც დროით დანახარჯებს, ასევე, ფინანსურ ხარჯებს, რაც საბოლოოდ სტიმულს უკარგავს დამსაქმებელს დაინტერესდეს სამუშაოს მაძიებლით, რომელმაც საქართველოში დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი. შედეგად, ასეთი კურსდამთავრებული საწყის ეტაპზევე ღებულობს უარს დამსაქმებლიდან.

ამ პრობლემის გამოსასწორებლად თვით დამსაქმებლები იძლევიან წინადადებას, რომ უმაღლესი განათლების პროგრამებში მეტად ჩაირთოს პრაქტიკულები და ლაბორატორიები, მოხდეს თეორიის პარქტიკასთან მეტი სინთეზი, რადგან, უმაღლესი სასწავლებლების „პროდუქტის“ ანუ კურსდამთავრებულების „მომხმარებლები“ მათი დამსაქმებლები არიან. მათ, ჩვენი აზრითაც, მთლიანად უნდა გაითვალისწინონ დამსაქმებლების მოთხოვნები.

მეტიც, უმაღლესი სასწავლებლები უნდა აწარმოებდნენ სტუდენტების კარიერული განვითარების რეესტრს, მათ უნდა იცოდნენ მათი კურსდამთავრებულთაგან ვინ დასაქმდა, სად და რა თანამდებობაზე, რა კომპეტენციებში ჰქონდა წარმატება და რაში არა, რომელ საგანში გაუჭირდა თეორიული ცოდნის პარქტიკაში გადატანა და სხვა.

საზღვარგარეთის ქვეყნებში ეს პრობლემები მოგვარებულია. განსაკუთრებით ეს ითქმის ფინეთზე, საფრანგეთზე, დიდ ბრიტანეთზე, შვედეთზე, გერმანიაზე, ესტონეთზე, ლიტვაზე, ლატვიაზე [3]. იქ უნივერსიტეტები აქტიურად ადევნებენ თვალს საკუთარი სტუდენტების კარიერის განვითარებას, აქვთ დასაქმებულ სტუდენტთა ბაზა, ახორციელებენ არა მხოლოდ ყოველწლიურ სტრატეგიას, არამედ, ახდენენ მათი კარიერული განვითარების საერთო ტენდენციებისა და დინამიკის ანალიზს, საკმაოდ ბევრს მუშაობენ პოტენციურ დამსაქმებლებთან, სისტემატურად ახორციელებენ პრობლემების გამოვლენას, ასევე მათი ეფექტიანი გზების შემუშავებას, განსაზღვრავენ საპროგნოზო მაჩვენებლებს და სხვა.

მეტიც, ევროპის უნივერსიტეტებში რეალურად არსებობს ქმედითი კარიერის სამსახურები, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტებს შემდეგი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორებით: აწყობენ შეხვედრებს სტუდენტებსა და დამსაქმებლებს შორის, აწვდიან სტუდენტებს ინფორმაციას არსებული ვაკანსიების შესახებ, უტარებენ სტუდენტებს ტრენინგებს, სამოტივაციო წერილების შედგენის, საკუთარი შესაძლებლობების პრეზენტაციის კუთხით, აწყობენ ვორქშოფებს და სხვა.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ეს საქმე მეტად დაბალ დონეზე დგას. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი სასწავლებლების უმრავლესობას დამსაქმებლებთან თანამშრომლობს ერთობლივი მემორანდუმის ფარგლებში, მათი თანამშრომლობის ძირითადი შინაარსი, უმრავლეს შემთხვევაში, შემოიფარგლება მხოლოდ სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკით და შემდეგი მემორანდუმების გაფორმებით:

- მემორანდუმი სტუდენტთა დასაქმების შესახებ;

➢ მემორანდუმი სასწავლო პროგრამების და გეგმების შედგენის და შემდგომი რეალიზაციის მონიტორინგის შესახებ.

არც ერთი და არც მეორე, არაფერს ავალებს დამსაქმებელს და ეს მემორანდუმებიც უმრავლეს შემთხვევაში ნაცნობ-მეგობრობით ფორმდება, რადგან აკრედიტაციის მოთხოვნებშია ჩართული. არც უმაღლესი სასწავლებლები და არც დამსაქმებლები არ ცდილობენ უფრო მეტი კონტაქტი იქონიონ ერთმანეთთან, გააფორმონ არა მემორანდუმები, არამედ, ხელშეკრულებები და აიღონ ურთიერთვალდებულებები. ხელშეკრულებაში უნდა დაფიქსირდეს უმაღლესი სასწავლებლის ვალდებულება კონკრეტულ სპეციალობაზე და კონკრეტული კომპეტენციით სტუდენტების მომზადება, დამსაქმებლებისთვის კი – მათი დასაქმება. დღეს საქართველოში ორივე მხარე ამას თავს არიდებს. არც სათანადო უმაღლესი მმართველობითი ორგანოები (მაგალითად, განათლების და მეცნიერების სამინისტრო) ფიქრობენ კურსდამთავრებულთა დასაქმების რაიმე ერთიანი მოდელის შექმნაზე. არადა, დრო მიდის. ყოველწლიურად საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში 20-23 ათასი სტუდენტი ამთავრებს სწავლას. მხოლოდ ორმხრივი მემორანდუმის ფარგლებში მათი დასაქმება არარეალურია. შესაბამისმა ორგანოებმა უნდა იფიქრონ და აქტიურად იზრუნონ ამ საკითხის დროულ და ეფექტურ გადაწყვეტაზე.

ლიტერატურა:

1. კაჭკაჭიშვილი ი., მაჭარაშვილი ნ., გოგსაძე გ., სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლების ხელშეწყობა, თბ., 2015. http://mikeladzefoundation.org/muLtimedia/ups/Student_centerend_edication_Analytizal_Report.pdf.

2. ბაქრაძე დ., უმაღლესი განათლების და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში, თბ., 2014. http://www.osgf.ge/files/2014/publications/Integration_of_Research_a and_Study_ar_Hel_pdf.

3. ნარმანია დ., უმაღლესი განათლების სისტემა საქართველოში, თბ., 2012. http://ciesr.org/files/education_georgia_dr_davit_narmania.pdf.

LITERATURE:

1. Kachkachishvili I., Macharashvili N., Gogsadze G., Student oriented university education encouragement,Tbilisi2015. http://mike-ladzefoundation.org/muLtimedia/ups/Student_centerend_edication_Analytizal_Report.pdf.

2. Bakradze D., Strategic development of higher education and science in Georgia,Tbilisi,2014. http://www.osgf.ge/files/2014/publications/Integration_of_Research_a and_Study_ar_Hel_pdf.

3. Narmania D. Higher education system in Georgia, Tbilisi, 2012. http://ciesr.org/files/education_georgia_dr_davit_narmania.pdf.

STUDENT-ORIENTED UNIVERSITY EDUCATION SHOULD BECOME AS A GUARANTEE OF ITS EMPLOYMENT

SOPHIO MACHARASHVILI
PhD student, GTU

RESUME

In the article - **"Student-oriented University education should become as a guarantee of its employment"** it is discussed a new teaching method which provides students activities during this process.

In the article it is said that if the curriculum and syllabus in Georgian universities will be made providing the demands of the employer and teaching would be student-oriented, in this case students can get appropriate knowledge for their employers and they would become employed.

In the article there is mentioned that the memorandums between universities and employers are useless, there is no any obligations there. The memorandums must be changed by the agreement.

Keywords: Student-oriented studying, Employee, Career development, Employer**,** High-level education, High university.

საქართველოში უძრავი ქონების, როგორც საცხოვრისის, ხელმისაწვდომობა

გიგა კიკორია
თსუ დოქტორანტი

რეზიუმე

უძრავი ქონების ბაზარი და მისი განვითარების დონე ახასიათებს ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარებას. საცხოვრისზე ხელმისაწვდომობა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ქვეყნის დემოგრაფიული მაჩვენებლების განსაზღვრაში. საზოგადოების სოციალური სტაბილურობა, სამუშაო ძალის მობილობის დონე და სხვა ფაქტორები, ძირითადად, სწორედ საკმარისი რაოდენობის საცხოვრისის მიწოდებით განისაზღვრება. სოციალური პოლიტიკის ყველაზე მძიმე საკითხს გრძელვდიან პერიოდში მოქალაქეთა სათანადო საცხოვრისით უზრუნველყოფა წარმოადგენს. უკანასკნელ წლებში უძრავი ქონების ბაზარს საქართველოში აქტიური ხასიათი გააჩნია, რაც ერთი მხრივ სამშენებლო კომპანიების და მეორე მხრივ იპოთეკური სესხების მზარდ ტენდენციაში გამოიხატება. ნაშრომში სამეცნიერო ლიტერატურის, კერძო, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ანგარიშებისა და სტატისტიკურ მასალებზე დაყრდნობით გაანალიზებულია საქართველოში უძრავი ქონების ბაზარზე არსებული მდგომარეობა, გამოვლენილია მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, შეფასებულია ძირითადი გამოწვევები და შემუშავებულია რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: უძრავი ქონება, ბაზარი, საცხოვრისი, სტატისტიკა, მშენებლობა, საბინაო ფონდი.

შესავალი

უძრავი ქონების ბაზარი, როგორც ამას მეცნიერთა უმრავლესობა აღნიშნავს, საკმაოდ არალიკვიდურია და ამასთანავე ეფექტურობით ხასიათდება. მიჩნეულია, რომ ბაზრის მონაწი-

ლეები რაციონალურად მოქმედებენ. უძრავი ქონების ბაზარზე ფასის განმსაზღვრელ ძირითად დეტერმინანტებს წარმოადგენს შემოსავალი, საპროცენტო განაკვეთი, საბინაო ფონდი, დემოგრაფიული ცვლილებები, კრედიტზე ხელმისაწვდომობა, საგადასახადო სტრუქტურა და სხვა. საცხოვრისზე ხელმისაწვდომობა ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა. იგი დამოკიდებულია არამხოლოდ მშენებლობების მიწოდებაზე, არამედ შინამეურნეობების შემოსავალზე. საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, თითქმის ყველა მშენებლობის უფლების შესყიდვა ხდება კერძო კომპანიების მიერ. შესაბამისად, ეს უკანასკნელები არიან ბაზრის მოთამაშეები და ისინი განსაზღვრავენ ფასს. შემოსავლის განაწილება მნიშვნელოვანი დეტერმინანტია, რომელიც განსაზღვრავს საცხოვრისის ხარისხისა და რაოდენობას მდიდარ, საშუალო და ღარიბ ფენას შორის. საცხოვრისის დანახარჯები საქართველოში შინამეურნეობების ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ხარჯია. სწორედ ამიტომ შემოსავალი განსაზღვრავს საცხოვრისზე ხელმისაწვდომობას. ბინების ფასების ევოლუცია არის ინფლაციის განმსაზღვრელი ფაქტორი. ამდენად, ეს განსაზღვრავს შემოსავლის მსყიდველუნარიანობას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რამდენად გვაძლევს შემოსავალი იმის საშუალებას, რომ განვახორციელოთ საცხოვრისის შესყიდვა. პოსტ-საბჭოთა პერიოდში, 2000 წლიდან მოყოლებული, საქართველოში უძრავი ქონების ბაზარი თანდათან გააქტიურდა და მეტ-ნაკლებად ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მაშასადამე, საკითხი დგას შემდეგნაირად, თუ რამდენად ხელმისაწვდომია და რამდენად უზრუნველყოფილნი არიან მოქალაქეები შესაბამისი საცხოვრისით საქართველოში.

უძრავი ქონების ბაზრის მნიშვნელობა და მიმოხილვა. უძრავი ქონების კვლევების უმეტესობა, როგორც ამას მეცნიერები აღნიშნავენ, ეფუძნება ნეოკლასიკურ ეკონომიკურ თეორიას, რომლის მიხედვითაც მიჩნეულია, რომ ადამიანები ღებულობენ რაციონალურ გადაწყვეტილებებს უძრავი ქონების გაქირავებისა თუ ყიდვის დროს , რაც წარმოადგენს მათ მცდელობას მი-

იღონ მაქსიმალური სარგებელი. უძრავი ქონების ბაზარი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკის ფორმირებაში და მას გააჩნია მატერიალური გავლენა ფინანსური სისტემის ჩამოყალიბებაში.[1] როგორც ცნობილია, ეკონომიკა ზრდის პროცესში ყოველთვის საჭიროებს მნიშვნელოვან ინვესტიციებს ინფრასტრუქტურაში, მათ შორის კაპიტალურ დანახარჯებს. გარდა ამისა, შინამეურნეობებში განკარგვადი შემოსავლის ზრდამ გასული ათწლეულების განმავლობაში გამოიწვია მოთხოვნის თანდათანობითი ზრდა საცხოვრისის ფლობის მიმართ. გრძელვადიანი მშენებლობების დაფინანსების საჭიროება, მათი შემდგომი განვითარება და გაყიდვა, როგორც წესი საბანკო სესხებს უკავშირდება. ბანკების საბალანსო ანგარიშების წილის გლობალური ზრდა ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ფაქტობრივად, გაზრდილი იპოთეკური დაკრედიტების წყალობით მოხდა, როგორც ამას სან ფრანცისკოს ფედერალური სარეზერვო ბანკის ვიცე-პრეზიდენტი ოსკარ ჯორდა (2014 წ) მიიჩნევს.[2] შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ უძრავი ქონების ბაზარი წამყვან როლს ასრულებს ქვეყნის ფინანსური სისტემის განვითარებაში.

საცხოვრისით უზრუნველყოფა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს და მას ფართო სოციალური ეფექტი გააჩნია. შინამეურნეობებისა და ფირმების ქცევების შესაძლო ცვლილებები წარმოშობს დამატებით ურთიერთქმედებებსა და კავშირებს, რომელიც ფინანსური სისტემის ფარგლებს სცდება. ევროკავშირის ქვეყნებში, შინამეურნეობების საბინაო დანახარჯები მათი შემოსავლების 15-35%-ს შეადგენს. საბინაო ფასის ცვლილებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს სესხის მოცულობაზე, ასევე მოხმარებისა და დანაზოგების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ამ უკანასკნელით გამოწვეული ეფექტი კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია საკრედიტო ბაზრის

1 საცხოვრებელი უძრავი ქონებისა და ფინანსური სტაბილურობის ანგარიში ევროკავშირში, დეკემბერი 2015 წ.

2 https://www.esrb.europa.eu/pub/pdf/other/2015-12-28_ESRB_report_on_residential_real_estate_andfinancial_stability.pdf?f35377ef70c743cc84da5cbd5b1ac74b

სტრუქტურაზე. გარდა ამისა, საცხოვრისის ფასების რყევა გავლენას ახდენს სამშენებლო სექტორის საქმიანობაზე.

ემპირიული ლიტერატურა, რომელიც საბინაო ფასების დეტერმინანტებს განსაზღვრავს, ფართოა. ეს უკანასკნელი მოიცავს მოთხოვნის დეტერმინანტებს, როგორიცაა: შინამეურნეობების შემოსავალი, კრედიტზე ხელმისაწვდომობა და საპროცენტო განაკვეთები, საკუთრების ფლობის/იჯარის გადასახადი, დემოგრაფიული ფაქტორები და მოთხოვნის დეტერმინანტებს, როგორიცაა: საცხოვრისის ინვესტიცია, საბინაო მშენებლობა და სამშენებლო ხარჯები. მთლიანი განკარგვადი შემოსავალი, როგორც წესი დადებით კორელაციაშია საცხოვრისის ფასებთან. კრედიტზე ხელმისაწვდომობა და საპროცენტო განაკვეთები წარმოადგენს საცხოვრისის ფასის განმსაზღვრელ ძირითად დეტერმინანტს, თუმცა არ არის დადგენილი რამდენად ცვლის მას. მაგალითად, საპროცენტო განაკვეთების ზრდას მივყავართ საცხოვრისზე მოთხოვნის შემცირებამდე და ფასების მოკლევადიან ვარდნამდე, მაშინ როდესაც მაღალი განკარგვადი შემოსავალი და დაბალი საპროცენტო განაკვეთი, საცხოვრისს უფრო ხელმისაწვდომს ხდის და ინდივიდებს ბინის ფლობისა თუ გაქირავების არჩევანის წინაშე აყენებს. დემოგრაფიული ფაქტორები და მიგრაციაც ძლიერ გავლენას ახდენს საცხოვრისის მოთხოვნის მაჩვენებელზე. ძირითად ინდიკატორს წარმოადგენს შინამეურნეობის ფორმირება, რომელიც ასაკობრივ და ქცევით ასპექტებს მოიცავს და დროისა და რეგიონების მიხედვით განსხვავდება ერთმანეთისაგან. დემოგრაფიულ და ქცევით ფაქტორებს, როგორც წესი, ქვეყნის მასშტაბით აქვთ გავლენა. მიგრაციასა და დასაქმების შესაძლებლობას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. მაგალითად ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში მეცნიერები კალდრეა, სანჩესი და ენდრიუსი (2011) მიიჩნევენ, რომ დაბალი სატრანზაქციო გადასახადები, საცხოვრისის საპასუხისმგებლო მიწოდება, დაბალი იჯარის კონტროლი და მოიჯარის დაცულობა, ისევე როგორც მაღალი განკარგვადი შემოსავალი ზრდის საცხოვრისის მობილობას.

ყოველივე ამის ფონზე, შესაძლოა ითქვას, რომ უძრავი ქონების სექტორი წარმოადგენს გლობალური ეკონომიკის მდგრადი განვითარების წყაროს ბოლოდროინდელი ეკონომიკური კრისიზის პერიოდიდან მოყოლებული. განსაკუთრებით კი საცხოვრებელი უძრავი ქონების სექტორი.

უძრავი ქონების ბაზარი და სამშენებლო ინდუსტრია იყო საქართველოს ეკონომიკის ერთ–ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ბიზნესი. 90-იან წლებში საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის მნიშვნელოვანი ვარდნის შემდეგ, ეს სფერო გააქტიურდა სამშენებლო საქმიანობისა და მშენებლობების დასრულების თვალსაზრისით. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, მშენებლობა საქართველოში ხასიათდებოდა გამოშვებისა და დასაქმების მაღალი მაჩვენებლით, იმ იმედით, რომ კვლავაც შენარჩუნდებოდა ზრდის ძლიერი ტენდენცია. საქსტატის მონაცემების მიხედვით 2006 წლიდან მოყოლებული 2015 წლამდე დამატებული ღირებულების მოცულობა მშენებლობაში 401,4 მილიონი ლარიდან 2209,9 მილიონ ლარამდე ანუ 5,5-ჯერ გაიზარდა. მშენებლობისა და უძრავი ქონების ბიზნესი აგრძელებდა გაზრდილი რაოდენობის ინვესტიციების მოზიდვას და ბანკებიც მუდმივად ზრდიდნენ სექტორზე კრედიტების გაცემას. საქსტატის მონაცემების მიხედვით, 2003–2008 წლების განმავლობაში სამშენებლო და უძრავი ქონების ბაზრის ბრუნვა 5–ჯერ გაიზარდა. 2008 წლის აგვისტოს ომმა, რომელსაც დაემთხვა გლობალური ეკონომიკური კრიზისი, ბაზარზე რადიკალური ცვლილებები გამოიწვია. ბანკებმა შეწყვიტეს სახსრების გამოყოფა და მინიმუმამდე შეამცირეს იპოთეკური სესხებისა და კრედიტების გაცემა. შესაბამისად სამშენებლო პროექტების უმრავლესობა შეჩერდა. თუმცა ამის შემდეგ სიტუაცია დასტაბილურდა და მშენებლობების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. საჯარო რეესტრის სააგენტოს თანახმად, 2009 წლიდან მოყოლებული ტრანზაქციების რაოდენობა მუდმივად იზრდება და საშუალოდ 5%-ს შეადგენს. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემების მიხედვით, 2013-2016 წლებში დაახლოებით 21 000 საცხოვრებელი ერთეუ-

ლი ჩაბარდა. 2016 წლის მდგომარეობით კი თბილისში დაახლოებით 360 000 საცხოვრებელი ერთეულია, რომელიც მოიცავს ეგრეთ წოდებულ „საბჭოური ტიპის“ საცხოვრებელ შენობებს. ყოველივე ამის გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, რომ საშუალო საცხოვრებელი თბილისში შეადგენს 23 კვადრატულ მეტრს ერთ სულ მოსახლეზე, ხოლო 2015 წლის მონაცემების მიხედვით ოჯახის საშუალო ზომა 3,4-ია, რაც, ვფიქრობ, მზარდ მოთხოვნას ქმნის უძრავი ქონების ბაზარზე. **მომხმარებლის გადახდისუნარიანობის ანალიზი.**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით ბოლო წლებში საშუალო თვიური შემოსავალი ლარში შეადგენს 800-900 ლარს. უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობას კი მზარდი ტენდენცია გააჩნია. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ საშუალო შემოსავლის მქონე მოსახლეობა, ვისაც აქვს უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხი დგას მისი გადაუხდელობის რისკის ქვეშ. როგორც ცნობილია შემოსავლების მიხედვით ხდება სწორედ თვიური შენატანის განსაზღვრა იპოთეკურ სესხზე. აღსანიშნავია, რომ საბანკო სექტორი ახდენს ინდივიდუალურად ამ მაჩვენებლის დადგენას. მაგალითისათვის რომ მოვიყვანოთ, 1000 ლარიან ხელფასზე თვიური შენატანი არ უნდა აღემატებოდეს მის 35%-ს ლარში, ხოლო როდესაც საქმე იპოთეკურ სესხებს ეხება, ისინი კი ძირითადად დოლარებშია გაცემული, ეს მაჩენებელი 31,5 %-მდე ჩამოდის. აღსანიშნავია, რომ სესხის აღება შესაძლებელია თანამსესხებლობითაც. ეს კოეფიციენტი წლების წინ ბევრად დაბალ დონეზე ნარჩუნდებოდა და 25 %-საც უტოლდებოდა, ბოლო წლებში კი გაიზარდა, რაც ვფიქრობ, მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ბანკებმა კრედიტორების შემოსავლის უმეტესი ნაწილი მიმართეს სესხის დასაფარად, შემოსავლის უცვლელობის პირობებში. ეს ყოველივე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ კრედიტორის გადამხდელუნარიანობა დღითიდღე დგას რისკის ქვეშ. იზრდება ასევე რესტრუქტურირებული სესხებიც. შესაბამისად ჩნდება კითხვა, თუ რამდენად ხელმისაწვდომია უძრავი ქონება საქართველოში? სესხები ბოლო პერიოდში კონკურენტული საპროცენტო განაკვეთებით ხასიათდება, რომე-

ლმაც ისტორიულ მინიმუმს მიაღწია და შეთავაზებით მერყეობს 6-დან 8 პროცენტამდე დოლარში. ეს იწვევს მოთხოვნის სტიმულირებას და ყველა, ვისაც საშუალო შემოსავალი აქვს 900 ლარი, ცდილობს თანამსესხებლობით აიღოს სესხი. ბანკები კონკურენციის გამო საუკეთესო პირობებს სთავაზობენ მომხმარებლებს და ზოგჯერ საკრედიტო ისტორიის გადამოწმების გარეშეც კი ახდენენ აღნიშნული სესხის დამტკიცებას, თუმცა ეს ყოველივე მომხმარებელზე გრძელვადიან პერიოდში უარყოფითად აისახება და საბოლოოდ სესხის გადაუხდელობის რისკის ქვეშ აყენებს მათ. გარდა ამისა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი გავითარების სამინისტროს თანახმად, ახალაშენებული საცხოვრებელი ბინების გასაყიდი ფასი თბილისში მერყეობს 400 აშშ დოლარიდან 3000 აშშ დოლარამდე მეტრ კვადრატზე, მაშინ როდესაც შემოსავალი, რომელიც თითოეულ საშუალოშემოსავლიან მსესხებელს ან თანამსესხებელს აქვს შესაძლოა 1000 ლარს არ აღემატებოდეს, ყოველთვიური გადასახადი კი, რომელიც იპოთეკურ სესხზეა მიმართული საშუალოდ 600 ლარს შეადგენს. მოსახლეობის შემოსავლის ფონზე, თბილისში არსებული უძრავი ქონების საშუალო გასაყიდი ფასი მეტრ კვარდატზე არის მაღალი, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს საცხოვრისის ხელმისაწვდომობის პრობლემაზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2015 წლის 1 იანვრამდე კომერციული ბანკების მიერ აშშ დოლარით გაცემული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი ფიზიკური პირების სესხების გალარების პროგრამის დაწყება დააანონსა 2017 წლის 1-ლი იანვრიდან, რომელიც ეხება 2015 წლის 1 იანვრამდე გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ, ფიზიკური პირის აშშ დოლარის საბანკო სესხის ძირითადი თანხის დავალიანებას ან მის ნაწილს და გულისხმობს, რომ მოხდება ბიუჯეტიდან სუბსიდირება იმ თანხისა, რომლითაც გაცვლითი კურსის ცვლილების ზრდამ განაპირობა მომხმარებლისათვის.[1] განცხადების მიხედვით, გალარების დღეს არსებულ ოფიცია-

1 საქართველოს ეროვნული ბანკის განცხადება: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=339&n&newsid=2985

ლურ გაცვლით კურსს გამოაკლდება 20 თეთრი და ისე მოხდება სესხის კონვერტაცია. ამ ყველაფრისთვის გამოყოფილია 65 მილიონი ლარი. ეს ყოველივე ერთი შეხედვით კრედიტორებს შეუმსუბუქებს ვალის მომსახურების ტვირთს, თუმცა კურსი, რომლითაც თავის დროზე იყო სესხი გაცემული, დაბალი იყო და 2014 წლის მიწურულისთვის 1,8-ს ფარგლებში მერყეობდა, ხოლო ის კურსი რასაც სახელმწიფო სთავაზობს მომხმარებელს სესხის მომსახურების ტვირთის შესამსუბუქებლად არის ბევრად მაღალი და შესაძლოა 2,5-ის ფარგლებშიც კი მერყეობდეს. ფაქტობრივად არაფერი იცვლება მომხმარებლისათვის შემსუბუქების კუთხით. პირიქით, ისინი ლარში მოახდენენ სესხის დაფარვას, მაგრამ გადასახდელი იქნება ბევრად მეტი, ვიდრე ეს სესხის აღების დროს იყო. ვფიქრობ, ეს ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯია, მიუხედავად იმისა, რომ ეს არის ერთჯერადი ორთვიანი პროექტი. ამით საშუალოშემოსავლიანი ადამიანისათვის უფრო უარესდება პირობები. საცხოვრებელი მისთვის მით უფრო ნაკლებ ხელმისაწვდომი ხდება. გარდა ამისა, მინდა აღვნიშნო, რომ ძირითადად იპოთეკური სესხი მაინც გადამხდელუნარიან მოსახლეობაზეა გაცემული და შესაბამისად, ეს არ შეეხება დაბალ და მცირეშემოსავლიან მოსახლეობას, რომელიც მაინც იბეგრება საშემოსავლო გადასახადით, ანუ გამოდის, რომ შემოსავლების უთანაბრობის ფონზე, საშუალო და დაბალშემოსავლიანი მოსახლეობა, რომელსაც არ აქვს იპოთეკური სესხი, ირიბად ახდენს ბიუჯეტიდან იმ სხვაობის დაფარვას, რასაც სახელმწიფო სთავაზობს გალარების სოციალური პროექტით იმ ადამიანებს, რომელთაც უკვე აღებული აქვთ იპოთეკური სესხები. ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, არათანაბარ პირობებში იმყოფებიან დაბალი, საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე პირები და იჩაგრებიან ის სუბიექტები, რომლებსაც სესხი არ აქვთ აღებული. ქვემოთ წარმოდგენილია ჩემეული ანალიზი, რაც ცნობილი DTI კოეფიციენტის, ანუ შემოსავლების ვალთან თანაფარდობის კოეფიციენტის მიხედვითაა შედგენილი. აქ მოცემულია ცხრილი, რომელიც ერთ-ერთი ბანკის მაგალითზე გვიჩვენებს საბაზისო მაჩვენებლებს,

რომლებსაც განზოგადოებული კოეფიციენტის გამოყვანისას გამოვიყენებთ.

ცხრილი 1.1 წყარო: ბანკი რესპუბლიკა

			დისკონტირებული DTI (მაქსიმუმ 10%)
დონე	მსესხებლის ყოველთვიური შემოსავალი (ლარი)	ლარში DTI	დოლარში DTI*
დ1	>200	25.00%	22,5%
დ2	≥500	35.00%	31,5%
დ3	≥2,000	40.00%	36,0%
დ4	≥3,000	45.00%	40,5%
დ5	≥5,000	50.00%	45,0%

შემოსავლების ვალთან თანაფარდობის კოეფიციენტი[1] შეგვიძლია განზოგადებული მაჩვენებლითაც ჩავწეროთ და გამოვიყვანოთ, რაც ვფიქრობ უხეშად, მაგრამ მაინც დაგვანახებს თუ რამდენად არის გადამხდელუნარიანი ქვეყნის მოსახლეობა. მაგალითად, თუ ავიღებთ წმინდა ეროვნულ განკარგვად შემოსავალსა და უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებს კვარტლების მიხედვით და შევაფარდებთ ერთმანეთთან მივიღებთ ზოგად კოეფიციენტს წლების მიხედვით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩანს საინტერესო პროცენტული მაჩვენებელი, რომელსაც შევადარებთ ერთ-ერთი ბანკის მიერ შემოთავაზებულ კოეფიციენტს, რომელიც მერყეობს 35%-სან 50%-ის ჩათვლით 1000 ლარიდან 5000 ლარამდე და მეტი შემოსავლის მქონე მოსახლეობისათვის. ორივე მოცემულია ეროვნულ ვალუტაში თვის განმავლობაში. როგორც იურიდიულ ასევე ფიზიკურ პირებზე.

ცხრილიდან ჩანს, რომ ძირითადად მაქსიმალურს უახლოვდება და ბოლო წლებში ბევრად მეტია კოეფიციენტი ბანკის მიერ

1 კოეფიციენტი, რომელიც ზომავს ინდივიდის შესაძლებლობას გაანაწილოს თვიური შემოსავალი ვალების გადასახდელად. ამისათვის თვიური ვალდებულება ფარდდება მთლიან შემოსავალთან.



დადგენილზე. შესაბამისად აქედან შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ძირითადად უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხებით სარგებლობენ მაღალი შემოსავლის მქონე ადამიანები და ამასთანავე მათი შემოსავლიდან მიმართული ყველთვიური გადასახადი ხელფასის თითქმის ნახევარს შეადგენს, რაც ვალის გადაუხდელობის მაღალ რისკზე მიუთითებს გრძელვადიან პერიოდში და ამასთანავე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ წლებთან ერთად მომხმარებლის შემოსავლის ვალისკენ მიმართვა უფრო და უფრო გაიზარდა ბანკის ხელშეწყობით, ვინაიდან ეს უკანასკნელი ადგენს სწორედ მინიმალურ და მაქსიმალურ შესატან თანხას სესხზე. სხვა სიტყვებით, მსესხებლები იხდიან რეალურად უფრო მეტ წილს ხელფასიდან, ვიდრე ეს განსაზღვრულია ზედა ზღვარით. ტრანზაქციების რაოდენობა, რომელიც ბოლო წლებში განხორციელდა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემების მიხედვით 2015 წელს, 2014 წელთან შედარებით 3%-იანი კლებით ხასიათდება, ხოლო ჯამური მოცულობა 23%-ით დაეცა. ეს მაჩვენებელი, ერთის მხრივ ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მოთხოვნა უძრავი ქონების ბაზარზე ვერ უზრუნველყოფს ჭარბ მიწოდებას და მსყიდველობითუნარიანი მომხმარებლების რაოდენობაც არ არის ისეთი მაღალი, როგორიც უნდა იყოს.

გარდა ამისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ აშშ დოლარში გაცემული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები ბევრად მძიმე ტვირთად აწევს მოსახლეობას, მიუხედავად იმისა, რომ საპროცენტო განაკვეთები დოლარში უფრო ნაკლებია, ვიდრე ლარში. ძირითადად ესეცაა იმის მიზეზი, რომ დოლარში აღებული სესხების მოცულობა ბევრად აჭარბებს ლარში აღებულ სესხებს. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანახმად, 2015 წელს საშუალო გასაყიდი ფასი პირველად ბაზარზე 5%-ით შემცირდა 437 აშშ დოლარი/მ კვადრატამდე, ხოლო ძველი ბინების საშუალო გასაყიდი ფასი მეორად ბაზარზე ასევე შემცირდა 4%-ით, თუმცა ეს ყოველივე გარკვეულწილად გამოწვეულია ეროვნული ვალუტის გაუფასურებით და დიდ გავლენას არ ახდენს უძრავი ქონების ხელმისაწვდომობის ზრდაზე მოსახლეობაში, ვინაიდან მათ არსებული შემოსავლის უცვლელობის პირობებში უწევთ გადასახადებისა და ვალდებულებების დაფარვა. პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ არ ხდება იმის აღრიცხვა, თუ რამდენი იპოთეკური სესხი არის რესტრუქტურიზებული და რამდენად ხდება მისი გადახდა მოცემულ ვადებში. არ ხდება მონიტორინგი იმისა, თუ გაცემული სესხების რაოდენობა, რამდენად ან როგორ აღემატება დროულად გადახდილი და დასრულებული სესხების რაოდენობას, რაც ვფიქრობ, საკმაოდ კარგი და საჭირო მაჩვენებელი ინქებოდა იმის შესაფასებლად, თუ რა მდგომარეობაა დღეს უძრავი ქონების ბაზარზე.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ცხოვრების დონის ინდექსის[1] მიხედვით, რომელშიც საცხოვრისის ფასის შემოსავალთან თანაფარდობაც იგულისხმება, მსოფლიოს მონაცემთა ბაზის Numbeo-ს მომხმარებელთა გამოკითხვის მიხედვით დღესდღე-

1 მაჩვენებელი, რომელიც აფასებს ცხოვრების საერთო ხარისხს და იყენებს ემპირიულ ფორმულას, რომელშიც გათვალისწინებულია: მსყიდველობითი უნარიანობის ინდექსი, გარემოს დაბინძურების ინდექსი, ქონების ღირებულების შემოსავალთან თანაფარდობის ინდექსი (დაბალი უკეთესია), ცხოვრების ღირებულების ინდექსი(დაბალი უკეთესია), უსაფრთხოების ინდექსი, ჯანდაცვის ინდექსი, საგზაო მოძრაობის ინდექსი(დაბალი უკეთესია) და კლიმატის ინდექსი

ობით საქართველო, კერძოდ თბილისი 104-ე ადგილზეა და ჩამორჩება ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა თურქეთი, საბერძნეთი და სამხრეთ აფრიკა. ეს ფაქტიც მეტყველებს იმაზე, რომ საცხოვრისის ხელმისაწვდომობის პრობლემა დგას საქართველოში.

რეკომენდაციები უძრავი ქონების ბაზრის განვითარებისათვის. უძრავი ქონების ბაზარმა 90-იანი წლებიდან დღემდე განვითარების სხვადასხვა ეტაპები და გზები გამოიარა, რომელიც დღემდე გრძელდება. ქვეყანაში შექმნილმა ეკონომიკურმა, სოციალურმა, სამართლებრივმა და ა.შ. ფაქტორებმა ვერ უზრუნველყო ბაზრის სწრაფი განვითარება. თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ უძრავი ქონების ბაზარი, მაინც ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა და ახლაც ასეა, რაც საცხოვრისის მზარდ მიწოდებაში გამოიხატება კერძო კომპანიების მხრიდან. თუმცა საკითხავია, სამშენებლო კომპანიების ზრდასთან ერთად რამდენად იზრდება რეალურად საბინაო სექტორში საცხოვრისის ხელმისაწვდომობა. სწორედ ამიტომაც საჭიროა ბანკებმა და სახელმწიფომ ერთობლივად გაატარონ შემდეგი ღონისძიებები:

- შემოსავლების ვალთან თანაფარდობის (DTI) კოეფიციენტის დაკორექტირება და მომხმარებელის შემოსავლის დაახლოებით 25-30%-ის მიმართვა სესხების დასაფარად.
- იპოთეკური სესხის გაცემის მკაცრი მონიტორინგი არა მხოლოდ ბაზარზე კლიენტების მოზიდვის მიზნით და ასეთი სესხის მქონე კლიენტებზე სხვა გრძელვადიანი ვალდებულების სესხის გაცემის შეზღუდვა.
- სამშენებლო კომპანიების მიწოდების გაკონტროლება ბაზარზე და მათი უფლებამოსილების შესწავლა.
- სოციალური სახის კამპანიების მორგება დაბალ და საშუალოშემოსავლიან მომხმარებლებზე.
- მომხმარებელთა ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება შესაბამისი ტრეინინგებითა და სარეკლამო რგოლებით.
- უძრავი ქონების ბაზრის მუდმივი კვლევები და საცხოვრისზე ხელმისაწვდომობის ინდექსების წარმოება.

ვფიქრობ ამ ღონისძიებების განხორციელება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს უძრავი ქონების ბაზრის განვითარება-

ში საქართველოში, გაიზრდება კონკურენცია და საცხოვრისი უფრო ხელმისაწვდომი და რეალური იქნება, რაც ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი ფაქტორია ქვეყანაში.

ლიტერატურა:

1. https://guu.ru/files/referate/borisenok_n.pdf
2. https://www.esrb.europa.eu/pub/pdf/other/2015-128_ESRB_report_on_residential_real_estate_andfinancial_stability.pdf?f35377ef70c743cc84da5cbd5b1ac74b
3. http://www.globalpropertyguide.com/Europe/square-meter-prices
4. http://ipm.ge/index.php?option=com_content&task=view&id=65&Itemid=6
5. http://papers.tinbergen.nl/13088.pdf
6. http://www.colliers.com/-/media/files/emea/georgia/research/residential-market-report-2015-eng.pdf?la=ka-GE
7. www.nbg.gov.ge
8. https://www.imf.org/external/pubs/ft/reif/2005/eng/ch1.pdf
9. https://napr.gov.ge
10. www.geostat.ge
11. https://www.numbeo.com/quality-of-life/rankings.jsp
12. https://www.dnb.nl/binaries/Working%20paper%20481_tcm46-325317.pdf http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.198.6732&rep=rep1&type=pdf
13. ნინო ბერაია. უძრავი ქონების ბაზრის მიკროეკონომიკური ანალიზი და პროგნოზირება თბილისის მაგალითზე სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2015 (Nino Beraia - Microeconomic analysis and forecasting of real estate market, Example og Tbilisi,Dissertation, Tbilisi, 2015)
14. ნინო ბერაია, მარინა ნაცვალაძე - უძრავი ქონების ბაზრის ციკლურობის ანალიზი (თბილისის მაგალითზე) ტომი VIII, N 4, 2015 (Nino Beraia, Marine Natsvaladze - Analysis of the Real Estate Market Cycle, ECONOMICS AND BUSINESS Volume VIII, N 4, 2015)

15. ვ. პაპავა, თ. თაფლაძისა და ა. გეგეშიძის მონაწილეობით. საქართველოს ეკონომიკა, რეფორმები და ფსევდორეფორმები, თბ., 2015. (V. Papava, T Taphladze, A. Gegeshidze - Georgian economy, reforms and pseudo-reforms, Tb., 2015)

16. ნინო ბერაია - საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის პროგნოზირება ნეირონული ქსელების მეშვეობით (თბილისის მაგალითზე) ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი IX №3, 2016(Nino Beraia - Residential Real Estate Market Prognosis with Neural Networks (Case of Tbilisi), ECONOMICS AND BUSINESS, Volume IX, No 3, 2016).

RESIDENTIAL REAL ESTATE ACCESSIBILITY IN GEORGIA

Giga Kikoria
PhD student , Tbilisi State University

RESUME

The real estate market and its level of development characterizes the country's national economic development. Housing accessibility is one of the most important factors in determining a country's basic demographic indicators. Social stability, the level of mobility of the work force and other factors, mainly are determined by a sufficient amount of housing supply. One of the most important issue in social policy is proper accommodation of citizens. In recent years, the real estate market in Georgia has an active character, which is expressed in the growing construction companies and mortgage loans. This paper based on scientific literature, a private, international and local organizations, reports and analyzes current situation in Georgia's real estate market, its strengths and weaknesses are identified, the main challenges and recommendations are assessed.

Keywords: Real estate market, housing, statistics, construction, housing fund.

პიროვნების განათლებულობის რესურსის მართვა

ნათია გურაშვილი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განათლებულობა განხილულია პიროვნების სტრატეგიულ უპირატესობად და დასმულია მისი გონივრული მართვის საკითხი. ავტორი სტატიისა ასაბუთებს, რომ პიროვნების განათლებულობის რესურსის მართვა შეუძლებელია მისი შემეცნებითი საქმიანობის განვითარების გარეშე. სტატიაში დახასიათებულია შემეცნებითი მოტივაცია, მისი სახეები, თვითგანვითარების მოტივატორები – საკუთარი თავის მიმართ, გარეშე ადამიანების მიმართ და ცხოვრების მიმართ.

ავტორი აკეთებს დასკვნას, რომ ადამიანები თავის განათლებულობას უფრო მეტად „ამუშავებენ“ ცხოვრების გასაუმჯობესებლად და არა იმისთვის, რომ იყონ უკეთესნი, სრულყოფილნი.

საკვანძო სიტყვები: განათლება, განათლებულობის რესურსი, წიგნიერება, საგანმანათლებლო გარემო, შემეცნებითი საქმიანობა.

1. საგანმანათლებლო პარადიგმა

განათლების სკოლა იყენებს ცოდნის ათვისების ასეთ პრინციპს: „ყურადღება – მოსმენა – გაგება – დამახსოვრება – გამეორება“. იგი დაფუძნებულია და მოქმედებს ნორმატიულ-რეპრესიული პრინციპით და განმტკიცებულია „სწორია-არასწორიას“ კრიტერიუმით. აზროვნების კლასიკური ტიპი მოდის მსოფლიოს მექანისტური გაგებიდან და რეალურ შედეგთან მოსალოდნელი შედეგის აუცილებელი თანხვედრის მოცემულობიდან.

ამჟამად, მსოფლიოს ახალი პოსტმოდერნისტული სურათი

ყალიბდება, რომლის დროსაც მეცნიერების ნიშნებია: მრავალ კონცეფციათა თანაარსებობა; ჰიპოტეტურობა; შედეგების არაერთგვაროვანი ინტერპრეტირება; აღქმის მეცნიერულ და არა-მეცნიერულ ფორმების დაახლოება; მეტაფორულობა.

ამჟამად, ყურადღების ცენტრში საზოგადოებისა და ცალკეული ადამიანის პრობლემებია. ცოდნა განიხილება, როგორც კულტურის შენახვის, კვლავწარმოებისა და განვითარების საშუალება, ცოდნა ხდება კაპიტალი. განვითარებულ ქვეყნებში ცოდნაში ჩადებული კაპიტალი წარმოების სფეროში დაბანდებულთან შედარებით მეტ მოგებას იძლევა. კრიტერიუმი „სწორია-არასწორიას" ნაცვლად წინ წამოიწია „სასარგებლოა — ეფექტურია — არამავნეას" კრიტერიუმმა. სრულიად ნათელი ხდება, რომ საზოგადოების მომავალი ცოდნის რაოდენობაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ, კულტურის დონეზე და არასტანდარტულ სიტუაციებში ადამიანების ორიენტაციის უნარზე.

პოსტკლასიკური განათლება გულისხმობს ინდივიდში ისეთი სოციალურ-ეკონომიკური, სოციალ-სტატისტიკური და სოციალ-ფსიქოლოგიური ნიშნების პოვნის და ათვისების უნარს, რომელიც მას დაეხმარება საკუთარი თავის რეალიზაციაში და თავს იგრნობს ბედნიერად (უკიდურეს შემთხვევაში უბედური არ იქნება). პიროვნებისთვის საგანმანათლებლო პროცესი უნდა იყოს შემოქმედებითი პროცესი. მან თავისი განათლებულობა და თვითზრდა თვითგანათლებით უნდა უზრუნველყოს. ამრიგად, საზოგადოების განვითარების ამ ეტაპზე აქტუალური ხდება თვითმენეჯმენტის ის კომპონენტი, რომელსაც თვითგანათლება ეწოდება. ცხადია, ყველა ქვეყანაში ის ერთიან საგანმანათლებლო ჩარჩოში უნდა განხირციელდეს.

2. საგანმანათლებლო გარემო და საგანმანათლებლო სივრცე

სოციალური საგანმანათლებლო გარემო უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც საზოგადოების კულტურის ჰორიზონტალური სტრუქტურა და ინფორმაციული სისტემა, რომელიც თვითორგანიზების პრინციპით ფუნქციონირებს. სოციოსაგანმანათლებლო გარემოს

წარმოქმნის ფორმირების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს უმაღლესი განათლების შემდგომი, უწყვეტი განათლება წარმოადგენს.

სამეცნიერო გამოკვლევებში საგანმანათლებლო სივრცე სხვადასხვანაირად არის განმარტებული. გამოკვლევების ნაწილში იგი ვრცელდება ქალაქზე, რეგიონზე, ქვეყანაზე და რიგ შემთხვევებში მთელ მსოფლიოზე. ასეთი გაგებით, საგანმანათლებლო სივრცე განათლების სისტემას უთანაბრდება. სხვა გამოკვლევებში მას ემატება ბავშვისა და ზრდადასრულებულის ურთიერთობა, ზოგან საგანმანათლებლო სივრცე საგანმანათლებლო გარემოს ემთხვევა და ა. შ.

საგანმანათლებლო სივრცე გარკვეული ზომით მართლაც იკავებს საგანმანათლებლო გარემოს ნაწილს, მაგრამ საგანმანათლებლო სივრცე არ არის საგანმანათლებლო გარემო. ეს არის განათლების პროცესის ფორმა, კერძოდ, საგანმანათლებლო გარემოსა და განათლების მიმღებ ადამიანის ურთიერთობა.

საგანმანათლებლო სივრცის განმასხვავებელი ის არის, რომ მის ფორმირებაზე გავლენას ახდენენ არა მხოლოდ რეალური საგანმანათლებლო მოვლენები (რომლებიც უკვე ხდება), არამედ ისინიც, რომლებიც ჯერ არ ხორციელდება, და, მხოლოდ საგანმანათლებლო პროცესის სუბიექტების გონებაშია [1, გვ. 47].

ცნება „საგანმანათლებლო სივრცე“ ობიექტურ და სუბიექტურ სიბრტყეზე განიხილება. საგანმანათლებლო სივრცის ობიექტური ხასიათი ასახავს მისთვის ცოდნის აბსოლუტური ხასიათის მინიჭებას, სუბიექტური ხასიათი კი ასახავს მისთვის საგანმანათლებლო პროცესის კონკრეტული სუბიექტის მინიჭებას.

საგანმანათლებლო სივრცე ხასიათდება საგანმანათლებლო მომსახურების მოცულობით, საგანმანათლებლო ინფორმაციის სიმძლავრით და ინტენსიურობით, საზოგადოების საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურით.

3. სოციალური და ინდივიდუალური საგანმანათლებლო სივრცე

სოციალური საგანმანათლებლო სივრცის ქვეშ იგულისხმება ინდივიდუალური და კოლექტიური საგანმანათლებლო სივრცის შესაქმნელად საჭირო ადგილების რაოდენობა. იგი ადგენს საგან-

მანათლებლო გარემოში შესვლის და საგანმანათლებლო პროცესში ურთიერთობის წესებს და მეთოდებს.

სოციალურ-საგანმანათლებლო სივრცის ორგანიზაციის ფორმა არის საგანმანათლებლო დაწესებულებები. ისინი ქმნიან ნორმებს და წესებს და არეგულირებენ განათლებას, რომელიც თავის მხრივ, განსაზღვრავს პიროვნების საგანმანათლებლო სივრცეს.

პიროვნების საგანმანათლებლო სივრცე მოიცავს გარემოსთან სწავლების ადაპტაციის ტექნოლოგიას, ტექსტების ალგორითმული ათვისების ტექნოლოგიას, აზროვნების ვიზუალიზაციას, თავის ტვინის ორივე ნახევარსფეროს მუშაობის აქტივიზაციის ტექნოლოგიას, ცოდნის თვითკონტროლს და სხვ.

მუშაობის აქტიურ ფორმებს, რომლებიც უნდა ჩაისახოს ინდივიდუალურ საგანმანათლებლო სივრცეში, მიეკუთვნებიან:

- სიტუაციური ანალიზი;
- ოპერაციული თამაშები, ტრენინგები, ტესტები;
- გეგმების, კონსპექტების, დღიურების შედგენა;
- საკლუბო საქმიანობა, ადამიანებთან კონტაქტი;
- ინფორმაციასთან მუდმივი წვდომა.

4. განათლებულობა, როგორც პიროვნების სტრატეგიული უპირატესობა

დამქირავებელი დაინტერესებულია ჰყავდეს ისეთი მუშაკი, რომელსაც:

- შეუძლია იაზროვნოს დამოუკიდებლად და გადაწყვიტოს სხვადასხვა პრობლემები, ე. ი. ცოდნა გამოიყენოს პრობლემების გადასაწყვეტად;
- ჰქონდეს კრიტიკული და კრეატიული აზროვნება;
- ჰქონდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებაში სიტყვათა დიდი მარაგი;
- სწრაფად ახდენდეს ადაპტირებას შეცვლილ გარემოში;
- დამოუკიდებლად შეეძლოს საჭირო ცოდნის შეძენა;
- კვალიფიციურად იმუშაოს ინფორმაციასთან;

- შეეძლოს ახალ იდეათა გენერირება;
- იყოს კონტაქტური და კომუნიკაბელური, ადვილად გამოდიოდეს კონფლიქტურ სიტუაციებიდან;
- დამოუკიდებლად ზრუნავდეს საკუთარი ინტელექტის და კულტურის დონის ასამაღლებლად.

დაქირავებულის ეს თვისებები XXI საუკუნეში შექმნილი ტექნოლოგიების მომხმარებლის თვისებებია. როგორც ამერიკელი მეცნიერი ლ. ტეროუ წერს, ეს ის ტექნოლოგიაა, რომელმაც კვალიფიკაცია და ცოდნა მყარი სტრატეგიული უპირატესობის ერთადერთ წყაროდ აქცია.

5. ადამიანის განათლებულობის რესურსის მართვა

ადამიანის განათლებულობის რესურსის მართვა შეუძლებელია მისი შემეცნებითი საქმიანობის განვითარების გარეშე, რომელიც წარმოადგენს პროფესიული ამოცანების გადასაწყვეტად საჭირო ცოდნის და უნარების მიღებისთვის მზადყოფნას. მისი ძირითადი მიმართულებებია: მყარი შემოქმედებითი პოტენციალის ფორმირება და შემეცნებითი უნარების და ჩვევების სრულყოფა. განვიხილოთ ისინი.

მყარი შემეცნებითი მოტივაციის ფორმირება. ფსიქოლოგიაში შემეცნებითი საქმიანობაში მოტივების ორ ჯგუფს ასახელებენ: შიდა და გარე მოტივები. გარე მოტივაცია არ ითვალისწინებს ობიექტის ღრმა შეცნობას და იგი ორიენტირებულია მხოლოდ რაღაც შედეგის მისაღებად ამოცანის გადაწყვეტაზე. ამ დროს, გადაწყვეტილებები შეიძლება დაეფუძნოს არა აქტიურ სააზროვნო ოპერაციებს, არამედ მზა სტერეოტიპულ ცოდნას.

შიდა მოტივაცია მოიცავს გადასაწყვეტი პრობლემის წარმოშობის, სპეციფიკის, განვითარების კანონზომიერებების, განმეორების ალბათობის და სხვა ასპექტებს. ასეთ დროს, პრობლემის გადაწყვეტა სტერეოტიპული ცოდნით ვერ მოხდება. იმ მიზეზების დადგენის მიზნით, რამაც ეს პრობლემა გამოიწვია, საჭირო ხდება ადამიანის შემეცნების აქტუალიზაცია.

ასე რომ, რთული პრობლემა მოითხოვს შიდა მოტივირებას,

ხოლო თუ პრობლემა მარტივით დაიწყო და შემდეგ გართულდა, მაშინ როგორც გარე, ისე შიდა მოტივირებას.

შიდა შემეცნებითი მოტივაციის განვითარება ხორციელდება **ობიექტურ** და **სუბიექტურ ფაქტორებზე** დაყრდნობით. გადასაწყვეტი პრობლემის გართულება, ამოცანის პირობების და მოთხოვნებს შორის შეუსაბამობა და სხვა მრავალი, გვევლინება ადამიანის შემეცნებითი მოტივაციის განვითარების ობიექტურ წყაროებად, სუბიექტური ფაქტორები კი არის პიროვნების თვითგანვითარების და თვითსრულყოფის პროცესი.

ადამიანში თვითსრულყოფას სამი გარემოება იწვევს [2, გვ. 63]:

- სოციალურ პრესტიჟზე ადამიანის მოთხოვნილება;
- თვითპატივისცემის მოთხოვნილება;
- გარეშე პირთაგან შექების მოთხოვნილება.

ფსიქოლოგებმა გამოავლინეს ტიპიური მოტივატორები (მოცემულობები), რომლებიც ადამიანის სამი სახის დამოკიდებულებას (თავის თავისადმი, ადამიანებისადმი და ცხოვრებისადმი) ეხებიან და, რომლებიც გამოხატავენ თუ რატომ, რა მიზნით მიისწრაფვის ადამიანი თვითსრულყოფისკენ.

საკუთარი თავის მიმართ დამოკიდებულებას ეხებიან შემდეგი მოტივატორები:

- თვითრეალიზაცია;
- ადამიანების დამოკიდებულება „მე“-სთან (რომ ისინი „მე მექცეოდნენ პატივისცემით“);
- სრულყოფა-სრულყოფისთვის (რომ ვიყო უკეთესი).

გარეშე ადამიანებისგან დამოკიდებულებას ეხებიან შემდეგი მოტივატორები:

1. ვიყო სრულყოფილი, რომ ამით უკეთესი ურთიერთობები მქონდეს ადამიანებთან;

2. შემეძლოს დახმარება ადამიანებისთვის, ე. ი. ვიყო ალტრუისტი.

ცხოვრებისადმი დამოკიდებულებას ეხება ოთხი მოტივატორი. ესენია:

1. არსებობის გამარტივება – „რომ ვიცხოვრო იოლად“;

2. არსებობის გაუმჯობესება – „რომ ვიყო უკეთესად“;

3. მატერიალური სიკეთის მიღება – „რომ მქონდეს მაღალი შემოსავალი“;

4. უსიამოვნებებისაგან თავის არიდება.

პრაქტიკულად ადამიანის ცხოვრებასთან დამოკიდებულების გამომსახველი მოტივები უფრო ხშირადაა შესამჩნევი, ვიდრე დანარჩენი მოტივები. ეს კი პირიქით უნდა იყოს. ამის უზრუნველსაყოფად საჭიროა ვზრუნავდეთ თვითგანვითარებაზე, თვითგანათლებულობაზე და ა. შ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Германский Б., Философиа образования, М., 1998.
2. Порохина В., Самоменеджмент, М., 2012.

LITERATURE:

1. Germunski G., Education Philosophy M., 1998.
2. Porokhina V.Selfmanagement, M., 2012.

THE PERSON'S EDUCATION RESOURCE CONTROL

NATIA GURASHVILI
PhD student, GTU

RESUME

In the article - **"The Person's Education Resource Control"** education is discussed as a person's strategic priority and raised a question of its clever control. The author of this article proves that the person's education resource control is impossible without its perceptual development. In the article it is characterized the perceptual motivation, its categories, self-development motivators to themselves, another people and to life as well.

The author draws a conclusion that people use their education not for being better persons but for improving their lives.

Keywords: Education, Educational resource, intelligent, educational surroundings, perceptual activity.

ბიზნესის შეზღუდულობის მიზეზები საქართველოში

მარინა ბაღათურია
სტუ, პროფესორი

ნატო გეგენავა
სტუ, პროფესორი

რეზიუმე

საქართველოში ბიზნესკულტურა, დასავლეთის ცივილიზებულ სამყაროსთან შედარებით, ჩანასახოვან მდგომარეობაშია. საქართველოს ეკონომიკური ჩამორჩენის მიზეზები ამ პერიოდში მსოფლიოს ქვეყნებისაგან განკერძოებაში უნდა ვეძებოთ. ბიზნესი შეუთავსებელი აღმოჩნდა კომუნისტური იდეოლოგიისთვის, რის გამოც ის იდევნებოდა, ხოლო მეწარმეები რეპრესიების ობიექტები გახდნენ. თანამედროვე ბიზნესკულტურა ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად აღორძინებას იწყებს მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან. საქართველოს ბიზნესკულტურის კვლევები ძირითადში ეხება კორპორაციული კულტურის ელემენტებს. ამასთან, შესწავლილია ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ამჟამად საერთაშორისო ბიზნესის განვითარების მთავარ ორიენტირებს წარმოადგენენ.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესის შეზღუდულობა, მარეგულირებელი გარემო, თავისუფალი კონკურენცია, ვენჩურული კაპიტალი.

შესავალი

საქართველოს ეკონომიკური ჩამორჩენის მიზეზები ამ პერიოდში მსოფლიოს ქვეყნებისაგან განკერძოებაში უნდა ვეძებოთ. ბიზნესი შეუთავსებელი აღმოჩნდა კომუნისტური იდეოლოგიისთვის, რის გამოც ის იდევნებოდა, ხოლო მეწარმეები რეპრესიების ობიექტები გახდნენ. თანამედროვე ბიზნესკულ-

ტურა ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად აღორძინებას იწყებს მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან. ამ კულტურის ყველა ელემენტი არ არის საფუძვლიანად შესწავლილი. საქართველოს ბიზნესკულტურის კვლევები ძირითადში ეხება კორპორაციული კულტურის ელემენტებს. ამასთან, ნაკლებად არის შესწავლილი ის საკითხები, რომლებიც განსაზღვრავენ საქართველოში ბიზნესის დეგრადაციის ხარისხს.

ძირითადი ტექსტი

საქართველოში ბიზნესკულტურა, დასავლეთის ცივილიზებულ სამყაროსთან შედარებით, ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფება. ის სამეწარმეო ტრადიციები, რომლებიც ამ სახის კულტურაში არსებობდნენ, ჯერ კიდევ რევოლუციამდელ პერიოდში პოლიტიკური მიზეზების გამო ხელოვნურად იქნა შეწყვეტილი. ბიზნესის განვითარება ფეოდალიზმის დაშლის და საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების ეპოქიდან დაწყებული, შეიძლება შემდეგი ეტაპების სახით წარმოვიგდინოთ: I ეტაპი იწყება მე-18 საუკუნის 60-იანი წლებიდან და გრძელდება 1917 წლამდე, II ეტაპი მოიცავს 1917-1921 წლებს, III ეტაპი -მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყება და 80-იან წლებში მთავრდება, ხოლო IV ეტაპი -იწყება მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე.

მე-19 საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოში პატრიარქალური, საოჯახო მრეწველობა და სოფლის მეურნეობა დომინირებდა. 30-იანი წლებიდან ინტენსიურად ვითარდებოდა ხელოსნობა, მევენახეობა, ვაჭრობა, გაჩნდა პირველი მანუფაქტურები, პირველი სააქციო საზოგადოებები. ცნობილმა მკვლევარმა ფ. გოგიჩაიშვილმა თავის შრომაში „ხელოსნობა საქართველოში“ საფუძვლიანად შეისწავლა მეწარმეობის საფუძვლები ამ ეპოქაში.

მეწარმეობისა და ბიზნესის განვითარება 1917-1921 წლებში დაკავშირებული იყო იმ მოვლენასთან, რომელიც ისტორიაში შევიდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახით.

1921 წლიდან ბიზნესი დაექვემდებარა ბოლშევიკურ იდეოლოგიას და რადგანაც მარქსიზმი ბიზნესს ადამიანების ექსპლუატაციის წყაროდ მიიჩნევდა, 1921 წლიდან საქართველოში დაიწყო მისი შეფერხების, ხოლო შემდეგ გაუქმების პროცესი. მე-20 საუკუნის 20-იანი წლიდან 80-იან წლამდე საქართველოში მიმდინარე სოციალისტურმა რეფორმებმა გამოიწვია ამ ქვეყნის, მსოფლიოს უდიდესი ნაწილის განვითარების საერთო ლოგიკიდან ამოგდება.

ხელსაყრელი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო მნიშვნელოვნად მოქმედებს ბიზნესზე, რამდენადაც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს რესურსების ეფექტიან განაწილებაზე. მძაფრი გლობალური კონკურენციიდან და დინამიური ეკონომიკური განვითარების პროცესებიდან გამომდინარე, ბიზნესის მოთხოვნები სწრაფად იცვლება. შესაბამისად, სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო წარმოადგენს ბიზნესის მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს. საქართველოში ამ მხრივ შექმნილი მდგომარეობა დამაფიქრებელია და იწვევს არასტაბილურობის განცდას. ქვეყანაში ეკონომიკის ლიბერალიზაციისკენ მიმართული რეფორმების ტალღა 2005 წლიდან დაიწყო. აღნიშნული რეფორმების შედეგად, აღმოიფხვრა ბიუროკრატიული ბარიერები და შემცირდა საგადასახადო ტვირთი. ქვეყანა ბიზნესის კეთების სიმარტივის მაჩვენებლით 125 ქვეყანას შორის მე-8 ადგილს იკავებს. მიუხედავად ამისა, რჩება პრინციპული ხასიათის პრობლემები ცალკეულ სფეროში, რაც ხელს უშლის კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას. დღეისათვის კვლავ პრობლემად რჩება ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა, ასევე გადახდისუუნარობასთან, კომერციული დავების გადაჭრასა და ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. არსებული სირთულეები აუარესებს სამეწარმეო გარემოს, ამცირებს ინვესტორთა ნდობას და ნაკლებეფექტიანს ხდის ადგილობრივ ბიზნესს. მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ანგარიშში საქართველოს უკავია პირველი ადგილი მსოფლიოში ქონების რეგისტრაციის სი-

მარტივის მიხედვით. ბიზნესმენთა შეფასებით მნიშვნელოვანია არა მარტო რეგისტრაცია, არამედ ბიზნესის შენარჩუნება. ქვეყანაში საკუთრების უფლება არ არის სათანადოდ დაცული და ამასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავები სწრაფად არ გვარდება. აუცილებელია ამოქმედდეს დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის _ არბიტრაჟების განვითარება. სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს კუთხით არსებულ პრობლემებზე მიუთითებს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასება და ანგარიშები.

ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ მიწოდებულ მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის ზრდა და ასევე, ადმინისტრაციულ პროცედურებზე გაწეული დროითი დანახარჯების შემცირება. ამ მიზნით აუცილებელია სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ გაწეული მომსახურების გაუმჯობესება, ელექტრონული ტენდერების სისტემების, ელექტრონული მმართველობის სისტემის გაფართოება. საქართველო გაეროს ელმმართველობის ინდექსის მიხედვით 72-ე ადგილზეა. კონკურენციის შესუსტებაზე მეტყველებს ერთ პირზე პირდაპირი წესით მიყიდვის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილების წესის არსებობა, რომელიც თავის არაკონკურენტუნარიანი ბუნებით ბიზნესისათვის მავნებელი გახდა.

ქვეყანაში არ არის შექმნილი ინოვაციური ეკონომიკის პირობები, რაც განსაზღვრავს წარმოებული პროდუქციის დაბალ კონკურენტუნარიანობას. ქვეყანაში ინოვაციის დონე ჯერ ისევ არადამაკმაყოფილებელია, დაბალია როგორც სახელმწიფო ასევე კერძო სექტორის დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე, რაც ასახულია სხვადასხვა საერთაშირსო შეფასებასა და რეიტინგში.

სწრაფი და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ტემპების მისაღწევად, ყოველწლიურად ეკონომიკაში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა მშპ-ს მიმართებით შეადგენს მხოლოდ 2,5%-ს. მთლიანი კაპიტალის ფორმირების და ადგილობრივი დანაზოგების მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებლის

დინამიკიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ შიდა დანაზოგების არსებული დონე ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას. გლობალური კონკურენტუნარიანობის 2014 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს მთლიანი ეროვნული დანაზოგების მიხედვით 98-ე ადგილი უკავია, ხოლო ადგილობრივი კაპიტალის ბაზრებზე ფინანსების ხელმისაწვდომობის კომპონენტში 126-ე ადგილი. საინვესტიციო რესურსის პრობლემას წარმოადგენს არა მარტო სიმცირე, არამედ გრძელვადიანი სასესხო რესურსების ნაკლებობა. ასეთი ფინანსური რესურსები მნიშვნელოვანია გრძელვადიანი საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად. მოკლევადიანი საფინანსო რესურსი ბიზნესისთვის დამატებითი რისკების შემცველია. ფინანსების ხელმისაწვდომობის ზრდისთვის საჭიროა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. უცხოური კაპიტალის შემოდინება, გააიაფებს საკრედიტო რესურსებს და გაზრდის ფინანსებებზე ხელმისაწვდომობას. ამით კი გაიზრდება ინვესტიციების მოცულობა ქვეყანაში. ბაზარზე ეროვნული ვალუტის რესურსის ნაკლებობა აიძულებს მეწარმეებს აიღონ სესხი უცხოური ვალუტით და დაექვემდებარონ სავალუტო რისკს. დოლარიზებული სესხები განსაკუთრებით ძვირია მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, რომელსაც არ გააჩნია სავალუტო რისკის მართვის საშუალებები. შესაბამისად, სახელმწიფო, საბაზრო ინსტრუმენტებით წაახალისებს ლარიზაციას, რათა გაიზარდოს ლარში გაცემული გრძელვადიანი სესხების და ლარში განთავსებული დეპოზიტების მოცულობა, რაც ამცირებს მცირე და საშუალო ბიზნესის რისკებს და ხელმისაწვდომობას ფინანსებზე.

ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, ქართული კომპანიების მიერ დასახელებულია, როგორც ბიზნესის შემაფერხებელი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი. საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს ადგილობრივი კაპიტალის ბაზარზე ვენჩურული კაპიტალის ხელმისაწვდომობის მიხედვით. ვენჩურული და კერძო კაპიტალისთვის ქვეყნის მიმზიდველობის ინდექსში საქართველო 118-ე ქვეყნიდან 72-ე ადგილზეა. საფინანსო შუამავლობის გაუმჯობესების

მხრივ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ ისეთმა ფინანსურმა დაწესებულებებმა, როგორიცაა ფინანსური ლიზინგის და სადაზღვეო კომპანიები, საპენსიო ფონდები და სხვა. დღეისათვის ქვეყანაში არსებობს როგორც სამართლებრივი ისე ადმინისტრაციული ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის ამ დაწესებულებებს სრულად გამოიყენონ თავიანთი პოტენციალი. ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ამ ხარვეზების აღმოფხვრისაკენ. სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ღონისძიებები, რომელიც მიმართული იქნება სასამართლოების და სხვა ადმინისტრაციული ოგანოების კვალიფიკაციის ამაღლებისკენ ლიზინგთან დაკავშირებით. დამწყები და მაღალი რისკის მქონე ბიზნესის დაფინანსებისთვის აუცილებელია ვენჩურული ტიპის დაფინანსების განვითარება. ვენჩურული კაპიტალი მნიშვნელოვანია ინოვაციური პროექტების დაფინანსებისთვის. ასეთი ტიპის დაფინანსება ხშირად დაკავშირებულია შედარებით უფრო მაღალ საპროცენტო განაკვეთთან. შესაბამისად, მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს კერძო, მოგებაზე ორიენტირებული ვენჩურული ფონდების განვითარებას და შესაბამის ბაზარზე კონკურენციის უზრუნველყოფას. ფინანსური სექტორის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მიკროსაფინანსო ინსტიტუტებს. აღნიშნული ორგანიზაციები ქვეყანაში მრავლად არის წარმოდგენილი თუმცა, მათი საქმიანობა, ძირითადად ორიენტირებულია სამომხმარებლო სესხების გაცემაზე და არა მცირე და დამწყები ბიზნესის დაფინანსებაზე.

დასკვნა

მარეგულირებელი გარემოს გაუმჯობესება ასახულია მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ანგარიშში, რომლის მიხედვითაც საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი მაჩვენებელი აქვს, თუმცა, ბიზნესმენთა აზრით ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული მიმართულებები, სადაც აუცილებელია მდგომარეობის გაუმჯობესება. სახელმწიფომ უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრე-

ლად და გრძელვადიან პერსპექტივაში სტაბილურად მიმზიდველი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად. ამისათვის აუცილებელია რიგი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელება, ბიზნესის დაცვის თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრალავა ა., ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2014.

2. ბარათაშვილი ე., ჩადუნელი გ., მახარაშვილი ი., კოღუაშვილი პ., გალახვარიძე ნ, კვაბზირიძე თ. საქართველოს ეკონომიკა. მეორე გამოცემა. თბ., 2016.

3. შენგელია თ. მულტიკულტურიზმი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა და ბიზნესის განმსაზღვრელი დეტერმინანტი, თბ.,, გამომცემლობა „უნივერსალი“ 2015.

4. კრებული თანამედროვე ბიზნესი: სიახლეები და პრობლემები. ბიზნესის სოციალურ-ფსიქოლოგიური ბუნება და შეზღუდულობის მიზეზები საქართველოში. თსუ 2014.

REFERENCES:

1. Abralava A., The global-innovative problems of economy and business, the publishing house „Universal“, Tb., 2014y.

2. Baratashvili E., Chaduneli G., Makharashvili I., Koghuashvili P., Galakhvaridze N, Kvabziridze T. Georgia’s economy. Second edition. Tbilisi., 2016y.

3. Shengelia T. Multiculturalism, as a socio-economic phenomenon and business determinant, the publishing house „Universal“, Tb., 2015y.

4. Collection : Modern Business: News and problems. The social-psychological nature of Business and reasons of its restriction in Georgia. TSU 2014.

REASONS OF BUSINESS RESTRICTION IN GEORGIA

Marina Bagaturia, GTU, Professor
Nato Gegenava, GTU, Professor

RESUME

In Georgia business culture, compared with the western civilized world has a rudimentary shape. These economic reasons for this lag period from the countries of the world we can find in separation. Businesses found to be incompatible with Communist ideology, which is why he is persecuted, and entrepreneurs were subjected to repression. Modern business culture began to revive after the country's independence in the 20th century from the the end of 80th. Georgian studies on business deals with the basic elements of corporate culture. In addition, it is studied important issues, which are currently the main focus of international business development.

Keywords: Business restriction, Regulation environment, Free competiveness, Venture capital.

მართვა როგორც მიზნის მიღწევის საშუალება

ქეთევან ჯიქია
სტუ, ბიზნესტექნოლოგიების
ფაკულტეტის დოქტორანტი

რუსუდან ქუთათელაძე
სტუ, პროფესორი

რ ე ზ ი უ მ ე

მართვის არსი დასახული მიზნების მიღწევისათვის საჭირო რესურსების ოპტიმალურად გამოყენებაში მდგომარეობს. ამიტომ ნებისმიერი ორგანიზაცია, დიდი იქნება იგი თუ მცირე, აუცილებლად მიმართავს მართვას. კომპანიის ყოველდღიური საქმიანობა მუდმივ ხელმძღვანელობას საჭიროებს, რომლის დიაპაზონი ამოცანების დასმიდან მათი შესრულების კონტროლამდე და შედეგების შეფასებამდეა.

ჩვენს დროში ორგანიზაციის მართვის მნიშვნელობა ძალიან არის გაზრდილი. დღეს ისეთი ფაქტორებია გაძლიერებული, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ ბიზნესის განვითარებაზე. საზოგადოების, ეკონომიკისა და ტექნოლოგიების განვითარების დონე მართვის პროცესშიც ითხოვს ცვლილებებს. საბოლოოდ, წარმატებული რჩება ის ხელმძღვანელი და ორგანიზაცია, რომელიც ახერხებს მიმდინარე ცვლილებებზე ოპერატიულად და გააზრებულად რეაგირებას. ორგანიზაციის სწორი მართვა წარმატების მიღწევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა, რადგანაც სწორედ მართვა უზრუნველყოფს ორგანიზაციის რესურსების გამოყენების დაგეგმვასა და კოორდინაციას.

საკვანძო შიტყვები: ორგანიზაციის მართვა; მართვის სტრატეგია; სტრატეგიული გადაწყვეტილებები; წარმატების მიღწევის გზები.

შესავალი

თანამედროვე სწრაფად ცვალებად დროში მართვა ისეთ ძალიან რთულ სამუშაოდ გვევლინება, რომლის წარმატებით შესრულებაც შეუძლებელია მარტივ და მშრალ ფორმულებზე დაყრდნობით. მმართველობით სამუშაოზე დასაქმებული სპეციალისტი ერთდროულად უნდა უწევდეს ანგარიშს ზოგად ჭეშმარიტებებსაც და იმ მრავალრიცხოვან ვარიაციათა დიდ მნიშვნელობასაც, რომელთა გამო ერთი სიტუაცია შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს მეორისაგან.

საბოლოო პროდუქტის მიღებამდე და მის რეალიზებამდე სამეწარმეო საქმიანობის ყველაზე ეფექტიანად ორგანიზება და საწარმოო პროცესის რეგულირება წარმოების *მართვის* სფეროს ეკუთვნის. მ. მესკონი მართვას განსაზღვრავს როგორც *დაგეგმვის, ორგანიზების, მოტივაციისა და კონტროლის პროცესს*, რომელიც ორგანიზაციის მიზნების ფორმულირებისა და მათი მიღწევისთვისაა აუცილებელი.

ძირითადი ნაწილი

მართვის არსი დასახული მიზნების მიღწევისათვის საჭირო რესურსების ოპტიმალურად გამოყენებაში მდგომარეობს. ამიტომ ნებისმიერი ორგანიზაცია, დიდი იქნება იგი თუ მცირე, აუცილებლად მიმართავს მართვას. ბიზნესში წარმატების მისაღწევად წარმოების პროცესი მაღალეფექტიანად უნდა იყოს ორგანიზებული. აქედან გამომდინარე, მენეჯერის ამოცანაა, რომ ყოველმხრივ გააანალიზოს, შეაფასოს ეს პროცესი და მიიღოს ისეთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული გადაწყვეტილებები, რომლებზეც წარმოების ორგანიზების დონე იქნება დამოკიდებული. ფირმებისა და ორგანიზაციების შექმნის დროს ფუძემდებლური გადაწყვეტილებები ეხება წარმოების პროცესის ორგანიზების ხერხებს, საწარმოს სიდიდეს, მისი განთავსების ადგილს, ტექნოლოგიას, სამუშაო ძალის ორგანიზებას და ა.შ. თუმცა, მმართველობითი საქმიანობა ამ საკითხების მოგვარებით არ მთავრდება: კომპანიის ყოველდღიური საქმიანობა მუდმივ ხელმძღვანელობას საჭიროებს, რომლის დიაპა-

ზონი ამოცანების დასმიდან მათი შესრულების კონტროლამდე და შედეგების შეფასებამდეა.

ნებისმიერი მენეჯერის მთავარი მოვალეობაა გადაწყვეტილების მიღება. წარმოების *მართვის პროცესი* ორგანიზაციის განვითარების ნებისმიერ სტადიაზე სამ ფუნქციონურ პროცესად შეგვიძლია დავყოთ:

- ❖ ინფორმაციის შეგროვება (აღრიცხვა);
- ❖ შეგროვილი მონაცემების ანალიზი;
- ❖ გადაწყვეტილებათა მიღება ანალიზზე დაყრდნობით (დაგეგმვა).

ოპტიმალური გადაწყვეტილების გამოსატანად აუცილებელია ობიექტის (წარმოების, ორგანიზაციის) მდგომარეობისა და გარე ფაქტორების სრულად შესწავლა. ამდენად, ეფექტიანად მართვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის თავისდროულობას, სარწმუნოობასა და სისრულეს. თავის საქმიანობაში ხელმძღვანელი აანალიზებს მიღებულ ინფორმაციას, აგებს სიტუაციის განვითარების მოდელს, აკეთებს პროგნოზს, განსაზღვრავს საქმიანობის პერსპექტიულ მიმართულებებს და გამოყოფს პრიორიტეტებს.

წარმოების მართვას კომპანიისა და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები ახორციელებენ, მაგრამ დარგისა და ხელმძღვანელობის დონის მიუხედავად, ყველა მმართველის საქმიანობაში საერთო ასპექტები ვლინდება. გადაწყვეტილებათა მიღებისა და დავალებების განაწილების პროცესში ხელმძღვანელმა უნდა გაითვალისწინოს არა მარტო კომპანიის რესურსები და მის გარეთ არსებული ფაქტორები, არამედ ხელქვეითთა ხასიათი და უნარებიც. წარმოების ხელმძღვანელი ყველა შემთხვევაში კოორდინირებას უწევს რესურსების რაციონალურად გამოყენებას, რისი ერთ-ერთი საშუალებაც მართვის პროცესია.

ჩვენს დროში ორგანიზაციის *მართვის მნიშვნელობა* ძალიან არის გაზრდილი. დღეს ისეთი ფაქტორებია გაძლიერებული, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ ბიზნესის განვითარებაზე. საზოგადოების, ეკონომიკისა და ტექნოლოგიების გა-

ნვითარების დონე მართვის პროცესშიც ითხოვს ცვლილებებს. საბოლოოდ, წარმატებული რჩება ის ხელმძღვანელი და ორგანიზაცია, რომელიც ახერხებს ოპერატიულად და გააზრებულად რეაგირებას მიმდინარე ცვლილებებზე. ამ პოზიციიდან, *ორგანიზაციის მართვა მის მიერ წარმატების მიღწევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა,* რადგანაც სწორედ იგი უზრუნველყოფს ორგანიზაციის რესურსების გამოყენების დაგეგმვასა და კოორდინაციას.

მართვის თეორიისა და პრაქტიკის ერთ-ერთი მთავარი საკითხია, თუ როგორ გავხადოთ ორგანიზაცია წარმატებული. როგორც უკვე ვთქვით, წარმატების მარტივი და საიმედო ფორმულები არ არსებობს, თუმცა, არსებობს ამ სფეროს თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსების მიერ გამოვლენილი და აღმოჩენილი მიდგომები და პრინციპები. ვიდრე მათ შევეხებოდეთ, აღვწეროთ, თუ რა ელემენტებისგან შედგება ორგანიზაციის წარმატება:

პირველი: *გადარჩენა*. ზოგიერთი ორგანიზაცია გეგმავს ფუნქციონირების შეწყვეტას დასახული მიზნების მიღწევის შემდეგ. ამისგან განსხვავებით, ორგანიზაციების უმრავლესობის უპირველესი ამოცანაა გადარჩენა და არსებობა რაც შეიძლება დიდი ხნის მანძილზე. ეს შეიძლება ძალიან დიდხანს გაგრძელდეს, რადგან ორგანიზაციას აქვს უსასრულოდ ფუნქციონირების პოტენციალი. მიუხედავად ამისა, გადასარჩენად და თავისი სიძლიერის შესანარჩუნებლად უამრავ ორგანიზაციას პერიოდულად უწევს მიზნების შეცვლა და ახალ მიზნებს ისინი გარემოს ცვალებადი მოთხოვნილებების შესაბამისად ირჩევენ. ბიზნესში მოღვაწე თითქმის ყველა ორგანიზაცია თავისი მომხმარებლებისათვის პერიოდულად ქმნის ახალ პროდუქციასა და მომსახურებას.

მეორე: *შედეგიანობა და ეფექტიანობა.* ხანგრძლივი დროის მანძილზე წარმატებით ფუნქციონირებისათვის ორგანიზაცია ერთდროულად უნდა იყოს ეფექტიანი და შედეგიანი. შედეგიანობა იმას მოსდევს, რომ ორგანიზაციაში საჭირო და სწორი რაღაცკეთდება; რაც შეეხება ეფექტიანობას, ეს იმის შედეგია,

რომ თვითონ ეს „რაღაც“ სწორად კეთდება. წარმატებისათვის ორივე მათგანი ერთნაირად მნიშვნელოვანია.

მესამე: *ნაყოფიერება.* შედეგიანობა ძნელად გასაგები ცნებაა, განსაკუთრებით, თუკი ორგანიზაცია შინაგანად არაეფექტიანია. მისგან განსხვავებით, ეფექტიანობა შეიძლება გავზომოთ და რაოდენობრივად გამოვხატოთ. ორგანიზაციის შეფარდებით ეფექტიანობას ნაყოფიერებას უწოდებენ. რაც უფრო ეფექტიანია ორგანიზაცია, მით უფრო მაღალია მისი ნაყოფიერება. ამ მაჩვენებლის მთავარი შემადგენელი ელემენტია ხარისხი. ნაყოფიერება იმის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ ორგანიზაცია გადარჩეს და წარმატებას მიაღწიოს კონკურენციის პირობებში.

მეოთხე: *პრაქტიკული რეალიზაცია.* როცა წარმატებაზე ორიენტირებული მართვის შესახებ ვსაუბრობთ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია იმის გაცნობიერება, რომ წარმატებულია ის, რაც პრაქტიკულად რეალიზდება.

წარმატებაზე ორიენტირებული მართვისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს განზოგადებას, სიტუაციურ მიდგომასა და ინტეგრირებულ მიდგომას.

პრობლემა, რომელიც ორგანიზაციის წარმატებაზე ორიენტირებულმა მართვამ უნდა დაძლიოს, ისაა, რომ რთული ორგანიზაციების სწორად მართვა სინამდვილეში მართლა რთულია. ამ დროს ზოგადი მახასიათებლების დადგენა დიდი ორგანიზაციის მართვის მეტისმეტად რთული ამოცანის მოგვარებაში გვეხმარება. აღნიშნული გზით ეს ამოცანა იმ მასშტაბამდე მცირდება, რომლის წვდომა და აღქმა შესაძლებელია. სწორედ განზოგადება გვეხმარება მთლიანობაში დავინახოთ ხელმძღვანელის სამუშაო და ამ სამუშაოს კომპონენტების ურთიერთქმედება.

მმართველური ფუნქციების შესრულების დროს აუცილებლად უნდა ვითვალისწინებდეთ ორგანიზაციებს შორის განსხვავებებს, რომლებსაც სიტუაციურ ცვლადებს უწოდებენ. ისინი ორი კატეგორიისაა - შიდა და გარე ცვლადები. ის გადაწყვეტილებები, რომლებსაც ორგანიზაციის ხელმძღვანელობა

იღებს შიდა ცვლადებთან დაკავშირებით, განსაზღვრავს სხვა ორგანიზაციებთან შედარებით მოცემული კონკრეტული ორგანიზაციის შედეგიანობას, ეფექტიანობასა და ნაყოფიერებას; იმისათვის, რომ ორგანიზაცია სწორად რეაგირებდეს გარე ფაქტორებზე, ხელმძღვანელობას უნდა ესმოდეს, რომ ისინი განსხვავებულად მოქმედებენ ორგანიზაციაზე. ზოგი გარე ფაქტორი შემაშფოთებელი სისწრაფით იცვლება, ზოგი კი - ორგანიზაციისთვის ნაკლებად დრამატულად. დასახულ მიზნებს რომ მიაღწიოს, ორგანიზაციის მენეჯმენტმა უნდა შეძლოს სიტუაციის ადეკვატური მიდგომების შემუშავება.

ორგანიზაციის მართვის რგოლისთვის საკმარისი არაა მარტო იმის ცოდნა, თუ რომელი ცვლადები მოქმედებენ წარმატებაზე ყველაზე ძლიერად. ეს ვერ უზრუნველყოფს მენეჯმენტის მიერ ისეთი გადაწყვეტილების გამოტანას, რომელიც საუკეთესო იქნება ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად. მთავარი სირთულე იმაშია, რომ მმართველობითი პროცესის ყველა ფუნქცია და მთელი ეს მრავალრიცხოვანი სიტუაციური ცვლადები ერთმანეთთანაა კავშირში. ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მათი განხილვა შეუძლებელია. მართვის პროცესის მეშვეობით ორგანიზაციის ხელმძღვანელები ქმნიან და ხორცს ასხამენ შიდა ცვლადების კომპლექსს, ე.ი. ორგანიზაციას. მართვის პროცესი ის საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც, ერთი მხრივ, გარე ფაქტორებს ითვალისწინებენ და, მეორე მხრივ, ორგანიზაციის წარმატებას აფასებენ. დაგეგმვის პროცესში მენეჯმენტი განსაზღვრავს, თუ როგორი იქნება ორგანიზაციის მიზნები და მათი მიღწევის საუკეთესო გზები. ამ დროს მართვის რგოლი გარეთ არსებული მოთხოვნილებების და გარეშე შემაკავებელი ფაქტორების შეფასებებს ეყრდნობა; ორგანიზების პროცესი სამუშაოს სტრუქტურირებას ახდენს და ორგანიზაციის ქვედანაყოფებს აყალიბებს მისი მასშტაბიდან, მიზნებიდან, ტექნოლოგიიდან და პერსონალიდან გამომდინარე, რომლებიც ასევე ცვლადებად გვევლინებიან; მოტივაციის მეშვეობით მართვა იმას ახერხებს, რომ ადამიანები უფრო ნაყოფიერად მუშაობდნენ და ორგანიზაციის მიზნების მიღწევას

ცდილობდნენ; კონტროლი იმის დანახვის საშუალებას უქმნის მართვის რგოლს, თუ რამდენად წარმატებულია მისი მუშაობა დასახული მიზნების შესრულების თვალსაზრისით.

ხელმძღვანელს არასდროს შეუძლია ივარაუდოს, რომ რომელიღაც კონკრეტული მეთოდი ან ხერხი იმთავითვე სწორი და წარმატებული იქნება. მაგალითად, ორიენტაციის სწრაფი ცვლა, რაც წარმატების აუცილებელი პირობაა მეცნიერებატევად წარმოებებში, დამღუპველი შეიძლება გამოდგეს სხვაგან. მართვის რგოლმა ყოველთვის უნდა აირჩიოს ის მეთოდები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამებიან ორგანიზაციის მიზნებს, მათ მახასიათებლებს და, რაც მთავარია, ადამიანებს.

საბაზრო ეკონომიკაში კომერციული წარმატების გადამწყვეტი ფაქტორია კონკურენტუნარიანობა. კონკურენციის გამძაფრებამ წარმოების არა მარტო ტექნოლოგიური, არამედ ორგანიზაციული პროცესების შემდგომი გაუმჯობესება მოითხოვა. ამიტომ დღეს წარმოების *რაციონალური მართვა კომპანიის მთავარი მიზნის მიღწევის - მოგების ზრდის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა,* განსაკუთრებით, როცა საუბარი მსხვილი კომპანიის ფუნქციონირებას ეხება. თანამედროვე მენეჯმენტმა ამ კომპანიებს იმის შესაძლებლობა შეუქმნა, რომ მათ ადეკვატური რეაგირება მოეხდინათ ბიზნესის გარემოს ცვლილებებზე, მაქსიმალურად დაეკმაყოფილებინათ კლიენტები, არ ჩამორჩენილიყვნენ ტექნოლოგიური პროგრესის ნოვაციურ მოვლენებს, მაქსიმალური ეფექტიანობით გამოეყენებინათ ადამიანური რესურსები და ა.შ. თუ კომპანია დროულად ვერ რეაგირებს გარემოს ცვლილებებზე, იგი აუცილებლად განიცდის რეალურ ფინანსურ ზარალს. ამიტომ თანამედროვე კომპანიები დიდ ძალისხმევას ახმარენ იმას, რომ გარემოს ცვლილებებზე რეაქცია სინქრონული და წინმსწრებიც კი იყოს. ამას ისინი მართვის სისტემის ახლებურად აწყობა-მომართვით ახერხებენ. დღეს ეს კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისა და გაზრდის აუცილებელი პირობაა.

თამედროვე მენეჯმენტის პრაქტიკოსები ხშირად მიუთითებენ, რომ მართვის მკაცრი სტრუქტურები კომპანიის ქვედანა-

ყოფებს შორის მწვავე შიდასაფირმო კონკურენციას იწვევენ, რაც ასუსტებს კონკურენტულ პოზიციებს ფირმის მეტოქეების მიმართ. გარემოს მზარდი განუსაზღვრელობის, აგრეთვე, პროდუქციისა და ტექნოლოგიის სწრაფად განახლების გამო კომპანია იძულებულია ახლებურად მოაწყოს მართვის სტრუქტურები, რათა შეძლოს გადაწყვეტილებების სწრაფად მიღება. ასე, რომ მართვის მოქნილი სტრუქტურით კომპანია ადვილად აღწევს ახალი პროდუქციის გამოშვებაზე გადასვლის, კონკურენტუნარიანობისა და მაღალი მოგების შენარჩუნების მიზანს.

გამორიცხული არაა წარმოების მართვის ისეთი ზედმეტად დემოკრატიული სისტემის არსებობა, როცა კომპანიის თითოეული ქვედანაყოფის მენეჯმენტი უშუალოდ ამყარებს კონტაქტს საბაზრო სფეროსთან და აქედან გამომდინარე ახდენს თავისი საქმიანობის ყველა მხარის ოპტიმიზებას. ამ შემთხვევაში გარემოსთან ადაპტირებას შეძლებენ კომპანიის ცალკეული ელემენტები, მაგრამ არა მთელი კომპანია როგორც ერთიანი სისტემა. ამ ელემენტების მანევრირების შეუზღუდავი თავისუფლება დაარღვევს წარმოების ერთიან ტექნოლოგიურ ჯაჭვს და კომპანიას კვლავ კონკურენტული პოზიციების დაკარგვამდე მიიყვანს. მართვა ის ეფექტიანი საშუალებაა, რომელიც ამ შედეგის დადგომისგან იცავს კომპანიას, რისთვისაც კომპანიის როგორც ერთიანი ეკონომიკური კომპლექსის შიგნით აწესებს ზოგად შეზღუდვებს და ამით მისი მიზნების მიღწევის გარანტად გვევლინება.

აშკარაა, რომ მართვის სისტემის ოპტიმიზება მაშინ მოხდება, როცა ორი ტენდენციის (დიფერენციაციისა და ინტეგრაციის) ურთიერთქმედების შედეგად ამ ორ ხსენებულ ტენდენციას შორის მეტ-ნაკლები ბალანსი დამყარდება. ეს ბალანსი გვევლინება იმ კანონზომიერებად, რომელიც ეფექტიანად ფუნქციონირებასა და განვითარებას უზრუნველყოფს. მსხვილ კომპანიაში ასეთი ბალანსის დამყარება კომპანიის კონკურენტუნარიანობის მაქსიმალურად შესაძლო დონის მიღწევას მოასწავებს მისი მართვისა და მდგრადობის თვალსაზრისით.

კომპანიის შიდა მდგომარეობის პარამეტრებზე დამოკიდე-

ბულებით მისი *კონკურენტუნარიანობის მართვის* პროცესს შემდეგ ალგორითმზე დაყრდნობით აგებენ:

1. კომპანიის კონკურენტუნარიანობის ინტეგრალური მაჩვენებლის გამოთვლა;

2. ამ მაჩვენებელზე მოქმედი ფაქტორებისა და მათი გავლენის დადგენა;

3. ბაზარზე კომპანიის სასურველი მდგომარეობის არჩევა ინტეგრალური მაჩვენებლიდან გამომდინარე;

4. კომპანიის შიდა სტრუქტურაში იმ მოსახდენი ცვლილებების განსაზღვრა, რომლებიც ამ მაჩვენებლის მიღწევას უზრუნველყოფენ;

5. კომპანიის მართვის სტრუქტურის შემცვლელ ზომებზე საჭირო დანახარჯების შეფასება. თუ მათი დონე სცდება დასაშვებს (კომპანიის შესაძლებლობებს), მაშინ კომპანიის კონკურენტუნარიანობის ინტეგრალური მაჩვენებელი უნდა შეიცვალოს და გაანგარიშებები ხელახლა ჩატარდეს.

ცხადია, ამ ალგორითმს იტერაციული ხასიათი აქვს, რაც კომპანიის მართვის ოპტიმალური სტრუქტურის ძიების აუცილებლობითაა.

მართვა როგორც მიზნის მიღწევის საშუალება ყველაზე სრულად რეალიზდება ისეთი ეფექტიანი მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, როგორიცაა **მართვა მიზნების მიხედვით (Management by objectives – MBO).** ეს მეთოდი მართვის მსოფლიო პრაქტიკაში ფართოდ გავრცელდა XX ს.-ის II ნახევარში. იგი იძლევა ორგანიზაციის პერსონალის შეფასების მნიშვნელოვნად ამაღლების შესაძლებლობას. **MBO-**ს პოზიციებიდან ესაა პერსონალის შეფასება არა კონკრეტული შემსრულებლის პირადი თვისებების საფუძველზე, არამედ მისი საქმიანობის შედეგებიდან გამომდინარე.

MBO-ს უპირატესობებად მიჩნეულია:

❖ მიზნების იერარქიის ქონა (კომპანიის სტრატეგიული მიზნებით დაწყებული და თანამშრომლების ოპერატიული მიზნებით დამთავრებული);

❖ მართვის ყველა დონეზე დასახული მიზნების შეთანხმებულობა;

❖ შრომის შეფასების კრიტერიუმების ობიექტურობა (ისინი გასაგები და მისაღები უნდა იყოს თანამშრომლებისათვის);

❖ მუდმივი უკუკავშირი, საქმიანობის შედეგების ოპერატიული შეფასებისა და კორექტირების შესაძლებლობა.

ორგანიზაციის მიზნები მუდმივად იცვლება მისი საქმიანობის გარე პირობების, ტექნიკისა და ტექნოლოგიის, მმართველი აპარატის შეხედულებების ცვლილების გავლენით.

MBO-ს განხორციელება სამ ეტაპს მოიცავს:

✓ პერსონალის საქმიანობის დაგეგმვა და ინდივიდუალური მიზნების დასახვა;

✓ პერსონალის საქმიანობის შედეგების მიმდინარე კონტროლი და ინფორმაციის გაცვლა (უკუკავშირი);

✓ პერსონალის საქმიანობის შედეგების შუალედური და საბოლოო შეფასება.

ორგანიზაცია თავის მიზნებს აღწევს მისი თანამშრომლების გარკვეული საწარმოო და მმართველური საქმიანობის განხორციელებით. ამ საქმიანობის ეფექტიანობას ის ასახავს,თუ რამდენად მოხერხდა დასახული მიზნების მიღწევა.

დასკვნა

ამგვარად, იმისათვის რომ კომპანიამ შეძლოს დასახული მიზნების მიღწევა აუცილებელია მის ხელთ არსებული რესურსების გონივრული გამოიყენება. ამისათვის მას სჭირდება სწორი მენეჯმეტი, ნებისმიერი კომპანიის წარმატების საიდუმლო მის სწორ მართვაში მდგომარეობს. მართვა რუტინული, შრომატევადი და ხანგრძლიცვი პროცესია, რომელიც საჭიორებს კვალიფიციურ მმართველს, რომელსაც შესწევს უნარი დასახოს სტრატეგიული გეგმები, სწორად შეარჩიოს კადრები, ჩამოააყლიბოს მიზანსწრაფული გუნდი და აკონტროლოს მათი საქმიანობა.

მზარდი კონკურენცია, ტექნოლოგიური წინსვლა და ეკონომიკური პროგრესი განაპირობებს მართვის სფეროში მიმდინარე ცვლილებებს, რომლებიც საჭიროებს დახვეწას და გა-

ნვითარებას. იმისათვის რომ ორგანიზაცია წარმატებლი იყოს მის ხელმძღვანელობას უნდა შეეძლოს შექმნილი სიტუაციის სწრაფი ანალიზი და მასზე დროული და კორექტული რეაგირება. მმართველმა გუნდმა უნდა გაითვალისწინოს არა მარტო კომპანიის რესურსები და მის გარეთ არსებული ფაქტორები, არამედ ხელქვეითთა ხასიათი და უნარებიც. ორგანიზაციის ხელმძღვანელმა უნდა გაუწიოს კოორდინირება რესურსების ოპტიმალურ მართვას, რისითვისაც უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი

გამოყენებული ლიტერატურა

1. **Алексеев А.А. Технология и организация сельского ст**роительства. –М.:«Стройиздат», 1983 г.– ელ. რესურსი:http://catalog.orenlib.ru/cgi/irbis64r_01/cgiirbis_64

2. Д В. Исакова. Система управления по целям.

ელ.რესურსი: https://nsuem.ru/science/publications/science_notes/2010_1/4.pdf

3. Калихман С., Хорькова Н. Управление децентрализацией на предприятии. //Проблемы теории и практики управления. — 2002. — № 4.

4. Л.И.Евенко. -Москва: Издательство «Дело», 1997, с. 25

5. Люк М. Чего не хватает российскому менеджменту? // Проблемы теории и практики управления. — 2002. — № 4.

6. Максимцова М.М., Горфинкел В.Я. Менеджмент малого бизнеса.- М.: Вузовский учебник, 2007,с. 269

7. Мескон М., Альберт М., Хедоури Ф. – Основы менеджмента - Перевод санглийского. Общая редакция

8. Маракулин М.В. Оптимизация структуры компании в целях повышения конкурентоспособности www.mevriz.ru/articles/2003/1/1087.html

REFERENCES

1. Alekseev A.A. Technology and organization of rural construction. -M:. „Stroyizdat“ El. Resource: http://catalog.orenlib.ru/cgi/irbis64r_01/cgiirbis_64

2. D.V. Isakov. Systemof Control according to purposes. El. Resource: https://nsuem.ru/science/publications/science_notes/2010_1/4.pdf

3. Kalikhman S. N. Khor'kova Decentralization of management in the enterprise. // Problems of the theory and practice of management. - 2002. - № 4.

4. L.I.Evenko. -Moscow: Publishing „Business“, 1997, p. 25

5. Luke M. What's missing from the Russian management? // Problems of the theory and practice of management. - 2002. - № 4.

6. Maksimtsova M.M. Garfinkel VY Management of small business .- M .: University textbook, 2007, p. 269

7. Meskon M., Albert M., F. Hedouri - Principles of Management – Translated from English. General revision

8. Marakulin MV Optimization of the company's structure in order to increase competitiveness www.mevriz.ru/articles/2003/1/1087.html

MANAGEMENT AS A MEANS FOR ACHIEVING THE GOAL

Ketevan Jikia
PHD Student, GTU
Rusudan Kutateladze
Professor, GTU

R E S U M E

The essence of the management is to meet the goals with the use of optimal resources. Therefore, any organization, large or small, appeal to the management. The company's daily activity needs permanent leadership, whose tasks range from raising the

tasks, their fulfillment control and evaluation of the results.

Nowadays, the meaning of the organization management is very increased. Today there are highlighted such factors that definitely effect business's development. Society, economy and technology development level require changes in the management process too. Finally, successful remains the head of the organization that manages to respond to the changes promptly and reasonably. Proper management is the key to organization's success as it provides resource usage planning and coordination.

Keywords: Organization management; Management strategy; Strategic decisions; Ways of achieving success.

მენეჯმენტი ქართულ ორგანიზაციებში

გაბრიელი გაბუნია
სლოვაკეთი. ქ. ბრატისლავა.
კომენიუსის სახელობის უნივერსიტეტის
მენეჯმენტის ფაკულტეტის დოქტორანტი

დიმიტრი იობაძე
სლოვაკეთი. ქ. ბრატისლავა.
კომენიუსის სახელობის უნივერსიტეტის
მენეჯმენტის ფაკულტეტის დოქტორანტი

შესავალი

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში უაღრესად დიდია ბიზნესის როლი და მნიშვნელობა. დღეს ჯანსაღი ბიზნესის განვითარების პირობები განსაზღვრავს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონეს, ამიტომ ბიზნესი ხდება საქართველოს ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი. აქედან გამომდინარე თანამედროვე ბიზნესის წარმატებული ფუნქციონირება წარმოუდგენელია სწორი მენეჯმენტის გარეშე.

სახელმწიფოების ნაწილმა შეიმუშავა მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული კოდექსები, ევროკავშირში მუშაობა დაიწყეს რიგ დირექტივებზე, რომელთა მიზანიც ორგანიზაციათა მენეჯმენტის დახვეწა, გამჭირვალობის გაზრდა და კონტროლის ეფექტური მექანიზმის დანერგვა იყო. აღნიშნული პროცესი რასაკვირველია შეეხო ქართულ ორგანიზაციებსაც და რომელიც ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. ქართულ კომპანიებსა და ორგანიზაციებში არსებულ პრობლემებზე ბევრს საუბრობენ. ეს საკმაოდ ლოგიკურია, რადგან საბაზრო ეკონომიკა სულ რაღაც ორი ათეული წელია, რაც ცდილობს თავის დამკვიდრებას ჩვენს ქვეყანაში. საინტერესოა, „მენეჯმენტის“ რა ძირითადი პრობლემები და უახლოესი პერსპექტივები გვაქვს.

საკვანძო სიტყვები: მენეჯმენტი, მმართველობითი საქმია-

ნობა, ორგანიზაცია, საბაზრო ეკონომიკა, მართვის ორგანიზაციული სისტემა, მენეჯერი.

ძირითადი ტექსტი

ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციის წარმატების საწინდარი სწორად განსაზღვრული და ეფექტურად მართული ორგანიზაციული პროცესებია. პროცესები ქმნიან სისტემას, სისტემა კი ქმნის იმ პროდუქტს თუ მომსახურებას, რომელიც კონკრეტული მომხმარებლისთვისაა განკუთვნილი. სისტემის ეფექტური ფუნქციონირება ერთგვარი ხელოვნებაა, რომლის შექმნის და მართვის უნარს უნდა ფლობდეს ორგანიზაციის სხვადასხვა რგოლის მენეჯმენტი.

თანამედროვე პირობებში წარმატებული კომერციული ურთიერთობების დასამყარებლად კომპანიები მთელ რიგ ღონისძიებებს მიმართავენ, რომელთა ნაწილი სრულად არ არის დაკავშირებული მათ ყოველდღიურ სამეწარმეო საქმიანობასთან. ქველმოქმედება, გარემოსდაცვითი ღონისძიებები, სხვადასხვა სოციალური პროექტები – ყოველივე ეს კომპანიის რეპუტაციის გაუმჯობესებას, მისი ცნობადობის გაზრდასა და ნდობის მოპოვებას ემსახურება, რაც თავის მხრივ განაპირობებს კაპიტალის მოზიდვას, ბაზარზე სტაბილურობის შენარჩუნებას და საბოლოო ჯამში კომპანიის წარმატებულ ფუნქციონირებას. დღევანდელ პირობებში, როდესაც კომერციულმა ურთიერთობებმა უფრო და უფრო უნიფიცირებული და საერთაშორისო ხასიათი მიიღო, კომპანიების გამართულ და ეფექტურ ფუნქციონირებას ბაზრის ეფექტურობისათვის და შესაბამისად, თითოეული სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

მართვის დარგში ცნობილი ამერიკელი მეცნიერი პ. დრუკერი აღნიშნავს, რომ მენეჯმენტის ამოცანაა ადამიანები გახადოს ერთობლივი მოქმედებისთვის უნარის მქონედ. მათ მცდელობას მისცეს ეფექტური ხასიათი და შეამციროს მათთვის დამახასიათებელი სისუსტეები. აქედან გამომდინარე მენეჯმენტის მნიშვნელობა, მისი სრულყოფისა და დახვეწის გზების ძი-

ება განსაკუთრებით აქტუალური გახდა გასული ათწლეულის დასაწყისში, როდესაც აშშ–დან აგორებული კრიზისი თითქმის მთელ მსოფლიოზე აისახა. აღნიშნულის მიზეზი კი ბაზრის უმსხვილესი მოთამაშეების –Enron-ის, WorldCom-ის, Lehman Brothers'-ისა და მათ კვალდაკვალ სხვა მნიშვნელოვანი კორპორაციების გაკოტრება გახდა. კრიზისის მეორე ტალღამ კი 2006–2008 წლები მოიცვა, რომლის შედეგების აღმოფხვრასაც დღემდე ცდილობს, როგორც აშშ, ისე ევროგაერთიანება და არაწევრი სახელმწიფოებიც. აღნიშნული კრიზისის შედეგად მიღებული გამოცდილების საფუძველზე და მისი შედეგების აღმოფხვრის მიზნით მუშაობა გააქტიურეს, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო და საერთაშორისო სექტორის წარმომადგენლებმა. სახელმწიფოების ნაწილმა შეიმუშავა მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული კოდექსები, ევროკავშირში მუშაობა დაიწყეს რიგ დირექტივებზე, რომელთა მიზანიც ორგანიზაციათა მენეჯმენტის დახვეწა, გამჭირვალობის გაზრდა და კონტროლის ეფექტური მექანიზმის დანერგვა იყო. აღნიშნული პროცესი რასაკვირველია შეეხო ქართულ ორგანიზაციებსაც და რომელიც ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. პრაქტიკოს სპეციალისტებსა და მკვლევარებს შორის კვლავაც მიმდინარეობს დებატები კომპანიების მენეჯმენტთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე. ბევრი პრობლემა მენეჯმენტის კუთხით ქართულ ორგანიზაციებშიც იგივეა, რაც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. განვითარების იგივე ფაზაში მყოფ ქვეყნებში მოქმედ ორგანიზაციებთან განსაკუთრებული მსგავსებებია. თუმცა ჩვენი ეროვნული ხასიათი და კულტურული თავისებურებები, საქმის კეთების ტრადიციები და ისტორია განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ქართული ორგანიზაციების მუშაობის სპეციფიკაზე, რაც გამოარჩევს მას სხვა ქვეყნების ბევრი ორგანიზაციისგან.

საქართველოს საწარმოთა ეფექტური მართვის სისტემის შემუშავების ზოგად რეგლამენტაციას „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი ახდენს.სამართლიანია ფ. ტეილორის მოსაზრება, რომ „მართვის მოდელი არ არის მხოლოდ გამოგო-

ნება, ეს– ევოლუციაა, რადგანაც იგი ფორმირებას განიცდის წლიდან–წლამდე ათწლეულებისა და საუკუნეების განმავლობაში და შეუძლებელია მისი კოპირება სხვა ქვეყნებიდან. მმართველობითი მოდელი ორგანულად უნდა შეერწყას ქვეყნის კულტურასა და ტრადიციებს, ხალხთა სულიერ კულტურას. მხოლოდ ასეთი მოდელი მოიკიდებს ფეხს“.„რომ მართო – ამბობდა ფაიოლი, ეს ნიშნავს საწარმოსგან მიიღო მაქსიმალური სარგებელი განკარგულებაში მყოფი ყველა სახის რესურსებისაგან“.

საბაზრო ეკონომიკისა და ბაზრის კანონებიდან გამომდინარე მაღალი საწარმოო სამეურნეო და ეკონომიკურ–კომერციული შედეგების მისაღწევად მხოლოდ ცალკეულ პირთა მ.შ. ხელმძღვანელობის მაღალი საშემსრულებლო დისციპლინა საკმარისი არ არის. აუცილებელია თითოეული მუშაკი სამუშაოს ასრულებდეს მაღალი პასუხისმგებლობით, ამიტომ საჭიროა პასუხისმგებლობის ქმედითი სისტემის შემუშავება და გამოყენება, რომელშიც აისახება ურთიერთპასუხისმგებლობის ეფექტიანი ფორმები და შესაბამისი სანქციები, წესები პასუხისმგებლობის ამაღლების ღონისძიებები.

ქართული ორგანიზაციების მთავარი ამოცანაა მკვეთრად შეიცვალოს ორიენტაცია, სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნეს ორგანიზაციის მართვის ინტენსიურ მეთოდზე და ამ გზით უზრუნველყოფილ იქნეს წარმოების მენეჯმენტის ეფექტიანობის შემდგომი სრულყოფილი ამაღლება.

პიტერ დრუკერი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ მენეჯმენტს სხვადასხვა სფეროების დამახასიათებელ თავისებურებებთან ერთად ახასიათებს ამოცანების და პრობლემების მსგავსებაც. შესაბამისად მიგვაჩნია, რომ მათი მოძებნის შემთხვევაში შესაძლებელი გახდება კიდევ უფრო უნივერსალური ინსტრუმენტების შექმნა და გამოყენება. მართვა ფართო გაგებით ხომ უწყვეტი პროცესია, რომელიც გულისხმობს მართვის ობიექტებზე ზემოქმედებას (პიროვნება, კოლექტივი, ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესი, საწარმო, ინსტიტუცია, სახელმწიფო). ქართული ორგანიზაციებისათვის ასე-

ვე მნიშვნელოვანია მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმალური მოდელის შემუშავება, რადგან მართვის ეფექტიანი ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნის პრინციპები სხვა ამოცანებთან ერთად ორგანიზაციის მუშაკებისთვის საწარმოო და რაციონალიზატორული ინიციატივების გამოვლენისთვის არა მხოლოდ აუცილებელი პირობების შექმნას უნდა გულისხმობდეს, არამედ პერსონალში ფარული შესაძლებლობების გამოვლენას და სრულყოფას. ბუნდოვანი სტრუქტურა, გაუმიჯნავი ან არასწორად გამიჯნული უფლება–მოვალეობები, პასუხისმგებლობები. თანამშრომლების დიდმა ნაწილმა არ იცის რას ითხოვენ და რას ელოდებიან მათგან. ეს ეხება, როგორც რიგით მუშაკებს, ისე მენეჯმენტის წევრებსაც. შესაბამისად, ისინი დროის დიდ ნაწილს უთმობენ არასწორი, ხშირად ერთი და იგივე საქმის კეთებას. ხანდახან არავინ აკეთებს იმას, რაც აუცილებლად და სასწრაფოდ არის გასაკეთებელი. ფუნქციონალური დუბლირებები, ვაკუუმები ყოველდღიურ მუშაობაში ხელის შემშლელი ფაქტორი ხდება, ართულებს მუშაობას და ამცირებს ეფექტიანობას. არამკაფიო სტრუქტურა ხშირად იმის შედეგია, რომ ქართული ორგანიზაციების დიდ ნაწილს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს იმაზე, თუ რა არის მათი გრძელვადიანი და საშუალოვადიანი ამოცანები, რისთვის და ვისთვის მუშაობენ, საით მიდიან და რას უნდათ, რომ მიაღწიონ. არასაკმარისი სიცხადე მიზნებში და მათი მიღწევის გზებში ავტომატურად იწვევს ოპერატიული გადაწყვეტილებების არათანმიმდევრობას, ხშირ ცვლილებას, ზევიდან წამოსულ გაუგებარ, ერთმანეთთან შეუსაბამო დავალებებს, არასათანადო კოორდინაციას და რესურსების გაუმართლებელ ფლანგვას; ამცირებს ორგანიზაციის მოქმედების ტემპს და ეფექტიანობას ნებისმიერი წინააღმდეგობა, რომელიც ჩნდება ეკონომიკურ ურთიერთობებში იწვევს წონასწორობის რღვევას. მას შემდგომში ეკონომიკური სუბიექტები აწონასწორებენ, მაგრამ ეს წონასწორობის კანონზომიერი დინებები ხომ დადებითად, ნეიტრალურად ან უარყოფითად აისახება თითოეულ მათგანზე. ვფიქრობ, რომ პერსპექტიული და კონკურენტული ეკო-

ნომიკური საქმიანობა სწორედ ამ დინებების შექმნაა ან უარეს შემთხვევაში შექმნილ დინებებში სწრაფი მანევრირების შესაძლებლობა.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ მენეჯმენტში წარმოშობილი პრობლემის გადაჭრა მუდმივად განახლებად მეთოდებსა და ინსტრუმენტებს უნდა ემყარებოდეს. ცნობლია, რომ მენეჯმენტი მოიცავს ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროს და შეიძლება ითქვას, საქმიანობის უკლებლივ ყველა ფორმას და სახეობას. შესაბამისად კანონზომიერია, რომ მართვის ობიექტზე, პროცესსა და მის შინაარსზეა დამოკიდებული საქმიანობის, წარმოების თუ მომსახურების ეფექტიანობა, კონკურენტუნარიანობა, პოტენციური შესაძლებლობების ზრდა, სრულიად ახალი შესაძლებლობების და პროცესების შექმნა. საბოლოო ჯამში, ეს არის უწყვეტი პროცესი, რომელიც ამოძრავებს და განკარგავს ყველა რესურს. მასზეა დამოკიდებული პოლიტიკურ–ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური, ლოკალური თუ გლობალური სისტემის და პროცესების, გარემოს მდგრადი განვითარების, უსაფრთხოების, თავდაცვის თუ სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხების ფუნქციონირება. შესაბამისად, მართვის შედეგი, როგორც უმთავრესი მამოძრავებელი ფაქტორის პროდუქტი აისახება ყველასა და ყველაფერზე. ამ ვითარებაში მთავარი პრობლემის წყარო არის მხარეთა მიზნების, მსოფლმხედველობითი პრინციპების, ინტერესების და სხვა უამრავ ბუნებრივ ფაქტორს შორის არსებული რადიკალური და კანონზომიერი განსხვავებები.

ჩვენი აზრით, აქ მთავარ პრობლემად რჩება ახალი, უფრო ეფექტიანი მეთოდების მოფიქრებისა და გამოყენების აუცილებლობა, რომელიც უფრო მეტად გახსნის და ხელს შეუწყობს ადამიანის ფარული შესაძლებლობების გამოვლენასა და თვითრეალიზაციას;

პრობლემები, ისევე როგორც შეუთავსებლობები სამ ჯგუფად იყოფა:

1. ქვესისტემური პრობლემები ანუ პრობლემების ის კატეგორია, რომლებიც თვით სისტემებში წარმოიქმნებიან;

2. სისტემური პრობლემები ანუ ისეთი პრობლემები, რომლებიც ადამიანის მიერ შექმნილ სისტემებს შორის (ტექნიკური, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და სხვა) წარმოიქმნებიან;

3. ზესისტემური ანუ პრობლემების ისეთი კატეგორია, რომლებიც წარმოიქმნებიან ადამიანის მიერ შექმნილ სისტემებსა და ბუნებრივ (დაბალანსებულ და კანონზომიერ) სისტემებს შორის.

მართვის სისტემებში წინააღმდეგობების გადაჭრა შეიძლება სხვადასხვა მიდგომით განხორციელდეს, რომელიც ადამიანის შემოქმედებითი აზროვნების უნართან მჭიდრო კავშირშია და გარკვეულწილად ეყრდნობა კიდეც ადამიანის წარმოსახვის უნარს.

„ეძებდა ინდოეთს და აღმოაჩინა ამერიკა“ – ამ მიდგომის არსი იმაში მდგომარეობს, რომ შექმნილი პრობლემისათვის წინასწარ არ არის შერჩეული კონკრეტული გადაწყვეტილება. ასეთი ვითარება აიძულებს ორგანიზაციას მოიძიოს ყველა შესაძლო რესურსი, რომელზეც ჯერ კიდევ მიუწვდება ხელი. პირველ რიგში ის ფარული შესაძლებლობები, რომელიც არასოდეს არ გამოუყენებიათ და ერთი შეხედვით არც ჩანს. მეთოდის ძირითადი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ კონკრეტული ამოცანების ამოსახსნელად გამოყენებულ უნდა იქნას აზროვნების ის ფენომენი, რომელიც ადამიანს ექსტრემალურ სიტუაციაში ექმნება. უპირველესად შიდა ინტელექტუალური და სხვა რესურსების გამოვლენის გზით.

ასევე მნიშვნელოვანია მართვის ოპტიმიზაციის და გადაწყვეტილებების მიღების დროს მენეჯმენტის დონეებზე გამოყენებული იქნას ეგრეთწოდებული კეისების რეკომენდაციები, რომლებშიც არ არის მოცემული, შემოთავაზებული და განხილული შეუთავსებლობების ან დაპირისპირებული მოთხოვნების გადაჭრის შემთხვევები და გზები. ცხადია, რომ ამ მიდგომას სირთულეებიც ახასიათებს, თუმცა ვფიქრობთ გარკვეულწილად ხელს შეუწყობს ადამიანის მოტივაციას და აქტიურობას, გამოიწვევს ახალი იდეების გაჩენას და ქმნის ორგანიზაციის განვითარების ალტერნატივებს.

დასკვნა

ამდენად, მენეჯმენტი უწყვეტი პროცესია, რომელიც კონკრეტული ინსტრუმენტებით და მეთოდებით ხორციელდება. სწორედ მათი სრულყოფის, აგრეთვე ახალი მეთოდების და ინსტრუმენტების შექმნის მიზნით არის განპირობებული მმართველობითი საქმიანობის ეფექტურობა. ამიტომ თანამედროვე მენეჯერებმა, უპირველეს ყოვლისა უნდა გააცნობიერონ და სრულად აღიქვან ცვლილებათა გარდაუვალობა, რომ თანამედროვე ორგანიზაციების მენეჯმენტის მოდელი უნდა წარმოადგენდეს ერთიან ინტეგრირებულ მიდგომას მართვისადმი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. აბრალავა, ლ. გვაჯაია, რ. ქუთათელაძე – საინოვაციო მენეჯმნეტი. თბილისი 2015;

2. ე. ბარათაშვილი, ლ. თაკალანძე, ა. აბრალავა – მენეჯმენტი და ადმინისტრირება. თბილისი 2007;

3. თ. მაისურაძე – მართვის პრობლემების გადაჭრის პრინციპები. ეკონომიკა № 1-2, თბილისი 2014;

4. Арутюнова Д. В. Стратегический менеджмент Учебное пособие. Таганрог: Изд-во ТТИ ЮФУ, 2010.

REFERENCES:

1. A. Abralava, L. Gvajaia, R. Kutateladze- Innovation Management. Tbilisi 2015;

2. E. Baratashvili, L. Takalandze, A. Abralava- Management and Administration. Tbilisi 2007;

3. T. Maisuradze- Principles of Solving Management Problems. Economy N 1-2, Tbilisi 2014;

4. Arutunova D.V. Strategic Management Tutorial. Taganrog: Publishing TIT SFedU, 2010.

MANAGEMENT IN GEORGIAN ORGANIZATIONS

Gabrieli Gabunia
Slovakia. Comenius University in Bratislava.
PhD Student, Faculty of Management
Dimitri Iobadze
Slovakia. Comenius University in Bratislava.
PhD Student, Faculty of Management

RESUME

Business role and importance play a great role in our country's economic development. Nowadays the conditions of development of healthy business defines the level of any country's economic development, accordingly business is becoming a part of Georgian economy. Therefore the successful function of modern business is unimaginable without proper management

The part of states have developed codes, related to management activities. It has been started working on a number of directives, their goal was to improve organization's management, increase of transparency and introduction of effectiveness of control mechanism. This process certainly referred also to Georgian organizations that has not been finished yet. The existed problems are being discussed in Georgian companies and organizations. It is quite logical, as market economy has been trying to establish itself in our country since two decades. It is interesting what kind of basic problems and recent perspectives of management do we have.

Keywords: Management, Management activity, Organization, Market economy, Organizational system of management, Manager.

სამხრეთ კავკასიის ენერგო დერეფანი - ძირითადი გეო-ეკონომიკური და გეო-სტრატეგიული არეალი გლობალური მოთამაშეებისთვის

ქრისტინე ჯინჭველეიშვილი,
ანი კენჭაშვილი
თსუ ბაკალავრიატის
მე-4 კურსის სტუდენტები.

შესავალი

კავკასიის რეგიონი ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარეობს, გააჩნია საყურადღებო გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა, რასაც კიდევ უფრო ამყარებს რეგიონში ტრანს-კონტინენტური საკომუნიკაციო დერეფნის ხაზის არსებობა. ინტენსიური შეჯიბრი და ხმაური აღნიშნულ რეგიონში ძალაუფლების მოპოვებისთვის, სათავეს იღებს კასპიის რეგიონში არსებული დიდი მინერალური რესურსების, გაზისა და ნავთობის, მარაგებზე გავლენის მოპოვების მცდელობიდან.

სამხრეთ კავკასიის ენერგო დერეფანი წარმოადგენს არა მხოლოდ ენერგო უსაფრთხოების მთავარ ნაწილს ან ენერგო რესურსების გამტარებელ ფუნქციის მქონე რეგიონს, არამედ მას განიხილავენ, როგორც გავლენიან მოთამაშეს გეოპოლიტიკის ყველა საკვანძო სფეროში მთელს პლანეტაზე.

ძირითადი ნაწილი

საბჭოთა კავშირის პერიოდში მილების ინფრასტრუქტურა არ განიხილებოდა ძირითად საკითხად ნავთობის მწარმოებელ ტერიტორიებისთვის, მილები შენდებოდა ერთობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. კავკასიის რეგიონის სახელმწიფოები რუსეთის მილების კავშირზე გახლდათ დამოკიდებულნი,

შესაბამისად, მათი პოლიტიკური და ეკონომიკური ავტონომიაც რუსეთის მართვის ქვეშ გახლდათ. თუმცა, ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ახალი გეოპოლიტიკური რეალობა შეიქმნა. შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოებმა და, მათ შორის, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა, მოიპოვეს დამოუკიდებლობა. აღნიშნულმა ისტორიულმა მოვლენამ არა მხოლოდ დემოკრატიასა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა მოუტანა აღნიშნულ სახელმწიფოებს, არამედ ის გახდა წინაპირობა წარმოჩენილი ეთნიკური თუ სასაზღვრო კონფლიქტებისა რეგიონში. ამ ყოველივეს პარალელურად, პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოებისთვისა და მიმდებარე რეგიონებისთვის ენერგოპოლიტიკა, ენერგოუსაფრთხოება და გაზისა და ნავთობის რესურსების საერთაშორისო ბაზრებისთვის მიწოდების საკითხი უაღრესად აქტუალური გახდა (Starr, Cornell. 2005).

მილსადენების მშენებლობის დაწყების მრავალი მცდელობები განხორციელდა სამხრეთ კავკასიისა და არა მხოლოდ აღნიშნული რეგიონის სახელმწიფოების მიერ სხვადასხვა მიზეზების დასახელებით. 1997 წელს აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა აღარ განაგრძობდა რუსეთზე დამოკიდებულებას ნავთობის ტრანზიტის საკითხში და თავად შეუდგებოდა ენერგოპოლიტიკის ასპექტებზე მუშაობას. სრუტეების გადატვირთვის გამო, თურქეთმა დღის წესრიგში დააყენა ალტერნატიული მილსადენების მშენებლობა, რომლებიც გვერდს აუვლიდა შავ ზღვის ტერიტორიებს. ამ დროისთვის თურქეთი ცდილობდა თავისი გავლენის გაძლიერებასა და რუსეთისთვის სრუტეების გამოყენების უფლების წართმევას, მას შემდეგ, რაც რუსეთმა დაიწყო ბაქოდან წამოსული ადრეული ნავთობის ნოვოროსიისკის პორტის გავლით მსოფლიო ბაზრებისთვის მიწოდება. შედეგად, ჯერ კიდევ 1994 წელს აზერბაიჯანმა მოახერხა ამერიკის შეერთებული შტატების, თურქეთისა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების თანადგომით ხელი მოეწერათ, ე.წ. „საუკუნის პროექტზე“, რომლის მიხედვითაც ათ დასავლურ მულტინა-

ციონალურ კომპანიას მიეცა საშუალება, გაეწიათ კასპიის რეგიონის რესურსების შესწავლა-ექსპლუატაცია. შესაბამისად, აქედან მოყოლებული ანგარიშგასაწევი ინვესტიციები განხორციელდა საერთაშორისო მილების მშენებლობისთვის, და ძირითადი სატრანზიტო ქვეყნები აზერბაიჯანი და საქართველო გახდნენ (Starr, Cornell, 2005; Socor, 2006;).

სამხრეთ კავკასიის ენერგო დერეფანს ქმნის შემდეგი ძირითადი მილსადენები:

ბაქო-სუფსას მილსადენი, რომელსაც ასევე მოიხსენიებენ, როგორც დასავლეთის მარშრუტის საექსპორტო მილსადენი ან დასავლეთის ადრეული ნავთობის მილსადენი, სანგაჩალის (აზერბაიჯანის ტერიტორია) ტერმინალს სუფსის ტერმინალთან (საქართველოს ტერიტორია) აკავშირებს. მშენებლობის პროექტს ხელი მოაწერეს აზერბაიჯანისა და საქართველოს პრეზიდენტებმა 1996 წელს. მილსადენის მშენებლობა დასრულდა 1998 წელს, ხოლო 1999 წლის 17 აპრილს პირველი ტანკერი დაიტვირთა ნავთობით. მილსადენის მშენებლობის ღირებულებამ შეადგინა 556 მილიონი ამერიკული დოლარი. მილსადენის ენერგიის ტრანზიტის პოტენციალი 145 ათასი ბარელი ნავთობი გახლავთ დღეში (Socor, 2006).

სამხრეთ კავკასიის მილსადენი, იგივე ბაქო-თბილი-ერზრუმის/შაჰ-დენიზის მილსადენი, შაჰ-დენიზის (აზერბაიჯანის ტერიტორია) გაზის საბადოდან იღებს სათავეს და საქართველოს ტერიტორიის გავლით ბუნებრივი აირი თურქეთის ქალაქ ერზრუმამდე მიემართება. მილსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პარალელურია. მილსადენის სიგრძე 692 კმ-ია, აქედან აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადის 442 კმ-ი, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე - 248 კმ-ი. მისი ენერგიის გადატანის პოტენციალი წელიწადში 8,8 მილიარდ კუბურ მეტრს წარმოადგენს. მილსადენი 2006 წელს ამოქმედდა და ამ ეტაპზე მისი ძირითადი მომხმარებლები აზერბაიჯანი, საქართველო და თურქეთი გახლავთ. მილსადენს ფლობს სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია (Socor, 2006; E-learning, 2013;).

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი სანგაჩალის ტერმინალს (აზერბაიჯანის ტერიტორია) თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის პორტ ჯეიჰანთან აკავშირებს თბილისის მეშვეობით. მილსადენი განიხილება, როგორც მეორე ყველაზე გრძელი ნავთობსადენი ყოფილ საბჭოთა კავშირში, მილსადენ „დრუჟბას“ შემდეგ. საერთაშორისო მილსადენი არ გახლავთ მხოლოდ ინჟინერიის ტრიუმფი, ის ასევე წარმოადგენს მრავალწლიანი რეგიონული და საერთაშორისო თანამშრომლობის წარმატებულ კულმინაციას. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის სიგრძე 1,768 კმ-ია, აქედან აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადის 443 კმ-ი, საქართველოს ტერიტორიაზე - 249 კმ-ი, ხოლო თურქეთის ტერიტორიაზე - 1,076 კმ-ი. მილსადენი იკავებს 8 მეტრ სიგანის მქონე დერეფანს და დამიწებული გახლავთ სულ მცირე ერთი მეტრ სიღრმემდე. მისი ენერგიის გადატანის პოტენციალი გახლავთ დღეში 1 მილიონი ბარელი ნავთობი. მილსადენის ღირებულება შეადგენს 3,9 მილიარდ ამერიკულ დოლარს. მილსადენი მარაგდება აზერბაიჯანის აზერი-ჩირაგ-გიუნაშლის ნავთობის საბადოდან სანგაჩალის ტერმინალის მეშვეობით. (E-learning, 2013; Starr, Cornell, 2005;).

ორ უკანასკნელ მილსადენს, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანსა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენებს, აქვთ სიმბოლური მნიშვნელობა, რადგან ისინი წარმოადგენენ კასპიის ზღვის აუზისა და ევროპის დამაკავშირებელ ხიდს. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი აზერბაიჯანისა და საქართველოს ევროპულ ოჯახში მოხვედრის კარგ საშუალებას იძლევა. სამხრეთ კავკასიის ენერგო დერეფანმა და მისმა რეკონსტრუქციამ რეგიონში ძალთა ბალანსი შეცვალა, აზერბაიჯანისა და საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ავტონომია გაამყარა, რუსეთის დომინანტობა შეასუსტა და დასავლური ძალების, ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების, ინვესტიციები გაზარდა (Starr, Cornell, 2005).

ზოგიერთმა რუსმა დამკვირვებელმა მილსადენების საკითხებზე რეგიონი შეაფასეს, როგორც დომინანტობისთვის ბრძოლის ადგილი. ამ ანალიზის მიხედვით, ბრძოლა რეგიონში, ერთი

მხრივ, რუსეთსა და თურქეთს შორის, და, მეორე მხრივ, აზერბაიჯანსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, ნავთობის ტრანსპორტირების საკითხზე მიმდინარეობს სამხრეთ კავკასიაში, რომელიც არ წარმოადგენს მხოლოდ ტრანზიტული შემოსავლების დაცვაზე ზრუნვას, არამედ ის ემსახურება გეოპოლიტიკური გავლენის დაცვას რეგიონში(Socor, 2006; Baburkin, 2003;).

ძირითადი მოთამაშეები

დღესდღეობით, გამოყოფენ სამხრეთ კავკასიის რეგიონით დაინტერესებულ სახელმწიფოთა შემდეგ ჯგუფებს: ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპის ძირითადი სახელმწიფოები; პოსტ-საბჭოთა სივრცე, რუსეთი, თურქეთი, ირანი; და შავი ზღვის რეგიონის ქვეყნები (Alieva, Shapovalova, 2015); ძირითადი აქტორების როლი და დაინტერესებების სფერო სამხრეთ კავკასიის ენერგო დერეფნის მიმართ შემდეგი სახის გახლავთ:

ევროკავშირი

ევროკავშირი გეოპოლიტიკური მოთამაშე ხდება რეგიონში. ევროკავშირის მიერ განხორციელებული აქტივობები სამხრეთ კავკასიის რეგიონში შემდეგია: გაფართოების პოლიტიკა, ევროკავშირის სტრატეგიული თანამშრომლობა რუსეთთან და ევროპის სამეზობლო პოლიტიკა. ამას გარდა, სპეციფიური საკითხს მოიცავს კონფლიქტების მოგვარება და ენერგიის დივერსიფიკაცია. ენერგო დერეფანი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლავთ ევროპული ენერგიის წყაროების დივერსიფიკაციის საკითხში. ევროპის ბუნებრივი აირის მოხმარების სამომავალო ზრდა დაკავშირებული გახლავთ არა მხოლოდ რუსეთის გაზის გაზრდილ წარმოებასთან, არამედ იმ გაზის მარაგთან, რომელსაც ფლობს კასპიის რეგიონი, შესაბამისად ევროკავშირისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს სამხრეთ კავკასიის ენერგო დერეფანს მის ენერგოპოლიტიკაში. 2014 წლიდან ამოქმედდა ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან, რომელიც დღესაც აქტიურად მიმდინარეობს. ამას გარდა, ევროკავშირი დიდ ინტერესს იჩენს ალტერნატი-

ული მიწოდების საშუალებების შემდგომი განვითარების მიმართ. ის აქტიურად უჭერს მხარს კასპიის ზღვის ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტირების გზების დივერსიფიკაციასა და სატრანზიტო პოტენციალის დაცვას მონოპოლიზებისაგან (Boell, 2015; Balkananalysis, 2007;).

რუსეთი

რუსეთის გლობალურ სტრატეგიულ ჩარჩოში სამხრეთ კავკასიას აქვს დერეფნის სტრატეგიული ფუნქცია, რომელიც უზრუნველყოფს ევროპისა და კავკასიის, კასპიის რეგიონისა და ცენტრალური აზიის დაკავშირებას. რუსეთს ნათელი პოლიტიკა ჰქონდა ენერგო რესურსების კუთხით, რომელიც შეიცავდა მრავალ ინტერესის სფეროს, მათ შორის, ენერგიის კაპიტალად ქცევას, რაც განიხილებოდა ძირითად ინსტრუმენტად რუსეთის გავლენის გაძლიერების საკითხში. ასევე, სახელმწიფო კონტროლი საექსპორტო გაზის წარმოებაზე; მონოპოლიის შენარჩუნება ცენტრალური აზიის გაზზე დაბალ ფასებში; გაზრდილი დომინანტობის მიღწევა ევროპის სამომხმარებლო ბაზრებზე; და დომინანტობის გამოყენება გაზის იმპორტსა და ექსპორტზე. მოსკოვის მთავარ მიზანს წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის ენერგო დერეფნის უპირატესობების გამოყენება, რათა მოახდინოს ევრაზიული ენერგიაზე დომინანტობა პოლიტიკური მიზნებისთვის. რუსეთი ყველა ხერხით ცდილობს გავლენა იქონიოს სატრანზიტო მაგისტრალის ფუნქციონირებაზე, რაც შეუნარჩუნებს მას შესაძლებლობას ერთდროულად გააკონტროლოს მოპოვებისა და ტრანსპორტირების ფასები და მაქსიმალური სარგებელი მიიღოს. ამიტომაც რუსეთი დაინტერესებულია, შეამციროს ალტერნატიული გზების შექმნის ალბათობა. ის აქტიურად ცდილობდა და ცდილობს აჩვენოს ენერგომომხმარებელ ქვეყნებს, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონი არასტაბილურია და ვერ უზრუნველყოფს ხანგრძლივ მანძილზე ენერგიის ტრანსპორტირებას, რათა თავად ისარგებლოს ენერგო დერეფნის უპირატესობით (Socor, 2006; Gottesman, 2015;).

თურქეთი

თურქეთს განიხილავენ, როგორც ენერგიის საწყობს, ენერგიის ხიდს, ენერგო მომხმარებლებსა და ენერგო მწარმოებელ სახელმწიფოებს შორის. თურქეთის საჭიროებებისა და გეოსტრატეგიული პოზიციაზე დაყრდნობით, ფუნდამენტური პრიორიტეტები თურქეთის ენერგო პოლიტიკისა გახლავთ ენერგიის სატრანსპორტო მარშრუტების დაცვა, სტაბილიზება და დივერსიფიკაცია. ყოველივე ამის გამო, თურქეთის პოლიტიკის მწარმოებლები მნიშვნელოვან ყურადღებას ამახვილებენ გრძელვადიან, საზღვრისპირა ენერგო მილსადენების ფუნქციონირებაზე, რომელიც ფლობს ენერგო უსაფრთხოების უზრუნველყოფას, როგორც თურქეთისთვის, ასევე ენერგიის მომხმარებელ სახელმწიფოებისთვის დასავლეთში. თურქეთი გეგმავდა გამოსულიყო ახალი, მნიშვნელოვანი და ეფექტური აქტორი მსოფლიოს ენერგო სექტორში და სამხრეთ კავკასიის ენერგო დერეფნის მილსადენების პროექტის დასრულებამ მას შესაძლებლობა მისცა განეხორციელებინა აღნიშნული მიზნები. შედეგად, თურქეთი გლობალური ნავთობის მნიშვნელოვან ნაწილს ატარებს თავისი ტერიტორიით და ამით ჯეიჰანი ნავთობის ძირითადი ტერმინალი ხდება აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში (E-learning, 2013; Alieva, Shapovalova, 2015;).

სამხრეთ კავკასიის ენერგო დერეფნის მილსადენების თურქეთის ტერიტორიაზე გაყვანას მოითხოვდა, თავის დროზე, თურქეთი, რადგან მის მიზანს წარმოადგენდა ბოსფორის სრუტეში ნავთობით დატვირთული ტანკერების გავლით წარმოქმნილი მრავალი პრობლემა აეცილებინა თავს. თურქეთის პოზიცია, რომელიც აქტიურად ცდილობდა ენერგო რესურსების გამტარებელი ყოფილიყო, ძირითადად, გამოწვეული გახლდათ პოლიტიკური მიზნებით. მილსადენების პროექტების საშუალებით თურქეთი კასპიის რეგიონის რესურსების დასავლეთში ექსპორტირებისთვის მთავრ სატრანზიტო ქვეყანად იქცეოდა და მისი როლი ევრაზიისა და მთლიანად მსოფლიო ენერგოპოლიტიკაში მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა. აღნიშნულ მიზნებს თურქეთმა, უდავოდ, მიაღწია. არა მხოლოდ დასავლური ძა-

ლებისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის თურქეთი სტრატეგიულ პუნქტად იქცა, რაშიც მას მნიშვნელოვნად ეხმარება სამხრეთ კავკასიის ენერგო დერეფანთან უშუალო თანამშრომლობა/კავშირი (E-learning, 2013).

აზერბაიჯანი

აზერბაიჯანი სამხრეთ კავკასიის ენერგო დერეფნის მაცოცხლებელი ფუნქციის მატარებელია, ვინაიდან ის ფლობს ნავთობისა და გაზის მნიშვნელოვან რესურსებს, რაც რეგიონის ეკონომიკური განვითარებისა და ენერგო უსაფრთხოების საკითხებში წამყვან პოზიციებს იკავებს. ქვეყნის ნავთობის მარაგი - 7-13 მილიონ ბარელს, ხოლო ბუნებრივი აირის მარაგი - 2,6 ტრილიონ კუბურ მეტრს შეადგენს. აზერბაიჯანის მთავრობა ცდილობს გაზარდოს თავისი როლი ევროკავშირის ენერგო უსაფრთხოების სისტემაში. სატრანზიტო ქვეყნისა და ენერგო რესურსების მფლობელი ქვეყნის სტატუსი, კი მას ამაში მნიშვნელოვნად ეხმარება. სამხრეთ კავკასიის მილსადენების პოლიტიკა და ასევე სამომავლო პერსპექტივები, რაც გულისხმობს ირანისა და სხვა რესურსებით მდიდარი სახელმწიფოების ჩართვას სამხრეთ დერეფანში, მიანიშნებს იმაზე, თუ რაოდენ დიდი ადგილი უკავია აზერბაიჯანის შიდა და საგარეო პოლიტიკისთვის სამხრეთ კავკასიის ენერგო დერეფანს. აზერბაიჯანის მთავარ მიზანს წარმოადგენს ევროპის ენერგო უსაფრთოხების სისტემის განუყოფელ ნაწილად ქცევა. აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ხშირად უსვამს ხაზს აზერბაიჯანის მარშრუტებისა და რესურსების მიწოდების დივერსიფიკაციას. შედეგად, ენერო უსაფრთხოება და სატრანზიტო ფუნქცია ქვეყნისთვის ეროვნული პოლიტიკის განუყოფელ ნაწილი ხდება (Alieva, Shapovalova, 2015).

საქართველო

საქართველო ენერგიის ტრანსპორტირების მარშრუტებში ჩართვის შემდეგ მნიშვნელოვნად ცდილობს შეამციროს რუსეთზე ენერგო დამოკიდებულება. საქართველომ მნიშვნელო-

ვანი ენერგო სატრანზიტო ფუნქციები შეიძინა სამხრეთ კავკასიის ენერგო დერეფანში გამავალი მილსადენების მეშვეობით. ის წარმოადგენს ძირითად ქვეყანას ენერგო დერეფანში, რომელიც აზერბაიჯანულ რესურსებს ევროპას აწვდის.

ამას გარდა, საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ხასიათი წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის ენერგო უსაფრთხოებისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას. ასეთი აღქმა უფრო მეტად გამყარდა რამდენიმე მილსადენის აფეთქების შემდეგ რუსეთ-საქართველოს სასაზღვრო ტერიტორიაზე 2006 წელს და საჰაერო შეტევის შემდეგ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობის მილსადენზე 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის პერიოდში. ამას გარდა, უახლესი ადმინისტრაციული საზღვრის დემარკაციის ადგილების გადმოწევა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე, რაც უზრუნველყოფს ბაქო-სუფსის ნავთობსადენის 1,600 მეტრის რუსეთის კონტროლის ქვეშ გადასვლას, სამხრეთ კავკასიის ენერგო უსაფრთხოების გამოწვევად ყალიბდება. თუმცა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გარდა, საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა დადებითი შედეგების მომტან ფაქტორებად განიხილება საქართველოს ენერგო ექსპერტების მიერ. ასოცირების შესახებ შეთანხმება, დასრულებული 2014 წელს, ხელს უწყობს ქვეყანას, შექმნას სტაბილური და მშვიდობიანი გარემო სამხრეთ კავკასიის მილსადენების ფუნქციონირებისთვის, შედეგად, გახდეს ევროპის ენერგო საზოგადოების მნიშვნელოვანი წევრი და სხვადასხვა სარგებელი მიიღოს სამხრეთ კავკასიის ენერგო დერეფნის ეფექტური ფუნქციონირებიდან (Oilprice, 2012).

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონი თანდათან ხდება კრიტიკული სტრატეგიული გზაჯვარედინი 21-ე საუკუნეში. სამხრეთ კავკასიის რეგიონი ახალი სტრატეგიული ობიექტია ევროპის, რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატებისთვის რეგიონში არსებული გადაუჭრელი კონფლიქტების, სავაჭრო გზის, პოლიტიკური დაძაბულობისა

და ენერგო უსაფრთხოების კუთხით. როგორც ძირითადი მოთამაშეების განხილვისას გამოჩნდა, სამხრეთ კავკასიის ენერგო დერეფანი, უპირობოდ, ერთ-ერთი საყურადღებო გეო-ეკონომიკური და გეო-სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე არეალია არა მხოლოდ განხილული ქვეყნებისთვის, არამედ მსოფლიოს სხვა პოლიტიკური თუ ეკონომიკური მოთამაშეებისთვისაც.

ამასთან ერთად, სამხრეთ კავკასიის რეგიონი მრავალი ენერგო უსაფრთხოების გამოწვევის წინაშე დგას, რამაც შესაძლოა იქონიოს გავლენა ენერგო დერეფნის ეფექტურ ფუნქციონირებაზეც. ამიტომაც, რეგიონის შიდა პრობლემების დარეგულირება, დემოკრატიული რეფორმების გატარება და აქტიური თანამშრომლობა გლობალურ თუ რეგიონულ ძალებთან მნიშვნელოვანი წინაპირობა გახდება საფრთხეების დაძლევის საკითხში, რაც, საბოლოოდ, რეგიონის მთლიან სტაბილურობასა და ეფექტურ სატრანზიტო ფუნქციის შესრულებას შეუწყობს ხელს.

საკვანძო სიტყვები: ენერგო დერეფანი, გეოეკონომიკა, გეოპოლიტიკა, ენერგო უსაფრთხოება, დივერსიფიკაცია.

ლიტერატურა:

1. Alieva Leila and Natalia Shapovalova (eds.), ‘Energy security in the South Caucasus: Views from the region’, CASCADE, November 2015

2. Baburkin, Sergei, 2003. *Constructing European Security Architecture: Russia’s Approach and Role*, Göteborg University, Sweden

3. Balkananalysis. 2007. http://www.balkanalysis.com/blog/2007/01/20/turkey-europe%E2%80%99s-emerging-energy-corridor-for-central-eurasian-caucasian-and-caspian-oil-and-gas/

4. Boell.2015.https://ge.boell.org/sites/default/files/uploads/2015/03/energy_eng-final_1.pdf

5. Cornell, Svante ‘US Engagement in the Caucasus: Changing Gears’, *Helsinki Monitor* 2 (2005)

6. E-learning.2013. http://e-learning.tsu.ge/mod/page/view.

php?id=893

7. Gottesman Evan, 'The Caspian States in Russia's Military Bind', *The Diplomat*, 27 November 2015

8. Oilprice. 2012.http://oilprice.com/energy/crude-oil/georgia-seeks-expanded-role-as-caspian-energy-corridor.html

9. Starr S. Frederick & Svante E Cornell, *The Baku-Tbilisi-Ceyhan Pipeline: Oil Window to the West* (Washington DC: Central Asia-Caucasus Institute & Silk Road Studies Program, 2005)

10. Socor, Vladimir. (2006). *Seven Russian Challenges to the West's Energy Security*. Eurasia Daily Monitor.

რეზიუმე

სამხრეთ კავკასიის ენერგო დერეფანი წარმოადგენს არა მხოლოდ ენერგო უსაფრთხოების მთავარ ნაწილს ან ენერგო რესურსების გამტარებელ ფუნქციის მქონე რეგიონს, არამედ მას განიხილავენ, როგორც გავლენიან მოთამაშეს გეოპოლიტიკის ყველა საკვანძო სფეროში მთელს პლანეტაზე. ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღნიშნულ რეგიონში ახალი გეოპოლიტიკური რეალობა შეიქმნა. შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოებმა და, მათ შორის, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა, მოიპოვეს დამოუკიდებლობა, რომლის შემდეგაც ენერგოპოლიტიკა, ენერგოუსაფრთხოება და გაზისა და ნავთობის რესურსების საერთაშორისო ბაზრებისთვის მიწოდების საკითხი უაღრესად აქტუალური გახდა. სამხრეთ კავკასიის ენერგო დერეფანს ქმნის სამი მთავარი მილსადენი, ესენია: ბაქო-თბილისი-სუფსა, რომელიც სანგაჩალის (აზერბაიჯანის ტერიტორია) ნავთობის ტერმინალს სუფსის ტერმინალთან (საქართველოს ტერიტორია) აკავშირებს, სამხრეთ კავკასიის მილსადენი იგივე ბაქო-თბილისი-ერზრუმის/შაჰ-დენიზის მილსადენი, რომელიც შაჰ-დენიზის (აზერბაიჯანის ტერიტორია) გაზის საბადოდან იღებს სათავეს და საქართველოს ტერიტორიის გავლით ბუნებრივ აირს თურქეთის ქალაქ ერზრუმამდე ატარებს და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი, რომელიც სანგაჩალის ნავთობის ტერმინალს (აზერ-

ბაიჯანის ტერიტორია) თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის პორტ ჯეიჰანთან აკავშირებს თბილისის მეშვეობით. სამხრეთ კავკასიის ენერგო დერეფანმა და მისმა რეკონსტრუქციამ რეგიონში ძალთა ბალანსი შეცვალა, აზერბაიჯანისა და საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ავტონომია გაამყარა, რუსეთის დომინანტობა შეასუსტა და დასავლური ძალების, ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების, ინვესტიციები გაზარდა. შესაბამისად, სამხრეთ კავკასიის რეგიონი, რომელიც ნავთობითა და გაზით მდიდარი კასპიის აუზის რესურსებს ტრანსპორტირებას ახორციელებს, მნიშვნელოვანი შეჯიბრისა და გავლენის მოპოვების ადგილი ხდება საერთაშორისო გლობალური მოთამაშეებისთვის. ამ მხრივ, აღსანიშნავია, ევროკავშირი, რომლისთვისაც ენერგო დერეფანი მნიშვნელოვანი ფაქტორია ევროპული ენერგიის წყაროების დივერსიფიკაციის საკითხში. ამას გარდა, მნიშვნელოვანია, რუსეთის ინტერესები, მათ შორის, ენერგიის კაპიტალად ქცევა, სახელმწიფო კონტროლი საექსპორტო გაზის წარმოებაზე, მონოპოლიის შენარჩუნება ცენტრალური აზიის გაზზე დაბალ ფასებში და სხვ. ასევე უმთავრესია სამხრეთ კავკასიის ენერგო დერეფნის როლი თურქეთის საერთაშორისო სტრატეგიული პოზიციის შენარჩუნების საკითხში, აზერბაიჯანის სატრანზიტო და ენერგო რესურსების მფლობელის სტატუსის შენარჩუნებისა და საქართველოს ენერგო სატრანზიტო ქვეყნის ფუნქციონირების საკითხში.

SOUTH CAUCASUS ENERGY CORRIDOR – THE MAIN GEOECONOMIC AND GEOPOLITICAL AREA FOR GLOBAL ACTORS

Kristine Djinchveleishvili, Ani Kenchoshvili,
4th Year Bachelor students, Tbilisi State University

RESUME

South Caucasus energy Corridor is considered to be not only the main part of energy security but it is estimated as the powerful player in all fields of geopolitics on the planet. The end of Cold War and the collapse of USSR established new reality for the region. After independence, energy security, energy policy and the transportation of gas and oil became the main issues for international actors. South Caucasus energy region consists of three main pipelines: first, Baku-Supsa pipeline that runs from the Sangachal Oil Terminal to the Supsa terminal in Georgia, second, South Caucasus Pipeline also named Baku-Tbilisi-Erzurum/Shah-Deniz Pipeline, is a natural gas pipeline from the Shah-Deniz gas field in the Azerbaijan sector of the Caspian Sea to Turkey, third, Bak-Tbilisi-Ceyhan pipeline that connects Baku and Ceyhan via Tbilisi, it starts at the Sangachal terminal, crosses Georgia and terminates at the Ceyhan Marine Terminal in Turkey. The commercialization of these pipelines has created substantial revenues for the transit countries and helped them strengthen economic and political links. As a result the region becomes the main area for competition between global actors in international relations. European Union has the interests in the South Caucasus Energy Corridor – so far, energy diversification is the field where the EU has most clearly realized the conflict of interests. Besides, Russia is the main actor in the region. Strategy of Russia has had several aspects: capitalize on energy, state control over the production of gas for export, keeping a monopoly on acquiring Central Asian gas at cheap prices and others. Except these, the region plays an important role in the process of maintaining Turkey's strategic position in the world, maintaining Azerbaijan's transitional status in the world and emphasizing Georgia's role as a main transitional county in the region.

Key Words: Energy Corridor, Geo-economics, Geopolitics, Energy Security, Diversification.

ტურიზმის დარგის განვითარების ძირითადი ტენდენციები და მიმართულებები მსოფლიოში

მარინა მეტრეველი
ეკონომიკის დოქტორი,
სტუ პროფესორი,

გიორგი ჯაბნიძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

ნაშრომში ტურიზმის დარგი განსაზღვრულია როგორც ნაწილობრივ თვითრეგულირებადი, რთული, სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, რომელსაც გააჩნია ისტორიული, გეოგრაფიული, ეთნიკური, მენტალური, ეკონომიკური და პოლიტიკური საზღვრები. სტატიაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია ტურიზმის დარგის განვითარების ძირითადი ტენდენციები მსოფლიოში. Mმსოფლიო ტურიზმის განვითარების ძირითად ტენდენციებად წარმოდგენილია შემდეგი პროცესები: დივერსიფიკაცია, გლობალიზაცია, გლოკალიზაცია და უახლეს კოგნიტიურ ტექნოლოგიებთან (ინდუსტრია 4.0) დაკავშირებული ინოვაციების წარმოშობა ტურიზმში.

სტატიაში განხილულია ტურისტული პროდუქტების ისეთი ახალი სახეობები, როგორიცაა: ე-ტურიზმი, მ-ტურიზმი, სოციალურად პასუხისმგებელი ტურიზმი, ,,შემთხვევითი" და ,,საიდუმლო" ტურიზმი და აგრეთვე ბოლო დროს წარმოქმნილი ,,ჭკვიანი ქალაქის" კონცეფციები.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტურისტული პროდუქტების პერსონალიზებას.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმის მსოფლიო ტენდენციები, ინოვაციური ტურისტული პროდუქტები, ტურისტული პროდუქტის პერსონალიზება.

შესავალი

ტურიზმის დარგი სისტემური ხასიათის ფენომენია. ტურისტული სისტემა (სისტემის ზოგადი დეფინიციიდან გამომდინარე), შეიძლება განვსაზღვროთ როგორც რთული, ნაწილობრივ თვითმართვადი სოციალურ-ეკონომიკური სისტემა. მას გარკვეული ისტორიული, გეოგრაფიული, ეთნიკური, სულიერი, პოლიტიკლური და ეკონომიკური საზღვრები აქვს. იგი წარმოადგენს, კულტურულ-ისტორიული, ინფრასტრუქტურული, საორგანიზაციო და ტექნიკური კომპონენტების გაერთიანებას ტერიტორიის მოსახლეობის ბაზრის იმ მონაწილეებთან, რომლებიც აწარმოებენ და ყიდიან ფასეულობებს ტურისტთა მოხმარებისთვის.

ნაშრომის მიზანია მსოფლიოში ტურიზმის დარგის განვითარების ძირითადი ტენდენციებისა და ინოვაციურ პროდუქტთა გამოკვლევა და გაანალიზება.

მოცემული მიზნის განხორციელებისთვის დასახული გვაქვს შემდეგი ამოცანები:

- მსოფლიოში ტურიზმის განვითარების ძირითადი ტენდენციების დახასიათება და გაანალიზება;
- ტურიზმის ინოვაციური განვითარების მიმართულებათა გამოკვლევა.

კვლევა განხორციელდა ლოგიკური ანალიზის, სინთეზის, შედარებისა და სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით.

ნაშრომი ეფუძნება:

- ტურიზმის დარგის ქართველ და უცხოელ მკვლევართა მათ შორის: ე. ბარათაშვილის, მ. მეტრეველის, ნ. პაპაჩაშვილის, უცხოელი ავტორების რ. რობერტსონის, მ. სმიტის, ნ. მაკლეოდის, ჰ. კეისა და სხვა მეცნიერთა მოსაზრებებსა და დებულებებს;
- საერთაშორისო ორგანიზაციების, პროგრამებისა და კვლევითი პროექტების, მათ შორის: მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO), გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD), G-20-სა და სხვა ორგანიზაციების დოკუმენტებს.

ძირითადი ტექსტი

ტურიზმის სისტემის დახასიათება

ტურიზმის მსოფლიო სისტემა სწრაფი ტემპებით ვითარდება. ტურიზმის წილი შეადგენს მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 0,9%-ს, მსოფლიო ექსპორტისა 6%-ს, მათ შორის - მომსახურების მსოფლიო ექსპორტის დაახლოებით 30%-ს. 260 მილიონზე მეტი სამუშაო ადგილი უკავშირდება ტურიზმსა და მოგზაურობებს (ამასთან, 100 მილიონზე მეტი უშუალოდ ამ დარგში მუშაობს). 2020 წლისათვის - საერთაშორისო მასშტაბით - შემსვლელ ტურისტთა რაოდენობა 1, 36 მილიარდს მიაღწევს, ხოლო 2030 წლისათვის - 1,8 მილიარდს.ესე იგი,იმოგზაურებს უკვე დედამიწის ყოველი მეხუთე მცხოვრები. [1]

საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე მიმდინარეობს ცვლილებები, რომლებიც უფრო თვალსაჩინოდ ვლინდება ტურიზმის სფეროს ლიდერი ქვეყნების რეიტინგში. ბოლო წლებში ევროპისა და ამერიკის რიგ ქვეყნებში (საფრანგეთში, აშშ-ში, ესპანეთში, იტალიასა და გაერთიანებულ სამეფოში), რომლებსაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში წამყვანი მდგომარეობა ეკავათ ტურისტთა ჩამოსვლების რაოდენობის მხრივ, ზრდის ტემპები არა მარტო შეიკვეცა, არამედ შეინიშნება ტურისტთა ჩამოსვლის სტაბილიზაცია და ზოგ შემთხვევაში შემცირებაც კი. ამავე დროს, აზიის სწრაფად მზარდი ტურისტული დესტინაციები უდიდეს წარმატებებს აღწევენ და მსოფლიოში წამყვან პოზიციებს იკავებენ ტურისტთა ჩამოსვლების მხრივ.[2]

საქართველოში შემომსვლელ ტურისტთა შორის უმრავლესობა ათი ქვეყნიდან ჩამოდის (იხ. ცხრილი №1). ლიდერობს: სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი და რუსეთი. როგორც ვხედავთ ყველა ჩვენი მეზობელი ქვეყანაა, ამდენად სრულიად გაურკვეველია რატომ არ ეწყობა აქტიურად სომხეთსა და რუსეთში ქართული ტურპროდუქტების გამოფენები.

მსოფლიო ტურიზმში შესამჩნევ ტენდენციას წარმოადგენს **დივერსიფიკაცია**. ვითარდება ცენტრიდანული დივერსიფიკაციის სტრატეგია, რომელიც ემყარება უკვე არსებულ ბიზნესში

ცხრილი№1. ლიდერი ქვეყნები ტურისტთა შემოსვლის რაოდენობათა მიხედვით 2015წ.

ქვეყნების რეიტინგის	მლნ. ჩასვლა		ცვლილება, %		მოსახ მლნ. ადამიანი	უცხოელ ტურისტთა ჩასვლების რაოდენობის შეფარდება ქვეყნის მოსახლეობის რაო-ბასთან
	2014	2015	2013 2014	2014 2015	2015	%
1 საფრანგეთი	81.6	83.0	5.0	1.8	63.409	131
2 აშშ	62.7	67.0	4.9	6.8	314.184	21
3 ჩინეთი	57.6	57.7	3.4	0.3	1354.04	4
4 ესპანეთი	56.2	57.7	6.6	2.7	46.163	125
5 იტალია	46.1	46.4	5.7	0.5	60.821	76
6 თურქეთი	34.7	35.7	10.5	3.0	74.885	48
7 გერმანია	28.4	30.4	5.5	7.3	81.917	37
8 გაერთიანებული სამეფო	29.3	29.3	3.6	-0.1	63.244	46
9 რუსეთი	22.7	25.7	11.9	13.4	143.056	18
10 მალაიზია	24.7	25.0	0.6	1.3	29.457	85
11 საქართველო	5.5	5.9	11.6	7.3	3.7	159

წყარო: World Tourism Organization (UNWTO), ივლისი 2015

ახალი პროდუქტების წარმოების დამატებითი შესაძლებლობების მოძიებასა და გამოყენებას. ტურიზმში გლობალიზაციის ტენდენციების ზეგავლენით ხორციელდება ეროვნული სახელმწიფოს ეკონომიკურ საზღვართა რღვევა, კულტურული იდენტობის ტრანსფორმაცია, ეთნოკულტურათა თავისებურებების ნიველირება და - ტურიზმში - ნორმებისა და სტანდარტების უნიფიკაცია. ამავე დროს მსოფლიოში მოქმედებს ლოკალური, გლობალიზაციის შემხვედრი ტენდენციები - გლობალური ინტერესებისა და ლოკალური თვითმყოფადობის სინთეზი მსოფლიო პროცესებში

ინტეგრაციის მიზნით. სწორედ ამ მოვლენას უწოდა **„გლოკალიზაცია“** როლანდ რობერტსონმა (1994). [3] გლოკალიზაციის პროცესის განვითარება მდგრადი განვითარების აუცილებლობითაა განპირობებული, რასაც მოჰყვა ინდუსტრია 4.0 (ახალი სამრეწველო რევოლუცია). გლოკალიზაციამ მდგრადი ტურიზმის განვითარება წარმოშვა.

მდგრადი ტურიზმი-2002 წელს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციისა და გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) ერთობლივი პროგრამა „მდგრადი ტურიზმი - სიღატაკის აღმოფხვრის საწინდარია” (Sustainable Tourism - Eliminating Poverty – ST-EP) მოწონებულ იქნა[4]. მდგრადობა გულისხმობს ტურიზმის ეკოლოგიური, სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური ზეგავლენების წონასწორობას, ასევე - ტურისტთა დადებით ზემოქმედებას ერთმანეთზე. აქედან გამომდინარე, გაჩნდა საქმიანობის ახალი სახეობა - **სოციალურად პასუხისმგებელი** (პასუხისმგებელი ან შეგნებული) ტურიზმი. თუკი მოვიშველიებთ მ. მეტრეველის(2006) [5] ტურისტულ ტერმინთა ინგლისურ-ქართულ განმარტებით ლექსიკონს, მაშინ ცნება „სოციალურად პასუხისმგებელი“ შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ბუნებისათვის უსაფრთხო ტურიზმი, ტურიზმის სახეები, რომლებიც მინიმალურ ზეგავლენას ახდენს გარემოზე. ელექტრონულ ბიზნესში გაჩნდა ცნებები „ელექტრონული ტურიზმი”(e-tourism) და „მობილური ტურიზმი” (m-tourism). ელექტრონულ ტურიზმში იგულისხმება ტურიზმის სფეროში მიმდინარე ყველა პროცესის, წარმოებისა და გასაღების, სასტუმროთა, ტურისტული და სარესტორნო ბიზნესის გაციფრვა, რაც ორგანიზაციებს მათი ბიზნესის მაქსიმალური ეფექტიანობითა და ქმედითობით წარმართვის საშუალებას აძლევს. ე-ტურიზმი (e-tourism) წარმოქმნის შესაძლებლობებს გარეშე საინფორმაციო გარემოში ნდობით აღჭურვილ პარტნიორებთან ოპერაციების განვითარებისათვის, ასევე - შიგა საინფორმაციო პროცესების (ინტრანეტი) რეორგანიზაციისა და ყველა დაინტერესებულ მხარესთან ურთიერთქმედების მიზნით ინტერნეტის გამოყენებისათვის. ტურისტულ ბაზარზე იქმნება ონლაინური კომპანიები,

რომლებიც ელექტრონულ ვაჭრობას ეწევიან. ტურისტული მომსახურებით ელექტრონული ვაჭრობის ორგანიზაციის ერთ-ერთ უმსხვილეს ჰოლდინგს წარმოადგენს კერძო კომპანია Travelport, რომლის მფლობელია The Blackstone Group. კომპანიას ეკუთვნის გლობალური გამანაწილებელი კომპანიები Galileo International da Worldspan. 2009 წელს Travelport-მა და PSP International-მა შექმნეს ერთობლივი კომპანია eNett International. ის მსურველებს აწვდის გადასახდელების ორგანიზების მომსახურებას, რომელიც შემუშავებულია ტურიზმის დარგის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით.

სწრაფად იზრდება ქალაქური ტურიზმის მოცულობაც - ქალაქებში მცხოვრებნი ყველაზე აქტიური მოგზაურები და ტურისტული მომსახურების მომხმარებლები არიან. ამასთან, ძირითადი ტურისტული ნაკადები დიდი ქალაქებისკენ მიემართებიან. გაჩნდა ტურისტული პროდუქტის ახალი სახეობაც - city breaks. დიდი ქალაქების ცენტრირებული დივრსიფიკაციის ჩარჩოებში ჩამოყალიბდა ქალაქური დესტინაციების ტიპოლოგია (Smith M., MacLeod N., Robertson M. H. Key 2010).[6]. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის პირველ საერთაშორისო კონგრესზე (სტამბოლი, 2012 წლის ნოემბერი) განისაზღვრა პროექტ ,,ქალაქის" ხორცშესხმის ძირითადი საკითხები. პროექტში, განხილულ იქნა Smart City-ს (,,ჭკვიანი ქალაქის") კონცეფცია. Smart City-ს დღევანდელი კონცეფცია გულისხმობს ქალაქის ცხოვრების მართვას საინფორმაციო ტექნოლოგიათა დახმარებით(ინუსტრია 4.0). ეს, ძირითადად, ეხება ცხოვრების ექვს სფეროს: მობილურობას, მართვას, ეკონომიკას, გარემოს, ყოფა-ცხოვრებისა და ადამიანების ორგანიზებას. კრიზისის დაწყების შემდგომ პერიოდში ტურისტულ საქმიანობაში თავი იჩინა თვითრეგულირების ტენდენციამ. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ კანონის საფუძველზე სახელმწიფოს მმართველობითი ფუნქციები გადაეცემა სუბიექტებს, რომლებიც საჯარო ხელისუფლების ორგანოებს არ წარმოადგენენ. ეს ნიშნავს, რომ სუბიექტები ნებაყოფლობით იკისრებენ გარკვეულ ვალდებულებებს, რათა დაიცვან კოლექტიურად შემუშავებული პრინციპები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება სახელმწიფოს მიერ

დადგენილ ნორმებს. ეს ვალდებულებები ითვალისწინებენ იმ პროცესებისა და კოლიზიების რეგულირებას, რომლებიც წარმოიშობა სამეწარმეო და პროფესიონალური საქმიანობის განხორციელებისას სახელმწიფოს უშუალო მონაწილეობის გარეშე. ტურისტული პროდუქტის პერსონალიზაცია. დამთვალიერებლებისადმი (ტურისტების) დამოკიდებულებაში გათვალისწინებულია სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური მიდგომები, სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთქმედების ფორმები(ინტერესები) და მომხმარებლური ქცევა. ტრადიციული პრინციპი - „დავეწიოთ და გავასწროთ დანარჩენებს რაოდენობის მიხედვით" მთლიანად უნდა იქნას უგულებელყოფილი. საჭიროა გადასვლა ახალ სამომხმარებლო ღირებულებაზე - ტურისტული პროდუქტის მასობრივ პერსონალიზაციაზე. ზოგიერთი მკვლევარის(ბარათაშვილი ე., ბაკაშვილი ნ., ფარესაშვილი ნ., გეჩბაია ბ., მესხიშვილი დ. 2011, პაპაჩაშვილი ნ.2013, მეტრეველი მ. 2011, Smith M., MacLeod N., Robertson M. H. Key 2010, და სხვა) [7] მოსაზრებათა თანახმად, XXI საუკუნის მომხმარებლის სურვილები მჭიდროდ იქნება დაკავშირებული მის მორალთან, ზნეობრივ და სულიერ ფასეულობებთან. მოხმარების ემოციური ასპექტი უფრო მნიშვნელოვან როლს შეასრულებს, ვიდრე - მატერიალური(ფასობრივი). ბაზარზე განმსაზღვრელი იქნება შთაბეჭდილებათა კომერციალიზაცია. წარმატებული კომპანიები იქნებიან ისინი, რომლებიც დააკმაყოფილებენ ემოციურ მოთხოვნილებებს.

ევროპაში მოდაში შემოდის ეგრეთ წოდებული „**შემთხვევითი მოგზაურობა"** (random–trip), როდესაც მოგზაური „ბრმად" ირჩევს ტურს და ტუროპერატორს მხოლოდ თარიღებსა და მოგზაურობის ბიუჯეტს აცნობებს. იმას, თუ სად გაგზავნის მას სააგენტო, ტურისტი იგებს მხოლოდ გაფრენამდე 24 საათით ადრე. აშშ-ში მნიშვნელოვანი მოთხოვნით სარგებლობს ე.წ. **„საიდუმლო მოგზაურობები"**, ტურისტის მიერ მითითებული ბიუჯეტის ფარგლებში, კომპანიის სპეციალისტები ადგენენ „საიდუმლო მარშრუტს". ამავე დროს სანამ ფულადი სახსრები ჩამოწერილი არ იქნება მომხმარებლის ანგარიშიდან, მას არ ეცოდინება, სად უნდა გაემგზავროს. მოყვანილი მაგალითები ხაზს უსვამს მოთხოვ-

ნის დეტერმინანტთა რაციონალურიდან ემოციურ კომპონენ-ტებზე აქცენტირებას(მიდგომათა ცვლილება). ტურიზმის დარ-გის განვითარების ძირითად ტენდენციათა და მიმართულებათა მრავალფეროვნება და ინოვაციურობა გამუდმებით იცვლება საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების ფაქტორთა ზე-გავლენით, რაც გასათვალისწინებელია ტურიზმის ორგანიზების დროს.

დასკვნები

მსოფლიოში მიმდინარეობს ტურისტული ბიზნესის დივერსი-ფიკაცია საქმიანობის სახეობათა ფართო მრავალფეროვნების გზით. ვითარდება გლობალიზაციის, გლოკალიზაციისა და ტურ-იზმის მდგრადი განვითარების პროცესები.

შეიმჩნევა ტურისტულ საქმიანობაში შთაბეჭდილებებისა და ემოციათა ინდუსტრიაზე გადასვლის ტენდენცია. ტურისტული საქმიანობის პრაქტიკა უკავშირდება ისეთ ფაქტორებს, როგორე-ბიცაა მდგრადი განვითარება, ხელმისაწვდომობა, დემოგრაფი-ული ცვლილებები, ცხოვრების სტილი, მუშაობისა და დასვენების ხასიათი.

მსოფლიოში ტურისტული ბიზნესის განვითარების მთავარ ტენდენციებად უახლოეს წლებში ჩამოყალიბდება: 1. მომსახ-ურების პერსონალიზაცია და 2. თითოეული კონკრეტული კლი-ენტისთვის შემუშავებული ტურისტული პროდუქტის შეძენის შესაძლებლობა. 3. შეიკვეცება ტურისტული მოგზაურობების ხანგრძლივობა, მაგრამ 4. გაიზრდება სიხშირე დასვენებებისა, რომელთა დროს ადამიანი შეძლებს აღიდგინოს სასიცოცხლო ძა-ლები.

ტურიზმის დარგის თანამშრომელთა პროფესიული დონის ამაღლება, კვალიფიცირებული კადრების მომზადება ტურიზ-მის სფეროსთვის სპეციალურ სასწავლო დაწესებულებებში(სამი ძირითადი მიმართულებით: სწავლება, კვლევა და პრაქტიკული საქმიანობა) კიდევ უფრო დააჩქარებს ტურიზმის სისტემის გან-ვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. World Tourism Organization (UNWTO), July 2015;

2. World Economic Outlook Database, April 2016;

3. Robertson R. (1994). Glocalization: Space, time and local theory. *Journal of international communication*, 1 (1)

4. Sustainable Tourism - Eliminating Poverty – ST-EP http://sdt.unwto.org/en/content/sustainable-tourism-eliminating-poverty-st-ep

5. მეტრეველი მ. ტურისტულ ტერმინთა ინგლისურ-ქართული განმარტებითი ლექსიკონი. გამომც. შპს ,,ფოტონი" თბილისი, 2006. გვ.288;

6. Smith M., MacLeod N., Robertson M. H. Key 2010) Concepts in Tourist Studies. London: SAGE, 2010. p. 180; Madrid: UNWTO, 2012. p. 8. (Cities on the Rise — Competitive Strategies for City Tourism, 2013, URL: http:// tourism-intelligence.com / catalog / product_info. php? products_id=266);

7. ბარათაშვილი ე., ბაკაშვილი ნ., ფარესაშვილი ნ., გეჩბაია ბ., მესხიშვილი დ. 2011. თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიები, სახელმძღვანელო. ჩგამომცემლობა ,,უნივერსალი". თბილისი, გვ., 44; პაპაჩაშვილი ნ. (2011). საერთაშორისო ტურიზმის თავისებურებები და განვითარების თანამედროვე ტენდენციები. კრებული: ტურიზმი ეკონომიკა და ბიზნესი, ბათუმი; მეტრეველი მ. (2012) ტურიზმის ბიზნესი. გამომც. ,,უნივერსალი". თბილისი

REFERENCES:

1. World Tourism Organization (UNWTO), July 2015;

2. World Economic Outlook Database, April 2016;

3. Robertson R. (1994). Glocalization: Space, time and local theory. *Journal of international communication*, 1 (1)

4. Sustainable Tourism - Eliminating Poverty – ST-EP http://sdt.unwto.org/en/content/sustainable-tourism-eliminating-poverty-st-ep

5. Metreveli M. (2006) English- Georgian explanatory dictionary of tourism terms. "Photoni" LTD (Ed.), (p. 288), Tbilisi.

6. Smith M., MacLeod N., Robertson M. H. Key 2010) Concepts in Tourist Studies. London: SAGE, 2010. p. 180; Madrid: UNWTO, 2012. p.

8. (Cities on the Rise — Competitive Strategies for City Tourism, 2013, URL: http:// tourism-intelligence.com / catalog / product_info. php? products_id=266);

7. Baratashvili E., Bakashvili N., Pharesashvili N., Getchbaia B., Meskhishvili D. (2011) The modern business strategy guide. "Universali" LTD (Ed.), (p. 44),Tbilisi. Papatchaishvili N. (2011) The features of international tourism and modern development trends. The collection: Tourism, economics and business, Batumi. Metreveli M. (2012) The business of tourism. "Universali" LTD (Ed.), Tbilisi.

MAJOR WORLD TRENDS AND DIRECTIONS IN TOURISM DEVELOPMENT

Marina Metreveli
Doctor of Economic Sciences,
Professor of Georgian technical university,
Giorgi Jabnidze
Phd Student of Georgian technical university

RESUME

The global tourism industry is defined as partially self-regulating complex socio-economic system that has historical, geographical, etnicheskie, mental, economic, and political boundaries. The paper presents and analyzes the main trends in the development of the tourism industry in the world. The diversification, globalization, glocalization and the emergence of innovations associated with new cognitive technologies (industry 4 0) are main trends of the processes of global tourism development .

The article deals with new types of tourism product such as: e-tourism, m-tourism, socially responsible tourism, ,, random-trip" tourism and ,, Mysterious" tourism as well, have emerged recently concepts of ,,smart city". Particular attention is paid to personalization of travel products.

Keywords: Global tourism trends and directions , Innovative tourism products, personalization of tourism product.

რუსეთისა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ურთიერთობები

ალექსანდრე ეროიანი,
გვანცა შაორშაძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბაკალავრიატის სტუდენტები

რეზიუმე

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისათვის. რუსეთი 18 წლის განმავლობაში ცდილობდა მასში გაწევრიანებას და საბოლოოდ, მრავალი სირთულის გადალახვის შემდგომ ის 2012 წელს შევიდა ორგანიზაციაში. რუსეთი საერთაშორისო ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთამაშეა და შესაბამისად, საინტერესეოა ის თავისებურებები, რომლებიც მის მსოფლიო სავაჭრო ორგაიზაციასთან ურთიერთობას ახასიათებს. გადავწყვიტეთ, ჩაგვეტარებინა გამოკვლევა, რომელიც პასუხს გასცემდა შემდეგ საკვლევ კითხვას: რა ცვლილებები განიცადა რუსეთის ეკონომიკამ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ? კვლევის ფარგლებში განვიხილავთ იმ ძირითად პრობლემებს, რომლებსაც რუსეთი შეხვდა გაწევრიანების პროცესში, აგრეთვე იმ მოლოდინებს, რომლებიც მას ჰქონდა ორგანიზაციის წევრობისაგან და იმ ეკონომიკურ ცვლილებებს, რომლებიც მან განიცადა 2010-დან 2013 წლამდე. ვფიქრობთ, კვლევის შედეგები საშუალებას მოგვცემს გავაანალიზოთ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისა და რუსეთის ურთიერთქმედება და დავინახოთ, რამდენად ოპტიმალურია რუსეთისათვის მისი დატოვება.

საკვანძო სიტყვები: რუსეთის ეკონომიკა, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ეკონომიკური ცვლილებები, ვაჭრობა, ინვესტიციები.

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის ეკონომიკამ დიდი ცვლილებები განიცადა, უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ბაზრის ლიბერალიზაცია. თუმცა ცვლილებების მიუხედავად, ქვეყანას მაინც ძალიან დიდი დრო დასჭირდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) მიერ დაწესებული სტანდარტების დასაკმაყოფილებლად. მსო უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს საერთაშორისო ასპარეზზე. ორგანიზაცია აკონტროლებს მსოფლიო ვაჭრობის 97%-ს, აწესებს გლობალური სავაჭრო სისტემის სტანდარტებს, აგვარებს უთანხმოებებს მის წევრ ქვეყნებს შორის, აგრეთვე აერთიანებს სხვა მრავალ ფუნქციას. 18 წლიანი პროცესის შემდეგ რუსეთი 2012 წელს შევიდა მსო-ში.

კვლევის პრობლემას წარმოადგენს ის, რომ აღნიშნული თემის ირგვლივ კვლევის ნაკლებობაა ქართულ ენაზე. ვფიქრობთ, აღნიშნული საკითხი აქტუალურია, რადგან რუსეთი საქართველოს უშუალო მეზობელია და გვლენას ახდენს ჩვენს რეგიონზე, აქ არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკური ვითარებაზე. ჩვენი მთავარი მიზანია, გავაანალიზოთ რუსეთის და მსო-ს ურთიერთქმედება და დავადგინოთ ის შედეგები, რომლებიც რუსეთს ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებამ მოუტანა. ამ შედეგების მიხედვით კი დავინახავთ, რამდენად ოპტიმალურია რუსეთისათვის ამ მსხვილი ორგანიზაციის დატოვება.

დასახული მიზნის მისაღწევად შევეცდებით პასუხი გავცეთ შემდეგ საკვლევს კითხვას: რა ცვლილებები განიცადა რუსეთის ეკონომიკამ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ? ვაკონკრეტებთ, რუსეთის ეკონომიკაში ვგულისხმობთ საზოგადოების საქმიანობის განსხვავებული სფეროების და შრომითი ურთიერთობების რთულ სისტემას, რომელიც მოსახლეობას არსებობისთვის აუცილებელი მატერიალური საკითეებითა და მომსახურებებით უზრუნველყოფს. დამოუკიდებელ ცვლადს ჩვენს შემთხვევაში წარმოადგენს რუსეთის მიერ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება, ხოლო დამოკიდებულ ცვლადს - გაწევრიანების შედეგები. ჩვენ

დავაკვირდებით ეკონომიკურ ცვლილებებს რუსეთში, კერძოდ მშპ, იმპორტი-ექსპორტის სალდოს და უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელს გაწევრიანებამდე (2010 წელი) და მის შემდეგ (2013 წელი), (აღნიშნული წლები წარმოადგენს ერთგვარად ნეიტრალურ პერიოდს რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებამდე და მის შემდეგ, როდესაც გარე ფაქტორების (სანქციები, ეკონომიკური კრიზისი) არარსებობა ეკონომიკურ ცვლილებებზე დაკვირვებას ამარტივებს და მას გაცილებით ობიქტურს ხდის), რის შედეგაც გავაკეთებთ დასკვნას. კვლევისთვის გამოვიყენეთ ძირითადად თვისებრივი მეთოდები. წყაროები მოვიპოვეთ უმეტესად ინტერნეტ სივრცეში არსებული ნარკვევებიდან, სტატიებიდან, თავად მსო-ს რუსული კვლევის ცენტრის ვებ გვერდიდან და ა.შ. ვფიქრობთ, ჩვენი კვლევა საინტერესო იქნება საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე მოვლენებით, კონკრეტულად კი რუსეთის საგარეო პოლიტიკით დაინტერესებულ პირთათვის, მათ შორის ეკონომისტებისთვის.

რუსეთის პრობლემები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების გზაზე. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია გლობალურ სავაჭრო ბურნვაში უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენს და სათავეს იღებს „ტარიფებსა და ვაჭრობაზე გენერალური შეთანხმებისგან“ . ორგანიზაცია სახელმწიფოებს ეხმარება საერთაშორისო სავაჭრო სისტემის წესების ჩამოყალიბებასა და მართვაში. საიმპორტო გადასახადების შეზღუდვის გარდა, ის ცდილობს შეამციროს სავაჭრო ბარიერები და „შექმნას ისეთი სისტემა, სადაც ვაჭრობა ხორციელდება მშვიდობიანად, გეგმაზომიერად და თავისუფლად“. რუსეთისათვის, რომელიც ერთ-ერთ წამყვან პოზიციას იკავებდა და იკავებს მსოფლიო ეკონომიკასა და ვაჭრობაში, გაწევრიანების პროცესი დროში გაწელილი აღმოჩნდა და სადავო საკითხად რჩებოდა წლების განმავლობაში (WTO 2015).

რუსეთმა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობაზე განაცხადი 1993 წელს გააკეთა. ამგვარი მოთხოვნების განსახილველად, მსო-ის პირველი ნაბიჯია სამუშაო ჯგუფის ჩამო-

ყალიბება, რომელიც იმ წევრებისგან შედგება, ვისაც უშუალო ინტერესები გააჩნია საკითხის მიმართ. ამ შემთხვევაში, ეს იყო სამეზობლო და რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების მქონე სახელმწიფოები. შეთანხმების მისაღწევად წარიმართა ერთის მხრივ, მულტილატერალური საუბრები უშუალოდ ორგანიზაციასთან, გაწევრიანების პირობებსა და წესებზე და ორმხრივი მოლაპარაკებები სამუშაო ჯგუფის თითოეულ წევრთან სერვისებსა და სასაქონლო ბაზარზე წვდომის შესახებ. გაწევრიანებისთვის საჭირო 18 წლიანი მოლაპარაკებების უპრეცედენტობის გარდა, კიდევ ერთი რეკორდი დამყარდა სამუშაო ჯგუფში ჩართული ქვეყნების რაოდენობის მიხედვით, რომელიც 40-დან 65-მდე გაიზარდა. რაც კიდევ ერთი მტკიცებულებაა, თუ რაოდენ გართულებული იყო საკითხის გადაწყვეტის პროცესი (WTO 2015).

გაწევრიანებისთვის დამაბრკოლებელ კონკრეტულ მიზეზებად მოიაზრებოდა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი და 2010 წელს, ყაზახეთსა და ბელარუსთან ერთად შექმნილი ევრაზიული კავშირი, რამაც რუსეთის სავაჭრო რეჟიმის ცვლილება გამოიწვია. მესამე და სავარაუდოდ, მთავარი მიზეზი დაყოვნებისა იყო თვით რუსეთთან მოლაპარაკებისა და შეთანხმების მიღწევის სირთულე. რუსეთის ჩაკეტილი ეკონომიკა ეწინააღმდეგებოდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობისთვის საჭირო პირობებს, რომლის მიხედვით, მსო-ში გაწევრიანება ნიშნავს ბაზრის გახსნასა და საერთაშორისოდ მიღებული წესების დაცვისთვის სრული მზადყოფნის გამოცხადებას. გარდა ამისა, უცხოური კომპანიებისთვის რუსეთში ბიზნესის გავრცელება თუ წამოწყება რთული და ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელიც კი იყო. ამას ემატებოდა ჩრდილოვანი ეკონომიკა, ქრთამისა და კორუფციის მაღალი მაჩვენებელი და სახელმწიფოს მფლობელობასა თუ კონტროლის ქვეშ მყოფი რუსული უმსხვილესი კომპანიების არსებობა (ჩინეთის შემთხვევაშიც მსგავსი ფაქტორები აღმოჩნდა 15 წლიანი მოლაპარაკებების მიზეზი) (World Trade Organization, 2011, 15-26, 34-38, 336).

2011 წლის ნოემბერში მოლაპარაკებები დასრულდა. შეთა-

ნხმება შედგა, რადგან საქართველოსა და რუსეთს შორის კონ-ფლიქტი დარეგულირდა იმ დონეზე, როგორიც აკმაყოფილებ-და სამუშაო ჯგუფს და ჯგუფმა განიხილა ის ვალდებულებები, რომლებზეც ზეგავლენა მოახდინა რუსეთის ევრაზიულ კავ-შირში გაწევრიანებამ. რუსეთმა მიზანს მიაღწია _ 2012 წლის აგვისტოს ბოლოს ის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის 156-ე წევრი გახდა. ამიერიდან კი ის იმედოვნებდა, რომ ამ ნაბიჯით, საკუთარი ეკონომიკა მოდერნიზაციისა და ლიბერალიზაციის გზაზე დადგებოდა (BBC 2011).

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების მიზნები და მოლოდინები.სანამ რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზა-ციას შეუერთდებოდა, არსებობდა მოლოდინისა და მიზნების მრავალფეროვანი ნუსხა. ამ ორგანიზაციაში გაწევრიანება სა-ხელმწიფოს ეკონომიკის განვითარების უმთავრესი საშუალე-ბა უნდა ყოფილიყო. რუსეთი იმ ქვეყნების სიაში მოხვედრით, რომლებიც მსოფლიოში ერებს შორის ვაჭრობის პროცესში წესებისა თუ ნორმების მთავარი განმსაზღვრელი აქტორები არიან, ელოდა კიდეც დასახული მიზნების მიღწევასა და არსე-ბული სურვილების სისრულეში მოყვანას.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია უნდა ყოფილიყო რუსე-თის გზა პირდაპირი ინტეგრაციისაკენ გლობალურ ეკონო-მიკურ სივრცესა და სისტემაში, რომელიც უზრუნველყოფს მომმარაგებლის მიერ მომხმარებლისათვის პროდუქტისა თუ მომსახურების მიწოდებას (Supply Chain). აღნიშნული ფაქტი კი უნდა გამხდარიყო მიზეზი კონკურენტუნარიანობის გაძ-ლიერებისა. ამასთანავე, მოსალოდნელი იყო კონკრეტულად რუსეთის პროდუქტზე შეზღუდვის შემცირება. მსოფლიო სა-ვაჭრო ორგანიზაციის წევრები იმედოვნებდნენ, რომ მაქსიმა-ლურად მოხდებოდა არსებული სავაჭრო და ბიუროკრატიული ბარიერების გადალახვა და გაიზრდებოდა პირდაპირი უცხო-ური ინვესტიციები (FDI), რომელიც 2010 წლისათვის შეადგე-ნდა 300 მლრდ აშშ დოლარს. სახელმწიფო დათანხმდებოდა, რომ გაეუქმებინა ან მაქსიმალურად შეემცირებინა საინვე-სტიციო ბარიერები უცხოური ტელეკომუნიკაციებისა და სა-

ტრანსპორტო კომპანიებისათვის, ისევე როგორც ბანკებისა და სადაზღვეო კომპანიებისათვის. რაც შეეხება სავაჭრო ბალანსს, რომელიც ამ დროისთვის დაახლოებით 151 მლრდ აშშ დოლარს წარმოადგენდა, ზრდას უწინასწარმეტყვლებდნენ. რუსეთის ეკონომიკა უნდა გარდაქმნილიყო სრულად (Global Success 2013).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რუსეთის ფედერაცია სიტუაციას რეალურად აღიქვამდა და ითვალისწინებდა როგორც დადებით, ასევე უარყოფით შედეგებსაც. სახელმწიფოსთვის მოსალოდნელი იყო მოკლევადიანი ფინანსური „დარტყმა“ საიმპორტო მოვალეობებისა და გადასახადებით გამოწვეული საშემოსავლო დანაკარგის გამო. თავდაპირველად, შესაძლოა, რუსეთის ეკონომიკას ვერ მოეხერხებინა განვითარება და წინსვლა, არამედ პირიქით, გარკვეულწილად შესუსტებულიყო კიდეც. მიუხედავად ამისა, მთავრობა ხაზს უსვამდა გრძელვადიან პერსპექტივას და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მოგებას მომავალში. მსოფლიო ბანკის შეფასებით, მსო-ს წევრობა რუსეთის მშპ-ს ყოველწლიურად 3,3%-ით გაზრდიდა მომდევნო სამი წლის განმავლობაში (საუბარია 92 მლრდ აშშ დოლარზე ყოველწლიურად, რაც საქართველოს იმდროინდელ მშპ-ს დაახლოებით 4-ჯერ აღემატებოდა) (Geostat 2015). ამასთანავე, რუსეთს შესთავაზეს გაუმჯობესებული სავაჭრო წვდომის შესაძლებლობები მომსახურების სფეროს სხვადასხვა სასაქონლო არეალში. მულტილატერალურ სავაჭრო სისტემაში ჩართვისას რუსეთის მთავრობას მნიშვნელოვანი ვალდებულებები უნდა ეკისრა. მაგალითისთვის, იმპლემენტაციის პერიოდის ბოლოს, რუსეთში იმპორტირებული ყველა პროდუქტის საშუალო ტარიფი მკვეთრად უნდა შემცირებულიყო. ასევე დაიწევდა წარმოებული პროდუქტის საშუალო ფასის მაქსიმალური ზღვარი. თუმცა, როგორც ვარაუდობდნენ, ეს ტარიფები დიდ ძვრებს არ წარმოშობდა (Vyacheslav, 2012).

რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდგომ.

2011 წლის 15-17 დეკემბერს ჟენევაში, მსოფლიო სავაჭრო

ორგანიზაციის მერვე კონფერენციაზე, თვრამეტწლიანი კომ-პლექსური მოლაპარაკებების შემდეგ საბოლოოდ გადაწყდა რუსეთის ფედერაციის გაწევრიანების საკითხი. აღნიშნულ ფაქტს საერთაშორისო საზოგადოება ისტორიულ მოვლენასაც კი უწოდებს, რადგანაც 21-ე საუკუნეში (2001 წელს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისათვის ჩინეთის შეერთების შემდეგ) რუსეთი ერთადერთ ისეთ სახელმწიფოდ რჩებოდა, რომელიც მნიშვნელოვანი ეკონომიკური „მოთამაშე" იყო და არ გვე-ვლინებოდა აღნიშნული ორგანიზაციის წევრად. ამ მოვლენამ დიდი გავლენა იქონია სახელმწიფოს ეკონომიკაზე და მან გა-ნიცადა როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ცვლილებები (Vyacheslav, 2012).

უპირველეს ყოვლისა ცვლილება, რომელიც უნდა ვახსე-ნოთ, არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) მნიშ-ვნელოვანი ზრდა. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემ-დგომ, რასაც თან ერთვოდა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, უცხოელმა ინვესტორებმა საკმარისი რისკი დაინახეს რუსეთის მიმდინარე ეკონომიკაში იმისათვის, რომ ამავე წლიდან 2011 წლამდე ინვესტიციების რაოდენობა სულ უფრო და უფრო შემცირებულიყო. 2011 წელს მსო-სთან ხელშეკრულების და-დებით, რუსეთმა აღიარა საერთაშორისო ვაჭრობის სტანდა-რტები და წესები, ნებაყოფლობით დათანხმდა მათ დაცვას და, შესაბამისად, გახდა საიმედო პარტნიორი სხვა სახელმწი-ფოებისა. შესაბამისად, 2013 წელს არსებული FDI-ის რაოდე-ნობა 7703 მლნ აშშ დოლარით აღემატებოდა 2011 წლის მონა-ცემებს(GKS 2014). აღნიშნული მატება კი მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია. მაგალითისთვის 2013 წელს, საქართველოში უცხოური ინვესტიციების საერთო რაოდენობამ 914 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც დაახლოებით 8-ჯერ ჩამორჩება რუ-სეთის FDI-ის სხვაობას 2013-სა და 2011 წელს შორის (Forbes 2015).

ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი, რომელზე დაკვირვებაც გვაძლევს შესაძლებლობას, უკეთ შევაფასოთ რუსეთის ეკონომიკის ცვლილებები მსო-ში გაწევრიანების შე-

მდგომ, არის სავაჭრო სალდო, ანუ სხვაობა ექსპორტირებულ და იმპორტირებულ საქონელს შორის. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას გააჩნია სისტემა, რომელიც შეიცავს მრავალრიცხოვანი შეთანხმებებისა თუ ნორმების სიას, რომლებიც მიმართულნი არიან კომპანიების დასაცავად ქვეყნის გარე ფარგლებში. შესაბამისად, რუსეთს შესაძლებლობა მიეცა დაეძლია ის სავაჭრო ბარიერები, რაც მანამდე არსებობდა სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაში და გაეზარდა საექსპორტო შემოსავალი. აქედან გამომდინარე, მისსავე სასარგებლოდ გარდაიქმნა სავაჭრო სალდოც და 2013 წლისათვის იგი დაახლოებით 3395 მლნ აშშ დოლარი გახდა (GKS 2014).

რუსეთს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან შეერთებით ახალი შესაძლებლობები გაუჩნდა. ქვეყანამ ბევრი პოზიტიური ცვლილება განიცადა, მათ შორის მცირე ბიზნესის განვითარება და რუსეთის მოქალაქეებისათვის ხარისხიან პროდუქტსა და მომსახურებაზე დაბალ ფასებში წვდომის გაფართოება. როგორც მოსალოდნელი იყო, გაიზარდა მთლიანი შიდა პროდუქტი და მსოფლიო ბანკის მონაცემებით 2013 წელს ის უკვე 2096.77 მლრდ აშშ დოლარს აღწევდა და 2010 წელთან შედარებით შეინიშნებოდა 1.37-ჯერ ზრდა (Worldbank 2015).

მიუხედავად შესამჩნევად დადებითი ცვლილებებისა, რუსი ბიზნეს ლიდერები და მომხმარებლები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის შემდეგ კმაყოფილებას ვერ გამოთქვამდნენ. ერთი წლის შემდეგ, ბიზნეს რეპორტების ნახევარი სტაგნაციას, ხოლო 32% გაუარესების ტენდენციას უსვამდა ხაზს. რეალურად კი, თვალნათლივი დადებითი ცვლილებები გრძელვადიანი პერსპექტივაა და პირველი წლის შოკი, ძირითადად, გამოწვეულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესების სწრაფი ათვისების საჭიროებით, ეკონომიკის მოდერნიზაციის პროცესის დაჩქარებული ტემპებითა და ჯერ კიდევ სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ბიზნესის არსებობით.

დასკვნა. რუსეთის ფედერაციამ შეძლებისდაგვარად გადალახა ყველა პრობლემა, რომელიც აბრკოლებდა ქვეყნის ინტეგრაციას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. დასახული

მიზნები და მოლოდინები მეტწილად მიღწეულ იქნა და გამართლდა. შესაბამისად, როგორც კვლევის დროს ინდიკატორებზე დაკვირვებამ აჩვენა, რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება მისი ეკონომიკისათვის საკმაოდ მომგებიანი აღმოჩნდა. გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სავაჭრო სალდო და მთლიანი შიდა პროდუქტი. აქედან გამომდინარე, კითხვაზე თუ რა ცვლილებები განიცადა რუსეთის ეკონომიკამ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ, პასუხი ცალსახაა : აღნიშნულ ორგანიზაციში გაწევრიანება რუსეთის ეკონომიკისთვის მეტწილად დადებითი ცვლილებების მომტანი აღმოჩნდა.

ლიტერატურა

1. BBC. 2011. „Russia Becomes WTO member after 18 years of talks“. ინტერნეტი. http://www.bbc.com/news/business-16212643; ბოლო ნახვა: 12 იანვარი, 2017.
2. Forbes. 2015. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში. Forbes online. http://forbes.ge/news/302/pirdapiri-ucxouri-investiciebi-saqarTveloSi; ბოლო ნახვა: 12 იანვარი, 2017.
3. Geostat. 2015. „Gross Domestic Product(GDP)“ Geostat online. ინტერნეტი. http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=119&lang=eng; ბოლო ნახვა, 13 ییანვარი, 2017.
4. GKS. 2014. „Иностранные инвестиции“ GKS online. ინტერნეტი. http://www.gks.ru/wps/wcm/connect/rosstat_main/rosstat/ru/statistics/enterprise/investment/foreign/# ; ბოლო ნახვა: 13 იანვარი, 2017.
5. GKS. 2014. „Сальдо торгового баланса“ GKS online. ინტერნეტი. http://volgastat.gks.ru/wps/wcm/connect/rosstat_ts/volgastat/resources/6dbc6f00470683debdd6bd87789c42f5/%D0%A1%D0%B0%D0%BB%D1%8C%D0%B4%D0%BE+%D1%82%D0%BE%D1%80%D0%B3%D0%BE%D0%B2%D0%BE%D0%B3%D0%BE+%D0%B1%D0%B0%D0%BB%D0%B0%D0%BD%D1%81%D0%B0+%D0%BE%D0%B1%D0%BB%D0%B0%

D1%81%D1%82%D0%B8_25122013.htm ; ბოლო ნახვა: 15 იანვარი, 2017.

6. Global success. 2013. „Russia's WTO Accession" Global Success online. ინტერნეტი. https://www.globalsuccess-club.net/wiki/-/wiki/Main/Russia%E2%80%99s+WTO+Accession; ბოლო ნახვა: 13 იანვარი,2017.

7. Worldbank. 2015. „GDP Data" Worldbank online. ინტერნეტი. http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.CD; ბოლო ნახვა: 13 იანვარი, 2017.

8. World Trade Organization. 2011. *Report of the Working Party on the accession of the Russian Federation on the World Trade Organization* (11-5946): 15-26, 34-38, 336

9. WTO. 2015. „About WTO". ინტერნეტი. https://www.wto.org/english/thewto_e/thewto_e.htm; ბოლო ნახვა: 12 იანვარი, 2017.

10. 10. WTO. 2015. „How To Become A Member of the WTO". WTO online. ინტერნეტი. https://www.wto.org/english/thewto_e/acc_e/acces_e.htm; ბოლო ნახვა: 12 იანვარი, 2017.

11. Евсеев, Вячеславю 2012. Присоединение к ВТО: влияние на Россию. *Совет по международным исследованиям и обменам.* ინტერნეტი. http://www.irex.ru/assets/files/Gaidar%20Program/Evseev-Rus(final).pdf; ბოლო ნახვა: 13 იანვარი, 2017.

REFERENCES:

1. BBC. 2011. „Russia Becomes WTO member after 18 years of talks". http://www.bbc.com/news/business-16212643 (accessed January 12, 2017).

2. Evseev Vyacheslav. 2012. *Accession to the WTO: Implications for Russia. International Research & Exchanges Board*. (In Russian language) http://www.irex.ru/assets/files/Gaidar%20Program/Evseev-Rus(final).pdf (accessed January 13, 2017)

3. Forbes. 2015. Direct Foreign Investments in Georgia. (In

Georgian language) Forbes online. http://forbes.ge/news/302/pirdapiri-ucxouri-investiciebi-saqarTveloSi (accessed January 12, 2017).

4. Geostat. 2015. „Gross Domestic Product (GDP)“ Geostat online. http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=119&lang=eng (accessed January 13, 2017).

5. GKS. 2014. „Foreign Investments“. (In Russian language) GKS online. http://www.gks.ru/wps/wcm/connect/rosstat_main/rosstat/ru/statistics/enterprise/investment/foreign/# (accessed January 13, 2017).

6. GKS. 2014. „Net exports“. (In Russian language) GKS online. http://volgastat.gks.ru/wps/wcm/connect/rosstat_ts/volgastat/resources/6dbc6f00470683debdd6bd87789c42f5/%D0%A1%D0%B0%D0%BB%D1%8C%D0%B4%D0%BE+%D1%82%D0%BE%D1%80%D0%B3%D0%BE%D0%B2%D0%BE%D0%B3%D0%BE+%D0%B1%D0%B0%D0%BB%D0%B0%D0%BD%D1%81%D0%B0+%D0%BE%D0%B1%D0%BB%D0%B0%D1%81%D1%82%D0%B8_25122013.htm (accessed January 15, 2017).

7. Global success. 2013. „Russia’s WTO Accession“ Global Success online. https://www.globalsuccess-club.net/wiki/-/wiki/Main/Russia%E2%80%99s+WTO+Accession (accessed January 13, 2017).

8. Worldbank. 2015. „GDP Data“. Worldbank online. http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.CD (accessed January 13, 2017).

9. World Trade Organization. 2011. *Report of the Working Party on the accession of the Russian Federation on the World Trade Organization* (11-5946): 15-26, 34-38, 336

10. WTO. 2015. „About WTO“.WTO online. https://www.wto.org/english/thewto_e/thewto_e.htm (accessed January 12, 2017).

11. WTO. 2015. „How to Become a Member of the WTO“. WTO online. https://www.wto.org/english/thewto_e/acc_e/acces_e.htm (accessed January 13, 2017).

RUSSIA-WTO RELATIONS

Alexander Eroyan, Gvantsa Shaorshadze
Bachelor students of Tbilisi State University

RESUME

The World Trade Organization(WTO) has an essential role for the development of multilateral economic relations. Russia had tried to become a member of this union for 18 years, on this way it had to overcome many difficulties and joined the WTO in 2012. Russia takes one of leading roles in the international economy, therefore it is interesting how its relationship with the organization can be characterized. We decided to carry out the study to answer the following research question: How the economy of Russia changed after becoming a member of the World Trade Organization? In our study we will discuss the major problems Russia met in the accession process, also, the expectations it had for the membership of the organization and the economic changes from 2010 to 2013. We believe that the results of our study will help us to analyze the interaction between the WTO and Russia and see whether it is optimal for this country to withdraw from the union.

Keywords: Russian Economy, World Trade Organization, Economic changes, Trade, Investments.

საქართველო და ევრაზიული კავშირი

მარიამ ტლაშაძე, მარიამ ცაბაძე
თსუ ბაკალავრიატის მე-4 კურსის სტუდენტები

რეზიუმე

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ რუსეთის ინტერესებში შედის, რომ მის შემადგენლობაში თუ არა, მისი გავლენის სფეროში მაინც შეიყვანოს ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები. 21-ე საუკუნეში წარმოქმნილი ახალი ინიციატივა- ევრაზიული საბაჟო კავშირის სახელით სწორედ, რომ რუსეთის ამ მიზნის განხორციელების შეფარული მცდელობაა. საქართველოსთვის როგორც პროდასავლური კურსის მქონე სახელმწიფოსთვის დიდ მნიშვნელობას წარმოადგენს თუ როგორ განვითარდება მოვლენები ამ კუთხით და როგორი იქნება მისი როლი. ისიც ფაქტია, რომ ყოფილი პრემიერის მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა და იმ სიკეთებმა, რაც ევრაზიულ კავშირს თან ახლავს ამ გადმოსახედიდან საკმაოდ მომხიბლავია საქართველოსთვის, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ყველაფრის სათავეში რუსეთი დგას და ჩვენ არაერთხელ ვიგემეთ მასთან " თანამშრომლობისა" და მისი მფარველობის გემო. ქვეყანაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, თუმცა საქართველოს დასავლური არჩევანი კითხვის ნიშნის ქვეშ არ დამდგარა. Eევრაზიული კავშირის შესახებ საუბრების გამო ევროკავშირისთვისაც მნიშვნელოვნად იცვლება სამეზობლოში არსებული მისი ინტერესების ინტენსივობა და ქმედებები. Aრაც შეეხება საქართველოს, ასეთი სცენარი და მოცემულობა ჩვენი ქვეყნისთვისაც დიდი გამოწვევაა, რამეთუ შესაძლებელია მდგომარეობის ჭკვიანური გამოყენება და უფრო მეტად წახალისება ინტეგრაციისა ევროპულ სტრუქტურებში.

საკვანძო სიტყვები: ევრაზიული კავშირი, ევროკავშირი, რუსეთი, სომხეთი, პროდასავლური კურსი, ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შეთანხმება, ნატო, საბჭოთა კავშირი.

შესავალი

ევრაზიული კავშირი წარმოადგენს პოსტსაბჭოთა ქვეყნების ისეთ ეკონომიკურ-პოლიტიკურ გაერთიანებას, რომლის ფუძემდებლები არიან რუსეთი, ბელორუსია და ყაზახეთი. სრკ-ს დაშლის შემდგომ ევრაზიულ კავშირზე მუშაობა განაგრძო ალექსანდრე დუგინმა, რომელიც დღემდე ითვლება პუტინის პოლიტიკის მთავარ გეოპოლიტიკურ იდეოლოგად. გაერთიანების იდეოლოგიური პლატფორმაა დუგინის კონცეფცია "რუსული კუნძულის" შესახებ, რაც ერთგვარი ჩაკეტილი სამყაროა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან ალიანსის შექმნის საშუალებით. ამ შემთხვევაში, პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა უნდა მოახდინონ რუსეთის უსაფრთხოებისა და ევრაზიის კონტინენტზე სუვერენულობის უზრუნველყოფა. კონცეფციაში აქცენტი კეთდება რუსეთის ცივილიზებულ თვითმყოფადობასა და ჰეგემონობაზე. ევრაზიული გაერთიანების კონცეფციის გამჟღერებელი იყო ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი, რომელმაც იდეა 1994 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის ტრიბუნიდან გაახმოვანა. 2011 წლის 18 ნოემბერს, ბელარუსიის, ყაზახეთისა და რუსეთის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს სამიზნო ხელშეკრულებას 2015 წლისთვის ევრაზიული კავშირის შექმნასთან დაკავშირებით (Investopedia, 2015).

ერთიანი ეკონომიკური სივრცის მიზნად წევრ სახელმწიფოთა შორის საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და შრომითი რესურსების თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფა და მაკროეკონომიკურ, ფინანსურ, ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და ვაჭრობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკების ურთიერთშეთანხმება დასახელდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის ხანმოკლე ისტორიის მანძილზე, სხვადასხვა გარე თუ შიდა ფაქტორების გათვალისწინებით ქვეყანას სხვადასხვა არჩევანის გაკეთება უწევდა, თუმცა ერთი რამ ცხადია, დამოუკიდებლობის მიღების დღიდანვე საქართველომ პრო- დასავლური კურსი აირჩია, რომელიც სხვადასხვა პერიოდში მეტ-ნაკლები სიმკვეთრით გამოიხატებოდა. დღეს კი საქართველოს ერთადერთი საგარეო-პოლიტიკური არჩევანი, რომელიც ქვეყანას დემოკრატიულ განვითარებას ჰპირდება ევ-

როკავშირის წევრობას უკავშირდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირისგან განსხვავებით, რომელსაც დიდი ხნის არსებობის ისტორია გააჩნია, რთულია ევრაზიული კავშირის შეფასება, მისი უპირატესობებისა და ნაკლოვანებების განსაზღვრა, რამდენადაც ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია და მკაფიოდ არაა გაწერილი სამომავლო გეგმები. მიუხედავად ამისა, წევრი ქვეყნებიდან გამომდინარე შესაძლებელია გარკვეული შეფასებებისა და პროგნოზების გაკეთება.

ინსტიტუციური მსგავსების მიუხედავად, ევრაზიული კავშირი ევროკავშირისგან მაინ მნიშვნელოვნად განსხვავებული ტიპის კავშირია. ევროკავშირში წარმოდგენილნი არიან თანაბარი ეკონომიკური შესაძლებლობებისა და პოლიტიკური ზეგავლენის მქონე სახელმწიფოები, რაც კავშირის გადაწყვეტილებებს ურთიერთშეთანხმებულს ხდის, ევრაზიულ კავშირში აშკარა დომინანტის როლს რუსეთი ასრულებს (ICGS, 2015).

საქართველოს ევრაზიულ კავშირში მოსალოდნელი გაწევრიანების ვერსიაზე საუბარი 2013 წლის სექტემბერში საქართველოს ყოფილი პრემიერ- მინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადების შემდეგ დაიწყო. ივანიშვილმა მართალია ისაუბრა ქვეყნის ევროატლანტიკურ მისწრაფებებსა და მნიშვნელობებზე, თუმცა ამავე დროს აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობას ევრაზიული კავშირის მიმართ ჯერ არანაირი შეხედულება არ გააჩნდა და თუკი მომავალში მისგან რაიმე სარგებლის მიღების პერსპექტივა გამოჩნდებოდა და გარვეული ინტერესების თანხვედრა მოხდებოდა ისე, რომ საქართველოს მიერ აღებულ კურსსა და სტრატეგიასთან ეს წინააღმდეგობაში არ მოვიდოდა, კავშირთან თანამშრომლობის განხილვაზე ქვეყანას უარი არ უნდა ეთქვა. ოპოზიციური პარტიების მხრიდან ამ განცხადებაზე ატეხილი აჟიოტაჟის საპასუხოდ, რომლებმაც ივანიშვილის ეს განცხადება საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსიდან გადახვევად მიიჩნიეს, მაშინდელმა პრემიერმა განმარტა: “ევროკავშირსა და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციას საქართველოსთვის ალტერნატივა არა აქვს- ეს ჩვენი პოლიტიკის ქვაკუთხედია” (რადიო თავისუფლება, 2013).

რუსეთის მხრიდან საფრთხისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებზე ზეწოლის შესახებ საერთაშორისო საზოგადოებაც ალაპარაკდა მას შემდეგ, რაც სომხებმა ოფიციალურად განაცხადეს თანხმობა ევრაზიულ კავშირში შესვლაზე. რუსეთის მხრიდან ეს წნეხი ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს, რადგანაც რუსეთის გააქტიურება ევროპას უბიძგებს საპასუხო ნაბიჯების გადადგმისა და საქართველოს მიმართ ისეთ საკითხებზე თვალის დახუჭვისკენ, რომელთა უგულებელყოფასაც სხვა დროს არ დაუშვებდა. სწორედ რუსეთის აქტიურმა მისწრაფებამ ევრაზიული კავშირის შექმნისკენ დააჩქარა ევროკავშირის საქართველოსთან და სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებთან ინტეგრაციის პროცესი.

საზოგადოების დამოკიდებულება და ევრაზიული კავშირი. რაც შეეხება საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებას ევრაზიული კავშირის მიმართ, აქ უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის ძირითადი ნაწილი პროდასავლური ორიენტაციის მომხრეა და ქვეყნის რუსეთისაკენ შემობრუნებას დაუშვებლად მიიჩნევს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს საზოგადოების იმ ნაწილის რაოდენობის ზრდის ტენდეციაც, რომელიც საქართველოს ევრაზიულ კავშირში შესვლასაც დადებითი კუთხით აფასებს და ამ ქმედებისგან დიდ სარგებელსაც ელის. მაგალითისთვის, ჩატარებული საზოგადოებრივი გამოკითხვის მიხედვით, რომელიც აშშ-ს ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტებმა ჩაატარეს, მოსახლეობის თითქმის მესამედი, 31% მხარს უჭერდა საქართველოს ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებას (DalmaNews, 2015). აქვე უნდა აღინიშნოს ის შემაშფოთებელი ფაქტიც, რომ მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს საერთოდ ერთმანეთში ერევა ევრაზიული კავშირი და ევროკავშირი, რაც, რა თქმა უნდა, საზოგადოების ცუდად ინფორმირებულობის ბრალია. Eევრაზიული კავშირის მომხრე მოსახლეობის მთავარ მოტივს წარმოადგენს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესაძლებლობა, ეკონომიკური წინსვლა და საგარეო საფრთხეებისგან დაცვა. რაც შეეხება კავშირის მომხრე ექსპერტების ნაწილს, ისინი მიიჩნევენ, რომ ევრაზიის კავშირში შესვლა საქართველოსთვის პოზიტიური

ცვლილებების მომტანი შეიძლება გახდეს, რადგანაც ამ ინტეგრაციის სანაცვლოდ მას ულტიმატუმები უნდა წავუყენოთ. მაგალითად, ექსპერტ ვალერი გელბახიანის აზრით, რუსეთმა კეთილი უნდა ინებოს და წართმეული ტერიტორიები დაგვიბრუნოს, რის შემდეგაც საქართველო მთლიანი ტერიტორიით შევა კავშირში, რაშიც არაფერი იქნება სავალალო. თუკი მომავალში ევრაზიული კავშირი დაიშლება საქართველო კავშირიდან გამთლიანებული გამოვა და მხოლოდ მოგებული დარჩება.

რატომ არა ევრაზიულ კავშირს?. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ხელჩასაჭიდი მტკიცებულება, რომ საქართველოს პოლიტიკურ კურსს მომავალში რაიმე საფრთხე შეიძლება დაემუქროს, მაინც განვიხილოთ ის ფაქტორები, რომლებიც საქართველოსთვის შეუძლებელს ხდის ევრაზიული ევრაზიული კავშირის წევრობას იმ პირობებში, როცა ქვეყანას არ სურს დასავლური კურსის შეცვლა და ევროკავშირში გაწევრიანებაზე უარის თქმა. ექსპერტების ძირითადი ნაწილის აზრით, ევროკავშირსა და ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში ერთდროულად გაწევრიანება შეუძლებელია. ევროკავშირის საკითხებზე მომუშავე ექსპერტის კახა გოგოლაშვილის თქმით, ამ ინტეგრაციას გამორიცხავს როგორც საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ, ასევე ევრაზიის ეკონომიკური კავშირის საბაჭო პოლიტიკა. ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების მიხედვით, ევროკავშირიდან საქართველოში შემოსული პროდუქცია არ დაიბეგრება, მაგრამ პარარელურად ევრაზიის საბაჟო კავშირის შესვლის შემთხვევაში, საქართველო ვალდებული იქნება ევროკავშირის საქონელი დაბეგროს, როგორც ამას რუსეთის მთავრობა აკეთებს. ამ მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი იქნება თუ რუსეთი უარს იტყვის ევროპიდან საბაჟო კავშირის წევრ ქვეყნებში შემოსული პროდუქციის დაბეგვრაზე, რაც აზრს მოკლებულია, რადგანაც საბაჟო კავშირის შექმნის მიზანს რუსეთისთვის სწორედ ევროკავშირისთვის რეგიონში ვაჭრობის ბარიერების შექმნა წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ევროპულ, თურქულ თუ ჩინურ საქონელზე ბარიერების დაწესება ქართულ ბაზარს ძალიან დიდ

ზიანს მოუტანს და დაეხმარება რუსეთს, რომ ის მთლიანად ჩაიგდოს ხელში. მოსახლეობას მოუწევს მთლიანად რუსული პროდუქციის მოხმარებაზე გადასვლა, რადგანაც სხვა ყველაფერი გაცილებით ძვირი იქნება. ასევე ევროპული ბაზრის ჩაკეტვით, პრობლემები შეექმნება ქართულ საექსპორტო პროდუქციასაც, რომელიც თავისი მომატებული ფასით კონკურენციას ვეღარ გაუწევს ევროპის ქვეყნებში შესულ დაუბეგრავ საქონელს (netgazeti.ge, 2013).

დასკვნა

დღეს საქართველოს აქვს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო არჩევანი. ერთი მხრივ, ეკონომიკურად განვითარებული, სტაბილური, დემოკრატიული ევროკავშირი, რომელიც მიისწრაფვის მშვიდობისკენ, უსაფრთხოებისა და თანასწორობისკენ, მეორე მხრივ კი ევრაზიული კავშირი, კიდევ ერთი გაერთიანების სახელისა და სტრუქტურის ქვეშ ამოფარებული რუსეთი, რომელიც აღნიშნულ კავშირს იყენებს სხვა სახელმწიფობის დამორჩილებისა და დამონების მისაღწევად. საბოლოოდ, ხალხის დამოკიდებულება, ექსპერტების მოსაზრებები და დღეს არსებული ვითარება ცხადყოფს, რომ საქართველო ნელ-ნელა უახლოვდება დასავლეთს, რაც მეტად ხელსაყრელი და წარმატების მომტანი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის.

ლიტერატურა:

1. Investopedia, 2015. “Eurasian Economic Union (EEU)”. ინტერნეტი: http://www.investopedia.com/terms/e/eurasian-economic-union-eeu.asp ბოლო ნახვა: 18 იანვარი, 2017

2. ICGS. “მოკლედ ევრაზიული კავშირის შესახებ”. ინტერნეტი: http://www.icgs.ge/mokled-evraziuli-kavshiris-shesaxeb.html ბოლო ნახვა: 18 იანვარი, 2017

3. რადიო თავისუფლება, 2013. ინტერნეტი: http://www.radiotavisupleba.ge/a/25097720.html ბოლო ნახვა: 18 იანვარი, 2017

4. DalmaNews, 2015. “საქართველო ევროკავშირსა და ევრაზიის ეკონომიკურ კავშირს შორის: მთავარია ერთმანეთში არ

აერიოს!.“ ინტერნეტი: http://dlmn.info/ge/sakartvelo-evrokavshirsa-da-evraziis-ekonomikur-kavshirs-shoris-mtavaria-ertmanetshi-ar-aerios/ ბოლო ნახვა: 18 იანვარი, 2017

5. Netgaze.ge, 2013. “საქართველოს ევროპული არჩევანი და დისკუსია ევრაზიულ კავშირზე.” ინტერნეტი: http://netgazeti.ge/news/25427/ ბოლო ნახვა: 18 იანვარი, 2017.

REFERENCES:

1. Investopedia, 2015. “Eurasian Economic Union (EEU)”. Internet: http://www.investopedia.com/terms/e/eurasian-economic-union-eeu.asp The last seen: 18 January, 2017

2. ICGS. “Shortly about Eurasian Economic Union”. Internet: http://www.icgs.ge/mokled-evraziuli-kavshiris-shesaxeb.html The last seen: 18 January, 2017

3. Radio Freedom , 2013. Internet: http://www.radiotavisupleba.ge/a/25097720.html The last seen: 18 January, 2017

4. DalmaNews, 2015. “Georgia between Eurasian Economic Union and European Union: The most important is to not to mix them!“. Internet: http://dlmn.info/ge/sakartvelo-evrokavshirsa-da-evraziis-ekonomikur-kavshirs-shoris-mtavaria-ertmanetshi-ar-aerios/ The last seen: 18 January, 2017

5. Netgaze.ge, 2013. “The European choice of Georgia and discussion about Eurasian Economic Union.” Internet: http://netgazeti.ge/news/25427/ The last seen: 18 January, 2017.

GEORGIA AND EURASIAN ECONOMIC UNION

Mariam Tlashadze, Mariam Tsabadze
Bachelor Students of TSU, Fourth Year.

RESUME

After the collapse of the Soviet Union Russia had many attempts to increase its influence in post-soviet countries. The new initiative about the Eurasian Economic Union in the 21st century is the new tool for Russia to find the new ways for collaboration with 15 republics and decrease the EUs role in its neighbor region. It is highly interesting for Georgia how the scenario will develop, because it has its choice to become part of the Europe and member of NATO and European Union. In addition, we should take into our account the announcement of post -premier Ivanishvili about the chances of integration of Georgia in the Eurasian Union, this has changed the situation in society and become it more confusable. And it is not unreal case that the membership has its advantages which are quite attractive for Georgian society, but we should not forget that the main source of this new organization is Russia and we had quite rich experience what does this mean to be under the control of this country. Anyway, we can use very smart way this situation and became more active with European community, while it is going to be one of the most remarkable issue in the modern reality.

Key words: Eurasian Economic Union, European Union, Russia, Armenia, Pro-western course, DCFTA, NATO, USSR.

სამეცნიერო სტატიის
წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი:

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის **ახალ** შედეგებს ეკონომიკის შემდეგ თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:

ეკონომიკური რეფორმა; ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები; ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია; საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა; ფინანსები, ბანკები, ბირჟები; რეგიონული ეკონომიკა; დარგობრივი ეკონომიკა; ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტის აქტუალური საკითხები; მსოფლიო ეკონომიკა; რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღანელოებზე.

მიღებულ სტატიებს იხილავს რედკოლეგია და დადებითი რეცენზიის შემთხვევაში აქვეყნებს, ასევე განათავსებს ინტერნეტში – ელექტრონულ ჟურნალში.

სტატიები მიიღება ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე, ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

სტატიის გაფორმების წესი

სტატიის მინიმალური მოცულობა 5 გვერდი A4 ფორმატის;

რეზიუმე ქართულ, რუსულ და/ან **ინგლისურ** (აუცილებლად) ენებზე (**100-250** სიტყვა);

საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ ენებზე;

სტატიის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ავტორის (ავტორთა) სახელი, გვარი, აკად. ხარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი;

სტატიის **შესავალი, ძირითადი ტექსტი** და **დასკვნითი** ნაწილი;

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი Acadnusx; ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი – Times New Roman; შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, ყველა კიდიდან დაშორება იყოს 2 სმ.

შეცდომის გასწორება: N11-12, 2016 წ.

ავტორის გვარი უნდა იყოს არა **ზიზივაძე**, არამედ **ზივზივაძე**

შპს ჟურნალი „ეკონომიკა“
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.
ტელ: 599 56-90-78.
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

ООО журнал «ЭКОНОМИКА»
Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63
Тел. 599 56-90-78
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნეს-ინჟინერინგის, ბიზნესტექნოლოგიების,
საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტები

გადაეცა ასაწყობად 05.01.2017 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.01.2017 წ.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 16,5.